**ISSN 1512 4959**

# საისტორიო ვერტიკალები

- **HISTORICAL VERTICALS**
- **ВЕРТИКАЛЫ ИСТОРИИ**
- **GESCHICHTS VERTIKALEN**
- **LES VERTICAL ESHISTORIQUES**
- **VERTICALES DE LA HISTORIA**
- **TARIHIN DIKEY HATLARI**

**2023**

**53**

# საისტორიო ვერტიკალები

- HISTORICAL VERTICALS
- ВЕРТИКАЛЫ ИСТОРИИ
- GESCHICHTS VERTIKALES
- LES VERTICALES HISTORIQUES
- VERTICALES DE LA HISTORIA
- TARIHIN DIKEY HATLARI


თბილისი TBILISI ТБИЛИСИ

*53*

*2023*


-

[illegible]

[illegible]

[illegible]


მთავარი რედაქტორი: **იგორ კვესელავა**

რედაქტორის მოადგილე: **ვალერი მოდებაძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი:
**ედიშერ გვენეტაძე**

რედაქტორის მოადგილე საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საორგანიზაციო საკითხებში: **ნონა ცაბაძე**

EDITOR IN CHIEF: **IGOR KVESELAVA**

DEPUTY EDITOR: **VALERI MODEBADZE**

EXECUTIVE EDITOR:
**EDISHER GVENETADZE**

DEPUTY EDITOR FOR PUBLIC RELATIONS AND ORGANIZATIONAL AFFAIRS:
**NONA TSABADZE**

***საზღვარგარეთის ბიურო:***

**რუდიმერ ადრესენი** (გერმანია)
**ჰიროტაკი მაედა** (იაპონია)
**ჯუნჯი იტო** (იაპონია)
**ფრანსუაზა ტომი** (საფრანგეთი)
**ბადრი გოგია** (საფრანგეთი)
**სტივენ ჯონსი** (აშშ)
**დილავერ ჰალიტე** (თურქეთი)
**ჰ. პ. ანგელოვა** (ბულგარეთი)
**ა. მკრტიჩიანი** (ესპანეთი)
**ტ. კოროტკი** (უკრაინა)
**მ. პოლოვი** (უკრაინა)

***აჭარის ბიურო:***

**ავთანდილ დიასამიძე**

***INTERNATIONAL AGENCY:***

**RUDIMER ADRESEN** (GERMANY)
**HIROTAKI MAEDA** (JAPAN)
**JUNJI ITTO** (JAPAN)
**FRANSUAZA TOM** (FRANCE)
**BADRI GOGIA** (FRANCE)
**STEPHAN JONES** (USA)
**DILAVER HALIT** (TURKEY)
**H.P. ANGELOVA** (BULGARIA)
**A. MKRTICHYAN** (SPAIN)
**T. KOROTKYI** (UKRAINE),
**M. POLOVYI** (UKRAINE)

***ADJARA AGENCY:***

**AVTANDIL DIASAMIDZE**



**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**
**სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი**
საქართველოს სოციალურ მეცნიერებათა აკადემია
საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი

**GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY**
**Faculty of Law and International Relations**
**Academy of Social Sciences of Georgia**
The international refered and reviewed scientific journal of the Department of Policy and International Relations

**ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ:**

გ. აბესაძე, ნ. ბახსოლიანი, ჯ. გაბელია, ჯ. გახოკიძე, ო. გოგიაშვილი, ზ. გოცირიძე, ა. დიასამიძე, ზ. კვეტენაძე, თ. კიკნაძე, კ. კოპალიანი, ჰ. კუპრაშვილი, ს. მიდელაშვილი, ვ. მოდებაძე, ა. სონღულაშვილი, ა. ფუტკარაძე, ვ. შუბითიძე, ი. შურღაია, მ. ყიფიანი, დ. ჩუბინიძე, ო. ჭუმბურიძე, ა. ხევცურიანი, ივ. ჯაგოდნიშვილი, ე. ჯაფარიძე, ქ. ჯიჯეიშვილი.

**EDITORIAL STAFF:**

G. Abesadze, B. Bakhsoliani, J. Gabelia, J. Gakhokidze, O. Gogiashvili, A. Diasamidze, Z. Gotsiridze, Z. Kvetenadze, T. Kiknadze, A. Khevtsuriani, K. Kopaliani, H. Kuprashvili, S. Midelashvili, V. Modebadze, A. Songulashvili, A. Putkaradze, V. Shubitidze, I. Shurghaia, M. Kipiani, D. Chubinidze, O. Chumbruridze, Iv. Jagodnishvili, E. Japaridze, K. Jijeishvili.

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ - ქეთი კვესელავა, სტეფანე აბრამიანი.

ᲥᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲙᲐᲜᲘ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ - ემირ ბურჯანაძემ.

ᲔᲛᲑᲚᲔᲛᲐ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲡ - კობა გურულს.

**ჟურნალი ხელმძღვანელობს კანონით პრესის შესახებ.**
**გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.**

**ჟურნალი დაარსდა ზვიად გამსახურდიას ინიციატივით**
**1991 წელს, აღდგა 2002 წელს**

**მისამართი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**
**კოსტავას 77, კორპუსი VI, ოთახი 605ა**

**Editorial office address: GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY**
**Tbilisi, Kostava 77, block VI, room 605ა**

**599 24 64 74; 599 24 56 41; 595 29 89 07**
**E-mail: svertikali@yahoo.com**

# საისტორიო ვერტიკალები
HISTORICAL VERTICALS №53 ВЕРТИКАЛЫ ИСТОРИИ

# შინაარსი – CONTENTS – СОДЕРЖАНИЕ

## პოლიტიკა – POLICE – ПОЛИТИКА


იგორ კვესელავა

საერთაშორისო პოლიტიკა და საქართველო. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 7


## ისტორია – HISTORY – ИСТОРИЯ


ედიშერ გვენეტაძე

„ბრეჟნევის დოქტრინიდან" „სინატრას დოქტრინამდე" . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 22


## საერთაშორისო ურთიერთობები – INTERNATIONAL RELATIONS – МЕЖДУНАРОДНЫЕ ОТНОШЕНИЯ


АЛЛА БИБИЛАШВИЛИ

**Проблема Лачинского коридора: возникновение и эскалация напряженности**. . . . . .29


## ფსიქოლოგია – PSICOLOGY – ПСИХОЛОГИЯ


იოსებ შურღაია, ნონა ცაბაძე

მოსახლეობის მორალურ-ფსიქოლოგიური უზრუნველყოფა
საომარი მდგომარეობის წარმოშობის პირობებში. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .40


## ფილოსოფია – PHILOSOPHY – ФИЛОСОФИЯ


თამარ კობერიძე

ქართული დამწერლობისა და კომუნიკაციის რეალიები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 47

## დოქტორანტები – PhD STUDENTS – ДОКТОРАНТЫ


**კახა ტაბატაძე**
ევროპის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა და საერთაშორისო უსაფრთხოების თავისებურებები .....53

**როლანდ ძნელაძე**
კასპიის რეგიონი, როგორც მსოფლიოს წამყვანი ზესახელმწიფოების ინტერესთა შეჯახების წერტილი .....61

**ნანა კანკავა**
საერთაშორისო კონფლიქტების დარეგულირების გლობალური მექანიზმების თეორიულ-მეთოდოლოგიური და ისტორიული ჩარჩო .....69

**ჯონი ტატუნაშვილი**
ევროპული ინტეგრაციის სხვადასხვაფორმატიანი მოდელის ფორმირების პოლიტიკის სპეციფიკა.....81

**ინა ნაცვალაძე**
მიგრაციული ნაკადების რეგულირების მექანიზმები და მიგრანტთა ევროკავშირის ქვეყნებში ადაპტაციის პოლიტიკა..... 89

**გიორგი ხუბულაშვილში**
დასავლეთის და რუსეთის გასნხვავებული მიდგომა „რბილი ძალის მიმართ“..... 97

**ნინო კობახიძე**
ტრანსნაციონალური საფრთხის არსი და მისი თეორიულ-კონცეპტუალური აღქმა ..... 107

**ანა ბუკია**
საერთაშორისო თანამეგობრობის პოლიტიკა ტერიტორიული სუვერენიტეტის საკითხებზე კოსოვოს მაგალითზე.....116

**კობა გრიგოლია**
გარე აქტორების როლი სირიის კონფლიქტში .....130

**გიორგი ლომია**
დაბალანსების პოლიტიკის აუცილებლობა, ბუფერული სახელმწიფოების შემთხვევაში...137

**რაულ ქირია**
საქართველოსა და ურკაინის ევროკავსირსი გაწევრიანების პერსპექტივები..... 147

**გიორგი კლიმიაშვილი**
დიპლომატიური მოლაპარაკება, როგორც საერთაშორისო დავების გადაწყვეტის გზა..... 155

**გიორგი ხიდირბეგიშვილი**
ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების შესწავლის თეორიული მიდგომები და კლასიფიკაცია..... 159

# ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების შესწავლის თეორიული მიდგომები და კლასიფიკაცია

159

# დიპლომატიური მოლაპარაკება, როგორც საერთაშორისო დავების გადაწყვეტის გზა

**ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ – POLICE – ПОЛИТИКА**

✍ იგორ კვესელავა

# საერთაშორისო პოლიტიკა და საქართველო

საერთაშორისო პოლიტიკის შესწავლა ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და ა.შ. განვითარების სურვილითაა განპირობებული, თუმცა პრინციპებისა და ძალის, ზნეობისა და სახელმწიფოს მართვის შეთავსება ადვილი არ არის. მით უმეტეს, შეუძლებელია სახელმწიფოები მხოლოდ სიკეთით ან ბოროტებით იყვნენ დაკავებულნი; საერთაშორისო პოლიტიკის ბუნება ამ თეზას უხსოვარი დროიდან გამორიცხავს, რადგან ძალა და ზნეობა ურთიერთგამომრიცხავი ცნებებია. ძლიერები ქმნიან ამინდს, ხოლო სუსტები ამ ამინდის შედეგებს უნდა შეეგუონ.

სტატიაში გადმოცემულია გლობალიზაციის თანამედროვე გააზრება, რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ, სამხედრო და სხვა პროცესებთან და მოიცავს პოლიტიკურ და სამხედრო ბლოკებს, „ხისტ“ და „რბილ“ ძალებს, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, მსოფლიო ბანკებსა და ფონდებს, მსოფლიო მასმედიას, დიასპორებს, „ოქსფამს“, „ექიმები საზღვრებს გარეშეს“, „ჰუმან რაითს ვოთჩს“, საერთაშორისო წითელ ჯვარს“, გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატს“, „გაეროს ბავშვთა ფონდს“ (იუნისეფი), ევროპის „უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციას“ (ეუთო), „აფრიკის კავშირს“, „სამშვიდობო ჯარებს“ და ა.შ.

***საკვანძო სიტყვები:*** *პოლიტიკა, გლობალიზაცია, პოლიტიკური ხელისუფლება, მმართველობა, მსოფლიო წესრიგი, საერთაშორისო ურთიერთობები, მეცნიერება, თეორია, იდეოლოგია, კავკასია, რუსეთი, „ქართული ოცნება“.*

**მსოფლიოს პოლიტიკური ისტორია იცნობს მაგალითებს, როდესაც ძალთა თანაფარდობის ცვლილება ომის მიზეზი ხდება. „ძალის პოლიტიკა“ აზშობს „სუსტ პოლიტიკას“, შესაბამისად, ზნეობის ნორმები სახელმწიფოს მართვის უცვლელ სახელმძღვანე-**

**ლოდ ვერ გამოდგება (მორგენთაუ) ანუ „ძალა აღმართს ხნავს“.**

**პოლიტიკა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც საზოგადოების პასუხისმგებელ მოქალაქეს პოლიტიკის შემადგენელი იდეების, ინსტიტუტებისა და პრობლემების საფუძვლების ცოდნა სჭირდება. პოლიტიკა დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე ანუ ის არის მეცნიერება იმის შესახებ თუ როგორ მართავენ და იმართებიან ადამიანები.**

**პოლიტიკას აქვს საკუთარი ტერმინები და ენა, მათ შორის განმსაზღვრელია პოლიტიკური წონის მქონე სამი სიტყვა - წესრიგი, ძალაუფლება და სამართლიანობა.**

წესრიგი აღნიშნავს სტრუქტურებს, წესებს, რიტუალებს, პროცედურებსა და ჩვეულებებს, რომლებიც პოლიტიკურ სისტემას შეადგენენ. ამ სისტემაში კი მოიაზრება: ხელისუფლება, სახელმწიფო (ქვეყანა), ერი.

გვხვდებიან ერები ერთგვაროვანი მოსახლეობით (პოლონეთი, დანია, შვედეთი, ნორვეგია, ფინეთი, საფრანგეთი, ავსტრია, პორტუგალია, საბერძნეთი).

შედარებით არაერთგვაროვნები: დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ნიდერლანდები, ესპანეთი, იტალია. ბელგია მკვეთრადაა გაყოფილი კულტურული და ლინგვისტური თვალსაზრისით. განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა იმიგრანტების სახელმწიფო - აშშ. თუმცა „სადნობი ქვაბი“, საბოლოოდ ყველა ახალშამოსულს ამერიკული საზოგადოების ძირითად ნაკადში აქცევს (ასიმილირება), რითაც მკვიდრდება საერთო ეროვნულობა.

ერი-სახელმწიფო, როგორც იდეის და როგორც იდეალის ფესვები, კონკრეტულ დროში და ადგილას უნდა მოიძებნოს. ეს კი ახალი დროის ევროპის, განსაკუთრებით კი დასავლეთ ევროპის ისტორიაა. იგი ნაკლებად მიესადაგება მსოფლიოს სხვა რეგიონებს, სადაც სუვერენული სახელმწიფოების პოლიტიკურ საზღვრები ხშირად არ ემთხვევა ეთნიკურ თუ კულტურულ საზღვრებს. ზოგიერთ შემთხვევაში ეთნიკური, რელიგიური თუ ტომობრივი დაჯგუფებები, რომლებიც ტრადიციულად ერთმანეთს ძლიერ ემტერებოდნენ, აღმოცენდნენ ახალ „სახელმწიფოში“, რის შედეგადაც მივიღეთ არასტაბილურობისა და სამოქალაქო ომების მაღალი რისკის მქონე საზოგადოებები.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დეკოლონიზაციამ დასაბამი მისცა ბევრ ერთბაშად შექმნილ მრავალეროვნულ სახელმწიფოს, რომლებშიც ბევრი ეროვნული ჯგუფი ასიმილირებული არ იყო.

პოლიტოლოგთა კლასიფიკაციის არაერთი პრინციპი არსებობს, თუმცა თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებაში გამოყოფენ ორ მიმართულებას: **ტრადიციულ და ბიჰევიორალისტულს**.

თუ ტრადიციული მიდგომა, პოლიტიკის ძირითადი ელემენტების ცოდნასთან ერთად, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ძველი პოლიტიკის, პროცესის და ინსტიტუტის შეფასებას ანუ ისინი ტრადიციული პოლიტიკური მეცნიერების საზღვრების მიღმა არ გადიან, ბიჰევიორიალისტული მიდგომა აქცენტს აკეთებს პოლიტიკის ნორმატიულ საკითხებზე ანუ უპირატესობა ენიჭება მეცნიერულ მეთოდს. ეს მსოფლმხედველობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გავრცელდა და პოლიტიკური ქცევისა და პოლიტიკური პროცესების დინამიკისა და შედეგების აღწერას და პროგნოზირების უფრო კონკრეტულ ამოცანას ისახავს მიზნად.

ტრადიციონალისტი პოლიტოლოგებისგან განსხვავებით, ისინი ერიდებიან პოლიტიკის შესახებ მორალურ თუ ფილოსოფიურ შეფასებებს (დასკვნებს), რადგან მიაჩნიათ, რომ ასეთი შეფასებები არაფერია თუ არა სპეკულაცია და მათი მეცნიერულად დასაბუთება შეუძლებელია.

ისინი არად აგდებენ „ღირებულებებს და უპირატესობას „ფაქტებზე დაყრდნობას“ ანიჭებენ, თუმცა (არსებობს თუ არა პოლი-

ტიკურ ცხოვრებაში აშკარა განსხვავება ღირებულებებსა და ფაქტებს შორის, ის საკითხია, რომელსაც სათანადო ყურადღება იშვიათად ექცევა.

პოლიტიკის შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი პოლიტიკურ ეკონომიკას და მარქსიზმს.

ცხადია, პოლიტოლოგები პოლიტიკას პოლიტიკური ეკონომიკის პრიზმაში განიხილავენ ანუ ეს ერთი მონეტის ორი სხვადასხვა მხარეა. პოლიტიკური ანალიზი, რომელიც იგნორირებას უკეთებს ეკონომიკას, უგულებელყოფს რეალობას, ასევე, პოლიტიკისაგან დაცლილი ეკონომიკური ანალიზი მხოლოდ ფუჭი თეორიული სავარჯიშოა.

**რეალურ სამყაროში პოლიტიკა და ეკონომიკა მჭიდროდაა ერთმანეთზე დაკავშირებული და მათი ერთმანეთისაგან დაშორება შეუძლებელია.**

**პოლიტეკონომისტები ცდილობენ ორივე სფეროს, პოლიტიკისა და ეკონომიკის, საუკეთესო მხარეები გააერთიანონ, რათა მიიღონ მაღალი დონის ანალიზი, განმარტებისა და პროგნოზის უფრო მაღალი ხარისხით.**

პოლიტეკონომიის მეთოდები შედარებითი და საერთაშორისო პოლიტიკის, ასევე, რომელიმე ერთი ქვეყნის პოლიტიკის შესწავლის ნაყოფიერი საშუალებაა.

იმ მიდგომათა შორის, რომლებმაც არსებითი გავლენა იქონიეს პოლიტიკურ მეცნიერებაზე (და მსოფლიო პოლიტიკაზე), საყურადღებოა მარქსისტული ანალიზიც, მიუხედავად იმისა, მოგვწონს იგი თუ არა.

მარქსიზმის იდეოლოგია დაკავშირებულია მემარცხენე მოძრაობასთან.

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ანალიზის მარქსისტული კატეგორიები სასარგებლოა პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესების ახსნისას.

უკიდურესად არამეცნიერული იქნებოდა ყოველივე სოციალისტურის მიმართ, ბრმა რწმენის გამო, დემოკრატიული კაპიტალიზმის მარქსისტული კრიტიკის იგნორირება.

მარქსიზმა, როგორც საშინაო, ასევე საგარეო დონეზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა პოლიტიკის, ეკონომიკისა და საზოგადოების შესწავლაზე.

მსოფლიოში პრაქტიკულად არ არსებობს ორი მეზობელი სახელმწიფო, რომელთა ურთიერთობები ყოველთვის მეგობრული იყო, ამიტომ უპირველესად საკუთარ თავს უნდა დაეხმარონ და კარგად უნდა გაიცნობიერონ პალმერსტონის შეგონება იმის შესახებ, რომ **„დიდ ბრიტანეთს არ ჰყავს მუდმივი მტრები ან მეგობრები. დიდ ბრიტანეთს მხოლოდ მუდმივი ინტერესები აქვს“.**

## ქართული სახელმწიფო

**ქართულმა სახელმწიფომ თავისი ამოცანების გადაჭრაზე თავად უნდა იზრუნოს, მაგრამ აქ საშინაო პოლიტიკის ნაცვლად საგარეო პოლიტიკაა მსაზღვრელი და ბევრ შემთხვევაში მიზანს ვერ აღწევს, რადგანაც მიზნები ზოგჯერ ამბიციურია, არსებული საშუალებები კი - მწირი.**

ხდება ისეც, რომ მიზნები მიღწევადია, მაგრამ საშუალებები არასწორად შერჩეული, თუმცა იმ შემთხვევაში თუ მიზნები რეალისტურია, ხოლო შესაბამისი საშუალებები მოიპოვება და თანაც სწორად შეირჩა. ქართული სახელმწიფო მაინც ვერ აღწევს სასურველს, რადგან ვერ ხდება საერთაშორისო პოლიტიკის ბუნების სათანადოდ გააზრება, მით უმეტეს, ერთი სახელმწიფოს ქმედება აუცილებლად აისახება სხვა სახელმწიფოზე - დადებითად ან უარყოფითად ანუ რისი მიღწევაც სურს საქართველოს, ამის სურვილი სხვასაც გააჩნია. **ამიტომ ის, რაც განახორციელა ქართულმა ხელისუფლებამ, 1992-1993 წლებში და 2008 წლის აგვისტოში, იყო პოლიტიკურად და სამხედრო თვალ-**

**საზრისით, გაუმართლებელი ქმედება, რადგან ერთი სახელმწიფოს მოქმედება გარკვეულწილად იმაზეა დამოკიდებული, რას გააკეთებენ არსებული სახელმწიფოები.** სწორედ აქ წარმოიშობა უსაფრთხოების დილემა, რადგან საკუთარი უშიშროების დაცვა ან განმტკიცება ამცირებს სხვა სახელმწიფოების უსაფრთხოებას და ამ შემთხვევაში გარკვეული ზომების მიღება ქმნის საპირისპირო ქმედებებს, რაც შეიძლება საომარ მოქმედებებშიც გამოიხატოს.

თუმცა ცალკეულ შემთხვევაში, ერთ-ერთი რომელიმე ქვეყნის შესაიარაღებლად და დასაცავად იქმნება ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოთა გაერთიანება, რომელიც შეიძლება მსოფლიო ომშიც გადაიზარდოს, როგორც ეს მოხდა პირველ და მეორე მსოფლიო ომებში და ბოლოს 2022 წლის თებერვალში დაწყებულ რუსეთ-უკრაინის სამხედრო დაპირისპირებაში, რომელმაც ფაქტობრივად მესამე მსოფლიო ომის ხასიათი მიიღო.

**ყველა სახელმწიფოს შეიარაღების გაძლიერება მხოლოდ თავდაცვის მიზანს არ გულისხმობს და არც მშვიდობიანობის გარანტად გამოდგება. შესაბამისად, ცნება „სახელმწიფოთა მეგობრობა" ყოველთვის პირობითია, პოლიტიკური ბელესტრისტიკის ნაწილია და არასოდეს დგას სახელმწიფოთა ინტერესებზე მაღლა, მით უმეტეს, სახელმწიფოთა უშიშროების ინტერესები ყოველთვის უზენაესია.**

საქართველოს სახელისუფლებო აზროვნება ზოგჯერ ვერ აცნობიერებდა, რომ ყველა გარეშე სახელმწიფო არ იყო, მხოლოდ ქვეყნის გაფართოების სურვილით აღტკინებული და ერთმანეთთან დაპირისპირება შესაძლებელი იყო იდეოლოგიის, საკუთრების, სავაჭრო-ეკონომიკური და სხვა ინტერესების გამო.

ასეთ ვითარებაში არსებობის სრული უფლება ჰქონდა მოსაზრებას, რომ „თუ სახელმწიფოები საკუთარ მიზანს შანტაჟის, ქრთამის ან მუქარის გზით ვერ აღწევენ, მათ შეიძლება ომს მიმართონ. ომი შეიძლება დაიწყოს მაშინ, როდესაც ის არავის სურს, თუმცა, როგორც წესი, ომები მაშინ იწყება, როდესაც მათი დაწყება ვინმეს უნდა".

საქართველოს საერთაშორისო თანამშრომლობის უზრუნველყოფა ადვილი არ იყო, რადგან ნახევრად ანარქიულ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანას ჰყავდა მკვეთრად ერთმანეთთან დაპირისპირებული საზოგადოება, ორად და მეტად გახლეჩილი პოლიტიკური სპექტრი, რომლებიც იბრძოდნენ შედარებითი უპირატესობების მოსაპოვებლად და **ვერ გამოდიოდნენ ცუდისა და უარესის პოლიტიკური წრიდან.**

რეალური პოლიტიკის მხარდამჭერები მიიჩნევენ, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში ყველა სახელმწიფომ საკუთარი რესურსებით და ძალით უნდა დაიცვას თავისი ინტერესები, გაძლიერდეს პოტენციურ მოწინააღმდეგეებზე, ისწრაფოს უპირატესობის მოსაპოვებლად, თავი აარიდოს ისეთ შეთანხმებებს, რომელიც მათ ქვეყანას ზეწოლისა და იძულების იოლ სამიზნედ აქცევს.

საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკური სისტემები ყოველთვის განსხვავებულია, შესაბამისად, სხვაა მათ მიმართ დამოკიდებულების ხასიათიც. დიდი სახელმწიფოები „ძალის მაქსიმიზაციით" ცდილობენ გადაწყვიტონ საკუთარი უშიშროების პრობლემები და უძლიერეს სახელმწიფოდ იქცნენ და ასეთ ვითარებაში დიდი ქვეყნები ქმნიან გაერთიანებას, რომელიმე სახელმწიფოს ირჩევენ მესაჭედ და აძლიერებენ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, იდეოლოგიურ და სამხედრო თანამშრომლობას (აშშ, დიდი ბრიტანეთი, ევროკავშირი, რუსეთი, ჩინეთი) ანუ ცალ-ცალკე იბრძვიან რამდენიმე-პოლუსიანი ჰეგემონიის მისაპოვებლად.

მართალია, კონფლიქტი და ომი არ არის საერთაშორისო პოლიტიკის მუდმივი მახასიათებელი და მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ისტორიაში ერთად აღებული,

უომო პერიოდი 400 წლით ისაზღვრება, სახელმწიფოებს შორის მშვიდობიანი თანამშრომლობის ციკლი საკმაოდ ხანგრძლივია, ურთიერთინტერესების გათვალისწინებით და თანამშრომლობა უფრო მომგებიანია, ვიდრე კონკურენცია.

ცალკეული სახელმწიფოები თავს დემოკრატიულ ქვეყნებად მიიჩნევენ და კონფლიქტების მოსაგვარებლად ორ კონკრეტულ მექანიზმს სამართალს და დიპლომატიას იყენებენ, მაგრამ არ არსებობს საერთაშორისო სამართლის აღსრულების მექანიზმი. მართალია, საერთაშორისო სამართლის დიდი ნაწილი ასახავს სახელმწიფოთა შორის კონსესუსს იმის თაობაზე, თუ რა არის თანაბრად სასარგებლო ყველა სახელმწიფოსთვის და ამის მაგალითებია საერთაშორისო კომუნიკაციების მარეგულირებელი წესები, ასევე დიპლომატია ხელს უწყობს თანამშრომლობასა და დავების მოგვარებას. თუმცა თუ სახელმწიფო სხვის ხარჯზე გაძლიერებას შეეცდება, სისტემაში გაბატონებას ვერცერთი ცალკეული სახელმწიფო შეძლებს, რადგანაც საერთაშორისო სისტემა არამდგრადია, რადგან წარმატებულ აგრესორს უჩნდება მრავალი მომხრე, რომლებსაც აგრესორის ეშინიათ ან მისი წარმატებიდან სარგებლის მიღება სურთ. თუმცა ძალთა წონასწორობის თეორიასა და ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით მკვლევარები ამტკიცებენ, რომ მიტმასნების ნაცვლად, სახელმწიფოები უმეტეს შემთხვევაში, წარმოქმნილი საფრთხის გაწონასწორებას ცდილობენ. ისინი არ ემხრობიან ყველაზე ძლიერ სახელმწიფოს კი არ ემხრობიან, არამედ სხვებთან ერთიანდებიან, რათა რომელიმე სახელმწიფო იმდენად არ გაძლიერდეს, რომ სისტემაში გაბატონება შეძლოს.

**პოლიტიკის კანონები არ შეცვლილა ძველი ჩინეთის, ინდოეთის თუ საბერძნეთის მოაზროვნეების დროიდან და პოლიტიკის თეორიაში ახალი ძველს ყოველთვის არ სჯობს. მაგალითად, პოლიტიკის ძალთა წონასწორობის თეორია ათასობით წლის წინ შეიქმნა, მაგრამ ის სრულიადაც არ არის მოძველებული და დრომოჭმული. თუმცა უნდა გამოვარჩიოთ პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეები, რომლებმაც გარკვეულ საშინაო და საგარეო პოლიტიკას უნდა გაართვან თავი ანუ გამოარჩიონ კარგში უკეთესი. სახელმწიფო მოღვაწეები ქვეყნის სახელმწიფოებრივ ინტერესებს განახორციელებენ და არა პოლიტიკური პარტიის ინტერესებს.**

სახელმწიფო მოღვაწის საქმიანობა იზომება წარსულში გადადგმული ნაბიჯებით და განჭვრეტით, რა ნაბიჯებს გადადგამს ის მომავალში, როგორია მისი გამოსვლები, მოხსენებები, ინტერვიუები, საუბრები სხვა სახელმწიფო მოღვაწეებთან, როგორია მისდამი ხალხის დამოკიდებულება; რას ფიქრობენ მის შესახებ უცხოელი სახელმწიფო მოღვაწეები.

პოლიტიკა არ არსებობს ობიექტური კანონების გარეშე და ისინი ადამიანების მოწონების თუ არმოწონების მიუხედავად მოქმედებენ და საზოგადოების ცხოვრებას განსაზღვრავენ. ცხადია, პოლიტიკის ობიექტურ კანონებს და მათ შორის სიმართლეს, რომელიც ფაქტებით და ლოგიკით მყარდება, უპირისპირდება ირაციონალური სუბიექტური აზრიც. შესაბამისად, მიმდინარეობს ბრძოლა რაციონალურსა და ირაციონალურს შორის და სწორედ აქ ჩნდება სახელმწიფო და პოლიტიკური აზროვნების შესაბამისობა და შეუსაბამობაც. საშინაო პოლიტიკის მსაზღვრელობა საგარეო პოლიტიკასთან შედარებით ანუ სახელმწიფო ცხოვრების განსაზღვრა არა საგარეო, არამედ საშინაო პოლიტიკით, რომელიც სახელმწიფო მოღვაწის საქმიანობის შეფასების მთავარი ნიშნულია და წინ იწევს საშინაო პოლიტიკის პირველადობას, საგარეოსთან მიმართებით.

**ქართულ სინამდვილეში საქართველოს რუსეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, იდეო-**

**ლოგიურ და სამხედრო ველში მოქცევის შემდეგ არ ჰქონია რეალური საგარეო პოლიტიკა და ის მის მფარველ სახელმწიფოთა ნებაზე იყო დამოკიდებული, რომელიც დღესაც გრძელდება. ასეთ ვითარებაში ქართული სახელმწიფოებრიობის მსაზღვრელია არა საშინაო, არამედ საგარეო პოლიტიკა. თუმცა ხელისუფლების მიერ არჩეული საგარეო პოლიტიკა ყოველთვის არ ემსახურებოდა რაციონალურ მიზნებს და ქვეყნის სახელმწიფო ინტერესებს.**

მკვლევარები გამოარჩევენ განსხვავებას რეალურად არსებულ საერთაშორისო პოლიტიკასა და მის საფუძველზე შექმნილ რაციონალურ თეორიას შორის და მას ადარებენ ფოტოს და მხატვრის მიერ დახატულ პორტრეტს. ფოტოზე დანახულია ყველაფერი, რისი დანახვაც შიშველი თვალით შეიძლება, ხოლო პორტრეტი არ ასახავს ყველაფერს, რისი ხილვაც თვალს შეუძლია, მაგრამ იმავდროულად გვიჩვენებს (ან ცდილობს გვიჩვენოს) იმას, რასაც თვალი ვერ ხედავს - პორტრეტზე გამოსახული ადამიანის ხასიათს.

უდავოა, რაციონალური საგარეო პოლიტიკა იძლევა რისკების მაქსიმალურად შემცირებისა და სარგებლის მაქსიმალურად გაზრდის შესაძლებლობას და შეესაბამება, როგორც ზნეობრივ მოთხოვნას, ისე წარმატების პოლიტიკურ აუცილებლობას.

**შესაბამისად, წინ იწევა ინტერესის პარადიგმა, როგორც განსაზღვრული ძალის ობიექტური და უნივერსალური კატეგორია, რომელიც პოლიტიკის არსებითი ნაწილია, რომელზეც დროისა და სივრცის ფაქტორები გავლენას ვერ ახდენს და თვალსაჩინო ხდება ანტიკური საბერძნეთის გამოცდილებაზე დაფუძნებული თუკიდიდეს მოსაზრება, რომ „არაფერი აკავშირებს სახელმწიფოებსა თუ ადამიანებს ისე მტკიცედ, როგორც საერთო ინტერესები“. მოგვიანებით მსგავს მოსაზრებებს გამოთქვამდნენ ჯორჯ ვაშინგტონი, მაქს ვებერი და სხვები.**

პოლიტიკური რეალიზმის მომხრეები ფიქრობენ, რომ არასტაბილურობა და ძალადობის მუდმივი საფრთხე არასოდეს შეიცვლება, რადგან ძალთა თანასწორობა - პლურალისტური საზოგადოების თანმდევი მოვლენა არ არის მუდმივი მშვიდობის გარანტია.

**ჰანს მორგენთაუმ თავის კლასიკურ ნაშრომში „პოლიტიკა სახელმწიფოებს შორის“ ჩამოყალიბდა პოლიტიკური რეალიზმის ექვსი პრინციპი.**

1. სერიოზული საგარეო საფრთხის წინაშე მდგომი სახელმწიფოები დაბალანსების ან მიტმასნების პოლიტიკას მიმართავენ. დაბალანსება განისაზღვრება როგორც არსებული საფრთხის წინააღმდეგ სხვებთან კავშირების შექმნა. მიტმასნება საფრთხის წყაროსთან კავშირის შექმნას გულისხმობს. შესაბამისად, იმის მიხედვით ირჩევს სახელმწიფო მთავარი გარე საფრთხის წინააღმდეგ სხვებთან კავშირის შექმნას თუ ასეთ კავშირს საფრთხის წყაროსთან ამყარებს.

2. სახელმწიფოები კავშირებს ქმნიან, რათა უფრო ძლიერი სახელმწიფოების მათზე გაბატონება არ დაუშვან, ძალთა ბალანსის ტრადიციული თეორიის საფუძველს წარმოადგენს. ამ თვალსაზრისის თანახმად, სახელმწიფოები ალიანსებს უერთდებიან, რათა თავი დაიცვან იმ სახელმწიფოების ან კოალიციებისაგან, რომლებიც მეტ რესურსს ფლობენ და, შესაძლოა, მათ საფრთხე შეუქმნან.

3. რაც უფრო სუსტია სახელმწიფო, მით უფრო დიდია ალბათობა იმისა, რომ ის მიტმასნებას მიმართავს და არა დაბალანსებას. ასეთი ვითარება იმის გამო იქმნება, რომ სუსტი სახელმწიფოები თავდაცვით კოალიციებს ბევრ ვერაფერს მატებენ და იმავდროულად უფრო აგრესიულ სახელმწიფოთა რისხვის სამიზნედ იქცევიან, რადგან სუსტ სახელმწიფოებს შედეგებზე გავლენის მოხდენა არ ძალუძთ და არ არის გამორიცხული ამ პროცესში სერიოზულად დაზარალდნენ

კიდევაც, რადგან იძულებული გახდებიან გამარჯვებული სახელმწიფოს მხარე დაიკავონ.

4. უდავო ფაქტია დიპლომატია სახელმწიფოს ძალის ელემენტია და საგარეო პოლიტიკის მიზნები ეროვნული ინტერესის საფუძველზე უნდა ჩამოყალიბდეს თუ მის ზურგს სათანადო ძალა უმაგრებს; ასეთ შემთხვევაში საკმარისი არ არის პოლიტიკური სცენა მხოლოდ მოცემული ქვეყნის დიპლომატიით განისაზღვროს და ის სხვა, მფარველი, მოკავშირე თუ პარტნიორი სახელმწიფო თვალთახედვით უნდა შეაფასოს. ცხადია, აქ წინ იწევა კომპრომისის ფენომენი ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი არ არის ქვეყნისათვის.

### გლობალიზაციის პროცესები და პოლიტიკური და საერთაშორისო ურთიერთობები

**გლობალიზაციის თანამედროვე გააზრება დაკავშირებულია პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ, სამხედრო და სხვა პროცესებთან და მოიცავს პოლიტიკურ და სამხედრო ბლოკებს, „ხისტ“ და „რბილ“ ძალებს, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, მსოფლიო ბანკებსა და ფონდებს, მსოფლიო მასმედიას, დიასპორებს, „ოქსფამს“, „ექიმები საზღვრებს გარეშეს“, „ჰუმან რაითს ვოთჩს“, საერთაშორისო წითელ ჯვარს“, გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატს“, „გაეროს ბავშვთა ფონდს“ (იუნისეფი), ევროპის „უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციას“ (ეუთო), „აფრიკის კავშირს“, „სამშვიდობო ჯარებს“ და ა.შ.**

საერთაშორისო საქმეებში პოლიტიკისა და ეკონომიკის ურთიერთობის შესახებ საუკეთესო დისკუსიები საერთაშორისო პოლიტიკის კლასიკოს თეორეტიკოსებს ეკუთვნით. მკვლევარები მეცნიერული აზრის სამ მიმდინარეობას განიხილავენ - **ლიბერალიზმი, მარქსიზმი, მერკანტილიზმი**.

ლიბერალური პოლიტიკური ეკონომიკის წარმომადგენლები ყურადღებას საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების თანამშრომლობაზე და არა კონფლიქტურ ბუნებაზე ამახვილებენ. **ადამ სმითის** არგუმენტები საშინაო ეკონომიკის შესახებ მათ საერთაშორისო ეკონომიკის სფეროზე განავრცეს.

ლიბერალიზმისა და მარქსიზმის მომხრეები უპირატეს როლს ეკონომიკას ანიჭებენ. მარქსიზმის მიმდევრებისათვის პოლიტიკურ ქცევას ეკონომიკური ინტერესები განაპირობებს და რადგან პირველი კონფლიქტურია, მეორეც აუცილებლად კონფლიქტური უნდა იყოს. როგორც ლიბერალიზმის, **ისე მარქსიზმის მიმდევრებს საერთაშორისო ურთიერთობებიდან პოლიტიკის განდევნა სურთ - ლიბერალებს თავისუფალი ვაჭრობის მეშვეობით, მარქსისტებს კი - კომუნიზმის საყოველთაო გავრცელების შედეგად.**

**მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეერთებულმა შტატებმა შეძლო თავისი დიდი ეკონომიკური და სამხედრო ძალა ღია ეკონომიკური წესრიგის შესაქმნელად გამოეყენებინა.**

მკვლევარებში, გლობალიზაციის ბუნებიდან გამომდინარე, ჩნდება კითხვა, ხომ არ დაკარგავს სახელმწიფო საზღვრები ეკონომიკურ მნიშვნელოვანებას და წინ ხომ არ წამოიწევა პროტექციონიზმის პარადიგმა? გლობალიზაცია ხომ არ მიაყენებს ზიანს, როგორც აშშ-ში, ისე მის საზღვრებს გარეთ მცხოვრებ ღარიბებს და ა.შ.

**გლობალიზაციამ ზედმეტი ძალაუფლება მისცა ტრანსნაციონალურ კორპორაციებს; კაპიტალი თავისუფლად მოძრაობს, ფინანსები არ რეგულირდება; ესაა მსოფლიო თვითგანადგურება, რომელიც რეალური გახდა და ცალსახა სიკეთედ აღარ განიხილება.**

გლობალიზაცია მომაკვდინებელია განვითარებადი ქვეყნებისათვის, უარყოფს ვაჭრობის ტრადიციულ დოქტრინას. ის მსოფლიო პოლიტიკის პროდუქტია ანუ სწრაფვაა ერთპოლუსიანი სისტემისაკენ.

ასეთ ვითარებაში მკვლევართა ერთი ჯგუფი ემხრობა ერი-სახელმწიფოს ძალაუფლების შემცირებას, მეორე ჯგუფი კი მხარს უჭერს მძლავრ ნაციონალიზმს, რომელიც უპირისპირდება ამერიკული იმპერიულობის მცდელობას - გაანადგუროს ძალის ყველა ცენტრი, ვინც წინააღმდეგობას გაუწევს აშშ-ის კონკურენციას.

**პოლიტიკური ურთიერთობის ძირითადი ცნება ძალაუფლებაა და ყველა წყაროს მოიცავს - შექმნას, გაანაწილოს - გამოიყენოს.**

ერ-სახელმწიფოში ძალაუფლება პირველობისკენ ისწრაფვის და ხდება პოლიტიკისა და ძალაუფლების კონცენტრაციაც და ხორციელდება ადამიანების გონებისა და ქმედების კონტროლი.

**თუ სიმდიდრე იზომება რაოდენობით, ძალაუფლება შედეგით ისაზღვრება ანუ ეკონომიკის პოლიტიკა და პოლიტიკის პოლიტიკა განუყრელი სფეროებია და ერთმანეთის გარეშე არსებობა არ შეუძლიათ.**

**ეკონომიკა არის მეცნიერება სიმდიდრის, ხოლო პოლიტიკა ძალაუფლების შესახებ, შესაბამისად, წინ იწევა ეკონომიკისა და პოლიტიკის კონფლიქტების საკითხიც. ამ შემთხვევაში მარქსიზმის თეორია მთავარ ფაქტორად მიიჩნევს ეკონომიკას და პოლიტიკა მას უნდა დაემორჩილოს, მით უმეტეს, სოციალური ცვლილებების თეორიით კლასებს შორის მუდმივი კონფლიქტები მიმდინარეობს და ასეთი ტენდენციების შეკავება ძალისმიერი გზით, ომებითა და რევოლუციებითაა შესაძლებელი, რაც ეკონომიკური პროცესის განუყოფელი ნაწილია.**

**არსებობს „პოლიტიკური ხელისუფლების თეორია“, რომელიც გვამცნობს პოლიტიკური მეცნიერების ბაზისურ კატეგორიებს - ხელისუფლებას და მის მიმართებას პოლიტიკურ თეორიასთან.**

პოლიტიკასა და ხელისუფლებას შორის კავშირი ერთ-ერთი რთული თეორიული საკითხია, მით უმეტეს, თუ ამოვალთ სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემის სპეციფიკიდან, მაშინ პოლიტიკა უპირველესად ასოცირდება მმართველობასთან, რომელიც თავისი თავის რეალიზაციას ახდენს პოლიტიკური ხელისუფლების თეორიის საშუალებით; ანუ პოლიტიკური თეორია არის გამაერთიანებელი რგოლი პოლიტიკასა და ძალაუფლებას შორის.

**პოლიტიკისა და ხელისუფლების შინაარსი განისაზღვრება საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ადამიანთა ჯგუფების ან ფენათა ინტერესებით და ნებისმიერი საზოგადოებრივი პრობლემა იძენს პოლიტიკურ ხასიათს, თუ მისი გადაწყვეტა პირდაპირ ან უშუალოდ არის დაკავშირებული ხელისუფლების პრობლემასთან.**

პოლიტიკური ხელისუფლების საკითხი საფუძვლიანად განიხილებოდა ძველი და აღორძინების ხანის მოაზროვნეების შემოქმედებაში (**პროთაგორა, პლატონი, არისტოტელე, ავგუსტინე, თომა აქვინელი, მაკიაველი, ჰობსი, სპინოზა, ჯონ ლოკი, მონტესკიე, კანტი, ფიხტე, ჰეგელი, მარქსი, ნიცშე, რასელი, პოპერი, ვებერი, პარეტო**).

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკურ აზროვნებაში „ხელისუფლებისა“ და „ძალაუფლების“ ცნებები განსხვავებული საზრისის მატარებელია.

პოლიტიკური ხელისუფლების უშუალო პრობლემას წარმოადგენს მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა, რომელსაც ისახავს ესა თუ ის პოლიტიკური ჯგუფი თავის პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა რეალიზაციისას.

პოლიტიკაში უცვლელად მონაწილეობს **მაკიაველის** მიერ წამოყენებული პრინციპი: **„მიზანი ამართლებს საშუალებას**“, რადგანც პოლიტიკური ხელისუფლების

მოქმედებისა და ზემოქმედების სუბიექტები ადამიანები არიან, ამიტომაც პოლიტიკური ხელისუფლების პრობლემა არ არსებობს ადამიანური სუბიექტების გარეშე.

პოლიტიკური და სახელმწიფო ხელისუფლება ერთმანეთის მომცველი ტერმინებია, თუმცა პოლიტიკური ხელისუფლება ხორციელდება სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ანუ პოლიტიკური ხელისუფლების რეალიზაცია ხდება სახელმწიფო ინსტიტუტების საშუალებით.

**სახელმწიფო ხელისუფლების** ინსტიტუციონალურ ფორმებს ლეგალურად მდგრადი ხასიათი აქვს, ხოლო **პოლიტიკური ხელისუფლება** ცვალებადია. იგი იცვლება იმის მიხედვით, თუ რა პასუხისმგებლობებს და პრინციპებს იზიარებს ის. პასუხისმგებლობის პრინციპი აქცევს სახელმწიფო ხელისუფლებას პოლიტიკურად და პირიქით, პოლიტიკურ ხელისუფლებას - სახელმწიფოდ.

1. პოლიტიკური ხელისუფლება გამოხატავს და იცავს გარკვეული სოციალური ჯგუფის, კლასის, ფენის ინტერესებს, რომელიც საბოლოო ჯამში ბატონობისა და მორჩილების ფორმით ვლინდება;
2. პოლიტიკური ხელისუფლება რეალიზდება პოლიტიკური პასუხისმგებლობის სუბიექტების მიერ ანუ ავტორიტეტების, პარტიების ან სხვა არჩევითი პირების საშუალებით;
3. პოლიტიკური ხელისუფლების რეალიზაციისათვის აუცილებელია პოლიტიკური თეორია, რომელიც აყალიბებს პოლიტიკური აქტივობისათვის მორალურად გამართლებულ და სტრატეგიულ-ტაქტიკურ პირობებს;
4. პოლიტიკური ხელისუფლება ეყრდნობა სახელმწიფო იძულების ძალას, რომელიც სპეციალურად არის ჩამოყალიბებული იმ მიზნისათვის, რათა დაიმორჩილოს სხვების ნება;
5. პოლიტიკური ხელისუფლება, როგორც პოლიტიკური ბატონობის მექანიზმი, ყოველთვის გაუცხოებული სახით წარმოდგება მათ წინაშე, ვის მიერაც ის იყო არჩეული ან ვის მიერაც იყო პოლიტიკური პასუხისმგებლობის პრინციპები დელეგირებული.

პოლიტიკურ ხელისუფლებას თავისი სპეციფიკა გააჩნია, რომელთა შორის გამოიყოფა პოლიტიკურ-მმართველობითი სტრუქტურის ძირითადი ფორმები და პოლიტიკის მმართველი სუბიექტები.

თუ პოლიტიკური ხელისუფლების ინსტიტუტების ფუნქციონირების მაგალითად, თანამედროვე პირობებში საქართველოს ავიღებთ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში, ანუ პოლიტიკური ხელისუფლების პოლიტიკური მმართველობის ფორმით განხორციელებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები („ქართული ოცნების" პარტიის ხელისუფლება, ლიდერები, ელიტა და ა.შ.), რომლებიც აკონტროლებენ და უშუალოდ გავლენას ახდენენ პოლიტიკურ პროცესებზე; პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღები ეს სუბიექტები სხვადასხვა ხარისხით არიან ერთმანეთთან დაკავშირებულები, თუმცა გავლენისა და კონტროლის ყველაზე მაღალი ხარისხი გააჩნია პოლიტიკურ პარტიას, რადგან ის განსაზღვრავს პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა ზოგად კურსს, იდეოლოგიას და აშკარად ერევა პრეზიდენტის, პარლამენტისა და მთავრობის საქმიანობაში. **მაგალითად „ქართული ოცნების" პარტიის თავმჯდომარე გამოდის სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის საქმიანობის განმსაზღვრელ მთავარ ფიგურად. შესაბამისად, ის ამუშავებს მმართველი გუნდის პოლიტიკური ელიტის მოქმედების კონკრეტულ სტრატეგიას და ტაქტიკას, ფაქტობრი-**

**ვად, ყალიბდება „პოლიტიკურ ავტორიტეტად“ ერთგვარ პოლიტიკურ პიროვნებაკულტად, რომელიც თავის პარტიულ თანამოაზრეებთან ერთად ქმნის და განაგებს პოლიტიკურ-მმართველობით ერთიან სტრუქტურას და მოიაზრება პარტიის ბელადად.**

**„ქართული ოცნების“ პოლიტიკური პარტია დაინტერესებულია სახელმწიფო ხელისუფლებაზე კონტროლით და ხალხის მხარდაჭერის მიზნით ებრძვის და ეჯიბრება სხვა შეხედულებების ჯგუფებს და ორგანიზაციებს. ამ სახით პარტია წარმოადგენს საზოგადოებრივ ძალებს, იდეოლოგიას, სახელმწიფო ინსტიტუტებს და ცდილობს შექმნას ისეთი პოლიტიკური პარტია, რომელშიც გაერთიანებული იქნებიან ერთიანი პოლიტიკურ-ეკონომიკური, კულტურულ-იდეოლოგიური, სოციალურ-კლასობრივი და სხვა იდეებისა და ინტერესების მქონე ადამიანები.**

„ქართული ოცნება“ ცდილობს ჩამოაყალიბოს პოლიტიკური საქმიანობის თეორიული საფუძვლები და იგი პრაქტიკულად განახორციელოს გარკვეული ტიპის სახელისუფლებო სისტემით, აღზარდოს ადამიანები ახალი პოლიტიკური იდეოლოგიით, მოიპოვოს მათი მხარდაჭერა პარტიული პროგრამების, პროექტებისა და ა.შ. საშუალებებით და განახორციელოს მოქალაქეთა მობილიზაცია, რათა თავისი პოლიტიკური მიზნების რეალიზება მოახდინოს არჩევნების საშუალებით და განახორციელოს პოლიტიკური კონტროლი სახელმწიფო თანამდებობებზე მყოფი პოლიტიკური მოღვაწეების მიმართ (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო და ა.შ. ორგანოები), ყურადღება მიადევნოს პრეზიდენტის საქმიანობას.

**თუ დავუშვებთ აზრს, რომ პოლიტიკური პარტია პოლიტიკური ბატონობისკენ ისწრაფვის და პოლიტიკური აქციების პარალელურად ქმნის პოლიტიკურ აზროვნებას გარკვეულ სოციუმში და ცდილობს ჩამოაყალიბოს აზროვნებისა და შეფასების ერთგვარი სისტემა, ვერც „ქართული ოცნება“ აცდა ამ ცდუნებას შეზღუდოს სხვა პოლიტიკურ შეფასებები, ან კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატაროს „სხვაგვარად მოაზროვნეები“, შეზღუდონ ისინი, არ ცნონ სხვა დისკურსები და პოლიტიკური ბატონობის მთავარ წარმმართველად მიიღონ ის პოლიტიკური დისკურსი, რომელიც მხოლოდ „ქართული ოცნების“ მიერაა აღიარებული ანუ გამოიყენონ სიტყვიერი იძულება, ჯერ თავისი წევრების, ხოლო შემდეგ სოციალური გარემოს მიმართ.**

**უდავოა, პარტიულ და სახელმწიფო სისტემაში წინ იწევა გავლენისა და კონტროლის სხვა სუბიექტი, ანუ ელიტა, საზოგადოების ორგანიზებული უმცირესობა, რომელიც ორიენტირებულია ხელისუფლებაზე, აქვს სტატუსი, სიმდიდრე, ინტელექტუალური უპირატესობა მასასთან მიმართებაში; ფლობენ სახელისუფლებო პოზიციებს, გააჩნიათ ქარიზმა და როგორც შემოქმედებითი უმცირესობა და უპირისპირდებიან არაშემოქმედებით უმრავლესობას, იკავებენ წამყვან ადგილს საზოგადოების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. თუმცა აღმოჩნდნენ ბიუროკრატიული სტრუქტურების „ცარცის წრეში“.**

ცხადია, აქ არც „ქართული ოცნებაა“ გამონაკლისი, რომლის ელიტაც ისწრაფვის აბსოლუტიზაციისაკენ, თავს მოიაზრებს ზემდგომად, შესაბამისად, ელიტაში გამოიყოფიან ავტორიტეტები, დირექტივების მოსამზადებლად და განმახორციელებლად წამახალისებელი თუ რეპრესიული ქმედებებით.

ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სინამდვილეში სოციალური წესრიგის დასაკანონებლად დაიწყო „ავტორიტეტების თვითდაკანონების“ პროცესი (ე. შევარდნაძე, მ. სააკაშვილი, ბ. ივანიშვილი), რომელთაც ახასიათებდათ ქარიზმატული ავტორიტარული თვისებები.

**თუმცა, ისინი ცალკეულ შემთხვევებში ვერ ფლობდნენ პოლიტიკური სიტუაციის სიღრმისეულ შრეებს, ღებულობდნენ არასწორ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, იდეოლოგიურ და საკადრო გადაწყვეტილებებს და მოკლებულნი იყვნენ პოლიტიკური ცნობიერების სამი კომპონენტის ერთობლიობას (სოციალურ-პოლიტიკური ცნობიერება, იდეოლოგია, პოლიტიკური ფსიქოლოგია), რომლებიც მოიცავენ პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროს და მის აუცილებელ ელემენტებს, როგორიცაა: სახელმწიფოს საქმიანობა, პოლიტიკური სისტემის და ხელისუფლების აპარატის ფუნქციონირება.**

უდავოა, მმართველობა არ შეიძლება არსებობდეს პოლიტიკური ცნობიერების, იდეოლოგიის, პოლიტიკური ტრადიციებისა და კულტურის, სამართლებრივ ქცევათა და ნორმათა სისტემის გარეშე. პოლიტიკური ხელისუფლებისათვის აუცილებელია სამართლებრივი რეგულაციები. შესაბამისად, პოლიტიკური და სახელმწიფო ხელისუფლების სპეციფიკური ელემენტია სახელმწიფო ნების გამომხატველი სუბიექტების სამართლებრივ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა კანონის სივრცეში აყვანა.

თუ ვაღიარებთ, რომ პოლიტიკური თეორია ხელისუფლების ხელში ჩაგდებისა და მართვის რაციონალიზებული ფორმაა, ჯერ ერთი ხელისუფლების ხელში ჩაგდებით, ხოლო შემდეგ - პოლიტიკური მართვის განხორციელებით, საქართველოში იგნორირებული იყო „კოალიციური მმართველობის“ იდეა და ფუნქციონირებდა უმრავლესობის საპარლამენტო დიქტატურა ანუ ყველა კანონი თუ გადაწყვეტილება მიიღებოდა საპარლამენტო ოპოზიციის გარეშე.

სამწუხაროდ, ქართული პოლიტიკა დიდად ჩამორჩა დიპლომატიურ აზროვნებას და ხელისუფლება და ოპოზიცია კვლავ ადანაშაულებს ერთმანეთს საბჭოეთის თუ რუსეთის ე.წ. „კაგებეს“ აგენტობაში, მაგრამ თითქმის არავინ ლაპარაკობს, რომ საბჭოურ საქართველოში და პოსტსაბჭოურ სივრცეში არსებობდნენ და არსებობა „კაგებეს“ და „ცერეუს“ აგენტებიც ანუ ცერეუს აგენტობა უფრო უკეთესია და მიმზიდველი საქართველოსთვის.

აღსანიშნავია, რომ საბჭოეთის მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, მინსკის სადაზვერვო ცენტრებში ბევრი ქართველი პოლიტიკოსი გადიოდა წრთობას, როგორც ამერიკის კოლუმბიის უნივერსიტეტის ტყეში მდებარე საიდუმლო ცენტრში კოლუმბიის უნნივერსიტეტში, ერთ-ერთი პროფესორის მიერ „დავერბოვკებული“ **სკკპ ცეკას მდივანი და პოლიტბიუროს წევრი ალექსანდრე იაკოვლევი და მისი თანამოაზრეები, ასევე აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის გავლენის ქვეშ მყოფი მ. გორბაჩოვი, ე. შევარდნაძე და სხვები. რომ აღარაფერი ვთქვათ რუსეთში, ევროპაში და ამერიკაში არსებულ საიდუმლო, სახელმწიფო გადატრიალების მომამზადებელ ცენტრებზე, რომლებშიც ათეულობით ახალგაზრდა ე.წ. ოპოზიციონერი გაიგზავნა 1990-1991 წლებში და შემდგომ პერიოდებში.**

**აღსანიშნავია, რომ ევროპული ქვეყნების შერეული საპრეზიდენტო მმართველობის მიმდევარი სალომე ზურაბიშვილი, რომელიც არსებული შესუსტებული საპრეზიდენტო მოდელის ფარგლებში მანევრირებს, როგორც გამოცდილი პოლიტიკოსი და დიპლომატი და ბევრ მნიშვნელოვან ამოცანას წყვეტს და განსაკუთრებით ეხება ეს ეროვნული თანხმობის იდეის პრაქტიკულ ხორცშესხმას და კოალიციური მმართველობის მოდელის შემოღებას საქართველოში.**

საქართველოში განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალება, ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლების დამხობა, ჰიბრიდული ომის გამოვლენა იყო, რომელიც რუსეთმა, ევროპამ და ამერიკამ განახორციელეს ანუ „ხისტი“ და „რბილი ძალის“ გამოვლენის შედეგი იყო. მოგვიანებით ე. შევარნაძის, ა. აბაშიძის, მ. სააკაშვი-

ლის ხელისუფლებიდან ჩამოშორება, როგორც აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის საქართველოდან გამოყოფა, საერთაშორისო და, მათ შორის, „რბილი“ და „ხისტი“ ძალების მოქმედებასთან იყო დაკავშირებული.

გასაზიარებელია მოსაზრება, რომ არსებობს ეროვნული და სახელმწიფოებრივი იდენტობები, მაგრამ მათ შორის ერთიანობა არ არის და არ ხდება ხალხის კონსოლიდირება. შესაბამისად, ამ ორ ფენომენს ვერასოდეს შეცვლის პროპორციული არჩევნები. ეს არის ხელოვნურად შექმნილი თეორია, საპარლამენტო მოდელის გამართლებისათვის, თუმცა დღევანდელ საქართველოში ამისთვის არ არსებობს ობიექტური მიზეზები, ისევე, როგორც სრული დემოკრატიის მიღწევისათვის, რადგანაც ერთისა და მეორის მისაღწევად აუცილებელია განვითარებული ეკონომიკა, კულტურის მაღალი დონე და პოლიტიკური კულტურის სრული განვითარება. ამისთვის კი საჭიროა, ხანგრძლივი დრო, ეროვნულ-პატრიოტული და პროფესიონალური ხელისუფლება.

სიმართლე რომ ვთქვათ, რუსეთმა საქართველოში მიაღწია თავის პოლიტიკურ და სამხედრო მიზანს. საქართველო, ისევე როგორც უკრაინა გახლეჩილია სამ ნაწილად, რომელიც არ მომხდარა რუსეთისა და აშშ-ის პოლიტიკის გარეშე. თავის დროზე ტრამპს ჰქონდა ასეთი გამონათქვამი: **„დემოკრატიისა და თქვენი სახელმწიფოს ბედი თქვენს ხელშია, ჩემსკენ ნუ იყურებით, მე არ ვარ ყველას მამიდა და ყველას პატრონი, ჩამოვიდე და წესრიგი დაგიმყაროთ“.**

ქართულ საზოგადოებაში ჩნდება იმის კანონზომიერი მოთხოვნა, რომ ხელისუფლება და მათი ლიდერები პროცესების ადეკვატური უნდა იყვნენ.

ოპოზიციაში აღმოჩნდნენ არსებულ ხელისუფლებაზე, ცალკეულ პიროვნებებზე ან თვითონ პარტიებზე გაგულისებული ცალკეული ადამიანები, რომლებსაც ძალიან სუსტი წარმოდგენა აქვთ პოლიტიკისა და დიპლომატიის ანა-ბანაზეც კი და ოპოზიციაში (და ხელისუფლებაშიც) სარგებლის მიღების ინტერესები ამოძრავებთ.

სხვა ჯგუფი, ცალკეული ფინანსური მაგნატების ლობირებით არიან პარლამენტში მოსულნი მათივე ინტერესების განსახორციელებლად. ქართულ პარლამენტში საქმიანობენ ოლიგარქი პარლამენტარებიც, რომლებსაც არასოდეს უსწავლიათ ღრმად პოლიტიკა, დიპლომატია და, შესაბამისად, საპარლამენტო სისტემის გასაძლიერებლად კი არ არიან მოწოდებულნი, არამედ საკუთარი ბიზნესების ინტერესებს იცავენ. ამომრჩეველი არ მოდის არჩევნებზე იმიტომ, რომ მისთვის მნიშვნელობა არ აქვს ვინ გაიმარჯვებს, რადგან ამით მათი სოციალური მდგომარეობა არ უმჯობესდება.

შესაბამისად, „ქართული ოცნების“ ავტორიტეტის დაკარგვა სრულებით არ ნიშნავს ოპოზიციის ავტორიტეტის გაძლიერებას. მით უმეტეს, საზღვარგარეთული „ენდიაის“ კვლევებით გამოკითხულთა 41% არცერთ პარტიას არ მიიჩნევს თავისი ინტერესების გამომხატველად. ასეთ ვითარებაში ახალ საზოგადოებრივ ძალას აქვს დიდი შესაძლებლობა ჩამოყალიბდეს ამომრჩევლებისათვის მისაღებ პოლიტიკურ კლასად.

მსოფლიოში აპრობირებულია „ხისტი“ და „რბილი“ ძალის თეორიები, რომელთა პრაქტიკული განხორციელება, სხვადასხვა ფორმებითა და მეთოდებით, დაკავშირებულია დიდ სახელმწიფოებთან. უკანასკნელ ოთხ ათწლეულში „ხისტი“ ძალის გამოყენების მაგალითია 1991 წელს ერაყში განხორციელებული სამხედრო ოპერაცია, სირიის სამხედრო კრიზისი და განსაკუთრებით რუსეთ-უკრაინის ომი, რომელიც ორგანიზებულია ანგლოსაქსურ სახელმწიფოთა გაერთიანების მიერ, რომლის სათავეში დგას აშშ და „ხისტი“ და „რბილი“ და არა „ჭკვიანი“ ძალების ურთიერთქმედებით მიმდინარეობს და მესამე მსოფლიო ომის ხასიათი მიიღო.

თუმცა 21-ე საუკუნის პირველმა ოც-წლეულმა გამოკვეთა „ხისტი“ და „რბილი“ ძალის კომბინირებული მოქმედება და „ჭკვიანი ძალის“ დაფიქსირება (ჩინეთი, ინდოეთი).

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო მოწყობის პრობლემის შემადგენელი ნაწილია კავკასია, რომელსაც ჩვენ, თავისი ორიგინალური პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, გეოპოლიტიკური, რელიგიური, სამხედრო და ა.შ. განზომილებების გამო ცალკე კონტინენტადაც მოვიაზრებთ, „კავკასია - დედამიწის შუბლი“, ასე აღიქმებოდა ის ანტიკურ სამყაროში, ხოლო ჰეგელი „კავკასიურ რასაზე“ მსჯელობისას განმარტავდა, რომ „კავკასიურ რასაში აღწევდა გონი აბსოლუტურ ხარისხს თავის თავთან. „აქ შედის გონი სრულყოფაში, თავის თავს იმეცნებს თავის აბსოლუტურ დამოკიდებულებაში, თავს აღწევს მერყეობას ორ უკიდურესს შორის, აღწევს თავის თავის განსაზღვრას და ამით მსოფლიო ისტორიას წარმოშობს“ - ასეთ დასკვნას აკეთებდა უდიდესი მოაზროვნე.

ჰეგელის აზრით, აბსოლუტური სული ანუ ღმერთის შემეცნება ადამიანის უმთავრესი დანიშნულებაა, რომელიც დედამიწას მოევლინა და მისი საშუალებით უნდა განხორციელდეს „თვითშემეცნების პროცესი, ხოლო აქ მთავარია კავკასიური რასა - განსაკუთრებით, ქართველები და ჩერქეზები“.

შეიძლება ითქვას, რომ ჰეგელი მიანიშნებდა კავკასიის კონტინენტის მრავალ დანიშნულებაზე და თუ ვაღიარებთ, რომ მსოფლიო ერთღმერთიანი სულიერი განზომილებაა, კავკასიური მრავალრელიგიურობა დაბრკოლება არ არის ამ კონტინენტისათვის და იგი მსოფლიოს აჩვენებს, რომ სხვადასხვა ხალხებისათვის ღმერთის მიერ წარმოშობილი რელიგიების თანაარსებობა დიდი სიკეთე და ზნეობრივი აღმატებულობაა და ორი უდიდესი სარწმუნოების - ქრისტიანობისა და მაჰმადიანობის განვითარებისა და თანამშრომლობის მაგალითად უნდა იქცეს, სხვა რელიგიათა შეზღუდული პრინციპების გასაქარწყლებლად, სადაც ღმერთი აღარ განიხილება სამყაროს იდეალად, განსხვავებით ქრისტიანობისა და მაჰმადიანობისაგან, რომელთა მოძღვრებაში ღმერთი სამყაროს ყოველივე სიდიდეზე ამაღლებული უსასრულო ძალაა, ხოლო აღმოსავლური, კერძოდ, კავკასიური კონტინენტის რელიგიური შუქურები - ქრისტიანობა და მაჰმადიანობა - ამაღლებულობის, ლმობიერობის, სიმამაცის, მიმტევებლობის, ზნეობრიობის განზომილებებია.

ძველი თუ ახალი მსოფლიოს მოაზროვნეები და განსაკუთრებით პოლონური წარმოშობის ამერიკელი მოაზროვნე ზბიგნევ ბჟეზინსკი, თავის გახმაურებულ ნაწერებში, ყოველთვის უსვამდა ხაზს, რომ ევრაზიულ სივრცეში წარმართული პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, სამხედრო და სხვა პროცესები მსოფლიო ბედს გადაწყვეტდა უახლოეს ათწლეულებში, ხოლო აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭებოდა კავკასიას, რომელიც ევრაზიის სუბკონტიტენტის განცალკევებულ სივრცეს წარმოადგენდა და ყოველთვის იყო რუსეთის, აშშ-ის და ევროპის ყოველმხრივი დაინტერესების ობიექტი, როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი ხიდი, გარკვეული თავისებური კონტიტენტი, რომელიც ძველი საუკუნიდან ცნობილია ფორმულით „კავკასიის ერთიანი სახლი“, რომელმაც ახალ პერიოდში „კავკასიის საერთო ბაზრის“ სახელწოდება მიიღო და გლობალიზმის ეპოქაში „უსაზღვრო მსოფლიოს“ კავკასიურ კონტინენტად უნდა იქცეს და ევრაზიული სივრცის გაჭრილ ფანჯარად წარმოჩინდეს. მით უმეტეს, თანამედროვე კავკასიური „ავტოქტონური და არაავტოქტონური“ ცნობიერება ღრმად ითავისებს ორ ძირითად მიმართულებას:

1. გეოგრაფიულსა და სოციალურს;
2. ისტორიულ და ეთნო-კულტურულს.

ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბება დაიწყო ახალი ტიპის საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკამ, რომლის მაგალითია აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, კანადის, ავსტრალიისა და სხვა ქვეყნების ურთიერთობა და გამომდინარეობს საერთო პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ასიმეტრიული, მაგრამ საერთო ინტერესებიდან და ბალანსირებულია სხვა ქვეყნებთან. მით უმეტეს, ევროპას, იაპონიას და სხვა ქვეყნებს (სამხედრო თვალსაზრისით) ბევრად მეტად სჭირდებათ ამერიკა, ვიდრე აშშ-ს ისინი.

უდავოა, ამერიკის ტაქტიკა - უხელმძღვანელოს სპარსეთის ყურის, კოსოვოს, უკრაინის მსგავს სამხედრო ოპერაციებს, მის მოკავშირეებს შორის უთანხმოებასა და წინააღმდეგობასაც კი იწვევს (ევროკავშირის ცალკეული სახელმწიფოები), მაგრამ, საბოლოოდ, ეგუებიან ამ პროცესებს.

ე.წ. თანამეგობრობის ფარგლებში ივარაუდება მომავლის ოთხი სცენარი:

1. მსოფლიოს სახელმწიფოთა ავტონომია, საშინაო და საგარეო პოლიტიკას შორის არსებული განსხვავებების შემცირება; სუვერენიტეტი. ერი-სახელმწიფოები, არასამთავრობო ორგანიზაციების ძალაუფლების ზრდა; „ეროვნული ინტერესების“ ცნების პრობლემურობა;

2. თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების როლის გაზრდა; „დიდი და პატარა“ პოლიტიკის გამყოფი ხაზის შემცირება;

3. აშშ-ის მიერ თანასწორობისა და ზენაციონალურობის იდეების პოპულარობა და აშშ-ის მიერ მათი ინტერესების დაცვა;

4. აშშ-ის მიერ ჰეგემონიის შენარჩუნება; პარალელურად ევროპის, იაპონიისა და ა.შ. კოალიციის შექმნა აშშ-ის წინააღმდეგ.

ქვეყანა, რომელსაც ყველაზე მეტი შანსი აქვს წინააღმდეგობა გაუწიოს აშშ-ს, ჯერ აზიაში და შემდეგ მსოფლიოში, ისევ ამერიკაა. ეს არის მისი ეკონომიკის ზრდა და პოლიტიკური გავლენის მოპოვება. მით უმეტეს, ჩინეთი მსოფლიოსთვის იაფ საწარმოო პლატფორმად იქცა და ზემოქმედებს მდიდარ, უფრო მცირე, ღარიბ განვითარებად სახელმწიფოებზეც (ეკონომიკა, პოლიტიკა, სამხედრო საქმე), თუმცა აღმოსავლეთ აზიაში ჩინეთის ეკონომიკური, სამხედრო, პოლიტიკური გავლენა. აშშ-ჩინეთს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ურთიერთობების გაუარესების მკვეთრი ტენდენციები და ამერიკასა და რუსეთს შორის, უკრაინისათვის, გაჩაღებული მესამე მსოფლიო ომს აღმოსავლური ცივილიზაციის გაძლიერება მოაქვს დედამიწის სამყაროში.

**IGOR KVESELAVA**

## INTERNATIONAL POLITICS AND GEORGIA

Summary

Teaching international politics, political, economic, cultural, etc. It is determined by the desire for development, but it is not easy to combine principles and power, morality and state management. All the more, it is impossible for states to be occupied only with good or evil; The nature of international politics excludes this thesis since time immemorial, because power and morality are mutually exclusive concepts. The strong create the weather, and the weak must adapt to the consequences of this weather.

The article presents the modern understanding of globalization, which is related to political, economic, cultural, military and other processes and includes political and military blocs, "hard" and "soft" forces. to various international organizations, world banks and foundations, world mass media, diaspora, "Oxfam", "Doctors without Borders", "Human Rights Watch", International Red Cross, United Nations High Commissioner for Refugees, United Nations Children's Fund (UNICEF), European Organization for Security and Co-operation (OSCE), Africa Union", "peacekeeping troops", etc.

***Key words:*** *politics, globalization, political power, governance, world order, international relations, science, theory, ideology, Caucasus, Russia, "Georgian dream".*

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. რობერტ არტი, რობერტ ჯერვისი „საერთაშორისო პოლიტიკა - მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები“, ილიაუნის გამომცემლობა, თბ., 2011.
2. გოგატიშვილი მ., „ლექციები პოლიტიკური ხელისუფლების თეორიაში“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 2003.
3. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების აქტუალური პრობლემები (ავტორთა კოლექტივი), გამომცემელობა „უნივერსალი“, თბ., 2019.
4. კვესელავა ი., შუბითიძე ვ., კვეტენაძე ზ., „რბილი“ და „ხისტი“ ძალა საერთაშორისო ურთიერთობებში, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2019. გვ. 11-108.
5. ჰეგელი „გონის ფილოსოფია“, თბ., 1984. გვ. 61-64.
6. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე მსოფლიო წესრიგი - პოლიტიკურ-სამართლებრივი გამოწვევები“, ი. კვესელავა, მოხსენება: „მესამე მსოფლიო ომი“ და ახალი მსოფლიო წესრიგი“, თბ., სტუ, 2020.
7. კვესელავა ი., „საქართველოს ისტორიის ქრონიკები“, ტტ. VI, VII, VIII, თბ., 2018, 2021 წწ.
8. ბჟეზინსკი ზ., „დიდი საჭადრაკო დაფა“, თბ., 2005.
9. საქართველო საერთაშორისო ურთიერთობებსა და საერთაშორისო სამართლის სისტემაში (ავტორთა კოლექტივი), თბ., 2019.
10. არზოლიშვილი თ., ყაულაშვილი დ., „რა არის მშვიდობა“, თბ., 2018.

ედიშერ გვენეტაძე

# „ბრეჟნევის დოქტრინიდან“ „სინატრას დოქტრინამდე“

ნაშრომში მითითებულია, რომ სკკპ გენერალურ მდივანის მიხეილ გორბაჩოვს სურვილი იყო ისტორიაში შესულიყო, როგორც არა მარტო საბჭოთა კავშირის გარდამქნელი, არამედ მსოფლიო პოლიტიკის შემცვლელი. ამ მიზნით, იგი ცდილობდა რაღაც ახლის შემოტანას და დანერგვას. სახელდობრ, მან შემოიტანა იდეას „საერთო ევროპული სახლის მშენებლობის შესახებ“, რითაც იგი დაუპირისპირდა წლების განმავლობაში საბჭოეთში აპრობირებულ ე. წ. „ბრეჟნევის დოქტრინას“.

საბოლოოდ, ყველაფერი დამთავრდა „სინატრის დოქტრინით“, რაც იმას ნიშნავდა, რომ მთელი 1989 წლის განმავლობაში სოციალისტური რეჟიმები ლიკვიდირებულ იქნა აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყანაში, რომლებიც იყვნენ სსრკ-ს სამხედრო და პოლიტიკური მოკავშირეები. ხელისუფლებაში მოვიდნენ ანტისოციალისტური პროდასავლური ძალები. ამ პირობებში ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოსა და ვარშავის პაქტის არსებობა შეუძლებელი აღმოჩნდა. საბოლოოდ „გორბაჩოვის დოქტრინამ“ გამოიწვია საბჭოთა კავშირის დამარცხება აღმოსავლეთ ევროპაში. ეს იყო კატასტროფული მარცხი გორბაცოვის უტოპიური იდეის „საერთოევროპული“ სახლის შექმნის შესახებ.

***საკვანძო სიტყვები:*** *გორბაჩოვი; ბუში; ევროპული სახლი; სინატრა; დოქტრინა; ბრეჟნევი; მოსკოვი; კისინჯერი; ვაშინგტონი; ვარშავა.*

სკკპ გენერალურ მდივან მიხეილ გორბაჩოვს ძალზედ აწუხებდა ამბიციები. მას სურდა ისტორიაში შესულიყო, როგორც არა მარტო საბჭოთა კავშირის გარდამქნელი, არამედ მსოფლიო პოლიტიკის შემცვლელი. ამიტომაც მან თავის თანამოაზრეებთან (ა. იაკოვლევი, ე. შევარდნაძე...) ერთად შემოიტანა ე.წ. იდეა „საერთო ევროპული სახლის მშენებლობის შესახებ“). ამიტომაც იგი დაუპირისპირდა ე. წ. „ბრეჟნევის დოქტრინას“.

რაც შეეხება „მორალურ და პოლიტიკურ კანონს“, რომელზეც დაყრდნობილი იყო „ბრეჟნევის დოქტრინა“ მდგომარეობდა შემდეგში - 1968 წელს პრაღაში განვითარებული მოვლენების გამო ჩეხოსლოვაკიელ ხელმძღვანელს პირებს სკკპ გენერალურმა მდივანმა ლ. ბრეჟნევმა უთხრა შემდეგი სიტყვები:

*„თქვენი ქვეყანა მდებარეობს იმ ტერიტორიაზე, რომელიც მორწყულია საბჭოთა ჯარისკაცების სისხლით.*

*ჩვენ წარმოუდგენელი მსხვერპლის ხარჯზე მოვიპოვეთ ეს მიწა. თქვენი თვითნებობის გამო ახლა ჩვენ ვგრძნობთ საფრთხეს. მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა სახელით - მათ ვინც სიცოცხლე გაწირეს თქვენი თავისუფლებისთვის - ჩვენ გვაქვს უფლება გამოვგზავნოთ ჩვენი ჯარისკაცები თქვენს ქვეყანაში, რათა უზრუნველვყოთ ჩვენში საერთო საზღვრების უსაფრთხოება.*

*ეს ჩვენთვის პრინციპული საკითხია. ამიტომ ჩვენ აქ ვიქნებით მეორე მსოფლიო ომიდან მარადისობამდე“ [12, 65-66].*

„I did it my way“ („მე ვმოქმედებდი ჩემებურად“) მღეროდა ამერიკელი მომღერალი ფრენკ სინატრა. ამ სიმღერის ლირიული გმირი, აჯამებდა რა საკუთარი ცხოვრების მოახლოებულ დასასრულს აღნიშნავდა - მისი მთავარი მიღწევა იყო ის, რომ ის მოიქცა ისე, როგორც მას სჭირდებოდა. ამ მელოდიის ირონია მდგომარეობს იმაში, რომ შესაბამისი ტექსტის გამო ამერიკელი არტისტის ეს სიმღერა ხშირად ჟღერს დაკრძალვაზე.

ამიტომაც იგი გახდა ერთგვარი „საუნდრეკი“ სხვებისათვის. ეს იყო ზუსტად იმის ასახვა, რაც სსრკ-მ შესთავაზა თავის მოკავშირეებს, როდესაც 1989 წელს მოსკოვის მიერ ახალი საგარეო პოლიტიკა ოფიციალურად იქნა მიღებული.

ამჯერად გეოპოლიტიკური - „სინატრას დოქტრინის“ მიღება საბედისწერო ნაბიჯი იყო ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ვარშავის პაქტის სამხედრო ბლოკისთვის.

თავის მხრივ, აღვნიშნავთ, არასწორი იქნებოდა მომხდარი მოვლენების გამომწვევი მიზეზების დაკავშირება მხოლოდ გარე ფაქტორებთან ანუ აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში მიმდინარე პროცესების განხილვა საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების პოზიციებთან მიმართებით. ამ მოვლენებს სერიოზული შიდა მიზეზები ჰქონდა.

სახელდობრ, რეგიონის ყველა ქვეყანა სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისში აღმოჩნდა. მისი დაძლევა მმართველმა კომუნისტურმა პარტიებმა ვერ შეძლეს, თუმცა ამ ქვეყნებში ცხოვრების დონე გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე სსრკ-ში, სადაც მათგან განსხვავებით „ხავერდოვანი რევოლუცია“ არ მომხდარა.

შესაბამისად, საბჭოთა ბლოკში ანტიკომუნისტური რევოლუციები გამოწვეული იყო არა მხოლოდ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარებით, არამედ ფაქტორებით, რომლებიც დაკავშირებული იყო საზოგადოების პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და სულიერ სფეროებთან. ამერიკელი სოციოლოგების აზრით, 1980-იანი წლების ბოლოს, აღმოსავლეთ ევროპელები ზოგადად კაპიტალიზმს, როგორც სოციალურ სისტემას უფრო დადებითად უყურებდნენ, ვიდრე დასავლეთის ქვეყნების რესპონდენტები. ამის საილუსტრაციოდ მხოლოდ ერთი მაგალითი კმარა. „კომუნიზმის“ კონცეფციაზე დასავლეთ გერმანელებზე მეტად უარყოფითად რეაგირებდნენ პოლონელები.

საბაზრო ეკონომიკა აღმოსავლეთ ევროპის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობაში განიხილებოდა არა მხოლოდ, როგორც საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ორგანიზაციის ფორმა, არამედ როგორც ცხოვრების დასავლური სტანდარტის მიღწევის ოცნების განხორციელება „აქ და ახლა“.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე ზეწოლის ამერიკული პოლიტიკის კატალიზატორი გახდა 1988 წლის დეკემბერში, მ. გორბაჩოვის გამოსვლა გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე, სადაც საბჭოთა ლიდერმა გამოაცხადა აღმოსავლეთ ევროპაში საბჭოთა ჯარების ცალმხრივი შემცირება 500 ათასი ადამიანით. ასევე მისი განზრახვა 1991 წლამდე გდრ-დან, ჩეხოსლოვაკიიდან და უნგრეთიდან ექვსი სატანკო დივიზიის გასვლისა და მათი დაშლის შესახებ. ამ სამხედრო-პოლიტიკური პროცესის შედეგად საბჭოთა არმია, რომელიც 4 მილიონზე მეტ ადამიანს შეადგენდა, ნახევარი მილიონით, ანუ 15%-ით შემცირდა. ერთი შეხედვით, ეს შემცირება შეიძლება უმნიშვნელოდაც კი ჩანდეს. მაგრამ პოლიტიკურად ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ შემცირებული

არმიის ნახევარი და მთელი სამხედრო ტექნიკა, განლაგებული იყო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. ამის შედეგად ვარშავის პაქტის ქვეყნების სამხედრო დაჯგუფება, რომელიც რეგიონში იყო ნატოს ჯარების საპირწონედ, თითქმის განახევრდა. დაკარგა შეტევითი სამხედრო ოპერაციების წარმართვის უნარი. „გორბაჩოვის დოქტრინა", რომელიც მან გაეროში გამოაცხადა, - წერს ვ. ფალინი - ნიშნავდა იმას, რომ „სსრკ ტოვებდა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპას" [1, 149].

მ. გორბაჩოვის გაეროში გამოსვლის შემდეგ, ამერიკის პრეზიდენტის გარემოცვაში კონფიდენციალური დასკვნები გაკეთდა: „საბჭოთა კავშირი იშლება შიგნიდან" [2, 1054-1055].

1989 წლის 16 იანვარს მოსკოვს ესტუმრა ამერიკის პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი ჰენრი კისინჯერი, რათა გაეგო, რამდენად შორს იყო საბჭოთა ხელმძღვანელობა მზად აღმოსავლეთ ევროპაში თავისი ინტერესების დასაცავად. იგი შეხვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს ა. იაკოვლევს. საუბარში ჯორჯ ბუშის ემისარმა მოითხოვა, რომ საბჭოთა კავშირი არ ჩარეულიყო აღმოსავლეთ ევროპაში განვითარებულ მოვლენებში. ამის სანაცვლოდ ჰ. კისინჯერი დაპირდა სკკპ გავლენიან პოლიტბიუროს წევრს, რომ უზრუნველყოფდა აშშ-სა და სსრკ-ს შორის ნორმალური ურთიერთობების განვითარებას [3, 303-306]. წინააღმდეგ შემთხვევაში კი არაორაზროვნად მიანიშნა აშშ-საბჭოთა ურთიერთობების გამწვავებაზე.

ა. იაკოვლევი არათუ არ უწევდა კისინჯერს ოპონენტობას, არამედ უფრო მეტიც მასში გრძნობდა ერთგვარ მოკავშირეს. მან გააფრთხილა კისინჯერი, რომ კომუნისტური პარტიის ზოგიერთი მკაცრი მხარე, უკმაყოფილო იყო გორბაჩოვის პოლიტიკით. უთხრა - ისინი დახურულ შეხვედრებზე მას აკრიტიკებდნენ სოციალიზმის ღალატისა და დასავლეთში მისი მიყიდვის გამო. იაკოვლევმა ნათლად აჩვენა, რომ გორბაჩოვს და მის თანამემამულე რეფორმატორებს სჭირდებოდათ დასავლეთის აღიარება, მხარდაჭერა და წახალისება, რათა მათ შეძლებოდათ თავიანთი პროგრამის განხორციელება ქვეყანაში [4, 17-18].

მეორე დღეს ჰ. კისინჯერი მიიღო მ. გორბაჩოვმა. მათი მოლაპარაკების მნიშვნელოვანი თემა იყო ცვლილებები აღმოსავლეთ ევროპაში. საუბრის სრული ჩანაწერი ჯერ არ არის გამოქვეყნებულა, ამიტომ მისი შინაარსის შესახებ სრული და სანდო წარმოდგენა ძალიან რთულია. მაგრამ იქიდან გამომდინარე, რაც უკვე არსებობს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გორბაჩოვი არ ცდილობდა ამ რეგიონში სსრკ-ს ინტერესების დაცვას.

„ვიცვლებით ჩვენ, იცვლებით თქვენც და ევროპაც, მაგრამ თუ შევეცდებით სხვადასხვა შეფასებების საფუძველზე ამ პროცესებიდან დაშორებას, მაშინ შეიძლება სერიოზული შეცდომები დავუშვათ, სერიოზული არასწორი გათვლები გავაკეთოთ" - მაღალფარდოვნად და მედიდურად აღნიშნავდა გენერალური მდივანი [5, 223].

თუ გავაანალიზებთ სხვადასხვა მეცნიერისა და დიპლომატის მიერ მოსკოვში გამართული ამ შეხვედრების შეფასებებს, ისინი პრაქტიკულად ემთხვევა ერთმანეთს. კ. ბრუტენცი, რომელიც მაშინ სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების უფროსად მუშაობდა აღნიშნავს:

„ჯერ კიდევ 1989 წლის იანვარში ჰ. კისინჯერი ეწვია მოსკოვს და შეხვდა გორბაჩოვს. მაშინ მან საბჭოთა ლიდერს ფაქტობრივად, შესთავაზა გარიგება, რომლის მნიშვნელობა ასეთი იყო - აღმოსავლეთ ევროპაში ცვლილებების სანაცვლოდ ჩვენ გავაფართოვებთ თქვენთან პოლიტიკურ კონტაქტებს, დაგეხმარებით სამხედრო ხარჯების ტვირთის შემსუბუქებაში და ასევე სხვა „გზებით".

ამერიკელმა დიპლომატმა, ფაქტობრივად, კი შუამავალმა წამოაყენა, შესთავაზა გენმდივანს იდეა, რომ ბუში და გორბაჩოვი შეთანხმებულიყვნენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ვითარების ლიბერალიზაციის მიზნით ერთობლივ ქმედებებზე. აშშ ვალდებულებას იღებდა არ ემოქმედა საბჭოთა კავშირის უსაფრთხოების ლეგიტიმური ინტერესების წინააღმდეგ“ [6, 485].

ამ საკითხს შეეხო ასევე იმდროინდელი აშშ ელჩი სსრკ-ში ჯ. მეტლოკი. ის წერს „მდივანი ბეიკერი სერიოზულად შეუდგა მოსკოვთან აღმოსავლეთ ევროპის მომავლის შესახებ მოლაპარაკებების შეთავაზებას. იდეა ამის შესახებ ყოფილ სახელმწიფო მდივანს ჰენრი კისინჯერს ეკუთვნოდა. რომელსაც, როგორც მეუბნებოდნენ, სჯეროდა, რომ აღმოსავლეთ ევროპაში მალე იფეთქებდა აჯანყებები და თუ აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთგაგება არ იქნებოდა, ისინი ქაოსს ან საბჭოთა ინტერვენციას გამოიწვევდნენ. ჰ. კისინჯერი ეწვია მოსკოვს და გორბაჩოვს შეხვდა. თავისი იდეა მას ჩემთან არ განუხილავს, თუმცა, ვფიქრობ, მან ეს გორბაჩოვს გაუზიარა. თუ ასეა, მაშინ, სავარაუდოდ მას მ. გორბაჩოვი თანაგრძნობით შეხვდა“[7, 161].

ამ შეხვედრის შესახებ ძალიან საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის. საბჭოთა კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის შვილი ანატოლი ანდრიას ძე გრომიკო. ის აღნიშნავს - გორბაჩოვის კითხვაზე: „ცდილობს თუ არა ბუში გამოიყენოს კისინჯერის სერვისები იმის გასარკვევად, მზად არის თუ არა გორბაჩოვი, დათმოს საბჭოთა კონტროლი აღმოსავლეთ ევროპაში? კისინჯერი წავიდა ვა-ბანკზე და დადებითად უპასუხა. თავის მხრივ უცნაურად მოახდინა ამ საკითხზე რეაგირება გორბაჩოვმა. მან არ უარყო ამერიკელების წინადადებები, მხოლოდ თქვა, რომ ყველაფერი გულდასმით უნდა განიხილებოდეს“ [8, 193-194].

სსრკ-ში ვიზიტის შესახებ ჰ. კისინჯერმა თეთრ სახლს წარუდგინა დეტალური მოხსენება, რომელშიც აღნიშნა: „...გორბაჩოვის „პერესტროიკა“ „ბუქსაობს“. ამიტომაც საბჭოთა ლიდერი ეძებს წარმატებას საგარეო პოლიტიკის სფეროში. გორბაჩოვი კი მზადაა ამისთვის განსაზღვრული გონივრული ფასი გადაიხადოს“ [9, 37].

კისინჯერის მოსკოვში ვიზიტის შემდეგ, 1989 წლის 12 თებერვალს, ჯორჯ ბუშმა გამართა შეხვედრა თეთრ სახლში, სადაც გაკეთდა ანალიზი სსრკ-ს შინა ვითარებისა და მისი საგარეო პოლიტიკის პრობლემების შესახებ. გაკეთდა სწორი დასკვნა, რომ საბჭოთა ლიდერი თანხმდება ცვლილებებს აღმოსავლეთ ევროპაში და, რომ ეს ცვლილებები თავად გამოიწვევდა საბჭოთა კავშირის დაშლას [9, 47].

ოვალური კაბინეტი მიიჩნევდა, რომ „გორბაჩოვი მიესალმებოდა ამ ქვეყნებში გატარებულ რეფორმებს. ამიტომაც იგი გარკვეულწილად შეიძლება ჩათვლილიყო ჩვენს „დე ფაქტო“ მოკავშირედ... მას არ ესმოდა აღმოსავლეთ ევროპაში არსებული ვითარება. ის ცდილობდა იქ აღეზარდა „პატარა გორბაჩოვები“, რომლებიც ისარგებლებდნენ ხალხის მხარდაჭერით, რათა გამხდარიყვნენ რეგიონში სიტუაციის გაუმჯობესების მუდმივი ფაქტორები.

როგორც ჩანს, გორბაჩოვმა ვერ გააცნობიერა, რომ ამ ქვეყნებში კომუნისტური რეჟიმები, განურჩევლად მათი ავ-კარგი ჩრდილებისა, სძულდათ და პირველივე შესაძლებლობის შემთხვევაში მათ დამხობა ემუქრებოდათ [9, 113].

ვაშინგტონში, პოლონეთისა და უნგრეთისთვის სასწრაფოდ შემუშავდა ეკონომიკური დახმარებების ღონისძიებების პაკეტი, რომელთა შორის იყო საგარეო ვალის რესტრუქტურიზაცია და „კერძო სექტორის კაპიტალიზაციისა და აღორძინებისთვის“ შეღავათიანი სესხების გაცემა, შეერთებულ შტა-

ტებთან ვაჭრობის ასევე უფრო ხელსაყრელი პირობების შექმნა.

დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ამ ქვეყნებში აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ვიზიტებს, რომლებიც დაუყოვნებლივ განხორციელდა. ვიზიტი პოლონეთში შედგა 1989 წლის 10-11 ივლისს, უნგრეთში კი 12 ივლისს. აშშ-ის მეთაური თავად ანიჭებდა ამ ვიზიტებს დიდ როლს - „ჩვენ უნდა გვემოქმედა, როგორც პასუხისმგებელი „კატალიზატორს" აღმოსავლეთ ევროპაში დემოკრატიული რეფორმების გასატარებლად" [9, 113].

ბუშმა ამ ქვეყნებისთვის ამერიკული სესხების გაცემა ფუნდამენტური ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას დაუკავშირა. „პოლონეთში ვიზიტის დროს ჩვენ სრულად მივაღწიეთ ჩვენს მიზნებს", - აღნიშნავდა მოგვიანებით ბ. სკოუკროფტი [9, 120].

თავად ბუშმა ვიზიტის შედეგების შემდეგ ასეთი დასკვნა გამოიტანა: „ის, რაც ვნახე ევროპაში იყო ის, რომ ადამიანებს იმედი შთააგონებდათ" [9, 126].

აშშ პრეზიდენტის პოლონეთსა და უნგრეთში ვიზიტის შემდეგ, სადაც ანტისაბჭოთა ძალები ძლიერი იყო, შეერთებულ შტატებში მიიღეს გადაწყვეტილება ამ ქვეყნებისათვის 1,2 მილიარდი დოლარის მატერიალური დახმარების შესახებ [9, 118].

მ. გორბაჩოვის გუნდმა თითქოს ვერ შეამჩნია, რა პოლიტიკას ატარებდა შეერთებული შტატები სსრკ-ს მოკავშირეების მიმართ. მათ როგორც ადრე ისევ ისე განაგრძეს საგარეო კურსი.

1989 წლის სექტემბერში სსრკ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიაზე ე. შევარდნაძემ ამბობდა: „აქ მოხდა ისტორიული თვისებრივი ცვლილებები. ჩვენ მათთან ურთიერთობას ვაშენებთ სუვერენული თანასწორობის, ყოველგვარი ჩარევის დაუშვებლობის, თითოეული ქვეყნის აბსოლუტური არჩევანის თავისუფლების უფლების აღიარების საფუძველზე..." [10].

დეპუტატებთან შევარდნაძე ცდილობდა შეექმნა ილუზორული სურათი სსრკ-ს მოკავშირეებს შორის ვარშავის პაქტით: „ჩვენს ურთიერთობაში მოძმე ქვეყნებთან, - თქვა მან, - არის პრობლემები დიდი და პატარა, არის სირთულეები. მაგრამ მათში კრიზისი არ არის" [10].

ეს იყო სინამდვილეში ილუზია და არ შეესაბამებოდა სინამდვილეს.

1989 წლის 25 ოქტომბერს ჰელსინკიში ვიზიტის დროს გორბაჩოვმა საჯაროდ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირს „არ აქვს არც მორალური და არც პოლიტიკური უფლება ჩაერიოს აღმოსავლეთ ევროპის მოვლენებში" და დასძინა: „ჩვენ გამოვდივართ იმ ვარაუდიდან, რომ მასში სხვებიც არ ჩაერევიან" [11, 89].

გაკვირვებას იწვევდა ისიც, რომ აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე მოვლენების შეფასებაში გორბაჩოვის და ბუშის პოზიციებში პრაქტიკულად არ იყო ფუნდამენტური განსხვავებები. ამერიკის პრეზიდენტი საბჭოთა გენმდივნის პოლიტიკას ევროპის ამ რეგიონთან მიმართებაში ყოველანაირად ამხნევებდა და სტიმულს აძლევდა.

წინასწარ იცოდა, რა რომ არ საბჭოთა კავშირისგან არ იქნებოდა სამხედრო ინტერვენცია და მიიღო ასეთი გარანტიები, ჯორჯ ბუშმა (ფაქტობრივად კი, მთელმა დასავლეთმა) ამ ქვეყნების სოციალისტური რეჟიმების განადგურების მიზნით ღიად და ფარულად დაიწყო ოპოზიციური ანტისოციალისტური და ანტისაბჭოთა ძალების წახალისება.

სსრკ-ს ჰქონდა გავლენის მოხდენის სხვა ინსტრუმენტები: პოლიტიკური, ეკონომიკური, დიპლომატიური და ა.შ. მაგრამ ეს ბერკეტები მოსკოვს არ აუმუშავებია. გორბაჩოვის ამ პოზიციამ გამოიწვია არსებული სოციალური წყობის მომხრეების პო-

ზიციების მნიშვნელოვანი შესუსტება და ოპოზიციური ძალების გაძლიერება.

1989 წლის ოქტომბრის ბოლოს ჰელსინკში სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის ატაშემ გ. გერასიმოვმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ „ბრეჟნევის დოქტრინა“ მოკვდა. და პოლიტიკურ სცენაზე შემოდიოდა „სინატრას დოქტრინა“.

მ. გორბაჩოვის მიერ „ბრეჟნევის დოქტრინიდან“ საბჭოთა კავშირის საბოლოო გასვლა მოხდა 1989 წლის 2-3 დეკემბერს გორბაჩოვისა და ბუშის მალტის შეხვედრაზე, სადაც აღმოსავლეთ ევროპის მოვლენები ცენტრალური ადგილზე იდგა.

საბჭოთა ლიდერმა დაარწმუნა ამერიკის პრეზიდენტი, რომ სსრკ არ ჩაერეოდა აღმოსავლეთ ევროპის საქმეებში: „ჩვენ მშვიდობიანი ცვლილებების მომხრე ვართ, არ გვინდა ჩარევა და არ ჩავერევით მომავალ პროცესებში. დაე, თავად ხალხებმა, გარე ჩარევის გარეშე, გადაწყვიტონ, რა უნდა გააკეთონ თავად“.

ამრიგად, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში დაიწყო „ხავერდოვანი“ რევოლუციები. მოხდა გერმანიის გაერთიანება. მთელი 1989 წლის განმავლობაში სოციალისტური რეჟიმები ლიკვიდირებულ იქნა ყველა ქვეყანაში, რომლებიც იყვნენ სსრკ-ს სამხედრო და პოლიტიკური მოკავშირეები. ხელისუფლებაში მოვიდნენ ანტისოციალისტური პროდასავლური ძალები. ამ პირობებში ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოსა და ვარშავის პაქტის არსებობა შეუძლებელი აღმოჩნდა. საბოლოოდ, „გორბაჩოვის დოქტრინამ“ გამოიწვია საბჭოთა კავშირის დამარცხება აღმოსავლეთ ევროპაში. ეს იყო კატასტროფული მარცხი მისი უტოპიური იდეის „საერთოევროპული“ სახლის შექმნის შესახებ.

1990 წელს გამარჯვებულმა დასავლეთმა სავსებით სამართლიანად თავისი სიბრიყვით, მათი საქმის უებრო გამკეთებელ გორბაჩოვს საერთაშორისო დაძაბულობის განმუხტვაში შეტანილი წვლილისთვის მიანიჭა ნობელის მშვიდობის პრემია. ამასთან, „ახალ აზროვნებას“ უარყოფითი მხარეც ჰქონდა.

ცივი ომისგან მხოლოდ ერთი გამარჯვებული გამოვიდა - დასავლეთი, შეერთებული შტატების მეთაურობით. მისი სხვა მონაწილე - სსრკ და „აღმოსავლეთის ბლოკი - არა მხოლოდ დამარცხდა, არამედ არსებობაც შეწყვიტა. ამან გამოიწვია საერთაშორისო ურთიერთობების ბიპოლარული სისტემის მოშლა, რომელზედაც მსოფლიოში სტაბილურობა მრავალი წლის განმავლობაში იყო დაფუძნებული.

**<u>EDISHER GVENETADZE</u>**

**FROM „BREZHNEV DOCTRINE“ TO „SINATRA DOCTRINE“**

Summary

The general secretary of the CPSU, Mikhail Gorbachev, was very worried about his ambitions. He wanted to go down in history as not only transforming the Soviet Union, but changing world politics. That's why he, together with his colleagues (A. Yakovlevi, E. Shevardnadze...) introduced the so-called the idea of "building a common European house").

"I did it my way" (I did it my way") was sung by the American singer Frank Sinatra. The lyrical hero of this song summed up what he saw as the imminent end of his life - his main

achievement was that he did what he needed to do. The irony of this tune The fact is that due to the appropriate lyrics, this song by an American artist is often played at funerals, so it has become a kind of "soundtrack" for others. This was exactly what the USSR offered to its allies when Moscow's new foreign policy was officially adopted in 1989. This time, the adoption of the geopolitical "Sinatra doctrine" was a fatal step for one of the most powerful Warsaw Pact military blocs in history.

In 1990, the victorious West quite rightly, with its stupidity, awarded the Nobel Peace Prize to Gorbachev, who was doing their work without a trace, for his contribution to easing international tensions. At the same time, "new thinking" had a negative side. Only one winner emerged from the Cold War - the West, led by the United States. Its other participants - the USSR and the "Eastern Bloc" - were not only defeated, but also ceased to exist. This led to the disruption of the bipolar system of international relations, on which world stability was based for many years.

***Key words:*** *Gorbachev; bush European House; Sinatra; doctrine; Brezhnev; Moscow; Kissinger; Washington; Warsaw.*

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. Фалин В. М. Конфликты в Кремле. М., 1999.
2. კისინჯერი ჰ. დიპლომატია. თბ., 2021.
3. Запись беседы А. Н. Яковлева с политологом и государственным деятелем США Г. Киссинджером. 16 января 1989 года // Яковлев А. Перестройка: 1985–1991. Сб. документов. М., 2008.
4. Бешлосс М., Тэлботт С. Измена в Кремле. Протоколы тайных соглашений Горбачева с американцами. М., 2011.
5. Из беседы с Генри Киссинджером 17 января 1989 года // Отвечая на вызов времени. Внешняя политика перестройки: документальные свидетельства.
6. Брутенц К. Н. Несбывшееся. Неравнодушные заметки о перестройке. М., 2005.
7. Мэтлок Дж. Смерть империи / Пер. с англ. М., 2003.
8. Громыко Анат. А. В лабиринтах Кремля. Воспоминания и размышления сына. М., 1997.
9. Буш Дж. Скоукрофт Б. Мир стал другим. М., 2004.
10. გაზ. კომუნისტი 1989, 13 სექტემბერი.
11. Бешлосс М., Тэлботт М. Измена в Кремле. Протоколы тайных соглашений Горбачева с американцами. М., 2011.
12. Уткин А. И. Измена Генсека. Бегство из Европы. М., 2009.

АЛЛА БИБИЛАШВИЛИ

# Проблема Лачинского коридора: возникновение и эскалация напряженности

Целью данной работы является анализ современной политической ситуации в зоне карабахского конфликта в контексте последовательного формирования в регионе новой геополитической реальности. Этот процесс характеризуется сложными политическими и мировоззренческими константами и противоречивыми интерпретациями, что объясняется длительным конфликтом, отягощенным кровопролитными вооруженными действиями. Многочисленные попытки международных посредников найти формулу примирения противоборствующих сторон, традиционные и модифицированные модели урегулирования конфликта, встречи и переговоры на различных уровнях и разных форматах на протяжении многих лет оказались недостаточно результативными, а регулярно вспыхивавшие вооруженные столкновения между Арменией и Азербайджаном приобрели перманентный характер.

Конец полномасштабному военному противостоянию был положен в ноябре 2020 года, когда было опубликовано совместное заявление президента Азербайджана Ильхама Алиева, премьер-министра Армении Никола Пашиняна и президента Российской Федерации В. Путина о полном прекращении огня и всех военных действий в зоне Нагорно-Карабахского конфликта. Следует учитывать, что превращение долголетних противников в полностью открытых и последовательных политических партнеров сразу осуществить было фактически нереальной задачей, поэтому достигнутые договоренности были призваны создать необходимые условия для долгосрочного и полноформатного урегулирования кризиса. При этом было закономерным периодическое возникновение полемических ситуаций, шероховатостей, споров и противоречий, вызывавших серьезные разночтения в ряде конкретных интерпретаций спорных проблем.

Именно с учетом подобных сложных обстоятельств следует рассматривать возникновение и потенциальную эскалацию напряженности в районе Лачинского коридора. В работе особое внимание уделяется теоретическим обоснованиям и правовым константам недопустимости перехода к военно-силовому решению конфликтной проблемы, при этом используются информационные материалы, интервью, исследовательские статьи, работы политологов, приводятся мнения экспертов по исследуемой проблеме.

***Ключевые слова:*** *Армения, Азербайджан. Соглашение о перемирии, Лашинский коридор, Россия, Европейский Союз, Карабах.*

В начале декабря 2023 года обострилась ранее подспудно существовавшая напряженность в Лачинском коридоре, связывающем Азербайджан и Армению. После подписания трехстороннего договора о мире Россией, Азербайджаном и Арменией в 2021 году Лачинский коридор оставался одним из центров нестабильности в контексте институциональных противоречий между Баку и Ереваном.

Лачинский коридор Азербайджана был оккупирован Вооруженными силами Армении в мае 1992 года, в результате чего все жители Лачина – азербайджанцы и курды – были изгнаны из своих домов и стали вынужденными переселенцами, и лишь после заключения трехстороннего договора о мире они получили возможность вернуться в места их постоянного проживания, после того, как Азербайджан сумел вернуть под свою юрисдикцию карабахские территории.

Следует отметить, что сам факт заселения оккупированного региона в результате военных действий может рассматриваться как нарушение международных женевских конвенций, одна из которых (конвенция 49) провозглашает, что запрещается изгнание с оккупированной территории местного населения, а также перемещение на оккупированную территорию населения оккупирующей державы. Нарушение данной конвенции приводит к тяжелым последствиям, ибо люди, привыкшие к жизни на новом месте, болезненно воспринимают вынужденное расставание с устоявшимся бытом.

Обострение ситуации вокруг Лачинского коридора осложняет напряженную работу по заключению мирного договора между Арменией и Азербайджаном и добавляет определенные разночтения в интерпретацию отдельных дискуссионных аспектов проблемы. Инциденты, подобные эскалации вокруг Лачинского коридора, в определенной степени затрудняют ход переговоров, в том числе и проблемы урегулирования на местах. При этом обе стороны не учитывают того важного обстоятельства, что сбалансированная политика должна быть одной из важнейших констант двусторонних отношений обих государств, способствуя мирному разрешению сложных и актуальных проблем.

Эскалация возникшей напряженности выразилась в том, что было прекращено движение автотранспорта по Лачинскому коридору, при этом действовали не представители силовых структур Азербайджана, а экоактивисты, требующие прекратить незаконную добычу полезных ископаемых в зоне ответственности российских миротворцев. Через несколько дней после перекрытия дороги протестующие стали пропускать колонны с гуманитарной помощью, при этом блокада периодически возобновлялась. В Карабахе обвинили Баку в перекрытии подачи газа, и власти Степанакерта обратились за помощью к российским миротворцам. Главным, не особо афишируемым поводом для обострения стал контроль над месторождением золота, которое фактически оказалось за рамками компетенции азербайджанских властей. Именно поэтому Баку направил России ноту протеста после отказа допустить на рудник азербайджанского посла. В связи с возникшей проблемой президент Российской Федерации В. Путин подчеркнул, что последовательное выполнение мирных договоренностей по вопросам делимитации границы, разблокирования транспортных коммуникаций, решения гуманитарных проблем поможет добиться устойчивой нормализации отношений между Арменией и Азербайджаном, что позволит в итоге выйти на заключение мирного договора между Ереваном и Баку.

Премьер-министр Армении Никол Пашинян заявил о гуманитарном кризисе в Нагорном Карабахе и назвал «странным» молчание ряда дружественных стран по вопросу блокирования дороги, связывающей Нагорный Карабах с Арменией. Он выразил благодарность всем странам и международным организациям, которые уже отреагировали на происходящие события и дали оценку блокированию Лачинского коридора.

Следует учитывать, что в ноябре 2022 года Никол Пашинян отказался подписывать декларацию по итогам саммита Организации Договора о коллективной безопасности (ОДКБ), а также документ о совместных мерах по оказанию помощи Армении, и от проведения на территории Армении учений ОДКБ. Н. Пашинян призвал Москву уточнить ону ответственности ОДКБ, ибо отсутствие понимания в этом вопросе создает фундаментальную проблему для Армении, а после необходимых разъяснений Ереван сможет строить отношения с этой организацией на конституциональной основе. В настоящее время, с учетом объективных факторов, Армения полагает нецелесообразным проведение учений ОДКБ «Нерушимое братство» на своей территории, ибо у этой организации нет четкой политической оценки агрессии Азербайджана против территориальной целостности Армении. Совет Безопасности Армении обсудил с главой МИД Карабаха необходимость совместных усилий по преодолению гуманитарного кризиса [1].

Вместе с тем в своих выступлениях на форумах различного формата и интервью премьер-министр Н. Пашинян неоднократно заявлял, что при всех обстоятельствах Россия продолжает оставаться ключевым партнером Армении в сфере безопасности.

МИД России сдержанно отреагировал на решение Еревана, выразил обеспокоенность отсутствием прогресса по вопросу Лачинского коридора, и намерение продолжить диалог. Министр иностранных дел РФ С. Лавров неоднократно предлагал Армении для обеспечения национальной безопасности страны развернуть миссию миротворцев, несмотря на отказ Армении от проведения в стране учений ОДКБ.

Конфликтная ситуация в Лачинском коридоре была близка к урегулированию в первой половине декабря 2022 года, когда Азербайджан без каких-либо предварительных условий и уступок восстановил подачу газа Армении на основе бесперебойной работы Лачинского коридора, при этом акцентируя внимание на важном аспекте – если Москва не может добиться этого самостоятельно, то следует обратиться по этому вопросу в Совет Безопасности ООН, чтобы получить мандат для российских миротворцев, или же отправить в Карабах международный миротворческий контингент. Министр иностранных дел Армении Арарат Мирзоян обратился к генеральному секретарю ООН Антонио Гутерришу с просьбой о необходимости отправки международной миссии по сбору фактов в Карабах и Лачинский коридор. Армянская сторона придает особую важность вопросу обеспечения беспрепятственного гуманитарного доступа в Карабах для представителей соответствующих органов ООН, подчеркивая при этом необходимость адресной реакции и принятия действенных шагов со стороны международных структур.

Отказавшись от проведения учений ОДКБ «Нерушимое братство» на армянской территории, Н. Пашинян поставил под сомнение перспективы участия российской миротворческой миссии в решении карабахской проблемы в будущем и военного присутствия Москвы на терри-

тории Азербайджана. Премьер-министр подчеркнул, что в последнее время Азербайджан во время контактов с западными коллегами обосновывает свои агрессивные действия опасениями о подготовке Арменией и Россией совместных агрессивных действий против Баку. В условиях молчания российских политиков получается, что военное присутствие России в Азербайджане не только не гарантирует безопасности Армении, но и создает республике определенные угрозы.

По мнению российского аналитика С. Маркедонова, Азербайджан, пользуясь концентрацией военных ресурсов в зоне СВО в Украине, пытается пересмотреть и без того победные для него итоги Второй Карабахской войны. Россия значительно зависит от тандема Анкара – Баку, поэтому должна считаться с позицией Азербайджана и признавать его политические интересы.

Армянское руководство отдает себе отчет в том, что разрыв российско-армянских отношений создает для Москвы некоторые нежелательные проблемы, в то время как для самой Армении может стать поистине катастрофой, чреватой серьезными политическими последствиями, вплоть до потери собственной государственности. Вместе с тем некоторые представители армянской политической элиты обращаются к уже мало востребованным мифологемам, не соответствующим современным политическим требованиям, например, армянский ученый В. Восканян полагает, что современная повестка дня должна быть направлена на «усмирение» Азербайджана, и это должно быть сделано путем удаления «раковой опухоли» под названием Азербайджан из здорового тела Южного Кавказа [2].

В повестке дня целого ряда международных встреч уделялось внимание обсуждению армяно-азербайджанских взаимоотношений и нерешенных вопросов Карабаха. Госсекретарь США Энтони Блинкен в беседе с премьер-министром Армении Н. Пашиняном положительно оценил усилия правительства Армении, направленные на установление мира и стабильности в регионе, а также процесс демократических реформ в республике. Власти США подтвердили свою готовность содействовать развитию демократических преобразований в Армении, демаркации армяно-азербайджанской границы, открытию региональных коммуникаций, транспортных коридоров и установлению региональной стабильности.

На встрече в Брюсселе в апреле 2022 года с Шарлем Мишелем, премьер-министр Н. Пашинян заявил о процессе нормализации в армяно-азербайджанских отношениях и о принятии армянской стороной пяти принципов, выдвинутых Азербайджаном. Президент Азербайджана И. Алиев назвал этот шаг «поворотным моментом» в процессе. Эти пять принципов базируются на следующих постулатах:

1. взаимное признание суверенитета, территориальной целостности, нерушимости международных границ и политической независимости друг друга;
2. взаимное подтверждение отсутствия территориальных претензий государств друг к другу и юридическое обязательство не предъявлять таких претензий в будущем;
3. воздерживаться от угрозы безопасности друг другу в межгосударственных отношениях, от применения угроз и силы против политической независимости и территориальной целостности, а также от других обстоятельств, несовместимых с целями устава ООН;
4. демилитаризация и демаркация государственной границы, установле-

ние дипломатических отношений между Арменией и Азербайджаном, открытие транспортных коммуникаций;
5. установление соответствующих полномочий и сотрудничество в других областях, представляющих взаимный интерес [3].

Западные страны, в частности, Франция и Соединенные Штаты Америки, которые риторически поддерживают Азербайджан, позволяют антироссийским СМИ в Армении позиционировать себя как реальную угрозу деятельности российских миротворцев. Они призваны создавать у населения иллюзию выбора, которого на самом деле не существует, и на основании этой иллюзии добиваться вывода российских войск из Армении и интеграционных структур.

В контексте нового противостояния значимым фактором для понимания позиций сторон по карабахской проблеме, является мнение министра иностранных дел России С. Лаврова, который заявил, что подписанный Баку и Ереваном в Праге документ решает вопрос Карабаха в рамках Алма –Атинской декларации. Эта декларация констатирует, что границы между новыми государствами будут основываться на административных границах между союзными республиками бывшего СССР. Тогда Нагорно-Карабахская автономная область однозначно была частью Азербайджанской ССР. Это было одобрено и Арменией, и Азербайджаном, а также Францией и господином Мишелем, и на основании этого становится очевидным решение вопроса о статусе Карабаха.

Старания армянских деятелей по вовлечению западных политиков в решение карабахской проблемы, фактически уже решенной после подписания трехстороннего договора о мире президентом РФ В. Путиным, президентом Азербайджана И. Алиевым и премьер-министром Армении Н. Пашиняном, но продолжающей оставаться в повестке дня, дали определеные результаты, и в начале января 2023 года Евросоюз, ранее уже делегировавший наблюдателей в Армению, решил отправить в республику новую наблюдательную миссию.

Одной из причин обращения Еревана в ЕС стала неготовность Евросоюза после завершения работы предыдущей делегации дать политическую оценку действиям Баку. Поэтому Евросоюз откликнулся на обращение Еревана и заявил о намерении отправить в Армению новую наблюдательную миссию сроком на два года. Этот проект был принят Комитетом по политике и безопасности ЕС и одобрен Комитетом по гражданским делам антикризисного управления.

В отличие от направленной ранее группы из 40 человек, которые дислоцировались на армянской границе, европейские наблюдатели должны контролировать всю территорию Армении. Тут возможно возникновение недопонимания, отдают ли наблюдатели себе отчет в том, что «Арцах», как именуют армяне Карабах, не является территорией Армении. По программе Евросоюза, приоритетом наблюдателей является содействие сокращению инцидентов в приграничных зонах Армении и районах, затронутых конфликтом, снижение уровня опасности для населения, проживающего в этих районах, и создание благоприятных условий для нормализации отношений между Арменией и Азербайджаном. При этом еще до отправки миссии предлагается уточнить ожидаемую поддержку наблюдателей со стороны Армении, ибо Ереван должен взять на себя ответственность управления контактами или возможными инцидентами с подразделениями российских миротворцев, а также предоставить необходимый

иммунитет и определенные привилегии международным наблюдателям. Следует подчеркнуть, что ЕС и США включились в переговоры еще во время осеннего обострения конфликта 2022 года, на фоне разочарования Еревана в посреднической роли России и недовольства действиями стран ОДКБ. При этом необходимо учитывать, что разработанный в то время американский вариант мирного договора предусматривал признание суверенитета Азербайджана над Карабахом в целом.

Верховный представитель Европейского Союза по иностранным делам и политике безопасности Жозеп Боррель осенью 2022 года сообщил о начале нового этапа вовлечения ЕС в ситуацию на Южном Кавказе с «переходной командой», которая подготовит почву для более долгосрочной миссии ЕС в Армении, конечной целью которой является содействие устойчивому миру в регионе.

В конце января 2023 года Европейский Союз принял решение направить гражданскую миссию, которая будет состоять из ста человек, в Армению сроком на два года, с цеью наблюдения за ситуацией в приграничных районах республики. Перед миссией поставлена задача содействовать стабильности, укреплению доверия на местах и созданию соответствующих условий для нормализации отношений между Арменией и Азербайджаном... [4].

Следует констатировать, что вопрос о работе миссии Евросоюза не получил положительной оценки в Кремле, напротив, в Москве недовольны растущей вовлеченностью Евросоюза в ситуацию на Южном Кавказе. Активность ЕС по карабахскому волросу вызвала всплеск антиармянской риторики в Москве. Россия опасается усиления роли и позиции Евросоюза в отношении окончательного урегулирования карабахской проблемы. Заявления российских политиков о ситуации в регионе Южного Кавказа содержат определенное недовольство действиями и заявлениями премьер-министра Армении Н. Пашиняна, хотя совершенно очевидно, что он не планирует никакого внешнеполитического разворота.

Глава МИД России Сергей Лавров прокомментировал договоренности Еревана с Брюсселем, сказав, что свою миссию на границу могла бы направить ОДКБ. Несмотря на то, что Ереван и Москва являются союзниками, и что миссия полностью готова, армянская сторона предпочитает договариваться с Евросоюзом о том, чтобы в стране на длительный срок разместилась миссия гражданских наблюдателей. На деятельность миссии экспертов нужно согласие Азербайджана, в противном случае она «будет контрпродуктивна», и вместо укрепления доверия может создать «дополнительные раздражители».

Комментарии С. Лаврова содержат несколько примечательных политических нюансов, начиная с завуалированных упреков по вопросу «измены» союзникам и отказа от «готовой миссии», хотя никакой предварительной договоренности о какой либо деятельности миссии ОДКБ в Армении не было. Напротив, после отказа Еревана проводить учения ОДКБ на своей территории, обсуждение о возможности работы какой-либо наблюдательной миссии было бы довольно нелогичным. Высказанные упреки под надуманными предлогами усиливаются, и превращаются в тяжеловесные и недвусмысленные угрозы, которые, могут быть осуществлены в том случае, если Армения проигнорирует желание Кремля оставаться самым доминирующим игроком на стратегически важном геополитическом поле региона Южного Кавказа.

Альтернативная оценка происходящего была озвучена в Баку, где назвали блокаду Лачинского коридора акцией протеста гражданских активистов и экологов, выступавших против «незаконной деятельности армянской стороны». Командование российского миротворческого контингента провело переговоры с представителями Азербайджана по вопросу возобновления беспрепятственного движения гражданского автомобильного транспорта по Лачинскому коридору. К снятию блокады Азербайджан призвали политики и общественные деятели ряда европейских стран.

Государственный министр непризнанного Карабаха, бывший российский бизнесмен Р. Варданян потребовал от России,, европейских стран и США ввести персональные санкции против руководителей Аэербайджана из-за блокировки Лачинского коридора. Р. Варданян назвал единственный, по его мнению, способ предотвратить потерю Арцаха (армянское название Нагорного Карабаха) и сохранить армянский мир для следующих поколений - ни при каких обстоятельствах не покидать республику, несмотря на сложность ситуации; сделать сложный, но необходимый выбор, чтобы остаться и защитить свою родину.

Р. Варданян обвинил Азербайджан в проводимых им действиях, в недостатке усилий по преодолению гуманитарного кризиса, и назвал настоящей целью блокады Лачинского коридора Азербайджаном «выдавливание» армянского населения из Карабаха, убеждая его в том, что у армян «нет будущего» в регионе. Р. Варданян был отправлен в отставку с должности государственного министра непризнанного Карабаха, при этом сделав заявление о том, целью его переезда в Арцах было помочь армянскому населению сохранить свою государственность. Он выразил категорическое несогласие с заявлениями о том, что власти Арцаха «сдают республику Азербайджану [4].

На фоне не особо эффективных в аспекте результативности, но теоретически мирно ориентированных деклараций по разрядке напряженности резким диссонансом прозвучали слова официального представителя МИД России Марии Захаровой о том, что западные страны не стремятся выработать сбалансированного решения проблемы, а «занимаются «самопиаром» и выдавливанием России из З-акавказья.

В связи с подобными, весьма недипломатическими высказываниями госпоже Захаровой, во–первых, следует оперировать современными названиями регионов, а не устаревшими советскими терминами, (уже давно в научной литературе и во всех государственных, юридических и международных документах названием изучаемого региона является «Южный Кавказ», а не «Закавказье», а во–вторых, отказаться от перепевов стереотипных страшилок о теориях заговоров и «выдавливании России», ибо это ни в коей степени не может способствовать серьезному анализу рассматриваемой проблемы.

Депутат Милли Меджлиса М. Аббасзаде констатировал, что российские миротворцы пока не обеспечили выполнение всех требований соглашения, заключенного между Россией, Азербайджаном и Арменией. Из зоны ответственности миротворческого контингента до сих пор не выведены армейские вооруженные формирования, на Лачинской дороге продолжаются военные провокации и ее незаконное использование, а коммуникации для Азербайджана не открыты. Национальные богатства Азербайджана вывозятся через Лачинский коридор в Армению, и за счет разграбления национальных ресурсов финансируется военная хунта в Хан-

кенди, и это происходит на глазах российских миротворцев. Для нормализации обстановки необходимо полное выполнение справедливых требований Баку, обеспечение его законных прав и пресечение всей незаконной экономической деятельности российского миротворческого контингента [5].

Азербайджан обвиняет армянскую сторону в противоправных действиях, запрещенных международными конвенциями - в переправке мин с территории Армении на территорию Азербайджана, а именно – в Карабах. Ереван в ответ на эти обвинения заявил, что осуществляет минирование только на своей суверенной территории и делает это исключительно в целях самообороны, ибо она ранее неоднократно подвергалась агрессии со стороны Азербайджана и не уверена, что нападения не повторятся.

По мнению армянского аналитика А. Наапетяна, закрытие Лачинского коридора является еще одним элементом ведения войны со стороны Азербайджана, несущем не только политическую, но и военную нагрузку. В случае начала крупномасштабных боевых действий, армянской стороне не смогут оказать помощь ни правительственные войска, ни добровольцы, и жители Карабаха, постоянно испытывающие сильное психологическое давление, практически останутся без защиты. Поэтому вопрос закрытия Лачинского коридора нельзя рассматривать только как гуманитарный вопрос или даже как вопрос безопасности - таким образом Азербайджан решает конкретную военную задачу [6].

В конце января 2023 года премьер-министр Армении изложил свое видение и интерпретацию азербайджанского плана по этнической чистке в Арцахе (армянское название Карабаха). Он полагает, что план Баку заключается в следующем: экономическое и психологическое давление в Нагорном Карабахе довести до определенной кульминационной точки, после чего открыть коридор на несколько дней, в надежде на то, что карабахские армяне массово покинут свои дома, потом закрыть коридор, и повторять это неоднократно, до тех пор, пока последний житель не покинет территорию конфликта. Наряду с этим, весьма неоднозначным заявлением, Н. Пашинян, в определенной степени противореча своим же постулатам, на заседании правительства призвал проявлять сдержанность в эмоциях в отношении блокировки Лачинского коридора и вызванного этим гуманитарного кризиса.

Сдержанность следует соблюдать избегая употребления противоречащих мирной повестке выражений, и, тем более, действий, особенно со стороны представителей власти и других официальных лиц. Армения продолжает быть последовательной в своих усилиях по продвижению мирной повестки, и никакие провокационные действия или высказывания не помешают этому Процессу [7].

На заявления Н. Пашиняна последовала закономерная реакция Баку. Президент Азербайджана И. Алиев отреагировал на обвинения своего армянского коллеги в планах развязывания нового конфликта с Ереваном. И. Алиев заявил, что люди, обвиняющие азербайджанцев в желании начать третью войну, либо стали жертвами армянской пропаганды, либо «вновь хотят вести против нас фейковую и клеветническую кампанию.

Армения после столкновения с военными и политическими неудачами будет вынуждена подписать мирный договор, и в 2023 году нового конфликта не будет. Чем быстрее Ереван осознает неизбежность мирного урегулирования конфликта, тем лучше будет для региона [8].

Одним из немногих вопросов, не вызывающих полемики в отношениях лидеров Армении и Азербайджана, является проблема введения в зону конфликта миротворцев ОДКБ.

Премьер-министр Н. Пашинян полагает, что введение миротворческого континента ОДКБ не может сыграть положительной роли в сложившейся ситуации, это, наоборот, только ухудшит положение в регионе из-за вопроса о подлинной нейтральности стран – членов ОДКБ. Президент Азербайджана И. Алиев выразил свое негативное отношение к возможной долгосрочной миссии миротворцев, заявив, что эту расширенную миссию с ним никто не согласовывал, и это может расцениваться, как нарушение формата существующих переговоров.

Важным фактором для стабилизации обстановки в конфликтном регионе является небходимость принятия решения о выводе из Карабаха подразделений вооруженных миротворческих сил, которые были введены в Карабах и выполнили возложенные на них функции, а теперь назрела целесообразность их вывода. Процесс уже начался, при этом уроженцы Карабаха будут по прежнему призываться в войска обороны, выступая, таким образом, в качестве гарантий безопасности.

Между Азербайджаном и Россией, несмотря на консенсус в интерпретации карабахской проблемы, существуют некоторые разногласия по поводу присутствия российского миротворческого контингента в Карабахе. Политолог С. Маркедонов полагает, что остававшаяся ранее непубличной российско-азербайджанская коллизия вышла на свет, о чем свидетельствуют заявления российского и азербайджанского министерств обороны. В России, по словам ученого, «стало модным» враждебные действия Азербайджана в Карабахе называть «вторым фронтом» против России», что может нести неоднозначную идеологическую и смысловую нагрузку, и, по его мнению, следует учитывать, что определенные «смысловые проблемы» существовали еще до начала 2022 года и в Украине. Баку, со своей стороны, гораздо раньше 2022 года ставил вопрос о так называемой «демилитаризации» Карабаха, и данный аспект охватывает проблему российских миротворцев.

По мнению армянской стороны, несмотря на заявления Азербайджана об окончательном урегулировании карабахской проблемы, вопрос Нагорного Карабаха остается на повестке дня, ибо непризнанная «Республика Арцах» имеет свою внутреннюю политическую и общественную жизнь, и вопрос ее статуса нельзя игнорировать [9].

В контексте существующей нестабильности в регионе, с целью предотвращения потенциальной дестабилизации, премьер-министр Никол Пашинян высказал мнение о том, что между Баку и непризнанным Нагорным Карабахом должен начаться политический диалог, при этом представители карабахских властных структур и должностные лица не должны позволить, чтобы их могли обвинить в срыве конструктивного разговора. Для успешных переговоров следует избегать заявлений, делающих ситуацию еще более тупиковой, ибо заявления, не сопровождающиеся четким осознанием достижения поставленной цели, не принесут никакой пользы, и их участники могут быть обвинены в попытке срыва конструктивного разговора, или даже в действиях, которые сделают подобный разговор невозможным [10].

Занимая важное место в круге интересов мирового сообщества, тема Карабаха была рассмотрена в докладе правозащитной организации Human Rights Watch, рассматривающим положение с правами

человека по всему миру. В докладе отдельная глава посвящена конфликту в Нагорном Карабахе под названием: «Последствия Нагорно-Карабахского конфликта».

В ней упоминается обострение в сентябре 2022 года, при этом указывается, что «Азербайджан вторгся в Армению». Боевые действия ознаменовали собой одно из нескольких нарушений перемирия 2020 года, заключенного при посредничестве России, которое положило конец боевым действиям, связанным с неурегулированной войной в Нагорном Карабахе.

Следует отметить, что омбудсмен Азербайджана Сабина Алиева подвергла доклад правозащитной организации резкой критике, обвинив составителей в предвзятости. Она акцентировала внимание на том, что авторы документа называют конфликт между Азербайджаном и Арменией неурегулированным, а также «выразили неуважительное отношение к территориальной целостности Азербайджана, что противоречит нормам международного права [11].

Поданный армянской сторонойк против Азербайджана иск в связи с блокадой Лачи нского коридора был рассмотрен Международным Судом в Гааге, который принял решение о том, что Лачинский коридор должен быть полностью открыт для частных и коммерческих перевозок. Гаагский суд удовлетворил требование Армении «О применении обеспечительных мер в рамках международной конвенции о ликвидации всех всех форм расовой дискриминации». Что же касается требования Армении к Азербайджану об обеспечении бесперебойного снабжения газом и электроснабжения, то оно не было принято судом.

Несмотря на целенаправленные усилия, предпринимаемые Россией и международными организациями, принимая во внимание правовую основу урегулирования карабахской проблемы и серьезные шаги для дости жения долгосрочного мирного процесса развития в соответствии с нормами и принципами международного права, следует последовательно, с учетом интересов договаривающихся сторон, для достижения поставленной цели следует максимально активизировать совместные усилия.

**ალა ბიბილაშვილი**

## ლაჩინის დერეფანი: დაძაბულობის დაწყება და შემდგომი ესკალაციის პრობლემა


რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია ლაჩინის დერეფანში დაძაბულობის დაწყების, მისი შემდგომი განვითარების და ესკალაციის პრობლემა. ლაჩინის დერეფნის მნიშვნელობა განპირობებულია მისი გეოსტრატეგიული მნიშვნელობით, რადგანაც ლაჩინის დერეფანი ერთადერთი გზაა, რომელიც მთიან ყარაბაღს სომხეთთან და დანარჩენ სამყაროსთან აკავშირებს, ამიტომ დესტაბილიზაცია იქ დაუშვებელია, რადგანაც მას მძიმე შედეგები შეიძლება მოჰყვეს.

რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტის ძალები, რომლებსაც ლაჩინის დერეფნის უსაფრთხოების დაცვა ევალება, სომხეთის პოლიტიკური ისტებლიშმენტის მხრიდან სულ უფრო ხშირად კრიტიკის საგანი ხდებიან. საყურადღებოა, რომ სომხეთის მთავრობამ რესპუბლიკის

ტერიტორიაზე კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის წვრთნების - „ურყევი ძმობის“ ჩატარებაზე უარი განაცხადა. სომხეთის და აზერბაიჯანის პოზიციები განიხილება რეგიონში ახალი გეოპოლიტიკური რეალიების კონტექსტში, რომელიც ჩამოყალიბდნენ სამხრეთ კავკასიაში სამმხრივი საზავო ხელშეკრულების ხელმოწერის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შემდგომ პერიოდში და მისი დებულებების მიხედვითაც დასრულდა მთიანი ყარაბაღის მეორე ომი.

კომპრომისების ძიება სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, მათი ურთიერთობების მშვიდობიანი განვითარების სფეროში მნიშვნელოვანი ფაქტორია არა მარტო პოლიტიკური სიტუაციის სტაბილიზირებისთვის რეგიონში, არამედ, ის შეიძლება განიხილოს, როგორც თანამედროვე მსოფლიოს გეოპოლიტიკური პროცესის განუყოფელი შემადგენელი ნაწილი.

***საკვანძო სიტყვები:*** *სომხეთი, აზერბაიჯანი. საზავო ხელშეკრულება, ლაჩინის დერეფანი, რუსეთი, ევროკავშირი, ყარაბაღი.*

**Литература:**

1. rbc. ru/ politics/ 10 /01/ 2023
2. haggin. az/news/ 269/193/
3. armenpress. am/rus/news/ 1103277. html.
4. newsarmenia. am/news/ politics/
5. regnum.ru/news/ polit/3769338. html.
6. armenpress. am/rus/ news/ 1079109/html
7. ria. Ru/20232112/ Karabakh/ 1844311643, html
8. Kavkaz – uzel. eu/ articles/ 384993/
9. armenpress.am./rus/news/1079109/ html
10. ria. ru/20232112/Karabakh/ 1844311643. Html
11. avraz

✍ იოსებ შურღაია

✍ ნონა ცაბაძე

# მოსახლეობის მორალურ-ფსიქოლოგიური უზრუნველყოფა საომარი მდგომარეობის წარმოშობის პირობებში

საომარი მოქმედებების დროს ძალზე მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობის მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა და მდგრადობა, ვინაიდან მოსახლეობაში პანიკი-სა და სტრესული მდგომარეობის განვრცობამ, შესაძლოა სამხედრო მოქმედებების შესრულე-ბისათვის სირთულეები წარმოშვას.

ზოგადად, საომარი მოქმედებების მოსამზადებელ ყოველისმომცველ ღონისძიებებს შო-რის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია აღნიშნულ ტერიტორიაზე სოციალური გარემოს მომზა-დება, რაც შემდეგში გამოიხატება:

- მოსახლეობაში საკუთარი ქვეყნის ჯარის მიმართ კეთილგანწყობისა და ნდობის გაღვივება;
- სამხედრო მოსამსახურეებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის უკონტროლო კონტაქტების აკრძალვა;
- მკაცრი ზომების გამოყენება სამხედრო მოსამსახურეების მიმართ, მათი მხრიდან ადგილობრივი მოსახლეობის კანონიერი უფლებების დარღვევის შემთხვევაში და ა.შ.

რაც შეეხება ადგილობრივ მოსახლეობას, ორ ცეცხლს შუა მოქცეულ და ყოველ წუთს სიკვდილის მოლოდინში მყოფ ადამიანთა ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, დადებითი იყოს. პირიქით, ისინი მძიმე ფსიქოლოგიურ სტრესს განიცდიან და ეს ხშირად ქრონკულ და მასობრივ სახესაც ღებულობს ხოლმე.

მშვიდობიანი მოსახლეობის მორალური და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის ძირითადი ამოცანებია:

- სამხედრო ოპერაციების არეალში სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის შე-სწავლა და მოსახლეობის მორალურ-ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე მათი გავ-ლენის შეფასება და პროგნოზირება;
- სამოქალაქო მოსახლეობისათვის სამხედრო ოპერაციების მიზეზებისა და სახელმ-ძღვანელო მითითებების შესრულების აუცილებლობის ახსნა;
- მოსახლეობის დროულად ინფორიმირება უმაღლესი სახელმწიფო და ადგილობ-რივი ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებების შესახებ;
- მოსახლეობის ფსიქოლოგიური სტაბილურობის უზრუნველყოფა, მათში ნებისყოფისა და გამძლეობის გრძნობების გაღვივება;
- არსებულ ვითარებაში მოსახლეობისათვის სოციალური და სამართლებრივი გა-რანტიებისა და ცხოვრების პირობების შექმნა-შენარჩუნება;

- არსებული ვითარების ფსიქოტრავმული ზემოქმედების დაძლევაში მოსახლეობისთვის ფსიქოლოგიური დახმარების გაწევა.

ზემოაღნიშნულ ამოცანათაგან, უპირველესი, რა თქმა უნდა, საინფორმაციო-პროპაგანდისტული სამუშაოების სწორად წარმათვაა და მათ პრაქტიკულ განხორციელებას სხვადასხვა ეტაპზე საკუთარი მახასიათებლები გააჩნია. ამიტომ მორალური და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სუბიექტები იყენებენ მუშაობის სხვადასხვა ფორმებსა და მეთოდებს.

ფსიქოლოგების მთავარი ამოცანა საომარი მოქმედებების პირობებში, ვფიქრობთ, თავიდან უნდა იქნას არიდებული ადამიანების შეჩვევა არსებულ პირობებთან და მათი იმაში დარწმუნება, რომ აღნიშნული მდგომარეობა ადრე თუ გვიან დასრულდება და მათ საკუთარი თავის, ძალის, შინ დაბრუნებისა და ნათელი მომავლის იმედი არ უნდა დაკარგონ. მართალია, შესაძლოა ფსიქოლოგების ასეთ პოზიციას არაერთი მოქალაქის წინააღმდეგობა შეხვდეს, თუმცა, მიგვაჩნია, რომ თანამედროვე ფსიქოლოგიური მეთოდების მეშვეობით და ნაყოფიერის შრომის შედეგად, სავსებით შესაძლებელია.

აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია, საომარი მოქმედებების მსვლელობის პირობებში ფსიქოლოგიური და ფსიქიატრიული დახმარების ორგანიზება, რაც ხელს შეუწყობს არამხოლოდ დაშავებულთა და ფსიქოლოგიურ-ფსიქიატრიული პროფილის მქონე პაციენტების შრომისუნარიანობის უსწრაფეს აღდგენას მოსახლეობაში, არამედ მოსახლეობაში ფსიქოლოგიური და ფსიქიკური აშლილობის შემდგომი განვითარებისა და მათი ქრონიკულ და მასიურ ხასიათში გადასვლის პრევენციას.

***საკვანძო სიტყვები:*** საომარი მდგომარეობა, მშვიდობიანი მოსახლეობა, სტრესი, ფსიქოლოგიური აშლილობა.

საომარი მოქმედებების დროს, ძალზე მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობის მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა და მდგრადობა, ვინაიდან ასეთ პირობებში შეუძლებელია სრულყოფილად იქნას თავიდან არიდებული მოსახლეობაში პანიკისა და სტრესული მდგომარეობის განვრცობა, ეს კი სამხედრო მოქმედებების შესრულებისათვის სირთულეების წყაროდ შეიძლება იქცეს.

ზოგადად, საბრძოლო მოქმედებებისთვის ფსიქოლოგიურად მომზადება ნიშნავს:

ა) წინასწარ (ბრძოლაში შესვლამდე) სამხედრო პერსონალში ფსიქოლოგიური მზადყოფნის (სტაბილურობის) - ფსიქოლოგიური თვისებების სისტემის (ცოდნა, უნარები, დამოკიდებულებები, უნარები, რწმენა, მოტივები, პიროვნული თვისებები) ჩამოყალიბებას, რაც განსაზღვრავს მათ პოტენციალს, გადალახონ სირთულეები და წარმატებით დაასრულონ დავალება;

ბ) უშუალოდ კონკრეტული საბრძოლო მისიის შესრულებამდე, ჯარისკაცებს შორის ფსიქოლოგიური მზადყოფნის უზრუნველყოფას (აქტივობა, ფოკუსირება, განწყობა, ჯარისკაცების ფსიქიკის მობილიზაცია მომავალი საბრძოლო მოქმედების სირთულეების დასაძლევად და ა.შ.);

გ) სამხედრო პერსონალის იმდაგვარად განაწილებას, რომ სამხედრო გუნდი თავად იყოს საბრძოლო საქმიანობის ერთგვარი სტიმულატორი და „ფსიქოთერაპევტი“ მისი წევრებისთვის;

დ) ისეთი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას, რომელიც ხელსაყრე-

ლია კონკრეტული საბრძოლო მისიის შესასრულებლად და სამხედრო კამპანიის მიზნების მისაღწევად.

საომარი მოქმედებების მოსამზადებელ ყოვლისმომცველ ღონისძიებებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია აღნიშნულ ტერიტორიაზე სოციალური გარემოს მომზადება, რაც შემდეგში გამოიხატება:

- მოსახლეობაში საკუთარი ქვეყნის ჯარის მიმართ კეთილგანწყობისა და ნდობის გაღვივება;
- სამხედრო მოსამსახურეებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის უკონტროლო კონტაქტების აკრძალვა;
- მკაცრი ზომების გამოყენება სამხედრო მოსამსახურეების მიმართ, მათი მხრიდან ადგილობრივი მოსახლეობის კანონიერი უფლებების დარღვევის შემთხვევაში და ა.შ.

რაც შეეხება ადგილობრივ მოსახლეობას, ორ ცეცხლს შუა მოქცეულ და ყოველ წუთს სიკვდილის მოლოდინში მყოფ ადამიანთა ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, დადებითი იყოს. პირიქით, ისინი მძიმე ფსიქოლოგიურ სტრესს განიცდიან და ეს ხშირად ქრონკულ და მასობრივ სახესაც ღებულობს ხოლმე.

უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში რამდენიმე ათეული წელია ფსიქოლოგთათვის აქტუალურ საკვლევ საკითხს წარმოადგენს ადამიანთა მიერ ცხოვრებისეულ სირთულეებსა და ექსტრემალურ სიტუაციებთან გამკლავების პრობლემა. არაერთი კვლევა ტარდება რთულ ცხოვრებისეულ სიტუაციებში მოქმედების გზების არჩევისას ადამიანების მიერ ცხოვრებისეული სირთულეების დაძლევის მცდელობების, როგორც სუბიექტის გაცნობიერებული და ქვეცნობიერი ქცევების გაგების ფარგლებში.

ტერმინი „სტრესი“ თანამედროვეობაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია, რომელიც თითქმის ყველას ესმის, განურჩევლად პროფესიისა, განათლებისა და პროფესიისა. თანამედროვე ადამიანი ამა თუ იმ გარემო ფაქტორების ზეგავლენით მუდმივად გაზრდილ ფსიქიკურ სტრესს განიცდის.

ზოგადი ადაპტაციის სინდრომის დოქტრინის ავტორმა, კანადელმა მეცნიერმა ჰანს სელიემ სტრესი განსაზღვრა, როგორც სხეულის არასპეციფიკური რეაქცია მის მიმართ წაყენებულ ნებისმიერ მოთხოვნაზე და სტრესული რეაქცია აღწერა, როგორც ორგანიზმის ადაპტაცია ცვალებად გარემო პირობებთან. კვლევის შედეგად ავტორმა გამოავლინა ორი რეაქცია გარე გარემოს მავნე ზემოქმედებაზე, ესენია: სპეციფიკური და არასპეციფიკური [1. 103-158].

ლ. ა. კიტაევ-სმიკის მოსაზრებით კი, სტრესის არსი ყველაზე ადეკვატურად აისახება მის გაგებაში, როგორც ადაპტაციური აქტივობის არასპეციფიკური ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური გამოვლინებები [2].

თავის მხრივ, არასპეციფიკური რეაქცია შედგება სამი ფაზისგან:

**პირველი ფაზა** - განგაშის რეაქცია;

**მეორე ფაზა** - წინააღმდეგობის რეაქცია;

**მესამე ფაზა** - გამოფიტვის (ამოწურვის) რეაქცია (მოდის მაშინ, როდესაც ადამიანის სტრესის წინააღმდეგობის გაწევის უნარი ამოიეურება) [3].

რ. ლაზარუსი თავის ფსიქოლოგიური სტრესის კოგნიტურ თეორიაში აყენებს დებულებებს სუბიექტური კოგნიტური შეფასების როლის შესახებ. მის თეორიაში კოგნიტური პროცესები განსაზღვრავს ემოციური რეაქციების ხარისხსაც და ინტენსივობასაც. სტრესი არის სხეულისა და ფსიქიკის რეაქცია არა იმდენად ფიზიკურ თვისებებზე, სიტუაციის ფაქტორებზე, არამედ ინდივიდსა და გარე სამყაროს შორის ურთიერთქმედების მახასიათებლებზე [4].

ამრიგად, სტრესორები, რომლებიც მოქმედებენ ადამიანთა ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, აერთიანებს ბიოლოგიურ, სოციალურ და ფსიქოლოგიურ ფაქტორებს და

ეს როლი შეიძლება შეასრულოს სხვადასხვა მოვლენამ, ფაქტორმა, ფენომენმა, მიზეზმა, და არა მხოლოდ უარყოფითმა, არამედ პოზიტიურმაც [5].

ხოლო, რაც შეეხება საომარი მდგომარეობის პირობებში მცხოვრებ პირებს, მათზე ზემოთ ხსენებული სტრესორების გავლენის არიდება წარმოუდგენელიც კია.

პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე, თანამედროვე ფსიქოლოგები აქტიურად იკვლევენ არა მხოლოდ სტრესის პირობებში მყოფ ადამიანთა ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, არამედ პოსტსტრესულსაც.

აღნიშნული პრობლემის პირველი სერიოზული მეცნიერული აღწერა თარიღდება 1871 წლით, რომელიც ამერიკის სამოქალაქო ომის დროს სამხედრო ოპერაციებზე დაკვირვების დროს განხორციელდა.

არსებული მდგომარეობა მაშინ დასახელდა, როგორც „ჯარისკაცის გული“, ვინაიდან აღნიშნულ კვლევებში მთავარი ყურადღება მიიპყრო გულის სიმპტომებმა. პირველი მსოფლიო ომის დროს კი, აქცენტი ადამიანის ტვინზე გადაიტანეს და ამჯერად არსებულ მდგომარეობას „ჭურვის შოკი“ უწოდეს (ვარაუდობდნენ, რომ სტრესს საარტილერიო ცეცხლის გახსნის ხმა ტვინის ტრავმული დაზიანებას იწვევდა).

1920 წელს კი სტრესი ე. კრეპელინმა აღწერა, როგორც ფსიქოგენური დაავადებები (შიშის ნევროზი, სამხედრო ნევროზი, ტრავმული ნევროზი, ფსიქოგენური დეპრესია) [6. 71].

სამხედრო რეალობის ტრავმულ მოვლენებზე საუბრისას ა. გ. კარაიანი აღნიშნავს, რომ ტრავმული სტრესი, როგორც წესი, სამოქალაქო ცხოვრებაში გადადის, როდესაც იკარგება საბრძოლო რეალობებთან ადაპტაციის მნიშვნელობა [7. 173].

ე. ვ. სნედკოვმა კი თავის კვლევაში აჩვენა, რომ ადაპტაციური შესაძლებლობების უფრო ღრმა და მძიმე გარდაქმნები ხდება გახანგრძლივებული ფსიქოტრავმული ზემოქმედების დროს, როდესაც მძიმე სტრესული სიტუაციები ადამიანებზე გავლენას თვეების განმავლობაში ახდენს [8. 21-26].

მშვიდობიანი მოსახლეობის მორალური და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებების მომზადებისა და წარმართვის განუყოფელი ნაწილია და მისი მიზანია, როგორც მოსახლეობაში მაღალი დისციპლინისა და ორგანიზებულობის შენარჩუნება, ასევე სამოქალაქო მოსახლეობაში დანაშაულობების პრევენცია.

აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია სამხედრო ოპერაციების მიმდინარეობის ან ასეთი მდგომარეობის წარმოშობის საშიშროების არსებობის პირობებში.

მშვიდობიანი მოსახლეობის მორალური და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის ძირითადი ამოცანებია:

- სამხედრო ოპერაციების არეალში სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის შესწავლა და მოსახლეობის მორალურ-ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე მათი გავლენის შეფასება და პროგნოზირება;
- სამოქალაქო მოსახლეობისათვის სამხედრო ოპერაციების მიზეზებისა და სახელმძღვანელო მითითებების შესრულების აუცილებლობის ახსნა;
- მოსახლეობის დროულად ინფორმირება უმაღლესი სახელმწიფო და ადგილობრივი ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებების შესახებ;
- მოსახლეობის ფსიქოლოგიური სტაბილურობის უზრუნველყოფა, მათში ნებისყოფისა და გამძლეობის გრძნობების გაღვივება;
- არსებულ ვითარებაში მოსახლეობისათვის სოციალური და სამართლებრივი გარანტიებისა და ცხოვრების პირობების შექმნა-შენარჩუნება;

- არსებული ვითარების ფსიქოტრავმული ზემოქმედების დაძლევაში მოსახლეობისთვის ფსიქოლოგიური დახმარების გაწევა.

ზემოაღნიშნულ ამოცანათაგან, უპირველესი, რა თქმა უნდა, საინფორმაციო-პროპაგანდისტული სამუშაოების სწორად წარმათვაა და მათ პრაქტიკულ განხორციელებას სხვადასხვა ეტაპზე საკუთარი მახასიათებლები გააჩნია. ამიტომ მორალური და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სუბიექტები იყენებენ მუშაობის სხვადასხვა ფორმებსა და მეთოდებს.

საბრძოლო მოქმედებები არის არა მხოლოდ საომარი მოქმედებები და მანევრები, არამედ, უპირველეს ყოვლისა, სასტიკი დაპირისპირებაა მიზანმიმართულ, მოაზროვნე, მგრძნობიარე ადამიანებს შორის.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია, კარგად იქნას შესწავლილი:

- სიტუაციის ფსიქო-ტრავმული ფაქტორების მოქმედების ინტენსივობა;
- ფსიქოტრავმატიზაციის წყაროების აღმოფხვრისა ან ბლოკირების შესაძლებლობები;
- მოსახლეობის ფსიქიკური მდგომარეობის დიაგნოსტიკა და კორექტირება.

მხოლოდ ზემოთხსენებული ფაქტორების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის ქონის შემთხვევაში იქნება შესაძლებელი მოსახლეობის ფსიქოლოგიური მხარდაჭერა, მათი აქტივობის გაზრდა და დამატებითი სტიმულირება. ამასთან, მოსახლეობაში მასობრივი უარყოფითი ფსიქოლოგიური ზემოქმედების გამოსარიცხად, საჭიროა, როგორც მძიმე ფსიქიკური ტრავმის მქონე ადამიანთა ევაკუაცია სამედიცინო დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად, ასევე იმ მსხვერპლთა იზოლაცია, რომლებმაც განიცადეს დემორალიზაცია.

ამასთანავე, საომარი მოქმედებების პირობებში ფსიქოლოგების მთავარი ამოცანა, ვფიქრობთ, თავიდან უნდა იქნას არიდებული ადამიანების შეჩვევა არსებულ პირობებთან და მათი იმაში დარწმუნება, რომ აღნიშნული მდგომარეობა ადრე თუ გვიან დასრულდება და მათ საკუთარი თავის, ძალის, შინ დაბრუნებისა და ნათელი მომავლის იმედი არ უნდა დაკარგონ. მართალია, შესაძლოა ფსიქოლოგების ასეთ პოზიციას არაერთი მოქალაქის წინააღმდეგობა შეხვდეს, თუმცა, მიგვაჩნია, რომ თანამედროვე ფსიქოლოგიური მეთოდების მეშვეობით და ნაყოფიერის შრომის შედეგად, სავსებით შესაძლებელია. გარდა ამისა, გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ფართომასშტაბიანი გადაუდებელი შემთხვევების აღმოფხვრისას აუცილებელია გაგრძელდეს მუშაობა სამაშველო ცენტრების სამედიცინო ქვედანაყოფების, სამძებრო-სამაშველო ჯგუფების ორგანიზაციული და საკადრო სტრუქტურის გაუმჯობესებაზე, მათ პერსონალში ფსიქიატრებისა და ფსიქოლოგების დანერგვის შესაძლებლობის გათვალისწინებით. მომავალში კი სპეციალიზებული ფსიქოლოგიური და ფსიქიატრიული განმამტკიცებელი ჯგუფების შექმნა.

ვფიქრობთ, საომარი მოქმედებების მსვლელობის პირობებში ფსიქოლოგიური და ფსიქიატრიული დახმარების ორგანიზაციაში შემოთავაზებული ცვლილებები ხელს შეუწყობს დაშავებულთა და ფსიქოლოგიური და ფსიქიატრიული პროფილის მქონე პაციენტების შრომისუნარიანობის უსწრაფეს აღდგენას მოსახლეობაში; ასევე, მოსახლეობაში ფსიქოლოგიური და ფსიქიკური აშლილობის შემდგომი განვითარებისა და მათი ქრონიკულ ხასიათში გადასვლის პრევენციას.

**IOSEB SHURGAIA**
**NONA TSABADZE**

**MORAL AND PSYCHOLOGICAL PROVISION OF THE POPULATION IN THE CONDITIONS OF THE EMERGENCE OF THE STATE OF WAR**

Summary

During hostilities, the moral-psychological condition and stability of the local population is very important, since the spread of panic and stress among the population may cause difficulties for the execution of military operations.

In general, one of the comprehensive measures to prepare for hostilities is the preparation of the social environment in the mentioned territory, which is expressed as follows:

- Instilling goodwill and trust in the population towards the army of their country;
- Prohibition of uncontrolled contacts between military personnel and local population;
- Application of strict measures against military personnel, in case of violation of the legal rights of the local population, etc.

As for the local population, the psychological state of people caught between two fires and waiting for death every minute, of course, cannot be positive. On the contrary, they suffer from severe psychological stress, and this often takes a chronic and massive form.

The main tasks of moral and psychological support of the civilian population are:

- Studying the socio-political situation in the area of military operations and evaluating and predicting their influence on the moral-psychological situation of the population.
- Explaining to the civilian population the reasons for military operations and the need to follow guidelines;
- timely informing the population about the decisions of the higher state and local leadership;
- Ensuring the psychological stability of the population, instilling feelings of will and endurance in them;
- Creating and maintaining social and legal guarantees and living conditions for the population in the current situation;
- Providing psychological assistance to the population in overcoming the psychotraumatic impact of the current situation.

Of the above-mentioned tasks, the first one is, of course, the correct implementation of information-propaganda work, and their practical implementation has its own characteristics at different stages. Therefore, subjects of moral and psychological support use different forms and methods of work.

We think that the main task of psychologists in the conditions of hostilities should be to prevent people from getting used to the existing conditions and to convince them that the said situation will end sooner or later and they should not lose hope for themselves, strength, returning home and a bright future. It is true that such a position of psychologists may be met with opposition from many citizens, however, we believe that with the help of modern psychological methods and as a result of fruitful work, it is quite possible.

From this, it is very important to organize psychological and psychiatric assistance in the conditions of hostilities, which will contribute not only to the fastest recovery of the working

capacity of the injured and patients with a psychological-psychiatric profile, but also to the psychological and mental health of the population. Prevention of further development of disorders and their transition into chronic and massive character.

***Key words***: martial law, civilian population, stress, psychological disorder.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Селье Г., „Когда стресс не приносит горя", Неизвестные силы в нас. М., 1992. с. 103-158;
2. Китаев - Смык Л.А., „Психология стресса", М.: Наука, 1983. 368 с.
3. „Медицинская психология. Методические указания" // Автор-составитель Т. П. Пушкина. Новосибирск: Научно-учебный центр психологии НГУ, 1996. http://pedlib.rU/Books/1/0189/1_0189-1.shtml#book_page_top
4. Lazarus R.S., „From psychological stress to the emotions: A history of changing gutlooks", Annual Review of Psychology, 1993. Vol. 44. P. 1-21
5. Сукиасян С.Г., „Стресс и постстрессовые расстройства: личность и общество", Ер.: Асогик, 2003. 348 с.
6. Крепелин, Э., „Введение в психиатрическую клинику", М., 1923. с.71
7. Караяни А.Г., „Психологическое обеспечение боевых действий личного состава частей сухопутных войск в локальных военных конфликтах", М., 1998. 173 с.
8. Снедков Е.В., и др. „Медико-психологические последствия боевой психической травмы: клинико-динамические и лечебно-реабилитационные аспекты", Совр. психиатрия. 1998. №1. с. 21-26.

თამარ კობერიძე

# ქართული დამწერლობისა და კომუნიკაციის რეალიები

უძველესია ქართული დამწერლობა, რომელიც ძველი წელთაღრიცხვით VII-VI საუკუნეებში შეიქმნა. დიაოხი და კოლხა დამწერლობის გარეშე არ იქნებოდა. თუ ქართული ანბანი V საუკუნეში შეიქმნა, როგორღა შეიქმნა ამავე საუკუნეში ქართული პროზის საოცარი ნიმუში „შუშანიკის წამება“?

გრიგოლ ხანძთელის დროს საქართველოში ისწავლებოდა შვიდი მეცნიერება, ძველი საბერძნეთის მსგავსად. იმის დასადასტურებლად, რომ დავით აღმაშენებელი მეცნიერებს ეხმარებოდა, იოანე პეტრიწისა და არსენ იყალთოელის მაგალითიც საკმარისია.

დიდი წინამორბედები ჰყავდა შოთა რუსთველს ჩახრუხაძისა და შავთელის სახით. რუსეთველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიო ლიტერატურის ფილოსოფიურ პოემათა რიცხვს განეკუთვნება. ქაჯეთის ციხეში შექმნილი ნესტანისეული უსტარი ხომ წერითი კომუნიკაციის შესანიშნავი ნიმუში და განსწავლულობის უზენაესი გამოხატულებაა.

*საკვანძო სიტყვები: ფილოსოფია, ანბანი, ეკლესია, კომუნიკაცია.*

ქართული დამწერლობა ძალიან ძველია. დიდი მკვლევარისა და მამულიშვილის ივ. ჯავახიშვილის აზრით, იგი შეიქმნა ძველი წელთაღრიცხვის VII-VI საუკუნეებში. მაშინ არც არმაზული დამწერლობა იყო შექმნილი, არც ვირჯილიო კორბოს ბეთლემის გათხრების შედეგები; მარტო ნახმეტობა გაემეტობის შესწავლამ და ქართულმა ეპიგრაფიკამ აფიქრებინა დიდ მეცნიერს ეს. რაც დრო გადის და კვლევა-ძიება ტარდება, ქართული დამწერლობის ჩამოყალიბების ირგვლივ გამოთქმული აზრები ჯავახიშვილის ნააზრევს უახლოვდება: ალბათ, არც ეს იქნება ქვედა ზღვარი: დიაოხი და კოლხა დამწერლობის გარეშე არ უნდა დარჩენილიყვნენ! რა ვუყოთ, რომ ასე ძველი წარწერები ჯერ არა ჩანს. IV საუკუნესი ჩვენში ფასისის რიტორიკული სკოლის არსებობა ხომ ფაქტია [1. 238].

ანტიკურ ხანასა და საშუალო საუკუნეების მსოფლიოში სულ ხუთი აკადემია ყოფილა: ათენის, კოლხეთის, მანგანის, გელათისა და იყალთოს.

V საუკუნეში ჩვენ, ერთი მხრივ, იაკობ ცურტაველი გვყავს საქართველოში, ხოლო, მეორე მხრივ, იოანე ლაზი და პეტრე იბერი [2. 94-202] - პეტრე იბერის ნააზრევი ხომ საფუძველია ანტიკურობიდან საშუალო საუკუნეებზე გადასვლისა და ფუძემდებელი საშუალო საუკუნეების ევროპული ფილოსოფიისა.

V საუკუნეში თუ ქართული ანბანი შეიქმნა, იმავე საუკუნეში მშვენიერი მოთხრობა როგორღა დაიწერა? ეს იმას ნიშნავს, რომ პირველი კლასის მოსწავლემ „დათა თუთაშხია“ დაწეროს. თითქმის ყველა ქვეყნის ლიტერატურის ისტორია პოეზიით იწყება (საბერძნეთი, ეგვიპტე, ასურეთი, საფ-

რანგეთი, რუსეთი). მხოლოდ ქართული ლიტერატურის ისტორია იწყება პროზით. და ეს მაშინ, როცა ყველა ქართველი პოეტია და ყველა ქართველი პოეტი - ორგზის პოეტიო.... ამის მიზეზი ჯერჯერობით არ არის ახსნილი. ეს ჯერ კიდევ საკვლევი საკითხია. VII საუკუნეში, როგორც ჩანს, ქართულ ეკლესიას ავტოკეფალია ჰქონია, ვინაიდან კირიონ ეპისკოპოსი გრიგორიანულ ეკლესიასთან კამათში იღებს მონაწილეობას.

ჩანს, კოლხეთის რიტორიკული სკოლის კვალი მომდევნო საუკუნეებშიც არ გამქრალა. პირიქით, გაძლიერებულა კიდეც, მიუხედავად სპარსეთ-ბიზანტიის მეტოქეობისა საქართველოს დასაუფლებლად, მიუხედავად არაბთა შემოსევებისა და იმ კატაკლიზმებისა, რომლებიც საქართველოს თავს დაატყდა. მურმან ყრუს გამანადგურებელი შემოსევების შემდეგ - VIII საუკუნეში - გრიგოლ ხანძთელი გამოჩნდება. მის ნააზრევსა და, განსაკუთრებით, გიორგი მერჩულის ნააზრევში, როგორც ეს აღნიშნულია სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაში, სქოლასტიკის ელემენტები იჩენს თავს. მიუხედავად იმისა, რომ გრიგოლის აღმზრდელი ნერსე ერისთავი ხშირად არაბებისაგან დევნილი იყო და მისი ოჯახი, ისე, როგორც მთელი საქართველო, შევიწროვებული ყოფილა, იგი კარგი მგალობელი, ჰიმნოგრაფი, მჭევრმეტყველი (გაიხსენეთ კოლხეთის რიტორიკული სკოლა), ამავე დროს კარგი ფილოსოფოსი ყოფილა. გიორგი მერჩულე ნაწარმოებს ისე იწყებს, რომ გვაგრძნობინებს - ჭეშმარიტება ღვთისგან, ქრისტესაგან არის განსაზღვრულიო. ეს უკვე სქოლასტიკის დასაწყისია.

გრიგოლ ხანძთელის დროს საქართველოში ისწავლებოდა შვიდი მეცნიერება, ისე როგორც ძველ ანტიკურ საბერძნეთში. მეცნიერების ამ შვიდ დარგს შემდეგში, საშუალო საუკუნეებში, შვიდი ხელოვნება ეწოდა. ეს იყო: დიალექტიკა, არითმეტიკა, გეომეტრია, რიტორიკა, ლოგიკა, ასტრონომია, მუსიკა. ამ დარგებს ყველა სკოლასა და სასწავლებელში ასწავლიდნენ. აკადემიკოსმა ს. ყაუხჩიშვილმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ გრიგოლ ხანძთელს უფრო მეტი დარგი შეუსწავლია, ვიდრე ამას საშუალო სასწავლებელში გადიოდნენ. გრიგოლმა ფილოსოფიასთან ერთად კარგად შეისწავლა: ბერძნული, არაბული, სირიული ენები.

ს. ყაუხჩიშვილი წერს: „ერისთავ ნერსეს ოჯახში გრიგოლს შეუსწავლია:

1. დავითნი;
2. საეკლესიო გალობა;
3. ქართული დამწერლობა;
4. მწერლობა მრავალ უცხო ენაზე;
5. საღმრთო წერილი ზეპირად;
6. თანამედროვე ფილოსოფია (ამის სოფლისა ფილოსოფია);
7. საერო სილოსოფია (გარეშესა მას სიბრძნესა ჰზასრონ)“.

ს. ყაუხჩიშვილი სრულიად სამართლიანად ფიქრობს, რომ გრიგოლ ხანძთელს ორი ფილოსოფიური დისციპლინა, ორი-სამი უცხო ენა საშაულო სკოლაში არ უნდა ესწავლა. ეს მას მხოლოდ უმაღლესი განათლების მიღების დროს შეეძლო. გრიგოლი საეკლესიო ფილოსოფიაში (თეოლოგიაში), რასაც კარგს ნახავდა, გადმოიღებდა. მეორის შესახებ სწერია, რომ (გარეშესა მას სიბრძნესა) ხანძთელი კიცხავდა [3. 216].

ჩვენ გულდასმით ვაკვირდებით თხზულების სათანადო ადგილს, სადაც გრიგოლ ხანძთელის ფილოსოფიური განათლების შესახებ არის ლაპარაკი, თითოეულ სიტყვას ვიაზრებთ და ვრწმუნდებით: ეს იყო მოსამზადებელი პერიოდი ქართული ფილოსოფიის განვითარებისა. ამ ფილოსოფიამ უმაღლეს წერტილს კლასიკურ ხანაში მიაღწია ეფრემ მცირის, იოანე პეტრიწისა და არსენ იყალთოელის დროს.

ჯერ კიდევ XI საუკუნეში ეფრემმა გადმოთარგმნა იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისა“, ი. პეტრიწმა - ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“. უკანასკნელ დროს

სამართლიანად ფიქრობენ, რომ იოანე დამასკელი და მაქსიმე აღმსარებელი ქართველები უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ უცხოეთში მოღვაწეობდნენ და ბერძნულ ენაზე წერდნენ, როგორ პეტრე იბერი.

ცამეტის სირიელი მამიდან, რომელთა საქართველოში მოსვლის შესახებ საკმაოდ დიდძალი ლიტერატურა არსებობს, ნახევარი მაინც ქართველი ან ყველა ჩვენებური უნდა ყოფილიყო. როდესაც მათ სირიაში მონოფიზიტობისათვის დევნა განიცადეს, სამშობლოს მოაშურეს. დაწვრილებით თუ გავიაზრებთ მონოფიზიტობა-დიოფიზიტობის არსს, ვრწმუნდებით XII საუკუნეში ორი დიდი ფილოსოფოსი გვყოლია: არსენ იყალთოელი და იოანე პეტრიწონელი.

როგორც აკადემიკოსი შ. ნუცუბიძე წერს, პირველი კონსერვატიულ ბანაკს ედგა სათავეში, მეორე მოსვლის შესახებ პროგრესულ-პანთეისტურ-მატერიალისტურს. იოანე პეტრიწმა ჯერ მანგანში მიღვაწა, როგორც მიქაელ ფსელოსისა და იოანე ვიტალოსის მოწაფემ, შემდეგ ბაჩკოვო-პეტრიწონში, აქედან კი დავით აღმაშენებელმა გელათში მოიწვია. მან თარგმნა ნეოპლატონიკოს პროკლე დიადოხოსის „კავშირმი ღმრთისმეტყველებითნი" და ტექსტზე ორჯერ ვრცელი კომენტარი დაურთო.

მეტად საინტერესოა ცნობა, რომ პეტრიწს დიდად ეხმარებოდა დავით აღმაშენებელი. მან მოაზროვნეს მუშაობის ყოველგვარი პირობები შეუქმნა; მაგრამ იოანეს ყოველთვის როდი ჰქონია მუშაობის კარგი პირობები. ერთგან ის წერს - „დაღათაცუ შეწევნა და თანადგომა მქონიეს" ეგების კიდეც „მეარისტოტელურა"-ო.

პეტრიწს მიეწერება შრომები გრამატიკაში, მედიცინაში, ისტორიაში და სხვ.

პეტრე იბერმა დიდი გავლენა მოახდინა იოანე პეტრიწზე, ხოლო ამ უკანასკნელის ზოგი ნააზრევი რუსთველმა გამოიყენა საკუთარი ორიგინალური ფილოსოფიური მსოფლმხედველობის შესაქმნელად.

პეტრიწმა შესანიშნავად იცოდა ბერძნული ენა და ამ ცოდნას მის ქართულზეც კი მოუხდენია გავლენა.

არსენი, ძირითადად, იყალთოში დამკვიდრებულა, ხოლო იოანეს გელათში უმოღვაწია. თუმცა დავითის ეპიტაფია „როს ნაჭარმაგევს მეფენი" არსენს ეკუთვნის და გელათშია შექმნილი.

ქართული სახელმწიფოებრიობის „ოქროს ხანაში" საქართველო წინა აზიის უძლიერესი სახელმწიფო შეიქნა. სახელმწიფოს ფულადი შემოსავალი ოქროთი სჭარბობდა ამ დროს ინგლისისა და საფრანგეთის შემოსავალს, ერთად აღებულს. ამ დროს მეცნიერება, ფილოსოფია და ლიტერატურა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ბედნიერ შერწყმას წარმოადგენდა. ეს ის დრო იყო, მოწინააღმდეგეთა ტყვედ ჩავარდნილი კადნიერი უფლისწულები საქართველოში ერთი ცხენის ფასად რომ იყიდებოდა.

როცა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი თავისი შექების ობიექტს ალექსანდრე მაკედონელს ადარებდა და უპირატესობასაც კი აძლევდა: „არა დიდ იყავ აქილეს იმდენად, რამდენად დიდი იყო მქებელი შენი ჰომეროსიო!" - თითქოს ასე შესძახა მაკედონელმა აქილევსის საფლავსო, - ამბობს ისტორიკოსი, ხოლო დავითი ამ მაკედონელზე უკეთესიც კი იყოვო.

ანგარიშგასაწევი და საქებარია წინამორბედი რუსთველისა - ჩახრუხაძე. 20-მარცვლიანი ლექსის საერთო სახელად ჩახრუხაული იქნა იმთავითვე აღიარებული. ხომ არ არის ჩახრუხაძე „შეფარვით" მოხსენიებული რუსთველის მიერ 771-ე სტროფში, რომელიც ერთადერთი 20-მარცვლიანია შაირით გაწყობილ პოემაში და გამომწვევად გამოირჩევა („შეკრა წითელი ასი ათასი...")?

ჩახრუხაძე დიდებულ თამარს მიუძღვნის ქებას, მაგრამო, ამბობს ის, ვინ შეძლოს ღირსეულად თამარის შექება?

შედარებით ფართოდ შეიძლება საუბარი პლატონზე. პლატონიზმსა და ნეოპლატონიზმზე: საბა პრბელიანის ცნობებს პლატონზე, ნეოპლატონიზმსა და პლატონურ სიყვარულზე დიდი მნიშვნელობა აქვს.

ე.წ. „აბდულმესია", რომელიც აქამდე ი. შავთელისა ეგონათ და ამ ბოლო დროს კი გაირკვა, რომ არის იაკობ დუმბაძის „ქება მეფისა არჩილისა" და დაწერილია 1661 წელს [4. 145-146] ქრისტიანული ტრიადის გადმოცემით იწყება: „სამებით ღმერთმან, არსებით ერთმან, მომცეს მე სწავლა თქვენდა შემკობად".

სქოლასტიკის ეს საკითხი უძნელესი და უბუნდოვანესია: მამა ღმერთი ასე თუ ისე გასაგებია, მაგრამ, თუ რა არის ან ვინ არის სულიწმინდა - ეს თომა აქვინელსაც არ ესმოდა კარგად. ამიტომ, ყოველივე ეს გასაგები რომ იყოს, ემანაცის რთული თეორიის განხილვა დაგვჭირდება. ეს ქრისტეს დედაა, ანუ ღვთისმშობელი მარიამი. სულიწმინდის საბასეული განმარტებაც ცოტა ბუნდოვანია. „დამბადებელი ამათ ყოველთა, პირველ ნათელი და მიუწვდომელი" [5. 116].

ვერც ამით მივწვდებით უკანასკნელი ინსტანციის შეუვალ კარებს.

შემდეგ ავტორი საბერძნეთსა და რომს იხსენებს, სოკრატეს განსწავლულობას იყენებს შედარებისათვის. აქ ყველაფერი გარკვეულია: საჭიროა ელინისტურ ხანაზე ყურადღების გადატანა, რასაც მრავალგზის შევხვედრივართ ისტორიასა და ლიტერატურაში.

შედარებით დაწვრილებით ვჩერდებით სოკრატეზე, მის პატრიოტიზმსა და შეფერილ დემოკრატიზმზე, არტისტულ არისტოკრატიზმსა და სოფისტურ დავაზე; ვადასტურებთ, რომ ეს იყო პლატონის მასწავლებელი, თანდაყოლილი იდეების პირველი მომგონი, რომელიც გამარჯვებულმა დემოკრატებმა სიკვდილით დასაჯეს.

ნიშანდობლივია, რომ აქ ძირითადი ფილოსოფია კი არ არის, არამედ თვითონ გვიპყრობს და გვიტაცებს. ამის მაგალითია, თუნდაც, ერთი სტროფი: „შენ გონიერო, გულისხმიერო, თვით მეცნიერო, მეფევ ძლიერო, მიუხდომელო, მიუწვდომელო, მიუთხრობელო, წრფელსახიერო, განათლებულო, გალომებულო, კვლავ გოლიათო, გულლმობიერო". აქ პოეტის მიერ გამოკვეთილია ორი პროცესი - მოვლენები და ვერბალური - ანუ ქცევისმიერი და სიტყვისმიერი [6. 77].

ჯერჯერობით არ არის დაწერილი წიგნი „რუსთველის ფილოსოფია".

სამწუხაროდ, მისი დაწერა ვერ მოასწრო მოსე გოგიბერიძემ, ვერც შალვა ნუცუბიძემ. როდესაც ვიწყებთ პოემის შესავალს და ვკითხულობთ: „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი". აქ იგულისხმება სიბრძნე, ანუ ფილოსოფია.

სადავო არაა, რომ ლიტერატურული ნაწარმოები არ არის ფილოსოფიური ტრაქტატი. ეს, ასევე, აიხსნება კომუნიკაციური გაგების ზოგადი თეორიიდან გამომდინარე.

რუსთველის პოემა არ არის არც პარმენიდეს, არც ლუკრეციუსის და, მით უმეტეს, გოეთეს „ფაუსტის" მსგავსი რამ. რუსთველის ქმნილება არ არის ფილოსოფიური პოემა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით - თემატურად, მაგრამ „იფი ეკუთვნის მსოფლიო ლიტერატურის ფილოსოფიურ პოემათა რიცხვს" [7. 79], რადგან აგებულია გარკვეულ მსოფლმხედველობაზე. მას საფუძვლად უდევს ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების იდეა და ფილოსოფიური მოძღვრება პეტრე იბერის ნეოპლატონიზმისა. ეს იდეა თვალში კი არა ეჩხირება მკითხველს.

ჰეგელი იტყოდა: „სული აქა-იქ ბრწყინავს ბუნებაშიო". ფილოსოფიური დებადი ზოგან და ზოგან გაიელვებს პოემაში [8. 393].

აქვე უნდა გავიხსენო, რომ თანამედროვე ნარატოლოგია ხომ მხატვრული ტექსტის კომუნიკაციურ გაგებას ემყარება. მიუხედავად იმისა, რომ რუსთაველი არ მიმართავს რიცხვთა დანტესებურ კაბალისტიკას

ბოროტის დამარცხებისა და სიკეთის გამარჯვების გზაზე, პოემაში მაინც შეინიშნება თავისებური ტრიადა: პოემის დასაწყისში, ქალთა თანასწორობის ქადაგება: 1) „ლეკვი ლომისა სწორია“ (ეს კაცობრიობის ნახევრის განთავისუფლებას ნიშნავდა); 2) პოემის შუაგულში „ათავისუფლე მონები“ და 3) ბოლოს თავისებური უტოპიზმი: „ყოვლთა სწორთა წყალობასა, ვითა თოვლსა მოათოვდეს. ობოლ-ქვრივი დაამდიდრეს და გლახაკნი არ ითხოდეს“.

პოემაში უდავოდ არის რაღაც ტრიადა - ჰიმნი ადამიანის თავისუფლებისა და ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვებისა.

გვერდს ვუვლით რა რუსთველის კოსმოგონიასა და სამყაროს ღვთისაგან წარმომავლობის თეზას. სამყაროს სიმრავლის ცნების ახსნას, შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ: რუსთველს პოეზია ფილოსოფიის დარგად მიაჩნია. არ არის გამორიცხული, რომ ის ამ შემთხვევაში არისტოტელეს აზრს ეყრდნობოდა პოეზიის მეტი ფილოსოფიურობის შესახებ.

საერთოდ, ქართულმა ნეოპლატონიზმა პლატონ-არისტოტელეს შერიგების საკითხი ყველაზე ადრე წამოაყენა მსოფლიოში ი. პეტრიწის საკითხის სახით.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ნარატოლოგია ხომ მხატვრული ტექსტის კომუნიკაციურ გაგებას ემყარება. ქაჯეთის ციხეში შექმნილი ნესტანისეული უსტარი საგანგებო გონებრივი წრთვნის უტყუარი მაგალითია. ყოველივე ზემოხსენებული კი წერითი მეტყველების ანუ კომუნიკაციის (ვერბალური კომუნიკაციის) უმაღლესი ფორმაა, პიროვნების განსწავლულობის უზენაესი გამოვლინებაა.

„რუსთველის მსოფლმხედველობის ფილოსოფიურ საწყისს ქართული ნეოპლატონიზმი წარმოადგენს“ [7. 79], მაგრამ ნეოპლატონიზმი მხოლოდ მისტიკურ და რეაქციულ მოძღვრებად იყო აღიარებული. აკად. შ. ნუცუბიძე პირველი იყო, რომელმაც დაამტკიცა, რომ ნეოპლატონიზმი შეიცავს პროგრესულ დებადს, კერძოდ, ესაა ყველა საგნის ღმერთში დაბრუნების იდეა, რომელსაც პროკლე და პეტრე იბერი ავითარებდნენ.

**<u>TAMAR KOBERIDZE</u>**

**RELATIES OF GEORGIAN WRITING AND THE COMMUNICATION**

Summary

Georgian script is ancient. It was created in the centuries BC and already in the V century A.D., a prose masterpriece „The Martyrdom of Saint Shushanik'' was written. This era is considered as the epoch of notable appearance of Georgian intellectuals: having Tsurtaveli in Georgia, Ioane Lazi and Pepre Iberi raising fame in Maiyum , by that time, Phazisi Retoryc School already operating more than a century, where the foreigners along with the Georgians mastered oratorical art, and thus, the art of Georgian oprators (Partadze and Aieti in the V century, Grigol Khantsteli in the VIII century, Chakhrukhadze and Rustaveli in the XII century) of old ages does not astonish us. In the VIII century there were taught seven subjects, though Khantsteli learned much more. In the XII century there wera a ot of Georgian philosophers (Ikaltoeli, Petrirsoneli).

Despire of difficult quastions reised, our representatives of bellesletters and philosophic literature gave been constantly cared for the promotion of the word as the pupoce of communication. Rustabeli's poem can nserve as the foremost of this, where the form and scholastism never oversgadw the repuirements of general theory of communicative function.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 10, თბ., 1986.
2. ქართული მწერლობა, I, გამომცემლობა „განათლება, თბ., 1984.
3. ქართული პროზა, I, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1982.
4. დარჩია ბ., „იაკობ შემოქმედელი“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2009.
5. სულხან-საბა ორბელიანი, „ლექსიკონი ქართული“, II, თბ., 1993.
6. ჯაგოდნიშვილი თ., ჯაგოდნიშვილი ივ., „ვერბალური კომუნიკაცია“, თბ., 2009.
7. ნუცუბიძე შ., „ქართული ფილოსოფიის ისტორია“, ტ. II, თბ., 1958.
8. ჯაგოდნიშვილი თ., „ისევ სუნთქავენ ქართულ ოცნებით მესხეთის მთებზე დიდი ტაძრები“, თბ., 2016.

✍ კახა ტაბატაძე
*წარმოადგინა პროფ.* ***ზურაბ კვეტენაძემ***

# ევროპის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა და საერთაშორისო უსაფრთხოების თავისებურებები

საერთაშორისო უსაფრთხოების ქვეშ მოიაზრება „საერთაშორისო ურთიერთობების მდგომარეობა, რომელიც განვითარების სტაბილურობას, საერთაშორისო თანამეგობრობის ყველა სუბიექტთა სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს". ამასთან „საერთაშორისო უსაფრთხოების" ცნება ჯერ კიდევ გაეროს წესდებაში იყო ჩამოყალიბებული, სადაც გაეროს ერთ-ერთი მიზანია განსაზღვრული: „საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება და ამ მიზნით ეფექტიანი კოლექტიური ზომების მიღება მშვიდობისთვის საფრთხის თავიდან ასაცილებლად და აღმოსაფხვრელად".

ევროპაში აშშ-ს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა ძირითადად მიმართულია რუსეთისაგან მომავალი საფრთხის გასანეიტრალებლად, თუმცა ოფიციალურად აშშ აცხადებს, რომ ეს სისტემები ტერორისტული საფრთხის წინააღმდეგაა მიმართული. ამიტომაც ევროპის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემა უნდა მოვიაზროთ გლობალური უსაფრთხოების კონტექსტში.

***საკვანძო სიტყვები:*** *საერთაშორისო უსაფრთხოება, თავდაცვა, სტაბილურობა, ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია.*

საერთაშორისო უსაფრთხოების ქვეშ მოიაზრება „საერთაშორისო ურთიერთობების მდგომარეობა, რომელიც განვითარების სტაბილურობას, საერთაშორისო თანამეგობრობის ყველა სუბიექტთა სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს" [1. 356].

ამასთან „საერთაშორისო უსაფრთხოების" ცნება ჯერ კიდევ გაეროს წესდებაში იყო ჩამოყალიბებული, სადაც გაეროს ერთ-ერთი მიზანია განსაზღვრული: „საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება და ამ მიზნით ეფექტიანი კოლექტიური ზომების მიღება მშვიდობისთვის საფრთხის თავიდან ასაცილებლად და აღმოსაფხვრელად და აგრესიის აქტების თუ მშვიდობის სხვა დარღვევების ჩასახშობად და მშვიდობიანი საშუალებებით, სამართლიანობისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების თანახმად, იმ საერთაშორისო დავებისა ან სიტუაციების მოგვარება და დარეგულირება, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ მშვიდობის დარღვევა" [2].

ჩვეულებრივ საერთაშორისო უსაფრთხოების სამ ძირითად დონეს ან სახეობას გამოყოფენ: გლობალური, რეგიონული და ეროვნული [3. 48-56].

ნაშრომში ჩვენ ამოვდივართ იმ გაგებიდან, რომ ეროვნული უსაფრთხოების შემადგენელები (პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, ეკოლოგიური, საინფორმაციო უსაფრთხოება, ერის კულტურული განვითარების უსაფრთხოება) შეიძლება სა-

ერთაშორისო უსაფრთხოების თითოეულ დონეზე იქნეს განხილული [1. 356-357].

უდავოა, რომ ერთ-ს პროგრამა გავლენას ახდენს საერთაშორისო უსაფრთხოებაზე. მითუმეტეს დღეს, როდესაც რუსეთმა 2022 წლის 24 თებერვალს უკრაინის წინააღმდეგ დაიწყო აპაროვოცირებული ომი, რითაც აღნიშნული თემის აქტუალურობა ერთიორად გაიზარდა და ჩვენი ჰიპოთეზის დამაჯერებლობამაც სხვაგვარი მასშტაბი შეიძინა, რომლის თანახმადაც ერთ-ს სისტემა ნამდვილად იყო რუსეთის წინააღმდეგ მიმართული, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ „მშვიდობიან" რუსეთს ვინმე უპირებდა თავდასხმას, არამედ იმიტომ, რომ აშშ-მ და ნაწილობრივ დასავლეთმაც კარგად იცოდა, რომ რუსეთიდან ნამდვილად იყო რეალური საფრთხე მოსალოდნელი.

მოცემული პრობლემა ვფიქრობთ რუსეთ-აშშ-ს ურთიერთობების, რუსეთისა და ნატოს და მთლიანობაში, საერთაშორისო უსაფრთხოების კონტექტში უნდა განიხილებოდეს. მოსკოვისა და ვაშინგტონის ურთიერთობებში ერთ-ს სისტემა ალბათ ერთ-ერთი ყველაზე მთავარი უთანხმოებაა [4. 227].

„2020 წლამდე რუსეთის ფედერაციის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში" განსაზღვრულია რუსეთისთვის „ეროვნული უსაფრთხოების" ცნების [5] შინაარსი და რუსეთის სამხედრო უშიშროების საფრთხეები, რომელთა შორის გამოყოფილია ასევე „ცალმხრივად რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვისა და სახმელეთო კოსმოსური სივრცის მილიტარიზაციის გლობალური სისტემის ფორმირება" [5].

ერთ-ს პრობლემა არა მარტო რუსეთის ან დასავლური ეროვნულ უსაფრთხოებაზე ახდენს გავლენას, არამედ საერთაშორისო უსაფრთხოების მთელ სისტემაზეც, ვინაიდან ამჟამინდელი რეალიების გათვალისწინებით, რუსეთი აშკარად ემზადება საპასუხო ზომები. ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსეთი და აშშ ბირთვული სახელმწიფოებია, ამიტომაც ერთ-ს გავლენა რუსეთის ეროვნულ უსაფრთხოებაზე ასევე საერთაშორისო უსაფრთხოების გლობალურ, რეგიონულ და ეროვნულ დონეებზე გავლენასაც ნიშნავს. ერთ-ს მხრიდან რუსი ანალიტიკოსების აზრით, რუსეთისათვის საფრთხის შესაძლებლობა საერთაშორისო უსაფრთხოების შერყევას გამოიწვევს, ვინაიდან ადგილი აქვს ძალთა დისბალანსს ბირთვულ სახელმწიფოებს შორის. რაც შეეხება რეგიონულ უსაფრთხოებას, აქ უადგილო არ იქნება შევნიშნოთ, რომ აშშ-ს გლობალური რთს-ს ევროპული სეგმენტის გაშლაში ნატოს ქვეყნები მონაწილეობენ. გამოდის, რომ აშშ-ს გარდა მთელი რეგიონი – ევროპაა ჩაბმული ამაში (იგულისხმება ნატოს ევროპული წევრები და თურქეთი).

ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად გვესახება, საერთაშორისო უსაფრთხოებაზე ერთ-ს გავლენის შეფასებისას პირველ რიგში ამოვიდეთ იქედან, თუ როგორ უყურებს ამას დღეს რუსეთი [6].

ამჟამად ეეამ (ევროპული ეტაპობრივი ადაპტიური მიდგომა) აშშ-ს ისეთი დოკუმენტით რეგულირდება, როგორიცაა, მაგალითად, „აშშ-ს თავდაცვის სამინისტროს მიმოხილვითი მოხსენება რთს-ს პროგრამის შესახებ", და ასევე აშშ-ს რთს-ს სპეციალური სამმართველოს მიერ. რთს სისტემა ასევე ნახსენებია 2014წ. თავდაცვითი პოლიტიკის ოთხწლიან მიმოხილვაში. რაც შეეხება ნატოს დოკუმენტებს, რთს-ს პრობლემა შუქდება „უმაღლესი დონის ლისაბონის შეხვედრის შედეგების დეკლარაციაში" და „შეკავებისა და თავდაცვის მიმოხილვაში", რომელიც დამტკიცებულ იქნა 2012 წ. მაისის ბოლოს ჩიკაგოში გამართულ ნატოს სამიტზე. „უმაღლესი დონის ლისაბონის შეხვედრის შედეგების დეკლარაციაში" მიესალმებიან ეეამ-ს როგორც „ნატოს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სტრუქტურაში შეტანილ ფასეულ ეროვნულ წვლილს, ნატოს

წევრი-სახელმწიფოების სხვა შესაძლო ნებაყოფლობითი წვლილის თანაბრად“ [7] და ამ მიზნით ნატო გეგმავს თავისი რთს-ს მეშვეობით სამხედრო ქმედებათა თეატრის გაფართოებას ევროპაში მთელი მოსახლეობის, ტერიტორიებისა და ნატოს წევრ-სახელმწიფოთა სრული საფარველისა და დაცვის უზრუნველსაყოფად.

ამრიგად, ხაზგასმულია, რომ „რთს სისტემა კომპლექსური თავდაცვითი სტრატეგიის განუყოფელი ნაწილი გახდება“ [7]. მაგრამ დეკლარაციაში ნატო გამოხატავდა მზადყოფნას მოეწვია რუსეთი რთს სისტემების პოტენციური შესაძლებლობების ერთობლივი შესწავლისთვის [7].

ასევე 2012 წ. მაისის ბოლოს ჩიკაგოში გამართულ ნატოს სამიტზე დამტკიცებულ იქნა ახალი სამხედრო-სტრატეგიული დოკუმენტი „შეკავებისა და თავდაცვის მიმოხილვა“, რომელშიც გამოცხადებულია, რომ „რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა ჩრდილოეთ ატლანტიკური კავშირის თავდაცვის საერთო აგებულების განუყოფელი ნაწილი გახდება, კიდევ უფრო განამტკიცებს ტრანსატლანტიკურ კავშირს და ხელს შეუწყობს ჩრდილოეთ ატლანტიკური კავშირის განუყოფელ უსაფრთხოებას“ [8].

ამავე მიმოხილვაში მოყვანილია ფორმულირება ნატოს ახალი სტრატეგიული ტრიადის შესახებ [9. 30].

არსებობს რიგი საერთაშორისო ხელშეკრულებისა, რომლებიც შეადგენენ ბირთვული და სარაკეტო იარაღის გაუვრცელებლობის საერთაშორისო რეჟიმებს. აშშ-ს ქმედებებმა შეიძლება ამ რეჟიმების ძირითადი დებულებების დარღვევამდე მიიყვანონ. ასე მაგალითად, ამჟამად აშშ არ გეგმავს თავისი რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის აღჭურვას ბირთვული იარაღით, მაგრამ მომავალში თუ მსგავსი რამ მოხდა, ეს ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულების 1-ლი მუხლის დარღვევის მანიშნებელი იქნება [10].

თუ „ბირთვული ხუთეულის“ ქვეყნებს გაუვრცელებლობის პოლიტიკის ინიციატორთა სახით განვიხილავთ, ასეთ შემთხვევაში რეჟიმთა პერსპექტივები მათზეა დამოკიდებული. სახელმწიფოებს, კერძოდ, აშშ-ს, თუ ისინი თავის თავს ამ სფეროში წამყვანი მოთამაშის სახით განიხილავენ, უპრიანი იქნებოდა ბიგხ-ის (ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების) წევრთა წინააღმდეგ ბირთვული იარაღის არგამოყენების გარანტიები მიეცათ. რეჟიმების შენარჩუნების მიზნით არ უნდა ჰქონდეს ადგილი აშშ-ს ორმაგი სტანდარტების პოლიტიკას, (ასე მოიხსენიებენ მას რუსი ანალიტიკოსები) უნდა იყოს მკაფიო და გამჭვირვალე პოლიტიკა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის საკითხში.

გარდა ამისა, აშშ არ უჭერს მხარს საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევას, რომელიც საერთაშორისო არენაზე უსაფრთხოების დონის ამაღლებაზეა მიმართული. ჯერაც ვაშინგტონმა არ მოახდინა ბირთვული ცდების ყოვლისმომცველი აკრძალვის შესახებ ხელშეკრულების რატიფიცირება. სწორედ ეს ხელშეკრულება შეაჩერა რუსეთმა ახლახავ 2023 წლის თებერვალში. ამრიგად, ხელშეკრულების რატიფიცირების არარსებობა არ უკრძალავს აშშ-ს მომავალში ბირთვული ცდების გატარებას, რათა თავის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემაზე დააყენოს ბირთვული საბრძოლო ქობინები.

ასევე აშშ, რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის აზრით, თანამიმდევრულად არღვევს საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის ხელშეკრულებას (ხელშეკრულება სნსრ-ს შესახებ), რომელიც დადებულ იქნა 1987 წ. და სთშ-ს (სტრატეგიული თავდაცვითი შეიარაღების) ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილ იქნა 2010 წ. 8 აპრილს. ასე მაგალითად, სნსრ-ს შესახებ ხელშეკრულების უხეშ დარღვევად მიიჩნევს რუსეთი აშშ-ს მიერ საშუალო და ნაკლები სიშორის სამიზნე-რაკეტე-

ბის შემუშავების ფაქტები ერთ-ს და აშშ-ს გლობალური რთს გამოცდის მიზნით [11].

რაც შეეხება საერთაშორისო თავდაცვის შესახებ ხელშეკრულებას, ვაშინგტონი არღვევს ხელშეკრულების XIII მუხლს, რისი არსი მდგომარეობს ბირთვულ არეში დიდ ბრიტანეთთან თანამშრომლობაში, რომელიც არ იყო გაცხადებული ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისთვის [11].

აღსანიშნავია ისიც, რომ რთს სარაკეტო-ბირთვული იერიშებისგან დაცვას გულისხმობს, ესე იგი აშშ-ს შეუძლია პირველი ბირთვული დარტყმა მიაყენოს, ხოლო საპასუხო დარტყმისგან სარაკეტო-ბირთვული ფარის საშუალებით დაიცვას თავი. მაშინ ცხადი ხდება, რომ ბირთვული და სარაკეტო გაუვრცელებლობის ნებისმიერ რეჟიმზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. და კვლავაც ჩნდება ეჭვი, სჭირდება რა შეერთებულ შტატებს, როგორც რთს-ს გლობალური სისტემის ინიციატორებს, ეს რეჟიმები.

ამავე დროს, აშშ-ს მიერ თავისი რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის გაშლა რთს-ს შესახებ ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს. ამჟამად არ არსებობს ისეთი საერთაშორისო დოკუმენტები, რომლებიც აკონტროლებს რთს-ს სისტემების შექმნას. ამრიგად, შეიძლება ამ საკითხში საერთაშორისო სამართლის დაუხვეწელობის ფაქტის კონსტატირება, რაც უფრო მაღალ დონეზე და მონაწილეთა მეტი ოდენობით ხელშეკრულების დადებას მოითხოვს [12].

როგორც აღნიშნული იყო ჩვენს პირველ კოლოქვიუმში, ბ. ობამას მიერ რთს-ს ახალი კონცეფციის საჯაროდ გამოცხადების მომენტიდან რთს-ს გაშლა რუსეთის მონაწილეობის გარეშე მიმდინარეობს. ერთ-ს სფეროში აშშ-სა და ნატოს უცვლელი პოზიციის შენარჩუნებისას მხარეები შეიძლება სწორედ იმ „წითელ ხაზს" მიუახლოვდნენ, როდესაც ერთ-ს სფეროში რაიმე თანამშრომლობაზე მოლაპარაკებათა გაგრძელებას აზრი აღარ ექნება. 2013 წ. 23 ოქტომბერს, რუსეთი-ნატოს საბჭოს სხდომაზე მხარეებმა კვლავ ვერ მოახერხეს თანხმობის მიღწევა ეემ-ის საკითხის გადაწყვეტაში [13].

მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით, 2013 წ. 31 ოქტომბერს რუსეთის პრეზიდენტმა ვ. პუტინმა თავისი ბრძანებულებით ოფიციალურად გააუქმა რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან არსებული რთს-ს სფეროში ჩრდილოეთ ატლანტიკურ ალიანსთან ურთიერთქმედების უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი [14].

მართალია, ეს ჯგუფი არ იყო საბოლოოდ გაუქმებული, არამედ გადაფორმატირებულ იქნა, მაგრამ 2014 წ. 17 იანვარს ჩატარებულ მის პირველ სხდომაზე კვლავაც იყო აღნიშნული, რომ რუსეთი-ნატოს საბჭოში განხილვისას მოცემულ საკითხში პროგრესი არ იყო მიღწეული [15].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, რუსული ხედვით, საერთაშორისო უსაფრთხოებაზე ერთ-ს საფრთხის გავლენის დროული შეფასება შეიძლება იყოს რუსეთის ფედერაციისა და მისი მოკავშირეების ერთ-ერთი უმნიშნელოვანესი ამოცანა.

არსებობს საერთაშორისო უსაფრთხოების მდგომარეობის გაანგარიშების მრავალი მეთოდი. მოცემულ კვლევაში შემოთავაზებულია საფუძვლის სახით აღებულ იქნას საერთაშორისო უსაფრთხოების ინდექსის iSi გაანგარიშების განზოგადებული მეთოდიკის აღება, რომელიც რუსეთის პოლიტიკური კვლევების ცენტრის (რპკ-ცენტრის) მიერ არის შემუშავებული [16].

ამ მეთოდის თანახმად, iSi-ს შექმნის პირველი ეტაპია საერთაშორისო უსაფრთხოებაზე გავლენის მქონე ფაქტორთა გამოვლენა და კლასიფიკაცია. ფაქტორის ქვეშ მოიაზრება „რომელიმე პროცესის, მოვლენის მიზეზი, მამოძრავებელი ძალა, რომელიც მის ხასიათს ან მის ცალკეულ ნიშნებს განსაზღვრავს" [17. 128].

მოცემულ შემთხვევაში ფაქტორის ქვეშ მოიაზრება სამხედრო, ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა პროცესების მამოძრავებელი ძალა, რომელიც გავლენას ახდენს სამხედრო, ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა სახის საქმიანობის შედეგზე.

iSi მეთოდიკის თანახმად, არსებობს 5 ჯგუფის ფაქტორები: სამხედრო, პოლიტიკური, ტერორიზმი, ტექნოგენური, ბუნებრივი და ეკონომიკური. თითოეულ ჯგუფში გამოყოფილია გლობალური, რეგიონული და ლოკალური დონეები. სწორედ აქედან ჩანს ნათლად, თუ როგორ მნიპულირებს რუსეთი ამ თემითაც, თუმცა ჩვენ იმას არ უარვყოფთ, რომ ევროპის რთს ნამდვილად რუსეთის განეიტრალებას ისახავს მიზნად, მაგრამ რუსეთის პოზიციიდან ჩვენი პოზიცია იმითაც განსხვავდება, რომ რუსეთი არსად არ ეხება იმ საკითხს, ცდილობდა თუ არა ის დასავლეთის ნამდვილი პარტნიორი გამხდარიყო. არა, მან მიზნად დაისახა კვლავ შეუდგეს „იმპერიათმშენებლობის“ პროცესს, როგორც ამას რუსი გეოპოლიტიკოსი, ალექსანდრე დუგინი უსვამს ხაზს. შესაბამისად, დასავლეთმა, განსაკუთრებით აშშ-ს მეთაურობით დაიწყო შესაბამისი ზომების მიღება.

მოცემული ფაქტორები შეიძლება საფუძვლად დაედოს ერთ-ს არეში რუსეთ-ამერიკის ურთიერთობებში სიტუაციის განვითარების პროგნოზირებას და საერთაშორისო უსაფრთხოების მდგომარეობის გაანგარიშების მეთოდის გამოყენებას. წინამდებარე ნაშრომის მიზნებისთვის რპკ-ცენტრის ექსპერტთა მიერ შემოთავაზებული უსაფრთხოების ფაქტორები დამუშავებული იქნა ერთ-ს გაშლის პრობლემის კუთხით [18].

ამ შემთხვევაში უსაფრთხოების ფაქტორთა ქვეშ ჩვენ „საფრთხეებს“ გავიგებთ. ამასთან, „უსაფრთხოების შესახებ“ რუსეთის კანონის თანახმად, „უსაფრთხოება – შიდა და გარე საფრთხეებისგან პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების დაცულობის მდგომარეობაა“ [19].

„2020 წლამდე რუსეთის ფედერაციის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიიდან“ გამომდინარე, ეროვნული უსაფრთხოების საფრთხე – ესაა „რუსეთის ფედერაციის მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებებისთვის, ცხოვრების ღირსეული ხარისხისა და დონისთვის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის, მდგრადი განვითარებისთვის, სახელმწიფოს თავდაცვისა და უსაფრთხოებისათვის ზიანის მიყენების პირდაპირი ან ირიბი შესაძლებლობა“ [20].

რუსეთის სამხედრო დოქტრინის თანახმად, „სამხედრო საფრთხე – სახელმწიფოთაშორისი ან შიდასახელმწიფოებრივი ურთიერთობების მდგომარეობაა, რომელიც მოწინააღმდეგე მხარეებს შორის სამხედრო კონფლიქტის წარმოშობის რეალური შესაძლებლობით, სამხედრო ძალის გამოყენებისათვის (შეიარაღებული ძალადობისთვის) რომელიმე სახელმწიფოს (სახელმწიფოთა ჯგუფის), სეპარატისტული (ტერორისტული) ორგანიზაციების მზაობის მაღალი ხარისხით ხასიათდება“ [21].

ერთ-სთან მიმართებაში, ცნება „საფრთხის“ გამოყენებისას, ჩვენ ორივე მოყვანილ განსაზღვრებას დავეყრდნობით, მივიღებთ რა მხედველობაში, რომ გარდა სამხედრო საფრთხეებისა, მოცემული კვლევის ფარგლებში პოლიტიკური და ეკონომიკური საფრთხეებიც არსებობს.

ამჟამად ერთიანი საყოველთაოდ მიღებული ტერმინი „პოლიტიკური საფრთხე“ და „ეკონომიკური საფრთხე“ არ არსებობს. უმეტეს შემთხვევაში პოლიტიკური საფრთხის ქვეშ მოიაზრება პროცესები და ქმედებები, რომლებიც იწვევენ სახელმწიფოს შერყევას (ძირის გამოთხრას) შიგნიდან, და ასევე ქმედებები, რომლებიც იწვევენ სუვერენიტეტის შესუსტებას ან დაკარგვას და მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებებისა და

თავისუფლებების ხელყოფას. ერს-ს პროგრამასთან მიმართებაში ჩვენ არ შევჩერდებით შიდაპოლიტიკურ საფრთხეებზე და ამ შემთხვევაში მხოლოდ საგარეოპოლიტიკურ საფრთხეებს განვიხილავთ. ასეთ დროს პოლიტიკური საფრთხის ქვეშ ჩვენს მიერ გაგებული იქნება სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების მდგომარეობა, რომელიც პოლიტიკური დაპირისპირების წარმოშობის ობიექტური შესაძლებლობითა და სამხედრო ძალისა და პოლიტიკური ზეწოლის მთელი არსენალის გამოყენებისათვის მზაობის მაღალი ხარისხის მქონე სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტის წარმოშობის რეალური შესაძლებლობით ხასიათდება.

ყველაზე ხშირად ეკონომიკური უსაფრთხოების საფრთხეებს განსაზღვრავენ როგორც პროცესებსა და მოვლენებს, რომლებიც ქვეყნების სტაბილური განვითარების დარღვევას და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუარესებას იწვევენ. ერთ-ს პროგრამასთან მიმართებაში ეკონომიკური საფრთხეების ქვეშ ჩვენს მიერ გაგებული იქნება ეკონომიკური სისტემებისათვის არსებული საფრთხეები, რომლებიც ქვეყნების ეკონომიკურ ურთიერთობებზე და ეკონომიკურ განვითარებაზე გავლენის მქონე მოვლენებითა და შემთხვევებით არის გამოწვეული.

დადგენილი იყო, რომ ერთ-ს არეში მოცემული მეთოდის გამოყენებისას, ტერორიზმი, ტექნოგენური და ბუნებრივი საფრთხეები არსებით გავლენას არ ახდენენ საერთაშორისო უსაფრთხოებაზე (არ აქვთ ზემოქმედება გლობალურ და რეგიონულ დონეზე). ისინი მხოლოდ ლოკალურ დონეზე ვლინდება, როგორც მაგალითად, შესაძლო ავარიები აშშ-ს რთს ობიექტებზე, აფეთქებები, ხანძარი, ელექტრონული სისტემების მუშაობის შეფერხებები და ა.შ. რაც შეეხება ტერორიზმს, ტერორისტული აქტები რაკეტსაწინააღმდეგო ობიექტებზე შესაძლებელია, მაგრამ, ვინაიდან ეს დაცული სამხედრო ობიექტებია, მათი განხორციელების ალბათობა საკმაოდ დაბალია. ამასთან დაკავშირებით ნავარაუდევია საერთაშორისო უსაფრთხოების სამხედრო-ტექნიკურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ასპექტებზე ერთ პროგრამის გავლენის გაანგარიშება [22].

ასეთ შემთხვევაში შეიძლება რუსეთის ფედერაციის უსაფრთხოების კომპლექსური ინფორმაციულ-ნიშნობრივი (საინფორმაციო) მოდელის აგება. ამ მოდელის ქვეშ ჩვენს მიერ გაგებული იქნება ურთიერთდაკავშირებული ინფორმაციულ-ნიშნობრივი (საინფორმაციო) მოდელების ერთობლიობა, რომლებიც აღწერენ საფრთხეებს, როგორც თვისებების (საინფორმაციო (საიდენტიფიკაციო) ნიშნების), ფაქტორების, პირობებისა და მოვლენების ერთობლიობას და იძლევიან საერთაშორისო უსაფრთხოების ინდექსის რიცხობრივი მნიშვნელობის მიღების შესაძლებლობას. ამ მოდელში ფაქტორის ქვეშ შეიძლება მოიაზრებოდეს მხარეებს (რუსეთსა (მის მოკავშირეებთან ერთად) და აშშ/ნატოს) შორის წარმოშობილი წინააღმდეგობები. პირობის ქვეშ გაიგება „ის, რისგანაც დამოკიდებულია რაღაც სხვა“ [23].

**KAKHA TABATADZE**

## EUROPEAN MISSILE DEFENSE SYSTEM AND FEATURES OF INTERNATIONAL SECURITY

Summary

International security means "the stability of international relations, which ensures the stability of development, the sovereignty and independence of all subjects of the international community". In addition, the concept of "international security" was still formulated in the

United Nations Charter, where one of the goals of the United Nations is defined as: "maintaining international peace and security and for this purpose taking effective collective measures to prevent and eliminate threats to peace."

The US anti-missile defense system in Europe is mainly aimed at neutralizing the future threat from Russia, although the US officially declares that these systems are aimed at countering the terrorist threat. Therefore, the European anti-missile defense system should be considered in the context of global security.

***Key words***: *international security, defense, stability, national security strategy.*

### გამოყენებული ლიტერატურა:


1. Косов Ю., Мировая политика и международные отношения. Питер. 2012.
2. Устав ООН. Статья 1. www.un.org/ru/documents/charter/chapter1.shtml
3. Косов Ю., Безопасность: геополитический аспект, Внешняя политика и безопасность современной России. 1991 - 2002. Хрестоматия в четырех томах. Т. II. М., 2002.
4. Подвиг П., Противоракетная оборона как фактор стратегических взаимоотношений СССР/России и США в 1945 – 2003гг., дис. канд. полит. наук РАН, ИМЭМО. М. 2004.
5. Стратегия национальной безопасности Российской Федерации до 2020 года www.scrf.gov.ru/documents/1/99.html
6. Мэхэн А., Влияние морской силы на историю, 1660–1783, М., ООО "Издательство АСТ"; СПб.: Terra Fantastica, 2002.
7. Декларации по итогам встречи на высшем уровне в Лиссабоне www.nato.int/cps/en/natolive/official_texts_68828.htm
8. Обзор сдерживания и обороны www.nato.int/cps/en/SID-70402E1B-FF97A58B/natolive/official_texts_87597.htm
9. Pifer S., Missile defense in Europe: Cooperation or contention? Brookings. Arms Control Series. Paper 8. May 2012.
10. Договор о нераспространении ядерного оружия www.un.org/ru/documents/decl_conv/conventions/npt.shtml
11. Вильданов М. Чем кумушек считать трудиться, www.nvo.ng.ru/concepts/2013-07-19/1_rsvn_snv.html (გადამოწმებულია 12.03.2023)
12. იქვე. www.nvo.ng.ru/concepts/2013-07-19/1_rsvn_snv.html
13. Григорьев Ю., Почему США вышли из Договора по ПРО Вооружение, Политика, Конверсия. 2007. № 6. http://makeyev.msk.ru/pub/sys/2007/GrigPRO.html
14. Гаврилов Ю., ПРОрыв пока не виден, www.rg.ru/2013/10/23/oborona-site.html
15. Указ Президента Российской Федерации «О признании утратившими силу некоторых актов Президента Российской Федерации», www.pravo.gov.ru:8080/page.aspx?66007
16. Заместитель Министра обороны РФ Анатолий Антонов провел первое заседание вновь созданной межведомственной рабочей группы по ПРО. www.function.mil.ru/news_page/country/more.htm?id=11889969@egNews

17. Индекс международной безопасности iSi, Систем. Требования www.pircenter.org/media/content/files/9/13462438640.pdf
18. Прохожев А., Общая теория национальной безопасности, Изд-во РАГС, М., 2005.
19. Шацкая В., Разработка обобщенной методики оценивания состояния международной безопасности при реализации развертывания европейской части глобальной ПРО США, www.lomonosov-msu.ru/archive/Lomonosov_2013/2215/48836_41d4.pdf
20. Закон РФ от 5 марта 1992 г. N 2446-I "О БЕЗОПАСНОСТИ", www.scrf.gov.ru/documents/20.html
21. Стратегия национальной безопасности Российской Федерации до 2020 года www.scrf.gov.ru/documents/1/99.html
22. Военная доктрина Российской Федерации www.news.kremlin.ru/ref_notes/461
23. Durkalec J. ,Modifications of the U.S. missile defense plans in Europe. The Polish Institute of international affairs. - Bulletin. - №27. - 18 March 2013 http://www.pism.pl/files/?id_plik=13164
24. Прохожев А., Общая теория национальной безопасности, Изд-во РАГС, М., 2005.

✍ როლანდ ძნელაძე
*წარმოადგინა პროფ.* ***ზურაბ კვეტენაძემ***

# კასპიის რეგიონი, როგორც მსოფლიოს წამყვანი ზესახელმწიფოების, ინტერესთა შეჯახების წერტილი

კასპიის ზღვის აუზი მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ადგილია, სადაც ნავთობის მოპოვება მიმდინარეობს. XX საუკუნის დასაწყისისთვის ეს რეგიონი უკვე გახლდათ მსოფლიო მასშტაბის ნავთობმოპოვების ცენტრი და უზარმაზარ გეოსტრატეგიულ ფასეულობას წარმოადგენდა. მის დაუფლებას მრავალი სახელმწიფო ცდილობდა. მაგრამ უკვე ექსპლუატაციაში მყოფი საბადოების გარკვეულმა გამოფიტვამ და ციმბირსა და სპარსეთის ყურეში ახალი რეზერვუარების გახსნამ მიგვიყვანა იქამდე, რომ კასპიის ნავთობმა ნაწილობრივ დაკარგა თავისი მნიშვნელობა. კასპიის რეგიონისადმი ინტერესის ამჟამინდელი გამოცოცხლება პირველ რიგში, დაკავშირებულია მის გეოგრაფიულ მდებარეობასთან და მისი, როგორც სატრანზიტო კვანძის როლთან ენერგორესურსების ტრანსპორტირებისათვის. ასევე, ენერგომატარებელთა მოხმარების ზრდისა და ნავთობის მოპოვების ახალი ტექნოლოგიების გამოჩენის გამო კასპიის საბადოებმა კვლავ მნიშვნელობა შეიძინეს, ხოლო 1990-იან წლებში ასევე გახსნილ იქნა რიგი ახალი უმდიდრესი საბადოების კასპიის ზღვის ფსკერის ადრე გამოუკვლევ უბნებში.

დღესდღეობით კასპიის აუზი არარეგიონულ სახელმწიფოთა უზარმაზარ ინტერესს იწვევს, რაც რეგიონში ნავთობის მდიდარი მარაგების შესახებ ვერსიის ფართო გავრცელებასთან და ასევე რეგიონის მნიშვნელოვან მდებარეობასთან არის დაკავშირებული. ეს ფაქტი დღეს ძირითად პრობლემას წარმოადგენს, რომელიც აღელვებს რუსეთსა და ირანს, ასევე რიგ სხვა კასპიისპირა სახელმწიფოს. ასევე რეგიონგარე მოთამაშეებს პირველ რიგში უნდა მივაკუთვნოთ აშშ, რომლის საქმიანობა კასპიის რეგიონში, უპირველესად აზერბაიჯანში ამერიკული კომპანიების ხელის შეწყობის მცდელობაში გამოიხატება.

***საკვანძო სიტყვები:*** *კასპიის ზღვის აუზი, სპარსეთის ყურე, სატრანზიტო კვანძი, ენერგომატარებლები.*

კასპიის ზღვის აუზი მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ადგილია, სადაც ნავთობის მოპოვება მიმდინარეობს. XX საუკუნის დასაწყისისთვის ეს რეგიონი უკვე გახლდათ მსოფლიო მასშტაბის ნავთობმოპოვების ცენტრი და უზარმაზარ გეოსტრატეგიულ ფასეულობას წარმოადგენდა. მის დაუფლებას მრავალი სახელმწიფო ცდილობდა. მაგრამ უკვე ექსპლუატაციაში მყოფი საბადოების გარკვეულმა გამოფიტვამ და ციმბირსა და სპარსეთის ყურეში ახალი რეზერვუარების გახსნამ მიგვიყვანა იქამდე, რომ კასპიის ნავთობმა ნაწილობრივ დაკარგა თავისი მნიშვნელობა. კასპიის რეგიონისადმი ინტე-

რესის ამჟამინდელი გამოცოცხლება პირველ რიგში, დაკავშირებულია მის გეოგრაფიულ მდებარეობასთან და მისი, როგორც სატრანზიტო კვანძის როლთან ენერგორესურსების ტრანსპორტირებისათვის.

ასევე, ენერგომატარებელთა მოხმარების ზრდისა და ნავთობის მოპოვების ახალი ტექნოლოგიების გამოჩენის გამო კასპიის საბადოებმა კვლავ მნიშვნელობა შეიძინეს, ხოლო 1990-იან წლეში ასევე გახსნილ იქნა რიგი ახალი უმდიდრესი საბადოების კასპიის ზღვის ფსკერის ადრე გამოუკვლევ უბნებში.

ისტორია და გეოგრაფია მჭიდროდ უკავშირებს კასპიის რეგიონს ცენტრალურ აზიასთან, ხოლო ენერგეტიკული მდგენელი კიდევ უფრო აძლიერებს ამ კავშირს იმის გამო, რომ ცენტრალური აზიის ნახშირწყალბადის ძირითადი მარაგები მეტწილად კასპიის რაიონში იმყოფება. გეოპოლიტიკური სიტუაცია რეგიონში პირველ რიგში კასპიის ზღვასთან გასასვლელის მქონე წამყვან რეგიონულ აქტორთა, ესე იგი რუსეთის, ყაზახეთის, აზერბაიჯანის, თურქმენეთისა და ირანის ურთიერთობებით განისაზღვრება.

დღესდღეობით კასპიის აუზი არარეგიონულ სახელმწიფოთა უზარმაზარ ინტერესს იწვევს, რაც რეგიონში ნავთობის მდიდარი მარაგების შესახებ ვერსიის ფართო გავრცელებასთან და ასევე რეგიონის მნიშვნელოვან მდებარეობასთან არის დაკავშირებული. ეს ფაქტი დღეს ძირითად პრობლემას წარმოადგენს, რომელიც აღელვებს რუსეთსა და ირანს, ასევე რიგ სხვა კასპიისპირა სახელმწიფოს.

ასეთ რეგიონგარე მოთამაშეებს პირველ რიგში უნდა მივაკუთვნოთ აშშ, რომლის საქმიანობა კასპიის რეგიონში, უპირველესად აზერბაიჯანში ამერიკული კომპანიების ხელის შეწყობის მცდელობაში გამოიხატება. მიუხედავად იმისა, რომ ნავთობის რესურსების მარაგთა ზუსტი ციფრის დასახელება ჯერჯერობით რთულია კასპიის ზღვის წიაღის არასაკმარისად შესწავლის გამო, უკვე ეხლა შეიძლება პოტენციური მარაგები 35,2-37,9 მლრდ ტონა საწვავის ტოლად შეფასდეს [1. 105].

ნახშირწყალბადის ასეთმა უზარმაზარმა მარაგები კასპიის რეგიონში საერთაშორისო დაძაბულობის იწვევს. მსოფლიო წამყვან სახელმწიფოთა უმეტესობისათვის ეკონომიკური ფაქტორი წამყვანი სტიმულია კასპიის რეგიონში თავისი ინტერესების გატარებისა და ენერგორესურსების ახალ წყაროებთან წვდომის უზრუნველყოფისთვის. ამავე დროს არსებობს ქვეყნები, რომელთა ინტერესები არ შემოიფარგლება მხოლოდ ეკონომიკით, გაცილებით მეტად მათ რეგიონის გეოპოლიტიკური მდებარეობა და იქ თავისი სამხედრო-სტრატეგიული ინტერესების უზრუნველყოფა იზიდავს. ასე მაგალითად, რეგიონში საკმაოდ ძლიერია ჩინეთის პოზიცია, რომელიც არა მარტო ენერგორესურსების მიწოდებით არის დაინტერესებული, არამედ რეგიონში თავისი არსებობით თავისსავე უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. ძალას იკრებს ასევე ინდოეთის და პაკისტანის გავლენა, რომელიც რეგიონის მუსლიმანურ ქვეყნებთან კონფესიურ სიახლოვეს თავისი მიზნებისთვის იყენებს. მნიშვნელოვან ადგილს იკავებს თურქეთი, რომელიც არა მარტო ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი რეგიონული სახელმწიფოა, არამედ ნატო-ს პლაცდარმიცაა რეგიონში.

რუსეთი და ირანი რეგიონის ქვეყნებთან პირველ რიგში, თავისი ისტორიული, ეკონომიკური, და ასევე კულტურული კავშირებით არიან დაკავშირებული. 1990-იან წლებში რუსეთმა ნაწილობრივ დაკარგა თავისი გავლენა კასპიის ზღვაზე, რამაც გამოიწვია სხვა რეგიონგარე მოთამაშეთა პოზიციების გაძლიერება. მაგრამ, „2030 წლამდე პერიოდში რუსეთის ენერგეტიკული სტრატეგიის“ თანახმად, რუსეთის ინტეგრაცია საწვავ-ენერგეტიკული რესურსების ბრუნ-

ვის მსოფლიო სისტემაში, და ასევე სხვადასხვა უცხოურ ინვესტორებთან თანამშრომლობა მათი დამუშავების სფეროში, ტრადიციულ ენერგორესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება და ახალი ენერგეტიკული ბაზრების ათვისება ქვეყნის ენერგეტიკული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულებებია. მათ შორის ეს ეხება, ასევე, რუსეთის პოლიტიკას კასპიის რეგიონში. [2. 257].

დღეს რუსეთსა და ირანს შეგნებული აქვთ ხმელთაშუა ზღვის-კასპიის რეგიონში თავისი ინტერესების უზრუნველყოფის სასიცოცხლო აუცილებლობა, განსაკუთრებით სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან თავისი ტერიტორიული სიახლოვის გამო.

რეგიონში რუსეთს თავისი ეროვნული ინტერესები აქვს, რომელთა შორის გამოვყოფდით შემდეგს:

- ცენტრალურ აზიაში თავისი გავლენის შენარჩუნება, რეგიონის სახელმწიფოებთან მჭიდრო მრავალმხრივი ურთიერთობების დამყარების საფუძველზე;
- ცენტრალურ აზიასთან ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნა ევრაზეთ-ის (ევრაზიის ეკონომიკური თანამეგობრობა, 2015 წლის 1 იანვრიდან ეაეკ-ის (ევრაზიის ეკონომიკური კავშირი) [3] ფარგლებში თავისი პროდუქციის გასაღების ბაზრის უზრუნველსაყოფად და ზოგიერთი საქონლის იმპორტის განსახორციელებლად;
- ცენტრალურ აზიაში რუსეთის წამყვანი როლის უზრუნველყოფა ევრაზეთ-ის (მომავალში ეაეკ-ის) ფარგლებში [4];
- ცენტრალური აზიის გეოგრაფიული მდებარეობისა და მისი სატრანზიტო პოტენციალის გამოყენება არა მარტო რეგიონის ქვეყნებთან, არამედ სხვა წამყვან მოთამაშეებთან, ისეთებთან, როგორიცაა ჩინეთი და ინდოეთი პარტნიორული ურთიერთობების მხარდასაჭერად.

სულ უფრო და უფრო მძაფრდება ურთიერთოობები აშშ-სა და ირანს შორის, რეგიონში შექმნილ სიტუაციაზე გავლენას ახდენს ასევე ერაყის სიახლოვე. აშშ, ცდილობდა შეემცირებინა რუსეთის გავლენა რეგიონში და უზრუნველეყო ამერიკული ბიზნესის წვდომა კასპიის რესურსებთან, მოცემული რეგიონი აშშ-ს შეიარაღებული ძალების ცენტრალური სარდლობის პასუხისმგებლობის ზონაში ჩართეს და ნატოს წარმომადგენლობები გახსნეს ყაზახეთსა და აზერბაიჯანში. რეგიონში აშშ-ს საქმიანობის გააქტიურების პასუხად რუსეთმა ასევე გააჟღერა „კასპიის ზღვის აუზში უსაფრთხოების უზრუნველყოფის სწრაფი რეაგირების შერეული ძალების" შექმნის პროექტი, ასევე შექმნილ იქნა დსთ-ს ანტიტერორისტული ცენტრი [5. 29].

რუსი მკვლევრების გ. ვოიტოლოვსკისა და ნ. კოსოლაპოვის აზრით, კასპიის რეგიონის ეკონომიკასა და პოლიტიკაში სხვადასხვა სახელმწიფოთა ჩართულობის დონე შეიძლება რამდენიმე „სარტყლით" განისაზღვროს.

პირველ „სარტყელს" მიეკუთვნება ხუთი სანაპირო სახელმწიფო: რუსეთი, აზერბაიჯანი, ირანი, ყაზახეთი, თურქმენეთი. მეორე „სარტყელს" განეკუთვნება ის სახელმწიფოები, რომელთა გავლით შეიძლება გაყვანილ იქნას ან უკვე გადის ნავთობი და გაზსადენები, ასევე სხვა კომუნიკაციები. ასეთ სახელმწიფოებს შეიძლება მივაკუთვნოთ საქართველო, თურქეთი და ბულგარეთი. მათი გავლენა მდგომარეობს ენერგორესურსების ტრანზიტთან მიმართებაში ჩატარებულ პოლიტიკაში, რაც ზეგავლენას ახდენს რეგიონში მათი მოპოვების მიზანშეწონილობაზე. მესამე „სარტყელი" მოიცავს თავის თავში იმ სახელმწიფოებს, რომლებიც ასეა თუ ისე ინტერესდებიან რეგიონით,

იყენებენ მის რესურსებს ან სხვაგვარი ინტერესები აქვთ. ასეთთან რიგს მიეკუთვნება: უკრაინა, ტაჯიკეთი, საუდის არაბეთი, საბერძნეთი, სომხეთი, უზბეკეთი და სხვ. არსებობს ასევე სახელმწიფოთა მეოთხე „სარტყელი“, რომელთა გავლენა გლობალურ დონეზე გადის. მათ მიეკუთვნება აშშ, რომელსაც რეგიონში როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური და სტრატეგიული ინტერესები აქვს, ევროკავშირი და ჩინეთი, რომლის ინტერესები ადრე მხოლოდ ეკონომიკური შემადგენელით შემოიფარგლებოდა, მაგრამ ამჟამად მათი ინტერესების სპექტრი გაფართოვდა მსოფლიოს სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონებში თავისი პოზიციების განმტკიცების აუცილებლობის გამო.

ბოლო დროს აქტიურდებიან ინდოეთი და პაკისტანი თავისი მიმართულებით ენერგომატარებელთა მიწოდებების ორიენტირებითა და მათი დივერსიფიკაციით დაინტერესებისა გამო. ამ გეოპოლიტიკურ ჭრილში აშშ-სა და ჩინეთს განსაკუთრებული ტექნოლოგიური უპირატესობა გააჩნიათ და კასპიის გარშემო ვითარება შეიძლებოდა კიდევ უფრო გამწვავებულიყო, მაგრამ ავღანეთში დასავლეთის მისიის მარცხისა და ყარაბაღის კონფლიქტის ზონაში რუსეთის არმიის განლაგების შემდეგ დასავლეთის პოზიციები შესუსტდა, რასაც შემდეგ დაემატა ომიც უკრაინაში, რომლის დასასრულზე პროგნოზის გაკეთება უაღრესად რთულია. რეგიონისადმი ასეთი მძაფრი ინტერესი მნიშვნელოვანწილად ეკონომიკური ფაქტორით არის გამოწვეული. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ დანამდვილებით არ არის ცნობილი კასპიის ბუნებრივი რესურსების მარაგთა რეალური ზომები და მათ მოპოვებასა და ინფრასტრუქტურის მშენებლობაში ახალი ინვესტიციების დაბანდების მიზანშეწონილობა, უკვე დღეს სანაპირო ქვეყნები ერთმანეთს კონკურენციას უწევენ ინვესტიციათა ბაზრებზე.

აზერბაიჯანი, ვფიქრობთ რუსეთისა და ირანის ძირითადი კონკურენტია რეგიონში. გააჩნია რა ნავთობისა და გაზის მნიშვნელოვანი მარაგები, ეს ქვეყანა რუსეთის გვერდის ავლით დასავლეთზე ენერგორესურსების ტრანზიტის ცენტრალურ რგოლს წარმოადგენს.

ჯეიხანის და ერზურუმის თურქულ პორტებამდე უკვე გაყვანილი ნავთობისა და გაზსადენების გარდა, მიმდინარეობს მოლაპარაკება აზერბაიჯანის, უკრაინის, და ასევე შესაძლოა ბელარუსისა და ყაზახეთის თანამშრომლობის გაფართოების შესახებ, რომელიც ეხება აზერბაიჯანის მილსადენების გაერთიანებას უკრაინის მილსადენ ოდესა-ბროდისთან, ასევე გდანსკამდე მისი მშენებლობის გაგრძელებასა და აგრეთვე ბელარუსის მილსადენთან მისი შემდგომი გაერთიანებას [6. 118-119].

რუსი პოლიტიკური ექსპერტების აზრით, ამ პროექტებს მთლიანობაში არა ეკონომიკური, არამედ უფრო პოლიტიკური ხასიათი აქვთ და უპირველეს ყოვლისა, ისინი გამიზნულია რუსეთის, როგორც ევროპაში ნახშირწყალბადის ძირითადი მიმწოდებლის როლის შემცირებაზე. მაგრამ ამ მომენტისათვის ყველა აზერბაიჯანული მილსადენი დასავლეთ მიმართულებით არარენტაბელურია, ხოლო მომგებიანი ისინი მხოლოდ ყაზახური ნავთობითა და თურქმენული გაზით შევსების შემთხვევაში შეიძლება გახდნენ.

ალბათ ძნელი მისახვედრი არ არის, თუ რატომ მიმდინარეობს დღეს უკრაინაში ომი. როდესაც ვამბობთ, რომ ომი უკრაინაში დასავლეთსა და რუსეთს შორის მიმდინარეობს, გარდა ცივილიზაციური ფაქტორისა და იმისა, რომ რუსეთი უკრაინას „რუსულ სამყაროს“ მიაკუთვნებს, ამ ომის მიზეზებში, სწორედ გეოეკონომიკური და გეოსტრატეგიული მოსაზრებებიც იმალება, რომლის ერთ-ერთ გამოხატულებასაც აღნიშნული ენერგეტიკული ტრასები წარმოადგენს.

ყაზახეთი და თურქმენეთი წარმოადგენენ რუსეთს, აშშ-სა და ევროკავშირს, ასევე ჩინეთს შორის გრძელვადიანი ენერგეტიკული კონკურენციის ცენტრს.

2007 წელს ხელმოწერილ იქნა დეკლარაცია რუსეთის, ყაზახეთისა და თურქმენეთის მიერ კასპიისპირა გაზსადენის მშენებლობის შესახებ, რამაც მთლიანობაში ჩაშალა ალტერნატიული მილსადენების მშენებლობის გეგმები [7. 198].

მაგრამ, ამავე დროს, ყაზახეთმა დადო ხელშეკრულება ჩინეთთან ნავთოსადენის მშენებლობის შესახებ, რომელიც დააკავშირებს კასპიის რეგიონს ჩინეთთან, რამაც შეიძლება მომავალში რუსეთის მიერ ევროპაში გაზის მიწოდების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემების საფრთხე შექმნას.

ასევე, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ყაზახეთის სურვილი მოახდინოს თავისი მიწოდებების დივერსიფიკაცია სხვადასხვა მიმართულებებით. გადამწყვეტი ფაქტორია აქ ყაზახეთის მიერ ნავთობის მოპოვების ტემპების გაზრდა. რაც შეეხება რუსეთისა და თურქმენეთის ურთიერთობებს, ამ მიმართულებაზეც ასევე რჩება სირთულეები. პირველ რიგში, ყურადღება უნდა მიექცეს ყაზახეთის ანალოგიურად, თურქმენეთის მისწრაფება თავისი მიწოდებების დივერსიფიკაციისკენ.

რუსეთის დაინტერესება თურქმენული გაზით და მისი მონაწილეობით ენერგორესურსების ტრანზიტის ერთობლივ პროექტებში, ერთი მხრივ, და აშშ-სა და ევროკავშირის მისწრაფება ჩააბას ის თავის პროექტებში მონაწილეობაში, მეორე მხრივ, აძლევენ თურქმენეთს შესაძლებლობას, „გაზის ბერკეტების“ გამოყენებით გადაჭრას პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხების ფართო წრე. რუსეთმა კი ცდილობს შეინარჩუნოს თავისი ტერიტორიის გავლით თურქმენული გაზის იმპორტის სატრანზიტო გზები როგორც თავისი ექსპორტის, ისე შიდა მოხმარების უზრუნველსაყოფად. ამასთან ერთად, ბოლომდე არ არის გარკვეული თურმქენეთში არსებული გაზის მარაგთა მოცულობები და მისი უნარი მომავალში შეასრულოს რუსეთში მისი მიწოდებების შეთანხმებები. სულ ახლახან 2022 წლის 1 ივლისს აშხაბადში იმყოფებოდა რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი. რუსეთზე დაწესებული უმკაცრესი სანქციების ფონზე იგი ცდილობს მონახოს ეკონომიკური თანამშრომლობის ახალი ბერკეტები.

საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებამ და დასავლეთის ქვეყნების აქტიურმა ჩართვამ კასპიის რეგიონის საქმეებში გამოიწვია ცენტრალურ აზიაში გეოპოლიტიკური სიტუაციის გაუარესება.

ყველაზე მეტი კამათის გამომწვევი საკითხია კასპიის ზღვის საერთაშორისოსამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა. კასპიის ნაპირები დღესდღეობით ხუთ სახელმწიფოს (რუსეთი, ირანი, ყაზახეთი, თურქმენეთი და აზერბაიჯანი) ეკუთვნის, რომელთა ეროვნული ინტერესები რიგ საკითხში არ ემთხვევა ერთმანეთს [8. 78].

ანალიტიკოსები ერთსულოვნები არიან იმაში, რომ კასპიის რეგიონის ქვეყნებს შორის უთანხმოების ძირითადი მიზეზია ნავთობის საბადოები, რომლებსაც შეუძლია მნიშვნელოვანი მოგების მოტანა. კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის დარეგულირების გარშემო არსებული სიტუაცია რიგი ფაქტორითაა გართულებული, რომელთაგან ძირითადია ირანის პოზიცია, რომელიც ცდილობს რა გააფართოვოს თავისი წილი კასპიის ზღვაზე და გააქტიუროს იქ თავისი საქმიანობა, საკმაოდ უხალიდოდ მიდის დათმობებზე.

კასპიისპირა ქვეყნების ხუთეულს შორის არსებობს შეთანხმება კასპიის ზღვის სამართლებრივ სტატუსის შესახებ კონვენციის ხელმოწერის აუცილებლობის თაობაზე, მიუხედავად ამისა, ამ დოკუმენტის

ხელმოწერა გაურკვეველი დროით არის გადადებული [9. 42].

ამ დოკუმენტის შემუშავებაში სხვადასხვა დონის აქტიურობით ხუთივე სანაპირო სახელმწიფო მონაწილეობს. მართალია, ჯერ კიდევ არ არის მიღწეული საბოლოო შეთანხმება ამ საკითხის ირგვლივ, მაგრამ სერიოზული ნაბიჯები უკვე გადადგმულია.

XX საუკუნის დასაწყისში კასპიის სამართლებრივი სტატუსის განმსაზღვრელი საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტები იყო:

- სსრკ-სა და სპარსეთს შორის 1921 წ. 26 თებერვალს დადებული ხელშეკრულება [10];
- სსრკ-სა და სპარსეთს შორის ვაჭრობისა და ზღვაოსნობის შესახებ 1940 წ. 25 მარტს დადებული ხელშეკრულება [11. 128].

მაგრამ 1991 წ., სსრკ-ს დაშლის შემდეგ წარმოქმნილმა რესპუბლიკებმა უარი თქვეს ამ ხელშეკრულებების იურიდიული ძალის აღიარებაზე.

რუსეთმაც დროთა განმავლობაში დაიწყო ამ ხელშეკრულებებით აღიარებული პოზიციებისგან გადახვევა.

მიუხედავად ამისა, ახალი დოკუმენტის ხელმოწერამდე და ძალაში შესვლამდე სწორედ 1921 და 1940 წლების საბჭოთა-ირანული ხელშეკრულებები აგრძელებს ქმედებას. ამ საკითხის განხილვის უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში, სხვადასხვა ქვეყნების პოზიციები კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის თაობაზე მუდმივად იცვლებოდა, რაც ამ ქვეყნების საგარეოპოლიტიკური სიტუაციის ცვლილებებითა და ასევე რეგიონნარე ზესახელმწიფოების გავლენით აიხსნებოდა. ამის გამო, კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის პრობლემის გადაჭრის რეალური პროცესი მხოლოდ 2000 წელს დაიწყო, როდესაც რუსეთმა კასპიის ზღვა თავისი განსაკუთრებული ინტერესების ზონად გამოაცხადა [5. 26].

დღეს კასპიის სტატუსი შემდეგი ძირითადი ელემენტებით განისაზღვრება:

- ნაოსნობის რეჟიმი;
- ბიორესურსების (პირველ რიგში სათევზაო) გამოყენების წესი;
- რესურსების ექსპლუატაციის წესი;
- ეკოსისტემის დაცვის წესი.

2003 წლის ნოემბრის თეირანის კონვენციაზე ხელი მოეწერა პირველ ხუთმხრივ დოკუმენტს კასპიის ზღვის საზღვაო გარემოს დაცვის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2006 წლის აგვისტოში [12].

მისი ძირითადი მიზანია წყალსატევის ბუნებრივი სიმდიდრეების დაცვა, და ასევე ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა ნახშირწყალბადის რესურსების საბადოების დამუშავების მსვლელობისას.

2007 წლის ოქტომბერში, კასპიისპირა სახელმწიფოთა მომდევნო სამიტზე თეირანში ხუთი კასპიისპირა სახელმწიფოს მიერ ხელი მოეწერა საბოლოო დეკლარაციას, სადაც ზოგიერთი მნიშვნელოვანი დებულება განმტკიცდა.

დეკლარაციაში ასევე აღნიშნული იყო, რომ მხოლოდ სანაპირო სახელმწიფოებს აქვთ სუვერენული უფლებები კასპიის ზღვასა და მის რესურსებზე. კასპიის სამართლებრივი პრობლემის საბოლოო გადაჭრამდე მის აკვატორიაში მხოლოდ და მხოლოდ კასპიის ქვეყნების დროშების ქვეშ ნაოსნობის, თევზჭერისა და ხომალდების ზღვაოსნობის რეჟიმები უნდა მოქმედებდეს [13. 42].

ასევე ხაზი ესმეოდა იმას, რომ ხელმომწერი მხარეები არავითარ შემთხვევაში არ მისცემენ სხვა სახელმწიფოებს უფლებას გამოიყენონ თავისი ტერიტორიები ნებისმიერი მხარის წინააღმდეგ აგრესიისა და სხვა საომარი ქმედებების შესასრულებლად [13. 49].

ამ ნაშრომში განხილული იქნა კასპიის რეგიონის უკიდურესი მნიშვნელობა არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ გეოპოლიტიკური თვალსაზრისითაც, რაც რეგიონის მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობით და ასევე იმით არის განპირობებული, რომ მასზე გადის ნახშირწყალბადის რესურსების ტრანზიტის ძირითადი მარშრუტები.

გარდა ამისა, დაზუსტენბულ იქნა მოსკოვისა და თეირანის როლის საკვანძო დეტალები კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის შემუშავების პრობლემის გადაჭრაში, რომელიც დღესდღეობით არა მარტო რუსეთისა და ირანის, არამედ სხვა დაინტერესებული კასპიისპირა სახელმწიფოთა დღის წესრიგშია. ეს საჭიროა არა მხოლოდ საბადოების დაზვერვის დაწყებისთვის, არამედ ხუთ სანაპირო სახელმწიფოზე კასპიის ზღვის განმტკიცებისათვის. ეს საკითხი უკიდურესად მნიშნელოვანია როგორც რუსეთის, ისე ირანის გეოსტრატეგიული ინტერესების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. მაგრამ, ამასთან, მოცემული საკითხის გადაჭრის მსვლელობის შემანელებელ ფაქტორთაგან ერთ-ერთია სწორედ ირანის პოზიცია, რომელიც უფრო ვრცლად შემდგომ იქნება განხილული, სხვა, როგორც რეგიონული, ისე რეგიონგარე სახელმწიფოთა პოზიციებთან ერთად.

**<u>ROLAND DZNELADZE</u>**

## THE CASPIAN REGION AS THE POINT OF CONFLICT OF INTERESTS OF THE WORLD'S LEADING SUPERPOWERS

Summary

The Caspian Sea basin is one of the oldest places in the world where oil is being extracted. By the beginning of the 20th century, this region had already become the center of oil production on a world scale and represented a huge geostrategic value. Many states tried to master it. But certain exhaustion of already exploited deposits and the opening of new reservoirs in Siberia and the Persian Gulf led to the point where Caspian oil partially lost its importance. The current revival of interest in the Caspian region is primarily related to its geographical location and its role as a transit hub for the transportation of energy resources. Also, due to the increase in the consumption of energy carriers and the discovery of new technologies for oil extraction, the Caspian deposits gained importance again, and in the 1990s, a number of new richest deposits were also opened in previously unexplored areas of the bottom of the Caspian Sea.

Today, the Caspian basin is of great interest to non-regional states, which is related to the wide spread of the version about rich oil reserves in the region, as well as to the important location of the region. This fact is today the main problem that worries Russia and Iran, as well as a number of other Caspian states. Also, among the non-regional players, we should first of all include the USA, whose activities in the Caspian region are primarily manifested in the attempt to help American companies in Azerbaijan.

*Key words: Caspian Sea Basin, Persian Gulf, transit hub, energy carriers.*

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. Конопляник А.А. Каспийская нефть на евразийском перекрестке. Предварительный анализ экономических перспектив, М.,1998.
2. Энергетическая политика России на период до 2030 г., Утверждена распоряжением Правительства Российской Федерации от 13.11.2009 № 1715.
3. Фаляхов Р. Сочинительный Союз, ЗАО «Газета.Ру». 2013. 24 декабря. http://www.gazeta.ru/business/2013/12/24/5818017.shtml
4. Зиядуллаев Н. Центральная Азия: конкуренция и партнерство, «Независимая газета», 2007, 2 июля. http://www.ng.ru/courier/2007-07-02/13_asia.html
5. Куприянов А.Б. Геополитические особенности Каспийско-Черноморского региона в системе современныхМО, М., Ин-т экономики, 2009.
6. Шумилин А.И. Энергетическая стратегия России и США, М., 2008.
7. Энергетическая политика России на период до 2030 г., Утверждена распоряжением Правительства Российской Федерации от 13.11.2009 № 1715.
8. ებრალიძე დ., კასპიის რეგიონი ამერიკის შეერთებული შტატების, ევროკავშირისა და ჩინეთის გეოპოლიტიკურ ინტერესებში, სადოქტორო დისერტაცია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ., 2018.
9. Маркелов К.А. Актуальные проблемы политико-экономической безопасности стран Каспийского региона вначале XXI века, М., 2011.
10. Договор между Российской Социалистической Федеративной Советской Республикой и Ираном (Персией), заключенный в Москве 26 февраля 1921 г. http://www.diphis.ru/dogo-a1253.html
11. Договор О торговле и мореплавании между СССР и Ираном от 25 марта 1940 года.
12. Гегелашвили Н.А. Каспийский регион в российско-американских отношениях, Научный доклад. – М.: ИСКРАН, 2009.
13. Декларация саммита прикаспийских государств: Подписана президентами Азербайджанской Республики, Исламской Республики Иран, Республики Казахстан, Российской Федерации и Туркменистана в Тегеране 16.10.2007.

✍ ნანა კანკავა
*წარმოადგინა პროფ. ქეთი ჯიჯეიშვილმა*

# საერთაშორისო კონფლიქტების დარეგულირების გლობალური მექანიზმების თეორიულ-მეთოდოლოგიური და ისტორიული ჩარჩო

საერთაშორისო კონფლიქტების დარეგულირების მცდელობები იწყება ვესტფალის სისტემის ჩამოყალიბებით, რომელმაც საერთაშორისო საზოგადოებაში, ფაქტობრივად, ახალ ერას დაუდო საფუძველი და თითქმის პირველი მსოფლიო ომის დასასრულამდე გასტანა. ეს ევროპული სისტემა წარმოადგენდა ევროპული მმართველობის ჩარჩოს. ეს იყო გზა გარკვეული სოციალური წესრიგის დამყარების, გაძლიერებისა და თვალყურის დევნისათვის. მის საფუძველს წარმოადგენდა სახელმწიფოებრიობის და სუვერენიტეტის პრინციპი.

სახელმწიფოებრიობა ნიშნავდა, რომ მსოფლიო დაყოფილი იყო ტერიტორიულ ნაწილებად, რომელთაგან თითოეულს მართავდა დამოუკიდებელი ხელისუფლება. ეს მოდერნისტული სახელმწიფო იყო ცენტრალიზებული, ფორმალურად ორგანიზებული საზოგადოებრივი სახელისუფლო აპარატი, რომელიც იყენებდა ლეგალურ მონოპოლიას შეიარაღებული ძალადობის ფორმით თავისი იურისდიქციის საზღვრებში. იმ პერიოდის მსოფლიო პოლიტიკის მთავარ აქტორთა მთავარ მიზანს წარმოადგენდა ის, რომ აღარ მომხდარიყო პირველი მსოფლიო ომის მსგავსი ანუ ფრო მძიმე ტრაგიკული ომი. ამისათვის გადაწყდა ყველა იმ მიზეზის შესწავლა, რამაც კონფლიქტის დაწყება გამოიწვია, რომლის შედეგადაც რამდენიმე მიზეზი გამოიკვეთა.

დადგინდა, რომ სახელმწიფოები აქტიურად აწარმოებდნენ საიდუმლო დიპლომატიას, შეჯიბრს შეიარაღებაში, სამხედრო ნაციონალიზმს და სახელმწიფოები მოკავშირეებს მხოლოდ პირადი სარგებლის მიღების მიზნით არჩევდნენ. სამომავლოდ კონფლიქტების არიდების მიზნით გადაწყდა, რომ საერთაშორისო ორგანიზაცია უნდა შექმნილიყო, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა და წაახალისებდა ღია დიპლომატიას, მოახდენდა განიარაღებას, წაახალისებდა კოლექტიურ უსაფრთხოებად შესაძლო ნეგატიური შედეგების გაზრდით ქვეყნებს სამომავლოდ კონფლიქტის დაწყების სურვილს შეუმცირებდა.

***საკვანძო სიტყვები:*** *ვესტფალიის ზავი, საერთაშორისო ურთიერთობები, პირველი მსოფლიო ომი, სახელმწიმსიფოებრიობა, სუვერენიტეტი.*

ვესტფალიის სისტემა იყო სუვერენული, რაც ნიშნავს იმას, რომ იგი ახორციელებდა ყოვლისმომცველ, უზენაეს, შეუზღუდავად ექსკლუზიურ კონტროლს განსაზღვრული ტერიტორიის ჩარჩოებში, რომ ვესტფალის სისტემა ისტორიული ფენომენი იყო.

სხვა სიტყვებით, სუვერენულ სახელმწიფოთა სისტემა მმართველობის განსაკუთრებულ ჩარჩოს ქმნიდა, რომელიც იქმნებოდა გარკვეულ დროში სპეციფიური პირობების შედეგად.

პირველ ეტაპად შეიძლება მივიჩნიოთ 1648 წლის 24 დეკემბერს დადებული ე.წ.

„ვესტფალიის ზავი“. ამ ზავით თითქმის შეწყდა გაუთავებელი ევროპული ომების ერა და მშვიდობამ დაისადგურა.

ზავის პირობებით ევროპაში დომინირებადი სახელმწიფო გახდა შვედეთი, რომელმაც ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი მიიერთა. თუმცა ამ ზავს სხვა ასპექტით ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა საერთაშორისო საზოგადოებისათვის. ზავმა, ფაქტობრივად, ახალ ერას დაუდო საფუძველი, რომელმაც თითქმის პირველ მსოფლიო ომამდე გასტანა. ჰოლანდია აღიარებულ იქნა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, აღიარებულ იქნა შვეიცარიის კავშირი, მნიშვნელოვნად შესუსტდა რომის პაპის გავლენა ევროპის სამხედრო და პოლიტიკურ წყობაზე. ამან მნიშვნელოვანი გასაქანი მისცა იმ დროს არსებული ქვეყნების პოტენციალს.

გარდა ამისა, საღვთო რომის იმპერიის ფარგლებში არსებულ ტერიტორიებს მიეცათ ე.წ. „ჯუს ფოედერატიონის“ - უფლება, გამხდარიყვნენ სხვა პოლიტიკურ ძალთა მოკავშირეები იმ წინაპირობებით, რომ მათი ალიანსი არ შეეწინააღმდეგებოდა იმპერიისა და შეთანხმების ინტერესებს. ამით პატარა სახელმწიფოებს მიეცათ განვითარების ძალიან დიდი საშუალება. ჩამოყალიბდნენ საერთაშორისოდ აღიარებული სუვერენული სახელმწიფოები და გახდნენ საერთაშორისო წესრიგის სრულუფლებიანი წევრები.

ამით, ფაქტობრივად განხორციელდა საერთაშორისო ძალაუფლების დანაწევრება, რამაც ხელი შეუწყო ე.წ. „პატარა ქვეყნების“ განვითარებას და ძალთა დაბალანსებას საერთაშორისო დონეზე, თუმცა მიუხედავად ამ დიდი პროგრესისა კაცობრიობა კვლავაც გახვია ომიანობის ქარცეცხლში.

1742 წელს ინგლისელმა ფილოსოფოსმა დევიდ ჰიუმმა ძალთა ბალანსის სისტემას - ესსე მიუძღვნა. 1758 წელს თავის ნაშრომში „ხალხთა უფლებები“ შვეიცარიელმა დიპლომატმა და იურისტმა ემერიხ დე ვატელმა ბალანსის პრინციპი განსაზღვრა როგორც: „საქმის ვითარება, როდესაც არცერთ სახელმწიფოს არ შეუძლია აბსოლუტური უპირატესობის ქონა და სხვებზე მბრძანებლობა“.

განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ გერმანელი მოაზროვნის ემანუილ კანტის შეხედულებები, ერთა მშვიდობიანი გაერთიანების შესახებ, რომელიც კონფლიქტს შეზღუდავდა და სახელმწიფოებს შორის მშვიდობას დაიცავდა. 1795 წელს მან გამოსცა წიგნი „მუდმივი მშვიდობა: ფილოსოფიური სკეჩი“, სადაც მხარს უჭერდა მშვიდობიანი მსოფლიო წესრიგის შექმნას, რომელიც შინაარსობრივად არ გულისხმობდა მსოფლიო ხელისუფლების შექმნას, არამედ ისეთი სახელმწიფოების, რომლებიც თავისუფალი ქვეყნები იქნებოდნენ და პატივს სცემდნენ როგორც საკუთარი, ისე სხვა ქვეყნის მოქალაქეებს, რაც მსოფლიოში ხელს შეუწყობდა მშვიდობიანი საზოგადოების შექმნას.

XIX საუკუნეში ნაპოლეონის ომების შემდგომ ევროპაში მშვიდობის შენარჩუნებაში და კოლექტიური უსაფრთხოების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ევროპის კონცერტმა.

აღნიშნულ პერიოდში საერთაშორისო სამართალი მნიშვნელოვნად განვითარდა, რომლის დროსაც შეიქმნა ჟენევის პირველი კონვენცია და ჰააგის 1899 და 1907 წლების კონვენციები, რომლებიც სამშვიდობო, ისე საომარი მოქმედებების დროს სახელმწიფოთა მოქმედებებს არეგულირებდნენ.

1907 წელს ჰააგის კონფერენციამ არგენტინის საგარეო საქმეთა მინისტრის დრაგოს მიერ ჩამოყალიბებული დოქტრინის ზეგავლენით მიიღო კონვენცია, რომელიც კრძალავდა სამხედრო ძალის გამოყენებას იმ სახელმწიფოების მიმართ, რომლებმაც ვერ გადაიხადეს ხელშეკრულებით ნაკისრი სესხი; ხოლო 1928 წ. ბრიანკელოგის პაქტით, რომელსაც II მსოფლიო ომის დაწყებამდე

სამოცდარვა სახელმწიფომ მოაწერა ხელი, ისტორიაში პირველად იქნა კოდიფიცირებული ნორმა, რომელიც კრძალავდა ძალის, როგორც ეროვნული პოლიტიკის ინსტრუმენტის გამოყენებას. უფრო გვიან ეს დადასტურდა ნიურნბერგის ტრიბუნალის მიერ, რომელმაც ომი გამოაცხადა „უმძიმეს საერთაშორისო დანაშაულად".

მიუხედავად ამისა, ცხადი იყო, რომ ომის კანონგარეშე მხოლოდ იურიდიული გამოცხადება არ წარმოადგენდა მშვიდობის სრულ გარანტიას. პირველი მსოფლიო ომის სისასტიკემ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ევროპაში არსებულ სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებზე. კონფლიქტის მიმდინარეობის პერიოდში რამდენიმე იმპერია  დაიშალა, კერძოდ რუსეთის, გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის და ოსმალეთის იმპერია. პირველი მსოფლიო ომის სისასტიკემ მსოფლიოში პაციფისტური და ანტისაომარი მოძრაობები მნიშვნელოვნად გააძლიერა,

სწორედ ამიტომ პირველი მსოფლიო ომი „უკანასკნელ ომად" იყო მიჩნეული. იმ მიზნით, რომ პირველი მსოფლიო ომის მსგავსი ანუ ფრო მძიმე ტრაგიკული ომი აღარ მომხდარიყო გადაწყდა ყველა იმ მიზეზის შესწავლა რამაც კონფლიქტის დაწყება გამოიწვია, რომლის შედეგადაც რამდენიმე მიზეზი გამოიკვეთა. დადგინდა, რომ სახელმწიფოები აქტიურად აწარმოებდნენ საიდუმლო დიპლომატიას, შეჯიბრს შეიარაღებაში, სამხედრო ნაციონალიზმს და სახელმწიფოები მოკავშირეებს მხოლოდ პირადი სარგებლის მიღების მიზნით არჩევდნენ.

სამომავლოდ კონფლიქტების არიდების მიზნით გადაწყდა, რომ საერთაშორისო ორგანიზაცია უნდა შექმნილიყო, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა და წაახალისებდა ღია დიპლომატიას, მოახდენდა განიარაღებას, წაახალისებდა კოლექტიურ უსაფრთხოებად შესაძლო ნეგატიური შედეგების გაზრდით ქვეყნებს სამომავლოდ კონფლიქტის დაწყების სურვილს შეუმცირებდა.

ერთა ლიგის შექმნამდე დიდ ბრიტანეთს, აშშ-ს და საფრანგეთს საკუთარი მოსაზრებები და შეხედულებები ჰქონდათ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ორგანიზაცია, რომელიც სამომავლოდ მსოფლიო წესრიგის და სტაბილურობის განმსაზღვრელი იქნებოდა. ბრიტანული იდეის თანახმად უნდა მომხდარიყო ე. წ. გამარჯვებული ქვეყნების კონფერენცია, რომელიც ქვეყნებს შორის დავებს გადაწყვეტდა და საჭიროების შესაბამისად სანქციებს დააწესებდა.

საფრანგეთის ინიციატივა ორგანიზაციასთან დაკავშირებით უფრო მრავლისმომცველი იყო, რაც გულისხმობდა კრიზისების გადაჭრას საგანგებო შეხვედრებით და საერთაშორისო არმიის შექმნით, რომლის მეშვეობითაც გადაწყვეტილების აღსრულება მოხდებოდა.

რაც შეეხება აშშ-ის პოზიციას, ვუდრო ვილსონმა ორგანიზაციის შექმნის იდეა მის ცნობილ 14 პუნქტზე დააფუძნა, რომლის მიხედვითაც ედვარდ ჰაუსმა ერთა ლიგის პირველი მონახაზი შეიქმნა. აღნიშნული მონახაზის თანახმად, სახელმწიფოებს უნდა შეეწყვიტათ არაეთიკური მოქმედებები, ასევე გარკვეული სახის ჯაშუშობა და უღირსი მოქმედებები. სახელმწიფოები რომლებიც არ დაემორჩილებოდნენ ორგანიზაციის გადაწყვეტილებას მათ მიმართ უნდა მომხდარიყო მკაცრი სანქციების დაწესება და ვაჭრობის აკრძალვა იმ ქვეყნებთან, რომლებიც აღნიშნულ ქვეყანას სტრატეგიულად მნიშვნელოვან ნედლეულს აწვდიდა.

ბრიტანელი რობერტ სესილის და სამხრეთ აფრიკელი იან სმუტსის შექმნილმა მონახაზმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ერთა ლიგის როლზე და მის სტრუქტურაზე. სმუტსი, აქტიურად უჭერდა მხარს საბჭოს შექმნას, სადაც როგორც დიდი ისე პატარა სახელმწიფოები იქნებოდნენ გაერთიანებულნი, წევრი პატარა ქვეყნები დიდების-

გან განსხვავებით როტაციის პრინციპს დაემორჩილებოდნენ, ხოლო დიდი ქვეყნები მუდმივმოქმედი წევრები იქნებოდნენ.

სმუტსის იდეის თანახმად ასევე, უნდა შექმნილიყო ე.წ. მანდატის სისტემა, რომელიც ღერძის ქვეყნების ტერიტორიებს გამარჯვებულ და ანტანტის ქვეყნებს გადაუნაწილებდა. მეორე მხრივ, სესილის ინიციატივები მეტწილად კონცენტრირებული იყო ლიგის ადმინისტრაციულ მხარეზე, რომლის მიხედვითაც განსაზღვრული იყო როგორც საბჭოს ისე ასამბლეის შეკრების დრო და ფუნქციები. სესილი ასევე მხარს უჭერდა მუდმივმოქმედი სამდივნოს შექმნა, რომელიც ლიგის ადმინისტრაციულ საკითხებს გაუძღვებოდა.

1919 წელს პარიზის სამშვიდობო კონფერენციის დროს ვილსონმა, სესილმა და სმუტსმა საკუთარი მონახაზები წარმოადგინეს. დელეგაციებს შორის გრძელვადიანი და დამღლელი მოლაპარაკებების შემდგომ შეთანხმება შედგა და მიიღეს ჰურსტ-მილერის მონახაზი, რომელზეც ლიგის შეთანხმების დაფუძნება მოხდა, რომლის შედეგადაც 1919 წლის 25 იანვარს წევრებმა ლიგის დაარსებას წინადადებას მხარი დაუჭირეს. ერთა ლიგის საბოლოო შეთანხმების მონახაზი სპეციალური კომისიის მიერ იქნა შედგენილი, ერთა ლიგა ვერსალის ხელშეკრულების ხელმოწერის შედეგად შეიქმნა.

ვერსალის ყველაზე ეფექტური და ნოვაციური გადაწყვეტილება, უნივერსალური ხასიათის და მის ავტორთა რწმენით, პანაციური მისიის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციის - ერთა ლიგის შექმნა იყო.

ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრ გრეის მიერ დიპლომატიური მინიშნებით „ჩაწოდებული“ იდეა ოპერატიულად გაითავისა ამერიკის პრეზიდენტმა და, როდესაც 1916 წლის მაისში ვილსონმა პირველად ახსენა „მშვიდობისა და სამართლიანობის უნივერსალური გარანტი“ საერთაშორისო ორგანიზაცია, მას გულწრფელად სჯეროდა, რომ ეს მისი პირადი რწმენის ნაყოფი იყო.

1919 წლის იანვარში ვილსონმა უკვე კონფერენციას წარუდგინა ერთა ლიგის წესდების მისეული ვარიანტი, რომელიც მიიღო კონფერენციამ და ერთა ლიგამ იარსება კიდეც ფორმალურად 1920 წლის 10 იანვრიდან 1946 წლის 18 აპრილამდე. წესდებას 80-მა სახელმწიფომ მოაწერა ხელი.

1920 წლისათვის, იმდროინდელ მსოფლიოში არსებული სამოცდახუთი მსხვილი სახელმწიფოდან, ამერიკისა და საუდის არაბეთის (რომელიც 1932 წელს შეიქმნა) გარდა, შემდგომში ყველა იყო ლიგის წევრი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ვადით.

სტრუქტურულად, ერთა ლიგა შედგებოდა წევრი სახელმწიფოებისაგან, ასამბლეის, საბჭოსა და სამდივნოსაგან, რომელსაც ხელმძღვანელობდა ლიგის გენერალური მდივანი პლიუს ტექნიკური კომისიები და დამხმარე სამსახურები. 6 მილიონ დოლარს შეადგენდა ლიგის წლიური ბიუჯეტი. ჟენევაში განთავსდა ლიგა. ასამბლეის წევრი იყო ლიგის ყველა წევრი, რომელნიც ყოველი წლის სექტემბერში იკრიბებოდნენ სესიაზე. დრო და დრო იკრიბებოდა სპეციალური სესიაც.

თითო ხმა ჰქონდა ლიგის ყოველ წევრსახელმწიფოს. ასამბლეის ფართო კომპეტენცია მოიცავდა ლიგის მთელ მოღვაწეობას. ფართო უფლებებით სარგებლობდა საბჭოც, სადაც მხოლოდ მის კომპეტენციაში შედიოდა ეროვნულ უმცირესობათა პრობლემები, მანდატების სისტემასთან დაკავშირებული საკითხები, დანციგისა (გდანსკის) და საარის პრობლემები. მუდმივ მოქმედი ორგანო იყო სამდივნო, რომელიც სერიოზულ გავლენას ახდენდა ლიგის პოლიტიკაზე.

1940 წლისათვის, სამდივნო 50 ქვეყნის წარმომადგენლით იყო დაკომპლექტებული.

გამომდინარე იქიდან, რომ ლიგის მთავარ ფუნქცია მშვიდობის შენარჩუნება იყო,

წამყვან მიმართულებას წარმოადგენდა შეიარაღების შეზღუდვა და შემცირება;

მიუხედავად იმისა, რომ ერთა ლიგამ შეძლო 40-ზე მეტი პოლიტიკური კონფლიქტის დარეგულირება, არაეფექტური აღმოჩნდა მისი მცდელობები კოლექტიური უსაფრთხოების თაობაზე წესდების XVI პარაგრაფის მეშვეობით გადაეჭრა ისეთი სერიოზული კრიზისები, როგორიც იყო იტალიის აგრესია ეთიოპიაში, იაპონიის აგრესია მანჯურიაში, გერმანიისა და იტალიის სამხედრო ჩარევა ესპანეთის სამოქალაქო ომში.

1939 წელს, ერთა ლიგიდან საბჭოთა კავშირის გარიცხვის შემდეგ (ადრე არავის უფიქრია იტალიის გარიცხვაზე), ლიგაში იმდროინდელი მსოფლიოს მხოლოდ ერთი წამყვანი სახელმწიფო - დიდი ბრიტანეთიღა შემორჩა, რამაც საგრძნობლად დასცა მისი ავტორიტეტი და გავლენა. პრაქტიკულად უმოქმედო იყო ლიგა 1939 წლის კრიტიკულ პერიოდში, ხოლო 1940 წლის იანვრიდან კი საერთოდ შეწყვიტა პოლიტიკური პროცესების დარეგულირების ღონისძიებები. 1946 წლის 18 აპრილს, გაიმართა ერთა ლიგის უკანასკნელი სესია, რომელზეც მიღებული გადაწყვეტილებით ლიგა ოფიციალურად გაუქმდა, მისი ქონება კი გაერთიანებული ერების ორგანიზაციას გადაეცა.

1919 წლის 20 ივნისს 44-მა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ლიგის შეთანხმებას. მათ შორის არ იყო ორი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო – აშშ და რუსეთი.

მოლაპარაკებების შედეგად განისაზღვრა ლიგის სტრუქტურა, რომლის მიხედვითაც შეიქმნებოდა გენერალური ასამბლეა (სადაც ყველა ქვეყანა იქნებოდა წარმოდგენილი), აღმასრულებელი საბჭო (მხოლოდ დიდი სახელმწიფოები) და მუდმივმოქმედი სამდივნო. ლიგის წვერ ქვეყნებს პატივი უნდა ეცათ სხვა ქვეყნების ტერიტორიებისთვის და აგრესიისგან თავი უნდა შეეკავებინათ, ასევე წვერ ქვეყნებს საკუთარი შეიარაღება უნდა შეემცირებინათ დონემდე, რომელიც თავდაცვისთვის იქნებოდა აუცილებელი. იმ შემთხვევაში თუ წევრ ქვეყანას სხვა რომელიმე წევრი ქვეყნის მიმართ პრეტენზია ან დავა ექნებოდა ის ვალდებული იყო მიემართა არბიტრაჟისთვის, სადაც მოხდებოდა აღნიშნული დავის გადაწყვეტა. ლიგის შეთანხმების თანახმად ქვეყნებს არბიტრაჟამდე საომარი მოქმედებების დაწყება ეკრძალებოდათ, მანამ სანამ აღმასრულებელი საბჭოს მიერ დანიშნული საერთაშორისო სასამართლო გადაწყვეტილებას არ მიიღებდა.

ვუდრო ვილსონის ძალისხმევის მიუხედავად, რის გამოც ის 1919 წელს მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატიც გახდა, აშშ ერთა ლიგაში ვერ გაწევრიანდა. რესპუბლიკელ სენატორს ჰენრი კებოტს სურდა, რომ აშშ ლიგაში პრივილეგიებით ყოფილიყო წარმოდგენილი. კებოტი ასევე მიიჩნევდა, რომ ომის გამოცხადების უფლება მხოლოდ სენატს ჰქონდა, ხოლო ერთა ლიგის წევრობა ქმნიდა ალბათობას, რომლის მიხედვითაც შეიძლებოდა, რომ აშშ ომში ყოფილიყო ჩათრეული. ვუდრო ვილსონმა აღნიშნულ მოთხოვნებზე უარი თქვა, რის გამოც კომპრომისი ვერ შედგა, ხოლო სენატში საჭირო ხმების 2/3 არ იყო, რის გამოც ვილსონის მცდელობა, რომ აშშ ერთა ლიგის წევრი გამხდარიყო წარუმატებლად დასრულდა.

1920 წლის 16 იანვარს, მას შემდეგ, რაც ვერსალის საზავო შეთანხმება დასრულდა საბჭოს პირველი შეხვედრა გაიმართა. 1920 წლის 1 ნოემბერს ლიგის სათაო ოფისი ლონდონიდან ჟენევაში გადაიტანეს, სადაც პირველი გენერალური ასამბლეა გაიმართა.

ერთა ლიგა - პირველი საერთაშორისო, სამთავრობთაშორისო ორგანიზაცია რომლის მიზანსაც წარმოადგენდა მსოფლიო მშვიდობის და სტაბილურობის დაცვა.

ერთა ლიგა დაარსდა 1920 წლის 10 იანვარს, მას შემდეგ, რაც პარიზის სამშვიდობო

კონფერენციის შედეგად, პირველი მსოფლიო ომის დასრულება მოხდა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია სუვერენულ სახელმწიფოთა ნებაყოფლობითი გაერთიანებაა. ესაა საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, რომლის შემადგენლობაში დღეს 191 ქვეყანა შედის. გაერო თავად არ ფლობს სუვერენიტეტს. ორგანიზაციის ნებას წევრი-სახელმწიფოები განსაზღვრავენ, რომლებიც გადაწყვეტილებას იღებენ დემოკრატიულ პრინციპებზე დაყრდნობით - კონსენსუსით ან კენჭისყრის გზით. გაეროს მთავარი მიზნებია: დაიცვას საერთაშორისო მშვიდობა და უსაფრთხოება; ხალხთა თვითგამორკვევისა და თანასწორობის პრინციპის გათვალისწინებით განავითაროს მეგობრული ურთიერთობები სხვადასხვა ერებს შორის; გააღრმავოს საერთაშორისო თანამშრომლობა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ჰუმანიტარული სახის საერთაშორისო პრობლემების გადასაწყვეტად, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა განვითარების მიზნით; გახდეს საერთაშორისო ცენტრი ამ მიზნების შესათანხმებლად და განსახორციელებლად. მისი შექმნის მთავარი მოტივი კი იყო და არის ის სირთულეები, რომელიც აქვთ სახელმწიფოებს - საკუთარი ძალებით გაუმკლავდნენ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ პრობლემებს.

1919 წელს აშშ-ის პრეზიდენტი ვ. ვილსონი ერთა ლიგის შექმნაში შეტანილი წვლილისთვის ნობელის მშვიდობის პრემიის გამარჯვებული გახდა.

ერთა ლიგის დაარსების დღიდანვე მის მიზანს წესდების მიხედვით წარმოადგენდა კონფლიქტების და ომების მშვიდობიანი გზით მოგვარება, რაც საკითხის გადასაჭრელად ითვალისწინებდა მოლაპარაკებების და არბიტრაჟის გამოყენებას·. ერთა ლიგის წესდება ასევე დიდ ყურადღებას უთმობდა ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ სამართლიან დამოკიდებულებას; ადამიანების და ნარკოტიკების ტრეფიკინგს; იარაღით ვაჭრობას; მსოფლიო ჯანდაცვას; ევროპაში უმცირესობების უფლებების დაცვას; ომის ტყვეების საკითხს და ღირსეული სამუშაო პირობების არსებობას.

ერთა ლიგის წესდების პირველ ნაწილს 1919 წლის 28 ივნისს ვერსალის შეთანხმების ფარგლებში მოეწერა ხელი, რომელიც მის მეორე ნაწილთან ერთად ამოქმედდა 1920 წლის 10 იანვარს, როდესაც მის მეორე ნაწილსაც მოეწერა ხელი. ერთა ლიგის საბჭოს პირველი შეხვედრა ამავე წლის 16 იანვარს გაიმართა, ხოლო 1920 წლის 15 ნოემბერს ერთა ლიგის პირველი ასამბლეა შეიკრიბა.

ერთა ლიგის შექმნა არსებული ეპოქის დიპლომატიისთვის სიახლეს წარმოადგენდა. მისმა შექმნამ მანამდე არსებული ასწლოვანი დიპლომატიური წესრიგი მნიშვნელოვნად შეცვალა. ერთა ლიგის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული წევრი სახელმწიფოების გადაწყვეტილებაზე, განსაკუთრებით პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებულ ქვეყნებზე (საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, იტალია და იაპონია), რომლებიც უზრუნველყოფდნენ რეზოლუციების აღსრულებას, ეკონომიკური სანქციების შესრულებას და შეიარაღებული ძალების გამოყოფას. დიდი სახელმწიფოები ლიგის მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას ხშირად აყოვნებდნენ, ვინაიდან აღნიშნულს შეეძლო მათი ინტერესებისთვის ზიანი მიეყენებინა.

ამდენად, ერთა მშვიდობიანი გაერთიანების იდეა, რომელიც კონფლიქტს შეზღუდავდა და სახელმწიფოებს შორის მშვიდობას დაიცავდა ჯერ კიდევ 1975 წელს გაჩნდა, როდესაც იმანუელ კანტმა, მისი წიგნი „მუდმივი მშვიდობა: ფილოსოფიური სკეჩი“ გამოსცა. კანტი მხარს უჭერდა მშვიდობიანი მსოფლიო წესრიგის შექმნას, რომელიც შინაარსობრივად არ გულისხმობდა მსოფლიო ხელისუფლების შექმნას, არამედ ისეთი სახელმწიფოების რომლებიც თავი-

სუფალი ქვეყნები იქნებოდნენ და პატივს სცემდნენ როგორც საკუთარ ისე სხვა ქვეყნის მოქალაქეებს, რაც მსოფლიოში ხელს შეუწყობდა მშვიდობიანი საზოგადოების შექმნას.

მე-19 საუკუნეში, ნაპოლეობის ომების შემდგომ, ევროპის კონცერტმა ევროპაში მშვიდობის შენარჩუნებაში და კოლექტიური უსაფრთხოების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. აღნიშნულ პერიოდში საერთაშორისო სამართალი მნიშვნელოვნად განვითარდა, რომლის დროსაც შეიქმნა ჟენევის პირველი კონვენცია და ჰააგის 1899 და 1907 წლების კონვენციები, რომლებიც სამშვიდობო ისე საომარი მოქმედებების დროს სახელმწიფოთა მოქმედებებს არეგულირებდნენ.

პირველი მსოფლიო ომის სისასტიკემ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ევროპაში არსებულ სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებზე. კონფლიქტის მიმდინარეობის პერიოდში რამდენიმე იმპერია დაიშალა, კერძოდ, რუსეთის, გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და ოსმალეთის იმპერია.

პირველი მსოფლიო ომის სისასტიკემ მსოფლიოში პაციფისტური და ანტისაომარი მოძრაობები მნიშვნელოვნად გააძლიერა, სწორედ ამიტომ პირველი მსოფლიო ომი „უკანასკნელ ომად“ იყო მიჩნეული. იმ მიზნით, რომ პირველი მსოფლიო ომის მსგავსი ან უფრო მძიმე ტრაგიკული ომი აღარ მომხდარიყო გადაწყდა ყველა იმ მიზეზის შესწავლა რამაც კონფლიქტის დაწყება გამოიწვია, რომლის შედეგადაც რამდენიმე მიზეზი გამოიკვეთა. დადგინდა, რომ სახელმწიფოები აქტიურად აწარმოებდნენ საიდუმლო დიპლომატიას, შეჯიბრს შეიარაღებაში, სამხედრო ნაციონალიზმს და სახელმწიფოები მოკავშირეებს მხოლოდ პირადი სარგებლის მიღების მიზნით არჩევდნენ.

სამომავლოდ, კონფლიქტების არიდების მიზნით, გადაწყდა, რომ საერთაშორისო ორგანიზაცია უნდა შექმნილიყო, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა და წაახალისებდა ღია დიპლომატიას, მოახდენდა განიარაღებას, წაახალისებდა კოლექტიურ უსაფრთხოება და შესაძლო ნეგატიური შედეგების გაზრდით ქვეყნებს სამომავლოდ კონფლიქტის დაწყების სურვილს შეუმცირებდა.

ერთა ლიგის სტრუქტურა შემდეგი ორგანოებისგან შედგებოდა. ასამბლეა, საბჭო და მუდმივმოქმედი სამდივნო. მას ასევე დამატებით გააჩნდა მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლო, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია და სხვა დამხარე კომისიები თუ სამსახურები. თითოეული ორგანოს ბიუჯეტი ასამბლეის მიერ იყო განსაზღვრული, ლიგის ფინანსური მხარდაჭერა მისი წევრი ქვეყნების მიერ ხდებოდა. ერთა ლიგის ასამბლეას და კომისიას შორის ურთიერთობები მკაცრად განსაზღვრული არ იყო, ასევე ბუნდოვანი იყო ორივე ორგანოს კომპეტენციების საკითხიც. გადაწყვეტილებები ერთა ლიგაში ერთსულოვნების პრინციპით მიიღებოდა, პროცედურული საკითხების გარდა ყველა საკითხზე ყველა ქვეყანას თანხმობა უნდა განეცხადებინა, წინააღდეგ შემთხვევაში საკითხი მიღებული არ იქნებოდა. აღნიშნული პრინციპი არ ვრცელდებოდა ახალი წევრების მიღებაზე თუ სხვა რომელიმე განსაკუთრებულ საკითხზე.

მუდმივ მოქმედი სამდივნო - სამდივნო აერთიანებდა სხვადასხვა დარგის ექსპერტებს, რომლებიც გენერალური სამდივნოს ექვემდებარებოდა. აღნიშნული სამდივნოს ძირითადი მიმართულებები იყო პოლიტიკური, ფინანსური და ეკონომიკური, სატრანზიტო, უმცირესობები, ადმინისტრირება (საარი და დანცინგი), მანდატების საკითხი, განიარაღება, ჯანმრთელობა და სოციალური. სამდივნო საბჭოსთვის და ასამბლეისთვის შეიმუშავებდა სამოქმედო გეგმას ასევე საჭიროებისამებრ წარადგენდა რეპორტებს. ასამბლეა - ასამბლეაში ერთა ლიგის ყველა წევრი ქვეყანა იყო წარმოდგენილი, სადაც თითოეულ ქვეყანას 3 წარმომადგენელი

ჰყავდა და ყველა ქვეყანას ერთი ხმის უფლება ჰქონდა. ასამბლეა შეკრება ყოველი წლის სექტემბერში ჟენევაში ხდებოდა, სადაც განიხილავდნენ ახალი წევრების მიღებას და ორგანიზაციის ბიუჯეტს, საბჭოს არა მუდმივმოქმედი წევრების არჩევას და სასამართლოს წევრების არჩევას.

საბჭო, როგორც ასამბლეის გადაწყვეტილების აღმასრულებელი ორგანო, ისე ფუნქციონირებდა. საბჭოს ოთხი მუდმივმოქმედი წევრი ჰყავდა: დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია და იაპონია. საბჭოში ასევე შედიოდა 4 არამუდმივი წევრი, რომლებიც 3 წლის ვადით ასამბლეის მიერ აირჩეოდა. საბჭოს პირველი არამუდმივი წევრები იყვნენ: ესპანეთი, ბრაზილია, საბერძნეთი და ბელგია.

ერთა ლიგის საბჭოს წევრთა რაოდენობა არსებობის განმავლობაში რამდენჯერმე შეიცვალა. 1922 წელს არამოქმედი წევრი ქვეყნების რაოდენობა ექვსამდე გაიზარდა, ხოლო 1926 წელსუკვე რვამდე.

1926 წელს, როდესაც გერმანია ერთა ლიგაში გაწევრიანდა ის საბჭოს მეხუთე მუდმივმოქმედი წევრი გახდა. მას შემდეგ, რაც გერმანიამ და იაპონიამ ლიგა დატოვეს არაწევრი ქვეყნების რაოდენობა 9-დან 11-მდე გაიზარდა, ხოლო მას შემდეგ რაც საბჭოთა კავშირი ლიგის წევრი გახდა საბჭოს კიდევ 3 არამუდმივი წევრი დაემატა, რის შედეგადაც საბოლოოდ საბჭოს 15 წევრი ჰყავდა. საბჭოს წევრები საკითხთა განხილვის მიზნით წელიწადში 5-ჯერ იკრიბებოდნენ, შეკრება ხდებოდა საგანგებო მდგომარეობის დროსაც.[1]

მას შემდეგ, რაც მსოფლიო ომი დასრულდა დღის წესრიგში დამარცხებული ქვეყნების ტერიტორიების ნაწილის გადანაწილების საითხი დადგა. გერმანიას ჩამოერთვა კოლონიები აფრიკასა და ოკეანეთში, ხოლო ოსმალეთის იმპერიას ჩამოერთვა მისი არაბულენოვანი რეგიონები. პარიზის სამშვიდობო შეთანხმების თანახმად, აღნიშნულ ტერიტორიებზე პასუხისმგებლობა სხვა ქვეყნებს უნდა აეღოთ და ემართათ. ერთა ლიგის მანდატის სიტემა შეთანხმების 22-ე მეორე მუხლით იყო განსაზღვრული. მანდატების კომისია განსაზღვრავდა ქვეყნის მანდატის სტატუსს, ასევე სადავო ტერიტორიებზე პლებისციტის ჩატარებას იმისთვის, რომ მოსახლეობას ჰქონოდა არჩევანი თუ რომელ ქვეყანას შეერთებოდა. ერთა ლიგაში მანდატების 3 კატეგორია არსებობდა A, B და C.

A — აღნიშნული მანდატი ოტომანების იმპერიის ნაწილს შეეხებოდა, ასევე თუ გაერთიანება საკმარისად განვითარებული იყო და გააჩნდა სახელმწიფოებრივი ნიშნები და შეეძლო საკუთარი თავის დაცვა მაშინ მისი მოთხოვნები მმართველის შერჩევის დროს მკაცრად გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო.

B — ტერიტორიები, რომლებიც გერმანიის შემადგენლობაში შედიოდა. აღნიშნულ ტერიტორიებზე მცხოვრები ხალხის მართვისას მანდატის მფლობელი ქვყანა უნდა დახმარებოდა გაერთიანებას განვითარებულიყო და საკუთარი თავის დაცვა ესწავლა. მმართველ ქვყანა მართული გაერთიანების ადმინისტრირება უნდა განეხორციელებინა და დაეცვა სამოქალაქო წესრიგი.

C — ტერიტორიები მოიცავდა აფრიკის და ოკეანეთის ნაწილს. აღნიშნულ ტერიტორიებზე მცხოვრები ხალხები, რომლებიც

[1] საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი (შემოკლებით სსრკ, საბჭოთა კავშირი, სსრ კავშირი, საბჭოეთი) - სოციალისტურ-ცენტრალიზებულად მართული მრავალეროვანი სახელმწიფო აღმოსავლეთ ევროპაში, კავკასიაში, ჩრდილო და შუა აზიაში. საბჭოთა კავშირი 1922 წლის 30 დეკემბერს დაარსდა და 1991 წლის 26 დეკემბერს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით დაიშალა. კავშირის დაშლის შემდეგ სახელმწიფოს საჯარო-კანონებრივი ვალდებულებანი რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკას დაეკისრა (მოგვიანებით რუსეთის ფედერაციას).

არასაკმარისად განვითარებულები და ცივილიზაციისგან საკმაოდ დაშორებულები იყვნენ. აღნიშნული მანდატის ქვეშ ასევე იმართებოდა ის ტერიტორიები, რომლებზეც ეთნიკური ჯგუფები მნიშვნელოვნად დაქსაქსული ან მცირერიცხოვანი იყო.

ერთა ლიგის მანდატით ტერიტორიების მართვის უფლება მხოლოდ რამდენიმე ქვეყანას ჰქონდა, ერთა ლიგის 14 მანდატი დიდ ბრიტანეთს, სამხრეთ აფრიკის გაერთიანებას, საფრანგეთს, ბელგიას, იაპონიას, ახალ ზელანდიასა და ავსტრალიას ჰქონდა განაწილებული. დიდი ბრიტანეთი მისი მანდატით პალესტინას მართავდა, ხოლო სამხრეთ აფრიკის გაერთიანება კი სამხრეთ დასავლეთ აფრიკის მანდატს.

ერთა ლიგის მანდატით მართულმა ქვეყნებმა დამოუკიდებლობა მეორე მსოფლიო ომის დასრულებამდე ვერ მიიღეს, ერთადერთი გამონაკლისს ერაყის სამეფო წარმოადგენდა, რომელიც ერთა ლიგის წევრი 1932 წელს გახდა.

ერთა ლიგის პირდაპირი მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა ზაარლანდი, რომელიც 15 წლის შემდეგ პლებისციტის შედეგად დაბრუნდა გერმანიის მმართველობაში და დანცინგის თავისუფალი ქალაქი (დღევანდელი გდანსკი).

პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ მსოფლიო ბევრი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საზღვრების საკითხი. საზღვრების მოწესრიგების საკითხს მოკავშირეები წყვეტდნენ, მაგრამ ისინი საკითს განსახილველად ერთა ლიგას მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში გადასცემდნენ. ვინაიდან მსოფლიო ომებს შორის პერიოდში ერთა ლიგა ყველა დავას ვერ განიხილავდა, ქვეყნებს შორის ბევრი ტერიტორიული დავა გაჩნდა, რაც დაპირისპირების და შეტაკებების მიზეზი ხდებოდა.

პირველი მსოფლიო ომის დასრულებიდან მალევე ცხადი გახდა, რომ ანტანტის წევრი ქვეყნები გამარჯვებულები იყვნენ, სწორედ ამიტომ საქართველომ გადაწყვიტა მონაწილეობა მიეღო პარიზის სამშვიდობო მოლაპარაკებებში.

1919 წლის 14 მარტს საქართველომ კონფერენციაში მონაწილე დიდი სახელმწიფოებს წარუდგინეს მემორანდუმი, რომელშიც საუბარი იყო საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაზე და მის სურვილზე, რომ ერთა ლიგის წევრი გამხდარიყო. ქართული დელეგაციის მცდელობის და მიუხედავად ვერსალის კონფერენციამ საქართველო არც დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნო და ერთა ლიგაში გაწევრიანებაზეც უარი ეთქვა, ვინაიდან დასავლეთი საქართველოს კვლავ რუსეთის გავლენის სფეროდ მიიჩნევდა. საქართველოს დიპლომატიური მისიის დაუღალავი შრომის შედეგად 1920 წლის 12 იანვარს საქართველო დე ფაქტოდ აღიარეს.

1920 წლის დეკემბერში ერთა ლიგაზე განიხილეს საქართველოს ორგანიზაციაში გაწევრიანების საკითხი, რომლის შედეგადაც საქართველოს წევრობაზე უარი ეთქვა. საქართველოს ერთა ლიგის წევრობამდე სულ რამდენიმე ხმა დააკლდა, აუცილებელი 14 ხმიდან მან მხოლოდ 10 მიიღო.

1921 წელს ერთა ლიგაში ინგლისის წარმომადგენელმა ლორდ რობერტ სესილმა განაცხადა: „საქართველოს მდგომარეობა ძლიერ წააგავს ბალტიის სახელმწიფოების მდგომარეობას. ამ სახელმწიფოების ბედი ერთად უნდა გადაწყდეს. ეს სახელმწიფოები უნდა დაშვებულ იქნენ ერთა ლიგის შემადგენლობაში, მაგრამ არ მივცეთ ერთა ლიგის დებულების მე-10 მუხლზე დამყარების უფლება. ერთა ლიგამ რობერტ სესილის აზრი გაიზიარა და საქართველო ერთა ლიგაში მიიღო, იმ განსაზღვრული პირობით, რომ საქართველოს და მის მაგვარ ბალტიის სახელმწიფოების მიმართ იგი თავისუფალია ერთა ლიგის მეათე მუხლით დაკისრებული ვალდებულებისგან.“

მას შემდეგ, რაც მეორე მსოფლიო ომის დაწყება გარდაუვალი იყო, ერთა ლიგის ასამბლეამ გენერალურ მდივანი ჯერ 1938 წელს ხოლო მოგვიანებით 1939 წელს სპეციალური უფლებებით აღჭურვა, რომ ორგანიზაციას ფუნქციონირება შეზღუდულად მაინც გაეგრძელებინა.

1943 წლის თეირანის კონფერენციაზე მოკავშირეებმა გადაწყვიტეს, რომ შექმნილიყო ახალი ორგანიზაცია, რომელიც ერთა ლიგას ჩაანაცვლებდა. ერთა ლიგის ბევრი ორგანო და სამსახური გაეროს დაქვემდებარებაში გადავიდა, მაგალითად საერთაშორისო შრომის ორგანიზაცია გაეროს ნაწილი გახდა. ერთა ლიგისგან განსხვავებით გაეროს შემქმნელებმა ახალი ორგანიზაციის სტრუქტურის ეფექტიანობას დიდი ყურადღება მიანიჭეს. ერთა ლიგის საბოლოო კრება 1946 წლის 18 აპრილს გაიმართა. დარჩენილმა 34 წევრმა ორგანიზაციის თვითლიკვიდაცია გამოაცხადა და მისი აქტივები გაეროს გადასცა.

ამრიგად, თავისი 26-წლიანი არსებობის განმავლობაში ერთა ლიგას ჰქონდა, როგორც მნიშვნელოვანი წარმატებები, ისე წარუმატებლობები, მაგრამ დროთა განმავლობაში ერთა ლიგის არაეფექტიანობა მნიშვნელოვნად გამოიკვეთა, განსაკუთრებით XX საუკუნის 30-იანი წლებში, როდესაც მან ღერძის ქვეყნების აგრესიული პოლიტიკის შეჩერება ვერ მოახერხა. ერთ-ერთ მთავარი მიზეზი, რამაც განაპირობა ერთა ლიგის არაეფექტიანობა იყო აშშ-ის უარი გამხდარიყო ორგანიზაციის წევრი, მაშინ როდესაც აშშ აღნიშნული ორგანიზაციის შექმნის მთავარი ინიციატორი იყო. ერთა ლიგის როგორც ორგანიზაციის დასუსტება და ავტორიტეტის დაქვეითება რამდენიმე მოვლენამ განაპირობა, კერძოდ, საბჭოთა კავშირი ორგანიზაციის წევრი საკმაოდ გვიან გახდა, მაგრამ ფინეთთან სამხედრო დაპირისპირების გამო ის მალევე გააძევეს· საბჭოთა კავშირის გაძევებას მალევე მოჰყვა გერმანიის, იტალიის, იაპონიის და ესპანეთის მიერ ერთა ლიგის დატოვება. მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში გამოჩნდა, რომ ერთა ლიგამ მისი მთავარი მიზანი ახალი მსოფლიო ომის აცილება ვერ მოახერხა. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ერთა ლიგა ახალი ორგანიზაციით გაერთიანებული ერების ორგანიზაციით (გაერო) ჩანაცვლდა.

მსოფლიოს პირველი საერთაშორისო ორგანიზაციის დასანანი კრახის გამომწვევ მიზეზთა შორის მთავარი, ალბათ, ამერიკის ბოიკოტი იყო; მსოფლიოს უმდიდრესი და უძლიერესი სახელმწიფოს გარეშე დარჩა ორგანიზაცია, რომლის ბირთვსაც ომით დასუსტებული რამდენიმე დემოკრატიული და უფრო მეტი რევანშისა და ახალი ტერიტორიული დაპყრობებისათვის სამზადისში მყოფი დიქტატორული რეჟიმები წარმოადგენდნენ.

თუკი ვინმეს შეეძლო ერთა ლიგის წესდების X მუხლით გათვალისწინებული ფუძემდებელი პრინციპის - წევრი სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობის - დაცვა, ეს ამერიკა იყო. მან კი (მისმა საკანონმდებლო ორგანომ) სწორედ ამ მუხლის გამო თქვა უარი წესდების რატიფიკაციაზე. სხვას ვის, თუ არა ამერიკას შეეძლო რეალობად ექცია იტალიის საწინააღმდეგო სანქციები და ეთიოპია გადაერჩინა? მხოლოდ ამერიკას შეეძლო „ჭკუაზე მოეყვანა“ იაპონია და მანჯურია გადაერჩინა.

მართალია, 1934 წელს საფრანგეთის ინიციატივით 30-მა სახელმწიფომ მიიპატიჟა საბჭოთა კავშირი ლიგაში და იგი ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი გახდა, მაგრამ მოსკოვს არც საიმისო რეალური ძალა და, რაც მთავარია, არც სურვილი ჰქონდა მისი მსოფლმხედველობისთვის უცხო პრინციპების ქომაგად გამოსულიყო. მით უმეტეს, რომ არც დემოკრატიული სახელმწიფოები იკლავდნენ თავს საკუთარი პრინციპების დაცვით - ასე იყო, როდესაც აგრესორი იტალიის წინააღმდეგ მიიღო ლიგამ

სანქციებზე გადაწყვეტილება, მაგრამ ფიქციად აქცია ის ინგლისმა თავისი უარით გადაეკეტა სუეცის არხი, საიდანაც რომი ნავთობს ღებულობდა. ანალოგიურივე სიტუაცია შეიქმნა 1936 წელს, როდესაც გერმანიამ ცინიკურად გადააბიჯა ვერსალისა და ლოკარნოს ხელშეკრულებებს და ჯარი შეიყვანა რეინის დემილიტარიზებულ ზონაში; 1936 წლის 14 მარტს, ლონდონში გაიმართა ერთა ლიგის საბჭოს სხდომა, სადაც ევროპის სამმა დემოკრატიულმა სახელმწიფომ - ინგლისმა, საფრანგეთმა და ბელგიამ - უარი თქვა მშვიდობისათვის საფრთხედ შეეფასებინათ (რაც გარდაუვალს გახდიდა სანქციებს) ჰიტლერის აქცია. საინტერესოა, რომ იმავე პერიოდში სამივე სახელმწიფოს წარმომადგენლები მორჩილად დათანხმდნენ გერმანიის მოთხოვნას ჰააგის ტრიბუნალისათვის გადაეცათ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის 1935 წლის შეთანხმება.

როდესაც 1936 წელს, ესპანეთის მთავრობამ ერთა ლიგის ასამბლეაზე გერმანია-იტალიის ინტერვენციის საკითხი დააყენა, სწორედ დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა ამოიღეს იგი დღის წესრიგიდან და სახელდახელოდ შექმნილ ე.წ. „ჩაურევლობის კომიტეტს" გადაულოცეს. მიუხედავად იმისა, რომ 1938 წლისათვის ეჭვს აღარ ტოვებდა ჩეხოსლოვაკიის ანექსიაზე ჰიტლერის გეგმა, ლიგამ დღის წესრიგშიც კი არ შეიტანა ე.წ. „სუდეტის კრიზისისა" და ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე გერმანიის ჯარის კონცენტრაციის საკითხი. უკანასკნელი რეზონანსული აქცია იყო ერთა ლიგიდან საბჭოთა კავშირის გარიცხვა.

**NANA KANKAVA**

## THEORETICAL-METHODOLOGICAL AND HISTORICAL FRAMEWORK OF GLOBAL MECHANISMS OF INTERNATIONAL CONFLICT SETTLEMENT

Summary

Attempts to settle international conflicts begin with the establishment of the Westphalian system, which actually laid the foundation for a new era in the international community and lasted almost until the end of the First World War. This European system was the framework of European governance. It was a way to establish, reinforce and monitor a certain social order. Its basis was the principle of statehood and sovereignty.

Statehood meant that the world was divided into territorial divisions, each of which was governed by an independent government. This modernist state was a centralized, formally organized public governmental apparatus that exercised a legal monopoly in the form of armed violence within the borders of its jurisdiction.

The main goal of the main actors of the world politics of that period was to prevent a tragic war similar to the First World War. For this, it was decided to study all the reasons that led to the start of the conflict, as a result of which several reasons were identified. It was established that the states actively engaged in secret diplomacy, arms competition, military nationalism, and the states chose allies only for personal gain.

In order to avoid conflicts in the future, it was decided that an international organization should be established, which would encourage open diplomacy, disarmament, encourage

collective security, and reduce the desire of countries to start conflicts in the future by increasing possible negative consequences.

***Key words***: Treaty of Westphalia, international relations, World War I, statehood, sovereignty.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ჯავახიშვილი ივ., „საქართველოს საზღვრების პრობლემა მე-20 საუკუნის I ნახევარში", ნაწილი 2, (საქართველოს პარლამენტის ეროვ.ბიბლიოთეკა), 226 გვ. თბ., 2019.
2. სანიკიძე გ., კილურაძე ნ., „თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები: მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია" (სახელმძღვანელო სოციალ. მეცნ. მაგისტრანტებისათვის), რედ.: ლია კაჭარავა; ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო, გამომცემლობა „მერიდიანი", თბ., 2001.
3. ჩალაფეიქრიშვილი ვ., „მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე" (სადისერტაციო ნაშრომი). თსუ, თბ., 2013. https://www.tsu.ge/data/file_db/library/chalapeikrishvili_msoplio.pdf;
4. Kant I., Perpetual Peace: A Philosophical Sketch. Mount Holyoke College. 2008.
5. F.S Northedge, *The League of Nations: Its Life and Times, 1920–1946* (1986) p 10
6. The League of Nations – Karl J. Schmidt. American History. 10 December 2013.
7. The League of Nations: a retreat from international law?. Journal of Global History. 10 December 2013
8. J. A. Thompson, „Lord Cecil and the pacifists in the League of Nations Union". *Historical Journal* 20#4 (1977): 949-959.
9. Christof Heyns, „The Preamble of the United Nations Charter: The Contribution of Jan Smuts". *African Journal of International and Comparative Law* vol 7 (1995): pp 329.
10. ცინცაძე ს., „დიპლომატია რიშელიედან გორბაჩოვამდე", თბ., 2016.

✍ ჯონი ტატუნაშვილი
*წარმოადგინა პროფ.* ***ზურაბ კვეტენაძემ***

# ევროპული ინტეგრაციის სხვადასხვაფორმატიანი მოდელის ფორმირების პოლიტიკის სპეციფიკა

ევრაზიული რეგიონის სახელმწიფოთა პოლიტიკური თანამშრომლობის სფეროში დაგროვილი გამოცდილება მომავალი ევრაზიული კავშირის სტრუქტურის ფორმირებისას არსებული გამოცდილების გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის ფარგლებში განვითარებული მექანიზმების არსებობა ასევე იძლევა ანალოგიის გავლების შესაძლებლობას ევროკავშირის „სამი საყრდენისგან“ ერთ-ერთთან – საგარეო პოლიტიკის სფეროში თანამშრომლობასთან (საერთო საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოების პოლიტიკა).

ევრაზიული ინტეგრაციის პროცესში ვლინდება რამდენიმეფორმატიანი მოდელის გამოყენების შესაძლებლობა. არის მცდელობა გამოყენებულ იქნას ევროკავშირის მაგალითიც. ზოგიერთ შემთხვევაში ეს წარმატებითაც ხორციელდება. მიუხედავად ამისა, ევრაზიული ინტეგრაცია რამდენიმე სპეციფიკური თავისებურებით გამოირჩევა, რომელთა შორის აღსანიშნავია რუსეთის ფაქტორი. თუ ევროკავშირი თანაბარი შესაძლებლობების რამდენიმე სუბიექტისაგან იქმნებოდა, ევრაზიის შემთხვევაში რუსეთი აშკარად უპირატესობით გამოირჩევა დანარჩენ მონაწილეებთან შედარებით.

***საკვანძო სიტყვები:*** *უსაფრთხოება, ინტეგრაცია, ევროკავშირი, ევრაზიული კავშირი, დსთ, რუსეთი, პოსტსაბჭოთა ქვეყნები.*

პოსტსაბჭოთა სივრცის რეალიებში ურთიერთქმედების ურთიერთმისაღები მოდელის ძიება უკიდურესად რთული ამოცანა იყო, ვინაიდან ევრაზიული რეგიონის ქვეყნები, ჯერ ერთი, განვითარების სხვადასხვა მიმართულებებზე არიან ორიენტირებული, მეორეც, სხვადასხვა ინტეგრაციული პოტენციალი აქვთ, რომელიც ეკონომიკური განვითარების დონეში და სახელმწიფოთაშორისი ურთიერთქმედების სფეროში აქტიური ქმედებებისათვის მზაობაში გამოიხატება.

ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ ევროპული ინტეგრაციისთვის მოცემული პრობლემა ასევე აქტუალური იყო, ვინაიდან თითოეულ მონაწილეს საკუთარი შეხედულება ჰქონდა ინტეგრაციული ურთიერთობების განხორციელების მიზნებსა და ფორმებზე.

ევროკავშირში ინტეგრაციის განვითარების ორი, თავისი პრინციპით განსხვავებული, ფორმა ჩამოყალიბდა. პირველი ფორმა, გაფართოება, ევროპული ინტეგრაციის პროცესში ახალ მონაწილეთა ჩართვას გულისხმობდა. მეორე ფორმა, გაღრმავება, ინტეგრაციის უკვე არსებულ მონაწილეთა შორის კავშირების გაძლიერებულ განვითარებას გულისხმობდა.

უფრო დეტალურად განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ევროპული ინტეგრაციის გაფართოებისას განსაკუთრებული ყურადღება მონაწილეთა რაოდენობის გაზრდას ეთმობოდა. მსგავსი ფორმა ევროკავშირის სტრუქტურის გართულებას და თავად ინტეგრაციული პროცესის შენელებას ნიშნავდა, ვინაიდან თითოეული ახალი მონაწილე – ეს ინტეგრაციაზე ახალი ხედვაა, რომელიც თავის მიზნებსა და თავის სარგებელს მისდევს. ინტეგრაციის შენელება, ასევე ევროკავშირის უკვე ჩამოყალიბებულ სტანდარტებსა და წესებთან ახალი მონაწილის ადაპტაციის აუცილებლობით იყო განპირობებული. მეორე მხრივ, ახალი მონაწილეები – ეს ახალი მოთამაშეებია ევროკავშირის ერთიან შიდა ბაზარზე, რომლებიც, ჯერ ერთი, თავად ეკ-ს ეკონომიკის განვითარებისთვის, ხოლო მეორე, საექსპორტოდ ორიენტირებული ქვეყნებისთვის პოტენციური მყიდველების სახით წარმოადგენენ ინტერესს [1. 12].

ინტეგრაციის გაღრმავება, პირიქით, უკვე არსებული კავშირების აქცენტირებულ განვითარებას გულისხმობს უფრო ვრცელი ურთიერთინტეგრაციის გზით. ეს პროცესი კანონმდებლობის უნიფიკაციას და ზეეროვნული ორგანოებისთვის დიდი ოდენობის უფლებამოსილებათა მინიჭებას გულისხმობს მონაწილეთა სუვერენიტეტის პროპორციული შემცირების ხარჯზე.

ევროპული ინტეგრაციის განვითარების პროცესმა სირთულეთა მთელი კომპლექსი გამოავლინა, რომლებსაც განვითარების დონით განსხვავებული სახელმწიფოები აწყდებიან ერთიან ტემპში საერთო მიზნისკენ მოძრაობის მცდელობისას. ისეთი სიტუაციისთვის, როდესაც ინტეგრაციის მონაწილე, შიდა მიზეზებისა და ჩამოყალიბებული გარემოებების გამო ვერ იღებს მონაწილეობას ინტეგრაციულ პროცესში, ევროკავშირში ამოქმედებულ იქნა ე.წ. „მოქნილი ინტეგრაციის" მექანიზმი, რომელიც თითოეული მონაწილის ჩართულობის სხვადასხვა დონეს გულისხმობს. ეს მექანიზმი ცნებათა გარკვეული კომპლექსით იქნა წარმოდგენილი, რომელიც თავის თავში ურთიერთქმედების სხვადასხვა ფორმებს მოიცავდა და ამა თუ იმ ხარისხით გამოხატავდნენ „მოქნილი ინტეგრაციის" არსს: ავანგარდი (avant-garde), მყარი ბირთვი (core Europe), მონაწილეობა არჩევანით (a la carte), ინტეგრაცია (multi-speed) და ა.შ. [1. 27].

„მოქნილი ინტეგრაციის" კონცეფცია თავიდანვე გათვალისწინებული იყო ევროკავშირის ფუძემდებლური ხელშეკრულებებით. მან მისცა ეკ-ს სახელმწიფოებს საშუალება განევითარებინათ ის სფეროები, რომლებიც იმ მომენტისთვის მათთვის ყველაზე აქტუალური იყო. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ურთიერთქმედების ასეთი ფორმატი გარკვეული სახის „ექსპერიმენტი" იყო, სადაც ქვეყნები ჯგუფებში ერთიანდებოდნენ და ევროკავშირის მიზნების შესაბამისად მოქმედებდნენ, ოღონდ ხელშეკრულებით განმტკიცებული რიგი თავისებურების დამატებით.

ასეთი „ექსპერიმენტის" და მოქნილი ინტეგრაციის კონცეფციის რეალიზაციის მაგალითის სახით შეიძლება შენგენის შეთანხმების დასახელება, რომლის საფუძველი თავდაპირველად ხუთმა სახელმწიფომ შეადგინა, ხოლო ამჟამად 27 სახელმწიფოს მოიცავს [2. 59].

აღსანიშნავია, რომ დასავლეთისგან ინტეგრაციის მსგავსი მექანიზმის სესხება სასიცოცხლოდ აუცილებელი ზომა გახდა ევრაზიული ინტეგრაციის მომდევნო განვითარების უზრუნველსაყოფად.

სხვადასხვადონიანი სხვადასხვა სისწრაფის ინტეგრაციის მოდელის გამოყენება ევრაზიის რეგიონში ინტეგრაციული კრიზისის დაძლევის ხერხად იქცა. ამ მოდელის გამოყენება ითვალისწინებს ისეთი საერთო ინტერესების არსებობას სახელმწიფოებს შორის, რომლებიც გარკვეულ სფე-

როებში ურთიერთქმედების ინტენსივობის მომატებას იწვევს.

ინტეგრაციული ურთიერთქმედების ფორმების მრავალფეროვნება მონაწილე სახელმწიფოებს საშუალებას აძლევს უფრო მჭიდრო თანამშრომლობა ააწყონ დსთ-ს სხვა მონაწილეთა ინტერესებისთვის ზიანის გარეშე.

დსთ-ის წევრ სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ინტეგრაციული განვითარების ძირითადი მიმართულებების" მემორანდუმში განმტკიცებული იქნა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში სხვადასხვაფორმატიანი ინტეგრაციის მოდელის გამოყენების შესაძლებლობა.

ამრიგად, სახელმწიფოებს არ ეკისრება რაიმე ვალდებულებები, რაც თითოეულ მათგანს შესაძლებლობას აძლევს დამოუკიდებლად აირჩიონ თანამშრომლობის მიმართულებები შესაძლებლობების თანახმად. მრავალდონიანი პრინციპით ფორმირებული ინტეგრაციული პროცესები გამოხატავენ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში ჩამოყალიბებულ რეალიებს. მოდელის მიღებისას ნაგულისხმევი იყო, რომ ქვეყნების წამყვანი ჯგუფი ეკონომიკურ, ხოლო შემდეგ პოლიტიკურ ინტეგრაციას დაჩქარებული ტემპებით განახორციელებს, რითაც შექმნის ინტეგრაციის „კერას", საფუძველს, ხოლო შემდგომ, პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირების გამყარებასთან ერთად, ინტეგრაციულ ბირთვს დანარჩენი სახელმწიფოები შეუერთდებიან თავისი შესაძლებლობების თანახმად.

აღნიშნული მოდელის გამოყენება მნიშვნელოვანი ნაბიჯი გახდა კრიზისული სიტუაციიდან გასვლის გზაზე, და, მიზეზთა კომპლექსის გამო, მრავალდონიანი ინტეგრაციის კონცეფცია იმ დროს ყველა შესაძლო ვარიანტიდან საუკეთესო იყო. რიგი ნაკლის ნიველირების შემდეგ ინტეგრაციის მონაწილე ქვეყნებს შეეძლოთ უფრო პროგრესიულად და შედეგიანად განვითარება.

უნდა აღინიშნოს, რომ დსთ-ს მუშაობის დაბალი ეფექტიანობის პრობლემა არა მარტო თანამეგობრობის სტრუქტურაში და ფუნქციონირების მექანიზმებში არსებული ნაკლოვანებებითაა განპირობებული, არამედ ფაქტორთა მთელი კომპლექსით, რომელიც ხელს უშლის და ანელებს ინტეგრაციულ პროცესს. ამაში მდგომარეობს ინტეგრაციის მრავალდონიანი სხვადასხვაფორმატიანი მოდელის ძირითადი გამოვლინება, რომელიც პრინციპულად განსხვავდება ევროპულ კავშირში ჩამოყალიბებული ინტეგრაციის ფორმატისგან [3. 51].

ვფიქრობთ ყურადღება უნდა გავამახვილოთ ინტეგრაციაში მონაწილეთა ურთიერთქმედების 3 დონეზე.

***პირველი დონე*** – ძირითადია, სადაც პრიორიტეტი სახელმწიფოებს შორის ორმხრივ კავშირებს ეთმობა ინტერესთა ერთიანობის საფუძველზე. სამი ათწლეულის გამოცდილებამ აჩვენა, რომ ორმხრივი შეთანხმებები სიცოცხლისუნარიანი გამოდგა ევრაზიული რეგიონის ტერიტორიაზე, ვინაიდან ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოებისთვის უფრო ადვილია ერთმანეთთან უშუალო შეთანხმებების მიღწევა, ვიდრე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მექანიზმისთვის თავისი პრობლემების გადაჭრის უფლებამოსილებების გადაბარება.

ამასთან, ორმხრივი თანამშრომლობის განმტკიცება ხშირად პოსტსაბჭოთა სივრცეში ინტეგრაციის ძირითადი მიმართულებაა, ვინაიდან, როგორც უკვე იყო აღნიშნული, პოსტსაბჭოთა სივრცეში მყოფი სახელმწიფოების ინტერესები ყოველთვის როდი ემთხვევა ერთმანეთს.

ინტეგრაციის კუთხით ყურადღებას იპყრობს რუსეთისა და ბელორისიის მაგალითი, რომლის ფორმირება ბელორუსიისა და რუსეთის საზოგადოების შექმნის მომენ-

ტიდან დაიწყო 1996 წელს. საზოგადოების ფორმით ამ პროექტმა ერთი წელი იარსება, 1997 წლის 2 აპრილს განხორციელდა გადასვლა ბელორუსისა და რუსეთის კავშირისკენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ გარემოებამ საბაბი მისცა 2 აპრილის ბელარუსისა და რუსეთის ხალხთა ერთიანობის დღედ დანიშვნას. ორი სახელმწიფოს ურთიერთობების განვითარება და ურთიერთქმედების გაღრმავება რიგი მნიშვნელოვანი დოკუმენტის ხელმოწერით გაგრძელდა. ასე მაგალითად, 1998 წელს შედგა ბელარუსისა და რუსეთის მომდევნო ერთიანობის შესახებ დეკლარაციის [4. 44-45], მოქალაქეთა თანაბარი უფლებების შესახებხელშეკრულების [5] და მეურნეობის სუბიექტთათვის თანაბარი პირობების შექმნის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა, ხოლო 1999 წელს მხარეებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას მოკავშირე სახელმწიფოს შექმნის შესახებ [6].

ხელშეკრულების თანახმად, ორი ქვეყნის პარლამენტების მიერ მისი რატიფიკაციის შემდეგ მოკავშირე სახელმწიფოს ხელმძღვანელი ორგანოები იქნა ჩამოყალიბებული – უმაღლესი სახელმწიფო საბჭო, მინისტრთა საბჭო, მოკავშირე სახელმწიფოს მუდმივი კომიტეტი, და ასევე ბელორუსიისა და რუსეთის საპარლამენტო კრება. მაგრამ, რუსეთისა და ბელორუსიის ურთიერთობათა ესოდენ სწრაფად დაწყებული განვითარება რიგ მიზეზთა გამო მნიშვნელოვნად შეფერხდა და, მიუხედავად ინტეგრაციის მაღალი ხარისხისა და თანამშრომლობის შესახებ 150 მთავრობათაშორისო შეთანხმებისა და ხელშეკრულების გაფორმებისა, დღემდე ჯერაც არ არის ხელმოწერილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკონსტიტუციო აქტი. ორი ქვეყნის ურთიერთობებში არსებული სირთულეები რიგი მიზეზებითაა განპირობებული.

მთავარი მიზეზი კი მაინც ის არის, რომ რუსეთი „უფროსი ძმის“ მენტალობიდან მაინც ვერ გამოვიდა და ბოლომდე პარტნიორული ურთიერთობების ნაცვლად, ხშირად მიმართავს შეუვალ და ხისტ პოლიტიკას, რასაც ბელორუსის პრეზიდენტიც კი ანატოლი ლუკაშენკო არაერთხელ შეეწინააღმდეგა, თუმცა ბელორუსში ბოლო პერიოდის გამოსვლების შემდეგ, ლუკაშენკო კრემლმა უფრო დამყოლი გახადა.

ბელორუსსა და რუსეთს შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება საკუთრების ფორმასთან მიმართებაში: ბელორუსიაში სახელმწიფო საკუთრება ჭარბობს და, ამრიგად, სახელმწიფო – ეკონომიკის მთავარი რეგულატორია [7].

რუსეთის განსხვავება კი კერძო საკუთრების მნიშნელოვან წილში და, მაშასადამე, ეკონომიკაზე მესაკუთრეთა უფრო აშკარა გავლენაში მდგომარეობს.

მეორე, თავის როლს ორი სახელმწიფოს მასშტაბების განსხვავების ფაქტორი თამაშობს, რომელიც ადრე იყო აღნიშნული ჩვენს მიერ.

მესამეც, საკონსტიტუციო აქტის ხელმოწერა შესაძლებელია მხოლოდ ყველა აუცილებელი პირობის შესრულების შემდეგ, რომელთა შორის, ასევე, ერთიანი ეკონომიკური და სოციალური სივრცის ფორმირებაა განსახილველი. დღესდღეობით ეს საკითხი ღია რჩება, ხოლო მისი გადაჭრა რუსეთისა და ბელორუსიის ხელმძღვანელობის გამგებლობაშია.

საბჭოთა კავშირის დროს ბელორუსს მძლავრი მანქანათსამშენებლო პოტენციალი ჰქონდა, რომლის შენარჩუნება დღემდეც მოხერხდა. ამჟამად ბელორუსიის ტერიტორიაზე რიგი დიდი მანქანათსამშენებლო საწარმო იმყოფება, რომლებმაც კარგად გამოიჩინეს თავი და მთელ მსოფლიოში არიან ცნობილი: ბელორუსიის საავტომობილო ქარხანა („БелАЗ“), რომელიც საკარიერო ტექნიკას აწარმოებს. საწარმო ერთ-

ერთი უმსხვილესია თავისი საქმიანობის სფეროში, გამოსაშვებ პროდუქტთა შორის არის სატვირთველები, ბულდოზერები, სააეროდრომო საწეველები. ქარხანა მსოფლიოში ყველაზე დიდ და ტვირთამწევ თვითმცლელ „БелАЗ-75710"-ს აწარმოებს [8]; მინსკის საავტომობილო ქარხანა („МАЗ"), რომელიც სატვირთო ავტომობილებს, ავტობუსებსა და ტროლეიბუსებს უშვებს. ქარხნის პროდუქცია შეესაბამება მაღალ საერთაშორისო სტანდარტებს და მოთხოვნადია უცხოელ დამკვეთთა შორის [9]; მინსკის საძრავო ქარხანა, რომელიც სატვირთო და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისთვის დიზელის ძრავების წარმოებაზეა ორიენტირებული [10]; მინსკის სატრაქტორო ქარხანა („МТЗ"), სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის წარმოების მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი საწარმო [6].

აქვე ვიტყვით იმასაც, რომ დასავლეთ ევროპის მანქანათმშენებლობას ჩვენს მიერ აღნიშნული „ბრენდები" მაინც მნიშვნელოვნად ჩამორჩება.

უნდა აღინიშნოს, რომ ენერგორესურსების იმპორტისგან დამოკიდებულების გამო, ქვეყნის მთავრობამ დიდი გამოცდილება მიიღო ენერგოდაზოგვის სფეროში. ასევე ბელორუსიის ერთ-ერთი თავისებურებაა საგზაო მშენებლობის მაღალი ხარისხი, რომელიც თავისი პარამეტრებით აღემატება როგორც რუსეთში, ისე ევროკავშირის მეზობელ ქვეყნებში – პოლონეთში, ლატვიასა და ლიტვაში არსებულ საგზაო ინფრასტრუქტურის [7. 43].

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა ბელორუსიის, როგორც რუსეთის პარტნიორის მაღალ სარგებელზე, და ასევე ამ ქვეყნის, როგორც ევრაზიული ინტეგრაციის მონაწილის დიდ მნიშვნელობაზე.

როგორც ა. ჩეტვერიკოვი აღნიშნავს, გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოები სულ უფრო მეტ დაინტერესებას იჩენენ საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებში, ამასთან დაკავშირებით, ორმხრივ ფორმატში ურთიერთქმედების პერსპექტიული სფეროს სახით ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის საკითხები უნდა დასახელდეს. ორმხრივი თანამშრომლობა იძლევა ურთიერთგაგებისა და სახელმწიფოთა მეთაურებს შორის უფრო ეფექტიანი ურთიერთობის მიღწევის საშუალებას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ორი მონაწილე უფრო ადვილად შეთანხმდება, ვიდრე რამდენიმე, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხის სპეციფიკას [12].

სამხედრო ურთიერთქმედებისა და ეროვნული უშიშროების სფეროში ბელორუსიისა და რუსეთის მოკავშირე სახელმწიფომ ყველაზე მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ევრაზიული რეგიონის ტერიტორიაზე არსებულ სხვა ინტეგრაციულ გაერთიანებებს შორის. 1998 წელს მოწონებულ იქნა რუსეთისა და ბელარუსის ერთობლივი თავდაცვითი პოლიტიკის კონცეფცია, ხოლო 2008 წელს ორ სახელმწიფოს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომელიც ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ერთიანი სისტემის შექმნაზე იყო მიმართული [15].

მომდევნო ნაბიჯი რიგი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მიღება გახდა, რომლებიც ბელორუსიისა და რუსეთის ძალთა ერთიანი რეგიონული დაჯგუფების ფუნქციონირების დარეგულირებაზე იყო მიმართული.

ურთიერთხელსაყრელი ორმხრივი ურთიერთობის კიდევ ერთი მაგალითია რუსეთისა და ყაზახეთის თანამშრომლობა. აღვნიშნავთ, რომ თავდაპირველად ნ. ნაზარბაევის მიერ იქნა შემოთავაზებული, ევრაზიული კავშირის შექმნის პროექტი, ორმხრივ – ყაზახეთისა და რუსეთის ფორმატს ითვალისწინებდა. როგორც ეკონომიკური პარტნიორი, ყაზახეთი დიდი ბუნებრივ-

რესურსული პოტენციალით, სამთო-მოპოვებითი მრეწველობის განვითარების მაღალი დონით გამოირჩევა.

ამრიგად, ევრაზიული ინტეგრაციის პროცესთა ინსტიტუციურ-ტერიტორიული განზომილების შესწავლის, ევრაზიული რეგიონის სახელმწიფოების გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური დახასიათების, ევრაზიულ რეგიონულ ინტეგრაციულ პროცესებზე სივრცით-ტერიტორიული ფაქტორების გავლენის გაანალიზებისა და ევრაზიული ინტეგრაციის სხვადასხვა სისწრაფის და სხვადასხვაფორმატიანი მოდელის ფორმირების პოლიტიკის სპეციფიკის განხილვის შემდეგ ჩვენ შემდეგი დასკვნები გავაკეთეთ:

***პირველი,*** ევრაზიულ ინტეგრაციას არ უნდა შევხედოთ ზერელედ და არასერიოზულად. არადა, სწორედ ასე იქნა აღქმული ეს მოვლენა ბევრი, მათ შორის პოლიტიკური ექსპერტების მიერ. არადა ამ ინტეგრაციამ გვიჩვენა მისი ბუნებრივი ხასიათი და სიცოცხლისუნარიანობა. რუსეთი ამ პროცესს მაქსიმალურად უზრუნველყოფდა, რადგან, როგორც ჩანს, დარწმუნებული იყო, რომ დასავლეთთან შეჯახებას თავიდან ვერ აიცილებდა და მთლი ძალისხმევა ევრაზიული ინტეგრაციის კუთხით მიმართა.

***მეორე,*** ევრაზიული ინტეგრაციის თანამედროვე ეტაპი გაძლიერებული ყურადღებით ხასიათდება საერთაშორისო სამეცნიერო და პოლიტიკური თანამეგობრობის მხრიდან. ინტეგრაციის პროცესი ცვლილებებს განიცდის, ინტეგრაციული გაერთიანებები ევოლუციონირებს, მათში ზეეროვნული ორგანოები იქმნება. მსგავსი სტრუქტურებისა და მათი ფორმირების მექანიზმების შესწავლა იძლევა ინტეგრაციული გაერთიანებების მართვის სტრატეგიისა და მათ კოორდინაციაზე გამიზნული ძალისხმევის ჰარმონიზაციის გაგების გასაღებს.

მნიშვნელოვან გავლენას ევრაზიულ ინტეგრაციაზე ახდენენ პოლიტიკური ფაქტორები, ისეთები, როგორიცაა ინტეგრაციის მონაწილე ქვეყნების ლიდერთა პოლიტიკური მისწრაფებები, ამასთან, ეკონომიკურ ფაქტორებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ. მაგრამ, როგორც ზემოთ აღინიშნა ამ ნაშრომში, რიგი გარემოებები, მათ შორის ევრაზიულ რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური ასიმეტრია, სუვერენიტეტის დაკარგვასთან დაკავშირებულ გარკვეულ შიშებს ბადებენ ინტეგრაციული პროცესების მონაწილეებში, რაც ინტეგრაციული გაერთიანებების ზეეროვნული ორგანოების ფორმირების პროცესის ინსპირაციას უწყობს ხელს.

***მესამე,*** დსთ-ის სივრცე ახალი რეგიონული ინტეგრაციული დაჯგუფებების ფორმირების ერთგვარ ბაზად იქცა, რომელთა შემადგენლობაში ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობაში დაინტერესებული სახელმწიფოები შევიდნენ. ევრაზიული რეგიონის ფარგლებში სხვადასხვა ფორმირებების არსებობა და ერთი და იგივე სახელმწიფოების სხვადასხვა გაერთიანებებში შესვლა, სპეციალისტთა აზრით, კავშირის „გარე საზღვრის" ცნებას თითქმის პირობითად ხდის. ზოგიერთი სახელმწიფოს წევრობა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში ასევე არ წარმოადგენს თანამეგობრობის შიგნით ინტეგრაციული პროცესების ხელშემწყობ ფაქტორს, ვინაიდან ამან შეიძლება ხელი შეუშალოს ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებას. ცხადია, რომ ჩამოთვლილი განსხვავებები სასტარტო პირობების ორგანიზებისადმი განსაკუთრებული მიდგომების შემუშავების აუცილებლობას კარნახობს, ევრაზიული ინტეგრაციის ფარგლებში ინოვაციური განვითარების უზრუნველსაყოფად.

***მეოთხე,*** მრავალვექტორული ინტეგრაციის მოდელი მოთხოვნადი გამოდგა პოსტსაბჭოთა სივრცეში. ერთი მხრივ, ის

ინტეგრაციული პროცესის თითოეულ მონაწილეს ყველაზე ოპტიმალური ტემპის არჩევის საშუალებას აძლევს, მეორე მხრივ კი, შეუძლია პოზიტიური ზემოქმედება მოახდინოს თანამშრომლობის ეფექტიანობაზე, ვინაიდან მონაწილე სახელმწიფოებს შორის ურთიერთქმედება უფრო მცირე ფორმატში მიმდინარეობს, რაც, ყველაფერთან ერთად, უფრო ოპერატიული მოქმედების საშუალებას ქმნის. აღვნიშნავთ, რომ მოცემული მოდელი ძირითადად ორმხრივ და სუბრეგიონულ საფუძველზე მუშაობს.

*მეხუთე,* ევრაზიული რეგიონის ქვეყნების პოლიტიკურ ელიტებს შორის ინტეგრაციის გაგებისადმი მიდგომებში და ასევე ინტეგრაციულ შესაძლებლობებში განსხვავებები არსებობს. ისინი მონაწილეთა ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა ხარისხით, მონაწილე ქვეყნების გეოპოლიტიკური პოტენციალის განსხვავებებით, შიდაპოლიტიკური სიტუაციით, გარე ფაქტორების გავლენით, ისტორიულად ჩამოყალიბებული პოლიტიკური ტრადიციებით არის განპირობებული.

*მეექვსე,* ევრაზიული რეგიონის სახელმწიფოთა პოლიტიკური თანამშრომლობის სფეროში დაგროვილი გამოცდილება მომავალი ევრაზიული კავშირის სტრუქტურის ფორმირებისას არსებული გამოცდილების გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. კუხო-ს ფარგლებში განვითარებული მექანიზმების არსებობა, ასევე, იძლევა ანალოგიის გავლების შესაძლებლობას ევროკავშირის „სამი საყრდენისგან“ ერთ-ერთთან – საგარეო პოლიტიკის სფეროში თანამშრომლობასთან (საერთო საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოების პოლიტიკა).

*მეშვიდე,* ევრაზიული რეგიონის ქვეყნებში ცხოვრების დონის შედარებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ ამჟამად ყველა სახელმწიფო როდია მზად ინტეგრაციული ურთიერთობის გააქტიურებისთვის.

ევრაზიული ეკონომიკური კავშირის მონაწილე ქვეყნების ხელმძღვანელობამ ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიაქციოს ამ მაჩვენებლებს, ვინაიდან ეაეკ-ს გადაჭარბებულმა გაფართოებამ შეიძლება არა მხოლოდ მონაწილე ქვეყნების ეკონომიკას, არამედ მათ უსაფრთხოებასაც მიაყენოს ზიანი.

როგორც აღინიშნებოდა, ევრაზიული რეგიონის სამხრეთის არამდიდარ ქვეყნებში მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა, უმუშევრობის საშუალო დონის შენარჩუნებისას, საფრთხეს უქმნის შიდა უსაფრთხოებას. არახელსაყრელ სოციალურ და ეკონომიკურ პირობებში მოქალაქეები ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების არაკანონიერ საქმიანობაში ჩათრევის მომატებული რისკის ქვეშ არიან. ასევე არსებობს მეზობელ, ცხოვრების დონის თვალსაზრისით უფრო მშვიდობიან სახელმწიფოებში ეთნიკური შუღლის გავრცელების რისკი.

**<u>JONY TATUNASHVILI</u>**

**THE SPECIFICS OF THE POLICY OF FORMING A DIFFERENT FORMAT MODEL OF EUROPEAN INTEGRATION**

Summary

The accumulated experience in the field of political cooperation of the states of the Eurasian region provides an opportunity to use the existing experience in the formation of the

structure of the future Eurasian Union. The existence of the mechanisms developed within the framework of the organization of the collective security agreement also provides an opportunity to draw an analogy with one of the "three pillars" of the European Union - cooperation in the field of foreign policy (common foreign policy and security policy).

In the process of Eurasian integration, the possibility of using a multi-format model is revealed. There is an attempt to use the example of the European Union as well. In some cases this is done successfully. Nevertheless, Eurasian integration is distinguished by some specific features, among which the Russian factor is worth noting. If the European Union was created from several entities with equal opportunities, in the case of Eurasia, Russia clearly has an advantage compared to the rest of the participants.

***Key words:*** *security, integration, European Union, Eurasian Union, CIS, Russet, post-Soviet countries.*

### გამოყენებული ლიტერატურა:


1. Кавешников Н. Ю., «Гибкая интеграция» в Европейском союзе, Международные процессы, Т.9, №26, 2011.
2. Бирюкова О. А. Региональная интеграция на постсоветском пространстве: проблемы и перспективы.Политологический анализ : дис. канд. полит. наук. М., 2008. С. 59.
3. О дальнейшем единении России и Беларуси: декларация: принята в г. Москве 25.12.1998 г., Дипломатический вестник, №1, 1999.
4. О равных правах граждан, договор между РФ и Республикой Беларусь от 25.12.1998 г., Собраниезаконодательства РФ, №47, 22.11.1999.
5. О создании Союзного государства, договор между Российской Федерацией и Республикой Беларусь от08.12.1999 г., Собрание законодательства РФ, N 7, 14.02.2000.
6. Геращенко А., От Союзного государства к Евразийскому союзу, «И время собирать камни…» Евразийскаяинтеграция сегодня. 20 лет после распада СССР. (Фонд исторической перспективы). М., 2012.
7. БЕЛАЗ, Холдинг «БЕЛАЗ–ХОЛДИНГ», http://www.belaz.by
8. Минский автомобильный завод, МАЗ., http://www.maz.by
9. Минский моторный завод, ММЗ., http://www.po–mmz.minsk.by
10. Минский тракторный завод, МТЗ., http://www.belarus–tractor.com
11. Четвериков А. О. Правовые аспекты двусторонней интеграции европейских государств в области обеспечения национальной безопасности: пример Франко–Германской бригады, Актуальные проблемы российского права, № 8, 2013.
12. Концепция совместной оборонной политики Беларуси и России, решение N 4 Высшего Совета Союза Беларуси и России, принято 22.01.1998 г.
13. Документ о совместной охране внешней границы Союзного государства в воздушном пространстве и создании Единой региональной системы противовоздушной обороны Российской Федерации и Республики Беларусь, соглашение между Российской Федерацией и Республикой Беларусь, заключено в г. Москве 03.02.2009 г., Бюллетень международных договоров, N 7, 2010.

✍ ინა ნაცვალაძე
*წარმოადგინა პროფ. ქეთი ჯიჯეიშვილმა*

# მიგრაციული ნაკადების რეგულირების მექანიზმები და მიგრანტთა ევროკავშირის ქვეყნებში ადაპტაციის პოლიტიკა

ლტოლვილების კრიზისმა ევროკავშირის შიგნით უამრავი ახალი პრობლემა წამოჭრა, რომელმაც სერიოზული პოლიტიკური რყევები გამოიწვია. ევროკავშირმა უარი არ თქვა იმ პრინციპებზე, რომლებიც ამ ორგანიზაციისთვის ინსპირაციის წყაროა, რასაც შედეგად მოჰყვა მიგრაციული კრიზისი, რომელმაც წაახალისა უმუშევრობა და კრიმინალი და წარმოშვა უამრავი პოლიტიკური, კულტურული და სოციალ-ეკონომიკური ხასიათის პრობლემები. საზოგადოების კონკრეტული სეგმენტების მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ფორმალური განათლების დაბალი დონე და დემოგრაფიული ფაქტორები გაერთიანდა მეინსტრიმული პოლიტიკის მიმართ უკმაყოფილებაში და ითარგმნა ალტერნატიული პოპულისტური ნარატივის მხარდაჭერაში. ამასთან, აქტუალური გახდა მასპინძელი ქვეყნების რელიგიური იდენტობის დაბინდვის საფრთხე, რომელსაც ღიად აცხადებენ ცენტრალური ევროპის ის მთავრობები, რომლებიც ეწინააღმდეგება თავშესაფრის მაძიებელთა გადანაწილებას.

უნდა აღინიშნოს, რომ მიგრანტებისა და ლტოლვილების შემცირების გათვალისწინებითაც კი, შემოსული მიგრაციის ნაკადით უკვე არის გამოწვეული სერიოზული პოლიტიკური და სოციალური შედეგები. ისინიც კი, რომლებმაც მიიღეს ლტოლვილის სტატუსი, იქცნენ „ეკონომიკურ ტვირთად“ მასპინძელი ქვეყნებისთვის, რადგან მათ არ გააჩნიათ შესაბამისი განათლება, საჭირო უნარები ან მშრომელთა რიგებში გაწევრიანების სურვილი. მიგრანტებისთვის მიმზიდველად რჩება ცხოვრების მაღალი დონე, თავშესაფრისა და სამუშაოს პოვნის შესაძლებლობა, რბილი მიგრაციის პოლიტიკა და მასპინძელი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერა. ეს ფაქტორები, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს მიგრაციული ნაკადების გააქტიურებას, მეორე მხრივ კი, ძირს უთხრის პანევროპულ ერთობას და ზრდის დისტანციას ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის.

***საკვანძო სიტყვები:*** *ევროკავშირი, მიგრაციული ნაკადი, მიგრანტთა კრიზისი, შენგენის შეთანხმება.*

მიგრაციული კრიზისის პირობებში ევროკავშირის ქვეყნებში პოლიტიკა მუდმივად იცვლება და ადაპტირდება ახალ პირობებთან. ზოგადად, ყველა ევროპული სახელმწიფო ეფუძნება შერჩევითი ინტეგრაციისა და ასიმილაციის სტრატეგიის პრინციპებს და მათი მიგრაციული პოლიტიკა ასახავს ორ ტენდენციას:

1. მიგრანტების შერჩევის შემზღუდავ პოლიტიკაზე გადასვლა ქულათა

სისტემის მეშვეობით, უპირატესად კვალიფიციური მიგრანტების მოზიდვით;

2. მიგრაციული ნაკადების რეგულირებიდან გადასვლა აქტიურ პოლიტიკაზე, მათ შორის ორმხრივი შეთანხმებების დადება ევროპისა და აფრიკის ქვეყნებს შორის არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ.

ევროკავშირში განვითარებადი ქვეყნებისათვის ეკონომიკური თანამშრომლობის წახალისების მიზნით, შეიქმნა ასოცირების ხელშეკრულება. იგი წარმოადგენს დემოკრატიული განვითარებისა და სტაბილურობის ხელშემწყობ დოკუმენტს. ვაჭრობის გამარტივება და ევროპული ინვესტიციების ზრდა სამომავლოდ სასიკეთოდ აისახება ამ ქვეყნების განვითარებაზე. თუმცაღა, ევროკავშირი ვერ ახერხებდა ემიგრანტთა წარმოშობის ქვეყნებში ერთდროულად ეწარმოებინა ბიზნესის დაფინანსებაც და მიგრაციული პოლიტიკის მართვაც. სამუშაო ძალის საჭიროებიდან გამომდინარე ევროპის სხვადასხვა ქვეყანა კანონმდებლობის ლიბერალიზაცის მეშვეობით ხელს უწყობს მათ დასაქმებას, რადგან ისინი მიმიმალურ ხელფასზე დაბალ ფასად შრომობენ.

ევროკავშირის მიგრაციის მართვის პოლიტიკა მოიცავს რეგულარიზაციის პროგრამებსა და მექანიზმებს. ცალკეულ ქვეყნებში რეგულარიზაცია წარმოადგენს არალეგალური მიგრანტებისაგან თავის დაცვის საშუალებას, მისი ძირითადი მიზნებია:

- გააკონტროლოს მიგრაციული პროცესები და შეამციროს არალეგალური მიგრანტების რაოდენობა;
- გააუმჯობესონ მიგრანტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რაც აისახება ქვეყნის ზოგად მდგომარეობაზე, თუ მიგრანტების რიცხვი მნიშვნელოვნად მაღალია;
- გაზარდონ სამუშაო ბაზრის გამჭვირვალობა და ებრძოლონ უკანონო დასაქმების პრობლემას.

რეგულარიზაციას, შესაძლოა, ერთდროულად ჰქონდეს უარყოფითი და დადებითი შედეგიც. დადებით კონტექსტში ხელისუფლება მიგრანტთა შესახებ ინფორმაციებს მოიპოვებს და მისი მიზანია ქვეყანაში ჭარბი რაოდენობის არალეგალური მიგრანტების არსებობის შემთხვევაში მათთვის კანონიერის სტატუსის მინიჭება. ამ პროგრამის უარყოფითი გამოვლიება შესაძლოა იყოს ქვეყანაში არალეგალი მიგრანტების მომრავლება [1. 119-137].

მიგრაციისა და ლტოლვილთა საკითხების შესახებ მარეგულირებელი ძირითადი დოკუმენტია 1997 წლის ამსტერდამის ხელშეკრულება, რომელიც არეგულირებს თავშესაფრის სტანდარტებსა და პროცედურებს. 2009 წელს მიღებული ლისაბონის ხელშეკრულება ასევე ყურადღებას ამახვილებს დევნილების მისაღებად საერთო პროცედურების აუცილებლობაზე, თუმცა თითოეულ ქვეყანას უტოვებს საზღვარგარეთის კონტროლისა და კვოტების უფლებას. გარდა ამისა, ღიად რჩება ლტოლვილების სამართლიანი გადანაწილების საკითხი.

ემიგრანტებისა და ლტოლვილთა მიმღები ქვეყნების ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებისთვის, ჩამოყალიბებულია ლტოლვილთა მიღების ევროპული ფონდი, აგრეთვე საზღვრების კონტროლისა და საერთო სავიზო რეჟიმის დამატებითი ფონდები. აღსანიშნავია ასევე, ევროკავშირის ტერიტორიაზე ლეგალურად მცხოვრები ემიგრანტების ინტეგრაციისა და თავშესაფრის პოლიტიკის განხორციელების ფონდი [2. 44].

90-იან წლებამდე ევროპის ქვეყნებს ერთმანეთისგან განსხვავებული თავშესაფრის პოლიტიკა ჰქონდათ შემუშავებული და მიგრაციისა და თავშესაფრის მაძიებელთა მიღების პროცესებს არა ევროკავშირის ინს-

ტიტუტები, არამედ თავად ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები არეგულირებდნენ.

ევროკავშირის დონეზე შემუშავებული და მიღებული პირველი აქტია 1985 წლის შენგენის შეთანხმება, რომელშიც შიდა საზღვრების მოშლა და გარესაზღვრების კონტროლის მექანიზმების დადგენაა მოაზრებული [3].

აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე საჭირო გახდა თავშესაფრის ერთიანი პოლიტიკის შემუშავება. შენგენის შეთანხმებით დადგენილ იქნა თავშესაფრის მოთხოვნის განხილვაზე პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს განსაზღვრის კრიტერუმები და წევრ-სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოების კოორდინირებული მუშაობისა და მონაცემების გაცვლის ვალდებულებები.

რამდენიმე წლის შემდეგ კი, 1990 წლის 15 ივნისს, ზემოაღნიშნული რეგულაციების ჩანაცვლება მოხდა დუბლინის კონვენციით, რომელიც მთლიანად მიეძღვნა თავშესაფრის მოთხოვნის განხილვაზე პასუხისმგებლობის საკითხს. მასში დადგენილ იქნა ის წესები, რომლის შესაბამისადაც უნდა შერჩეულიყო თავშესაფრის განაცხადის განხილვაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო. [2]

1992 წელს მიღებული ლონდონის რეზოლუციებით დადგინდა მანიფესტურად უსაფუძვლო განაცხადების განხილვის, უსაფრთხო მესამე ქვეყნების და უსაფრთხო წარმოშობის ქვეყნების პრინციპები. გარდა ამისა, მომდევნო წლებში მიღებულ იქნა რიგი რეზოლუციებისა, რომელთა მიხედვითაც შემუშავდა როგორც მასობრივი მიგრაციის დროს ლტოლვილებისა და მიგრანტების მიღებისა და განაცხადების განხილვის სტანდარტები, ასევე მასობრივი მიგრაციის რეგულირების წესებიც, მაგრამ მათი დიდი ნაწილი, როგორც წესი, სარეკომენდაციო ხასიათის იყო და არა სავალდებულო, ვინაიდან იმ პერიოდისათვის აღნიშნულ სფეროში ევროკავშირის ინსტიტუტები ჯერ კიდევ შეზღუდულ კომპეტენციებს ფლობდნენ.

ევროკავშირის ინსტიტუტების კომპეტენციათა გაძლიერება შესაძლებელი გახდა მხოლოდ ზემოთ ნახსენები ამსტერდამის ხელშეკრულებით, რომლის მთავარ მიზანს თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცის შექმნა წარმოადგენდა.

1999 წელს გამართულ ტამპერეს საბჭოზე მიღებული გადაწყვეტილებით დაიწყო საერთო ევროპული თავშესაფრის სისტემის (CEAS) შემუშავება, რომელიც ორ ფაზად (მოკლევადიან და გრძელვადიან) უნდა განვითარებულიყო. მოკლევადიან ფაზაში გათვალისწინებული იყო საერთო მინიმალური სტანდარტების მიღება, რასაც გრძელვადიანი პერსპექტივით უნდა უზრუნველეყო ევროკავშირის მასშტაბით აღიარებულ თავშესაფრის მინიჭების საერთო პროცედურების, პრინციპებისა და სტანდარტების დამკვიდრება. ამ ფაზაში მოხდა დუბლინის მეორე რეგულაციის ამუშავება, რომლითაც დადგინდა კრიტერიუმები და მექანიზმები იმ წევრი სახელმწიფოს განსაზღვრისთვის, რომელსაც უნდა შეესწავლა თავშესაფრის მოთხოვნაზე განაცხადი. ასევე წევრი სახელმ-

[2] დუბლინის კონვენციით განსაზღვრული იყო, რომ ევროკავშირის ტერიტორიის ფარგლებში შესული თავშესაფრის მაძიებლის განაცხადი არ უნდა განხილულიყო ერთდეროულად ერთზე მეტ ქვეყანაში. თავდაპირველად იგი უნდა განეხილა იმს სახელმწიფოს, რომელშიც მაძიებელს ჰყავდა ლტოლვილის სტატუსის მქონე ოჯახის წევრები და მხოლოდ ასეთის არარსებობის შემთხვევაში ხდებოდა შესაძლებელი მისი განაცხადის განხილავა იმ სახელმწიფოს მიერ, სადაც მიგრანტს გააცნდა მოქმედი ბინადრობის მოწმობა ან ვიზა, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში კონვენცია მის განაცხადზე პასუხისმგებლობას აკისრებდა პირველ მიმღებ სახელმწიფოს, რომელშიც თავშესაფრის მაძიებელი მოხვდებოდა. აღნიშნული მიდგომით შესაძლებელი იყო თავშესაფრის მაძიებლის მიერ ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაში განაცხადის შეტანის შემთხვევების შემცირება.

წიფოებისათვის განისაზღვრა საერთო მინიმალური სტანდარტები, რომლითაც მათ უნდა ეხელმძღვანელათ თავშესაფრის მაძიებლის განაცხადის მიღებისას, დადგინდა თავშესაფრის მინიჭების, ასევე, მასზე უარის თქმის პროცედურები და ა.შ.

თავშესაფრის პოლიტიკის „მეორე ფაზა“ განისაზღვრა 2004 წლის ჰააგის პროგრამით, რომლის მიზანი იყო თავშესაფრის მინიჭების მინიმალური სტანდარტების ნაცვლად შემუშავებულიყო ერთიანი პროცედურები, დასრულებულიყო საერთო თავშესაფრის სისტემის შემუშავება და აღნიშნულ სფეროში წევრ სახელმწიფოებს მჭიდრო პრაქტიკული თანამშრომლობის განვითარება.

2007 წლის დეკემბერში ხელმოწერილი ლისაბონის ხელშეკრულება მიმართული იყო მინიმალური სტანდარტებიდან ერთიან ევროპულ სისტემაზე გადასვლისაკენ და ორი წლის შემდეგ (2009 წლის დეკემბერი) მისი ძალაში შესვლითა და ამოქმედებით მნიშვნელოვნად გაიზარდა ევროკავშირის ინსტიტუტების უფლებამოსილება მიგრაციის რეგულირების სფეროში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროკავშირის სასამართლოს იურისდიქციის გაზრდა.

ამ პერიოდში ევროკავშირის მიგრაციის რეგულირების პოლიტიკის განვითარების ძირითადი მიმართულების განსაზღვრისათვის მიიღეს კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი:

2007 წელს - „მწვანე წიგნი“;

2008 წელს - ევროკავშირის სამოქმედო გეგმა თავშესაფრის შესახებ;

2008 წელს - ევროპული პაქტი იმიგრაციისა და თავშესაფრის შესახებ.

აღნიშნულ აქტებში განისაზღვრა მიგრაციისა და თავშესაფრის მაძიებელთა შესახებ ერთობლივი პოლიტიკის საბოლოოდ მიღების აუცილებლობა. 2009 წელს კი შემუშავებულ იქნა 5-წლიან პერიოდზე გათვლილი სტოკჰოლმის პროგრამა, რომელშიც განსაზღვრულ იქნა ევროკავშირის პრიორიტეტები უსაფრთხოების, თავისუფლებისა და მართლმსაჯულების სფეროში. აღნიშნულ პროგრამაში განახლებულ იქნა მანამდე არსებული რეგულაციები და დირექტივები. მათ შორის აღსანიშნავია:

- დირექტივა „საერთაშორისო დაცვის მინიჭებისა და გაუქმების ზოგადი პროცედურების შესახებ“, რომლის მიზანიც თავშესაფრის მინიჭებისა და გაუქმების პროცედურების სტანდარტების გაუმჯობესება იყო;
- დირექტივა საერთაშორისო დაცვისათვის განმცხადებლების მიღების სტანდარტების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფდა წევრ სახელმწიფოებში განმცხადებლების თანაზომიერი პირობებით მიღების სტანდარტების ჩამოყალიბებას;
- საკვალიფიკაციო დირექტივა, რომელშიც განიმარტა საერთაშორისო დაცვის მინიჭების საფუძვლები;
- დუბლინის რეგულაცია (დუბლინი III), რომელშიც განისაზღვრა საერთაშორისო დაცვაზე გაკეთებული განაცხადის შესწავლაზე პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს შერჩევის კრიტერიუმები და მექანიზმები[3];
- რეგულაცია „Eurodac“ (ევროპული დაქტილოსკოპია) სისტემის შექმნაზე, რომლის მიზანიც იყო დუბლინი III რეგულაციის აღსრულება და წევრი ქვეყნების თანამშრომლობა აღნიშნულ სისტემასთან მონაცემების შედარების თვალსაზრისით.

[3] რეგულაციის თანახმად, თავშესაფრის მაძიებელი უნდა დარჩეს ევროპის იმ სახელმწიფოში, სადაც ის პირველად ჩავიდა, სანამ მისი მოთხოვნა თავშესაფრის მაძიებლის სტატუსის მიღებაზე შესაბამის უწყებებში მუშავდება.

2010 წელს შეიქმნა თავშესაფრის მინიჭების ხელშეწყობის ევროპული ოფისი (EASO), რომლის მეშვეობითაც უნდა განვითარებულიყო თავშესაფრის საკითხებში პრაქტიკული თანამშრომლობა ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის და მათთვის პრაქტიკული და ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

მიგრაციის საკითხებში ევროკავშირის გარე მიგრაციისა და თავშესაფრის პოლიტიკის ყოვლისმომცველ ჩარჩოს არაევროკავშირის წევრ ქვეყნებთან თანამშრომლობის მიზნით ევროკავშირის მიერ 2005 წელს შემუშავდა **მიგრაციისა და მობილობისადმი გლობალური მიდგომა (GAMM)**, რომლითაც განისაზღვრა ღონისძიებების გატარება, ლეგალური მიგრაციისა და მობილობის მართვის გასაუმჯობესებლად, არალეგალური მიგრაციის პრევენციის და ტრეფიკინგთან ბრძოლისათვის. თუმცა 2011 წელს ეს დოკუმენტი გადაიხედა არაბულ ქვეყნებში მომხდარი ძირეული ცვლილებების გამო.

მიგრაციისა და თავშესაფრის საერთო ევროპული პოლიტიკის ჩამოყალიბებასთან ერთად, ევროპული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შემუშავდა ევროკავშირის ანტიტერორისტული სტრატეგია, რომელიც ტერორიზმთან საბრძოლველად ევროკავშირის ერთიანი პოლიტიკის ჩამოყალიბებას ისახავდა მიზნად, რაც უპირველესად მოიაზრებდა ამ სფეროში წევრ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის გაუმჯობესებას. ევროკავშირის ანტიტერორისტული პოლიტიკის ფორმირებას ბიძგი 2001 წლის სექტემბრის მოვლენებმა მისცა, რომლის შემდეგაც ევროკავშირის ორგანოების მიერ არაერთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი ნორმა იქნა მიღებული. მათ შორის, **ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ჩარჩო გადაწყვეტილება (13.06.2002წ.)**[4].

აღნიშნული დოკუმენტით ევროკავშირის დონეზე პირველად განსაზღვრა ტერორისტული დანაშაულის ქმედების შემადგენლობების ნიშნებისა და სანქციების შესახებ ერთიანი მინიმალური დებულებები. 2005 წლის 20 სექტემბერს მიღებულ იქნა **ევროსაბჭოს გადაწყვეტილება ტერორისტულ დანაშაულებზე ინფორმაციის გაცვლისა და თანამშრომლობის შესახებ**, რომელიც მიმართული იყო ინფორმაციის გაზიარების კუთხით წევრ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებაზე.

2005 წლის ნოემბერში შემუშავდა **ევროკავშირის კონტრ-ტერორისტული სტრატეგია**, რომელიც მიმართული იყო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის გაძლიერებასა და შესაბამისი ეროვნული ანტიტერორისტული პროგრამების შემუშავებაზე.

ევროკავშირის კონტრ-ტერორისტული სტრატეგიის მიღებით საფუძველი ჩაეყარა ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში კოორდინირებული მოქმედებების შემუშავებას.

2010 წლის 22 ნოემბერს ევროკომისიის მიერ მიღებულ იქნა კომუნიკე - **„ევროკავშირის შიდა უსაფრთხოების სტრატეგია მოქმედებაში: ხუთი ნაბიჯი უფრო უსაფრთხო ევროპისკენ“**. სტრატეგიამ განსაზღვრა სამოქმედო გეგმა 2010-2014 წლების პერიოდზე. იგი ორიენტირებული იყო ევროკავშირის უსაფრთხოების ძირითად გამოწვევებზე, როგორიცაა ტერორიზმი, ორგანიზებული დანაშაული, კიბერდანაშაული, საზღვრების უსაფრთხოება და კატასტროფების მართვა.

---

[4] 2008 წლის 28 ნოემბერს ევროკავშირის საბჭომ მიიღო ჩარჩო გადაწყვეტილება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ 2002 წლის 13 ივნისის ჩარჩო გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ამ პოლიტიკური და სამართლებრივი მექანიზმებით აღჭურვილი დახვდა ევროკავშირი 2015 წლის ლტოლვილთა კრიზისს, მაგრამ ყოველივე ეს მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი. შექმნილ ვითარებასთან გამკლავების მიზნით, საჭირო გახდა ევროკავშირის მხრიდან დაუყოვნებელი და დროული რეაგირება, მათ შორის არსებულ რეგულაციებში ცვლილებების შეტანა და ახალი ინიციატივების შემუშავება, მიგრაციის მართვაზე მომუშავე ორგანიზაციებისთვის დაფინანსების, უფლებამოსილებისა და ადამიანური რესურსების გაზრდა, მესამე ქვეყნებთან თანამშრომლობის გაძლიერება და სხვ. ევროკავშირის ინსტიტუტების მიერ შემუშავებულ იქნა არაერთი ინიციატივა, თუმცა აღნიშნული ინიციატივების შედეგების ეფექტიანობა დიდწილად დამოკიდებული აღმოჩნდა მასში მონაწილე ქვეყნების მზაობაზე, მიუხედავად მათი არაერთგვაროვანი ინტერესებისა, გამოეჩინათ ერთიანობა და სოლიდარობა და განეხორციელებინათ მიღებული გადაწყვეტილებები.

უკანონო იმიგრაციის წინააღმდეგ გამოიყენება რეადმისიის და სხვადასხვა მსგავსი პროგრამების ჩარჩო-დოკუმანტები, რომლებიც მიზნად ისახავენ სავიზო პოლიტიკის გაუმჯობესებას, წევრ სახელმწიფოებს შორის ინფორმაციის გაცვლის გააქტიურებას, კონკრეტული ზერკეტების გამოყენებას, რომლებიც არეგულირებენ საზღვრის გადაკვეთის პროცედურას და მიგრანტის სამშობლოში დაბრუნების პროცედურას და ა.შ. ეს მეთოდები წარმოადგენენ ევროკავშირის სტრატეგიას უკანონო იმიგრაციის წინააღმდეგ.

ზემოაღნიშნული სამუშაოებისა და დოკუმენტების წყალობით, შესაძლებელი გახდა ევროკავშირის საგარეო საზღვრების თანამშრომლობის სააგენტოს (Frontex) ჩამოყალიბება და გაძლიერება. ეს სააგენტო მიგრაციის სფეროში დეტალურ მონიტორინგს ახორციელებს და არსებულ რისკებსა და საფრთხეებს აანალიზებს.

ამდენად, მიგრაციის სფეროში არსებული საკომუნიკაციო და ერთობლივი მიგრაციის პოლიტიკა საკმაოდ სისტემურად განვითარდა, თუმცა, ძირითადად, შეზღუდულია ლტოლვილების მიღებისა და არალეგალური იმიგრაციის წინააღმდეგ სტანდარტების შემუშავებაში. რაც შეეხება ბრიუსელს, ის არ არის უფლებამოსილი მიიღოს ამ საკითხში დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები, თუმცა მხარს უჭერს წევრ ქვეყნებს შორის არსებულ ქმედებებსა და შეთანხმებს.

აღსანიშნავია, რომ თუ მიგრაციის პროცესში ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორებს შევადარებთ, აშკარად ვლინდება გარკვეული პარადოქსი. ერთი მხრივ, მიგრანტები ზრდიან ევროპული შრომის ბაზრის შესაძლებლობებს: ეს ხდებოდა ათეული წლების წინაც, როდესაც მასობრივი შრომითი მიგრაციის ფენომენი შედარებით ახალი იყო და დღეს კი, ევროპის რამდენიმე ქვეყანას სჭირდება ახალი წახალისებები მათი ეკონომიკური განვითარებისათვის. მართალია, შეუძლებელია არაფერი ვთქვათ, იმის შესახებ, რომ მიგრანტები რომ ჩამოდიან ასეთ ქვეყნებში, ჯერჯერობით მხოლოდ ამწვავებენ სიტუაციას, რადგან დღესდღეობით ევროპის ბევრ ქვეყანაშიც კი არსებობს მათი დასაქმების პრობლემა. აგრეთვე დამატებითი ხარჯებია ევროკავშირის ქვეყნების სახელმწიფო ბიუჯეტში სოციალური დახმარების პოლიტიკა, რომელიც მიგრანტ მუშაკებსა და ლტოლვილებზე იხარჯება. ხოლო პოლიტიკური კუთხით, ინტენსიური მიგრაციის ნაკადები გახდა ევროპული სტაბილურობისადმი დიდი გამოწვევა, რაც ქვეყნის უსაფრთხოების ყველაზე რეალური საფრთხეს წარმოადგენს.

კულტურული, რელიგიური და ცხოვრების წესში განსხვავებები, მიგრანტების თავის თემებისა და წესების ზნე-ჩვეულებებით ცხოვრება - რადიკალიზაციის პირ-

დაპირი წყაროა. მისი განვითარების პროცესებისა და მათი შედეგების უარყოფითი გავლენა კი ყველასთვის კარგადაა ცნობილი.

ასევე აქტუალურია მასპინძელი ქვეყნების რელიგიური იდენტობის დაბინდვის საფრთხე, რომელსაც ღიად აცხადებენ ცენტრალური ევროპის ის მთავრობები, რომლებიც ეწინააღმდეგება თავშესაფრის მაძიებელთა გადანაწილებას.

უნდა აღინიშნოს, რომ მიგრანტებისა და ლტოლვილების შემცირების გათვალისწინებითაც კი, რომლებიც ამჟამად ევროკავშირის ქვეყნებში შესვლას ცდილობენ, შემოსული მიგრაციის ნაკადით უკვე არის გამოწვეული სერიოზული პოლიტიკური და სოციალური შედეგები. ისინიც კი, რომლებმაც მიიღეს ლტოლვილის სტატუსი, იქცნენ „ეკონომიკურ ტვირთად“ მასპინძელი ქვეყნებისთვის, რადგან მათ არ გააჩნიათ შესაბამისი განათლება, საჭირო უნარები ან მშრომელთა რიგებში გაწევრიანების სურვილი. მიგრანტებისთვის მიმზიდველად რჩება ცხოვრების მაღალი დონე, თავშესაფრისა და სამუშაოს პოვნის შესაძლებლობა, რბილი მიგრაციის პოლიტიკა და მასპინძელი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერა. ეს ფაქტორები, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს მიგრაციული ნაკადების გააქტიურებას, მეორე მხრივ კი, ძირს უთხრის პანევროპულ ერთობას და ზრდის დისტანციას ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის.

**INA NATSVALADZE**

## REGULATION OF MIGRATION FLOWS MECHANISMS AND POLICY OF ADAPTATION OF MIGRANTS IN EU COUNTRIES

Summary

The refugee crisis has raised many new problems within the European Union, which has led to serious political upheavals. The European Union has not given up on the principles that inspire the organization, resulting in a migration crisis that has fueled unemployment and crime and created a host of political, cultural and socio-economic problems. The difficult socio-economic situation of specific segments of society, low levels of formal education, and demographic factors combined in dissatisfaction with mainstream politics and translated into support for an alternative populist narrative. At the same time, the danger of blurring the religious identity of the host countries, which is openly declared by those Central European governments that are against the relocation of asylum seekers, has become relevant.

It should be noted that even taking into account the reduction of migrants and refugees, the influx of migration already has serious political and social consequences. Even those who have received refugee status have become an "economic burden" on host countries because they lack the appropriate education, skills, or willingness to join the workforce. High standards of living, opportunities to find asylum and work, soft migration policies and socio-economic support of host countries remain attractive to migrants. These factors, on the one hand, will contribute to the activation of migration flows, and on the other hand, undermine pan-European unity and increase the distance between the government and society.

***Key words***: *European Union, migration flow, migrant crisis, Schengen Agreement.*

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. მაისურაძე მ.ევროკავშირის მიგრაციული პოლიტიკა და მიგრაციის მართვის მნიშნელობა. საერთაშოისო სამართლის ჟურნალი(2),2013,გვ. 119-137.
2. Еремина Н. В., ОТ ПОЛИТИКИ «ОТКРЫТЫХ ДВЕРЕЙ» ДО МИГРАЦИОННОГО КРИЗИСА: РЕФОРМИРОВАНИЕ МИГРАЦИОННОЙ ПОЛИТИКИ В КОММУНИТАРНОМ И НАЦИОНАЛЬНОМ ИЗМЕРЕНИЯХ НА ПРИМЕРЕ ВЕЛИКОБРИТАНИИ И ФРАНЦИИ, СРАВНИТЕЛЬНАЯ ПОЛИТИКА И ГЕОПОЛИТИКА, 2016 Т.7 №4, 44
3. შენგენის შეთანხმება. https://schengenvisum.info/ka/
4. დუბლინის კონვენცია. https://home-affairs.ec.europa.eu/networks/european-migration-network-emn/emn-asylum-and-migration-glossary/glossary/dublin-convention_en
5. ევროკავშირის საბჭოს ჩარჩო-გადაწყვეტილება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ 2002 წლის 13 ივნისის ჩარჩო გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. 2008 წლის 28 ნოემბერი.
   https://www.dgstz.de/storage/documents/TIPwJYBA1yM9czBniduKe72UfryMie6wAfiea8lA.pdf

✍ გიორგი ხუბულაშვილი
*წარმოადგინა პროფ.* ***ზურან კვეტენაძემ***

# დასავლეთის და რუსეთის განსხვავებული მიდგომა „რბილი ძალის“ მიმართ

წინამდებარე სტატიაში განხილულია დასავლური სამყაროსა და რუსეთის განსხვავებული მიდგომები „რბილი ძალის“ მიმართ. ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერმა ჯოზეფ ნაიმ, მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს მსოფლიოს გააცნო ახალი ტერმინი „რბილი ძალა“. მისი განმარტებით ეს არის სახელმწიფოს უნარი, „ხისტი ძალის“ გამოყენების გარეშე, დადებითი განწყობებისა და დამოკიდებულებების შექმნით, ზეგავლენა მოახდინოს საერთაშორისო სისტემის სხვა აქტორებზე. ფაქტიურად ის წარმოადგენს კულტურულ ძალას, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფოები ახორციელებენ საკუთარი საგარეო პოლიტიკური მიზნების რეალიზებას. იგი ეფუძნება სამ ძირითად ელემენტს, როგორიცაა: კულტურა, პოლიტიკური ღირებულებები და საგარეო პოლიტიკა. ყველაზე მნიშვნელოვანი და პრინციპული ელემენტი, რომელიც განსაზღვრავს რბილ ძალას, როგორც კულტურაზე დაფუძნებულ ზემოქმედების საშუალებას, არის მისი გამოყენების ნებაყოფლობითი ხასიათი და ლიბერალური პრინციპების პატივისცემა. ანუ მისი რეალიზაცია მხარეთა სურვილის საფუძველზე ხორციელდება და არა ძალადობრივი და თავს მოხვეული მეთოდებით.

მაშინ, როდესაც ჯ. ნაი „რბილი ძალის“ ტერმინს ამკვიდრებდა, საბჭოთა კავშირი თავისი არსებობის უკანასკნელ წლებს ითვლიდა. სოციალისტური ბანაკის დაშლამ და მსოფლიო არენაზე ახალი საერთაშორისო აქტორების გამოჩენამ ხელსაყრელი ნიადაგი შექმნა დასავლური „რბილი ძალის“ გამოყენებისთვის. მისი ძალისხმევით განხორციელდა ყოფილი სოციალისტური ბანაკის ევროპული სახელმწიფოების ძირითადი ნაწილის „ვესტერნიზაცია“ (დასავლური ფასეულობების და კულტურის გავრცელება).

აღნიშნული გარემოება ყოვლად მიუღებელი იყო რუსეთის მმართველი ელიტისთვის. პრეზიდენტმა ვ. პუტინმა მიზნად დაისახა ყოფილ საბჭოთა ქვეყნებზე ზეგავლენის დაბრუნება, რისთვისაც საჭირო გახდა გარკვეული ცვლილებების შეტანა საგარეო პოლიტიკაში. 2007 წელს რუსეთის ოფიციალურ დოკუმენტებში პირველად გამოჩნდა ტერმინი „რბილი ძალა“. აღნიშნული მექანიზმი შექმნილი იყო როგორც მეზობელ სახელმწიფოებზე ზემოქმედების საშუალება.

მიუხედავად ანალოგიური ტერმინის დამკვიდრებისა, მისი შინაარსი მნიშვნელოვნად განსხვავდება დასავლური „რბილი ძალისგან“. ფაქტიურად რუსეთის მმართველმა წრეებმა შეიმუშავეს დასავლური მოდელის საწინააღმდეგო მექანიზმი. პირველ რიგში მისი დანიშნულებაა მოახდინოს ლიბერალიზმის დემონიზაცია და მის მეზობელ სახელმწიფოებში ნეგატიური განწყობების შექმნა დასავლური დემოკრატიის წინააღმდეგ. მისი მეორე ამოცანაა წარმოაჩინოს რუსეთი, როგორც ტრადიციების, ეროვნული იდენტობის და მართლმადიდებლობის ერთადერთი დამცველი მსოფლიოში. მის შემუ-

შავებაში დიდი როლი ითამაშა რუსი მეცნიერის ალექსანდრე დუგინის იდეოლოგიურმა მოდელმა „ნეოევრაზიანიზმის“ (რამოდენიმე კონცეფციით გაერთიანებული იდეოლოგიური მიმდინარეობა, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ალექსანდრე დუგინის ნაშრომებს) შესახებ. ის დაფუძნებულია კონსერვატიულ ღირებულებებზე და ეწინააღმდეგება ანგლო-საქსურ ცივილიზაციას, კერძოდ, ევროპა-აშშ-კანადის კავშირს. ა. დუგინი აცხადებს, რომ აღნიშნული ქვეყნები წარმოადგენენ საზღვაო სახელმწიფოებს, რომელთა ძირითად ღირებულებას წარმოადგენს თავისუფლება, ინდივიდუალიზმი და საბაზრო ეკონომიკა, ხოლო იდეოლოგიური კუთხით ისინი ემხრობიან ულტრა ლიბერალიზმის გლობალიზაციას. ნეოევრაზიანიზმის მიხედვით კი, ევრაზია თავისი არსით მოიცავს სახმელეთო სახელმწიფოებისთვის დამახასიათებელი კონტინენტალიზმის კონსერვატიულ ფილოსოფიას, რომლის ძირითად ფასეულობებში ტრადიციონალიზმი და რელიგია შედის.

ამგვარად, რუსეთსა და დასავლურ სამყაროს განსხვავებული მიდგომები გააჩნიათ „რბილი ძალის“ მიმართ. დასავლური მოდელი მიზნად ისახავს საკუთარი ინტერესების შესაბამისად, მიმზიდველობის საფუძველზე, ურთიერთმომგებიანი პოლიტიკის გატარებას. რუსეთის შემთხვევაში, „რბილი ძალის“ განსაზღვრებაში შესაძლებელია მოვაქციოთ ყველა ინსტრუმენტი, რომელიც ხისტი ძალის (სამხედრო კომპონენტი) განმარტებაში არ ჯდება. ამავდროულად ის მიზნად ისახავს მხოლოდ საკუთარი პოლიტიკური ინტერესების გატარებას, რისთვისაც ახდენს მისი დაინტერესების ქვეშ მყოფი სახელმწიფოს დარწმუნებას პროპაგანდისტული, დეზინფორმაციული ან ანტისისტემური ძალების მხარდაჭერით. შესაბამისად, აღნიშნულ მიდგომას „რბილი ძალის“ ამოსავალ გაგებასთან საერთო არაფერი აქვს.

***საკვანძო სიტყვები:*** *რბილი ძალა, ხისტი ძალა, ლიბერალიზმი, ნეოევრაზიანიზმი, ინდივიდუალიზმი, კონტინენტალიზმი.*

მსოფლიოს ლიდერი ქვეყნების უმეტესობას სურს ჰქონდეს პოზიტიური იმიჯი და იყვნენ მიმზიდველი სხვა პოლიტიკური სუბიექტებისთვის, მათზე ზეგავლენის მოპოვების მიზნით. ამისთვის ისინი წარმოაჩენენ სხვა სახელმწიფოებისთვის დახმარების გაწევის შესაძლებლობას სხვადასხვა სფეროში, ხოლო სანაცვლოდ იღებენ მათ კეთილგანწყობას და სხვადასხვა პოლიტიკური ამოცანების გადაჭრის შესაძლებლობას. შესაბამისად, ისინი ცდილობენ საკუთარი გავლენის გავრცელებას სხვა ქვეყნების დაინტერესების და არა იძულების მეშვეობით. ამგვარი ზემოქმედების მეთოდი წარმოადგენს ამერიკელი მეცნიერის ჯოზეფ ნაის მიერ შემუშავებული „რბილი ძალის“ კონცეფციის კლასიკურ ფორმას [1], რომელიც აქტიურად გამოიყენება დასავლური სამყაროს ქვეყნების საგარეო პოლიტიკის სფეროში.

ცივი ომის შემდგომ ეპოქაში მთავარი საერთაშორისო აქტორები ირჩევენ გამოიყენონ რბილი, ვიდრე ხისტი ძალა. მათი თქმით, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული, ინსტიტუციური და სამართლებრივი ინსტრუმენტები უფრო ეფექტიანია დღევანდელ მსოფლიოში, ვიდრე სამხედრო ძალა ან პირდაპირი პოლიტიკური და ეკონომიკური ზეწოლა [2].

მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან, ზემოხსენებული ინსტრუმენტების მეშვეობით ყოფილი სოციალისტური ბანაკის სახელმწიფოების ვესტერნიზაცია განხორციელდა, რის შედეგადაც ევროკავშირი და ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი რუსეთის საზღვ-

რებთან გაფართოვდა. ამგვარი გარემოება კრემლისთვის ყოვლად მიუღებელი იყო.

აქედან გამომდინარე მისთვის აუცილებელი გახდა შესაბამისი ინსტრუმენტების შემუშავება, რომლითაც მოახდენდა პოსტსაბჭოთა სივრცეში პოლიტიკური გავლენის დაბრუნებას და დასავლურ რბილ ძალასთან დაპირისპირებას.

ამ მიზნით, 2000-იანი წლების შუა პერიოდიდან რუსეთი ცდილობდა შეემუშავებინა რბილი ძალის საკუთარი კონცეფცია და მისი განხორციელების მექანიზმი. თავდაპირველად ის ფორმალურად შემუშავდა, როგორც საგარეო პოლიტიკის დოქტრინის ნაწილი, 2013 წელს. რუსეთის უმაღლესმა ლიდერებმა (მათ შორის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი) განაცხადეს, რომ რბილი ძალის ინსტრუმენტები ყველაზე მნიშვნელოვანია კრემლის საგარეო პოლიტიკის არსენალში. თუმცა ბოლო ათწლეულების განმავლობაში მოსკოვმა არაერთხელ გამოიყენა სამხედრო აგრესია პოსტსაბჭოთა სივრცეში [3].

შესაბამისად, რუსეთის საგარეო პოლიტიკაში აღნიშნული ინსტრუმენტის დანერგვა არ გამორიცხავს სამხედრო ძალის გამოყენებასაც საკუთარი ინტერესების განხორციელების პროცესში. არსებობს მოსაზრება, რომ კრემლის მიერ შემუშავებული რბილი ძალა შერწყმულია ხისტი ძალის კომპონენტებთან და ხშირ შემთხვევაში გამოიყენება, როგორც ძალდატანების მექანიზმი. ამ შემთხვევაში უნდა გვესმოდეს, რომ მის ხელთ არსებული არა მარტო სამხედრო კომპონენტი, არამედ  ეკონომიკური, პოლიტიკური და საინფორმაციო ბერკეტებიც გამოიყენება როგორც იძულების საშუალება საკუთარი გეოპოლიტიკური მიზნების მისაღწევად. აღნიშნული საფრთხეს უქმნის იმ სახელმწიფოებს, რომლებიც რუსეთის ტრადიციული გავლენის სფეროში მოიაზრებიან და პროდასავლური პოლიტიკის კურსის დეკლარირებას ახდენენ, მათ შორის საქართველოს. აგრეთვე უარყოფით გავლენას ახდენს ევროატლანტიკური სტრუქტურების ერთიანობაზე და მათ საგარეო პოლიტიკურ ინტერესებზე. 2017-2020 წლების საქართველოს თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტში [5] და 2017-2020 წლებისთვის ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრიანების კომუნიკაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგიაში [6], რუსული რბილი ძალა პირველად დაფიქსირდა, როგორც საფრთხე.

რუსეთის რბილი ძალის სტრატეგია შედარებით ახალი თემაა აკადემიურ ლიტერატურაში, შესაბამისად, ის ნაკლებად შესწავლილი და გამოკვლეულია. სტატიაში წარმოდგენილია მცდელობა განიმარტოს რუსეთის მმართველი ელიტის აღქმა და მიდგომები რბილი ძალის მიმართ, ასახულია მისი იდეოლოგიური საფუძვლები, მიზნები და ინსტიტუციონალური მექანიზმები. ასევე მისი განმასხვავებელი ნიშნები რბილი ძალის დასავლურ მოდელთან შედარებით.

## „რბილი ძალის“ დასავლური მოდელი

„რბილი ძალის“ ისტორიულ წინამორბედად შესაძლებელია ჩაითვალოს „კულტურული იდეოლოგიის ჰეგემონიის“ კონცეფცია, რომლის ფუძემდებელია იტალიელი ფილოსოფოსი ანტონიო გრამში. ავტორი შეეცადა ეჩვენებინა ბურჟუაზიის მუშათა კლასზე ბატონობის მექანიზმები სტაბილურ კაპიტალისტურ საზოგადოებაში. მისი ვარაუდით, გაბატონებული ბურჟუაზიული კლასი ინარჩუნებს ბატონობას არა მხოლოდ პოლიტიკური და ეკონომიკური იძულების გზით, არამედ იდეოლოგიის მეშვეობითაც. შესაბამისად, ბურჟუაზიულმა კლასმა შეიმუშავა ჰეგემონიური კულტურა, რომელიც პროპაგანდას უწევს საკუთარ ღირებულებებს, რათა დანარჩენმა სოციალურმა ფენებმა გაითავისონ ისინი როგორც „საღი აზრი“ [7].

ტერმინი „რბილი ძალა“ პირველად გამოიყენა პოლიტოლოგმა ჯოზეფ ნაიმ 1980-იან წლებში. მისი განსაზღვრებით ის წარმოადგენს უნარს მიიღო ის, რაც გსურს მიმზიდველობის გზით და არა იძულების ან მოსყიდვის მეშვეობით [1]. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის შესაძლებლობა, მიმზიდველობით და დარწმუნებით მოახდინო ზეგავლენა სხვების გადაწყვეტილებაზე, მიიღონ იგივე შედეგი, რომლის მიღწევაც შენ გსურს. „ხისტი ძალისგან“ განსხვავებით, რომლის ეფექტიანობა ყოველთვის დამოკიდებულია სამხედრო და ეკონომიკურ სიძლიერეზე, „რბილი ძალის“ წარმატებას საფუძვლად უდევს ქვეყნის კულტურა, მისი პოლიტიკური იდეალები, ღირებულებები და საგარეო პოლიტიკის კურსი [8].

ჯოზეფ ნაის მიხედვით „რბილი ძალის“ კონცეფცია ძირითადად დაფუძნებულია ლიბერალური დემოკრატიის პრინციპებზე, როგორიცაა კანონის უზენაესობა ყოველდღიურ ცხოვრებაში, საბაზრო ეკონომიკა, კერძო საკუთრება, ადამიანის უფლებები, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, სამოქალაქო თავისუფლება და პოლიტიკური თავისუფლება ყველა ადამიანისთვის. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ „რბილი ძალის“ დასავლური მოდელის შესაბამისად მშვიდობიანი გარემოს უზრუნველყოფა თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობით და ეკონომიკური გლობალიზაციით არის შესაძლებელი, რაც „იძულებულს“ ხდის სახელმწიფოებს ითანამშრომლონ აღნიშნულ სფეროში.

ავტორი განმარტავს, რომ პოლიტიკურ ლიდერებს დიდი ხანია გააზრებული აქვთ ძალა, რომელიც მომდინარეობს მიმზიდველობიდან. თუ შეგვიძლია რომელიმე ქვეყანას მოვანდომოთ იმის გაკეთება რაც ჩვენ გვინდა, მაშინ აღარ არის საჭირო „მათრახისა“ ან „თაფლის კვერის“ პოლიტიკის გამოყენება მის მიმართ. ჯოზეფ ნაი მიიჩნევს, რომ ავტორიტარულ ქვეყნებში ლიდერები, საკუთარი მიზნების მისაღწევად ძირითადად იძულებით მეთოდებს მიმართავენ, ხოლო დემოკრატიულ ქვეყნებში პოლიტიკოსები უფრო მეტად უნდა დაეყრდნონ წახალისებასა და მიმზიდველობას. „რბილი ძალა“ ყოველდღიური დემოკრატიული პოლიტიკის მთავარი ელემენტია. ის არის უნარი, განსაზღვრო საკუთარი პრიორიტეტები, რომლებიც ასოცირდება არამატერიალურ აქტივებთან, როგორიცაა მიმზიდველი პიროვნება, კულტურა, პოლიტიკური ღირებულებები, ინსტიტუტები და პოლიტიკა.

აშშ-სა და დასავლეთის სხვა წამყვანი ქვეყნების საგარეო პოლიტიკაში ჯოზეფ ნაის იდეები სწრაფად დამკვიდრდა. დასავლეთის მიერ წარმოებულმა „რბილმა ძალამ“ განაპირობა დემოკრატიული ღირებულებებისა და პრინციპების გავრცელება პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და ფუნდამენტური ცვლილება შეიტანა ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნების საზოგადოებაში.

„რბილი ძალის“ გამოყენების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს, ევროპულ ნაწილში არსებული ყოფილი სოციალისტური ბანაკის სახელმწიფოთა ვესტერნიზაცია წარმოადგენს. რუსეთის მიდგომის შესაბამისად, აღნიშნული პროცესი არა ამ ქვეყნების დამოუკიდებელი არჩევანი, არამედ დასავლეთის ინტენსიური საინფორმაციო კამპანიის შედეგი იყო. დემოკრატიულ ფასეულობათა ტირაჟირებით დასავლეთმა, რუსეთის „ახლო სამეზობლოში“ ევროატლანტიკური სტრუქტურების მიმართ პოლიტიკურად ლოიალური განწყობების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი, რის შედეგადაც კრემლის გავლენა აღნიშნულ სივრცეში საგრძნობლად შემცირდა.

იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის ერთ-ერთ ძირითად მიზანს სწორედ რეგიონალური მასშტაბით დომინანტი სახელმწიფოს სტატუსის მოპოვება წარმოადგენს, მის წინაშე „რბილის ძალის“ ალტერ-

ნატიული მოდელის შემუშავების აუცილებ-ლობა დადგა [3].

### „რბილის ძალის“ რუსული მოდელი

2005 წელს, რუსეთის პრეზიდენტმა ვლ. პუტინმა საბჭოთა კავშირის დაშლა „მეოცე საუკუნის უდიდეს გეოპოლიტიკურ კატას-ტროფად“ გამოაცხადა. კრემლის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად პრიორი-ტეტად პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის ზეგავლენის გაძლიერება განისაზღვრა. აღ-ნიშნული გადაწყვეტილება კრემლისთვის აუცილებლობას წარმოადგენდა, რადგანაც 21-ე საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული ადგილი ჰქონდა ისეთ მოვლენებს, როგორ-იცაა სერბეთის ანტისახელმწიფოებრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდა-ჭერა აშშ-ის მიერ, საარჩევნო რევოლუციები ყირგიზეთში, მოლდოვაში, საქართველოსა და უკრაინაში, რაც რუსეთის ხელისუფლე-ბაში იწვევდა ძლიერ დაეჭვებას და შეშ-ფოთებას [2].

უკრაინაში განხორციელებული ნარინ-ჯისფერი რევოლუციის შემდგომ რუსეთი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ დასავლეთი აქტიურად იყენებდა არასამთავრობო ორგა-ნიზაციებს და სამოქალაქო საზოგადოებას, როგორც საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენ-ტებს. შესაბამისად, რუსეთის ხელისუფლე-ბამაც გადაწყვიტა გამოეყენებინა ანალოგი-ური საშუალებები საკუთარი საგარეო ინტე-რესების გატარებისთვის. ეს ინტერესები ანტიგლობალისტური ხასიათისაა და მიზ-ნად ისახავენ მულტიპოლარული სამყაროს შექმნას, რომელშიც რუსეთი რეგიონალური ლიდერის როლს შეასრულებს [9].

კრემლმა საკუთარი საგარეო პოლიტი-კის განხორციელების სფეროში მოახდინა გარკვეული ცვლილებები, რასაც „რბილი ძა-ლის“ ინსტრუმენტების დანერგვა მოჰყვა. მისი შედგენისთვის მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რუსი ფილოსოფოსის, პოლიტო-ლოგის და სტრატეგისტის ალექსანდრე დუგინის მიერ შემუშავებულმა იდეოლოგი-ურმა მოდელმა ნეოევრაზიანიზმის შესახებ. აღნიშნული ეწინააღმდეგება დასავლურ ცი-ვილიზაციას და ლიბერალური დემოკრატი-ის პრინციპებს. ის დაფუძნებულია კონსერ-ვატიულ ღირებულებებზე და აერთიანებს ევრაზიულ ცივილიზაციას საერთო მტრის - „ატლანტიზმის“ (კავშირი ევროპას, აშშ-ს და კანადას შორის) წინააღმდეგ. ამ კავშირში შემავალი ქვეყნები წარმოადგენენ საზღვაო სახელმწიფოებს, რომელთა ძირითად ღირე-ბულებას წარმოადგენს თავისუფლება, ინ-დივიდუალიზმი და საბაზრო ეკონომიკა, ხოლო იდეოლოგიური კუთხით ისინი ემხ-რობიან ულტრალიბერალიზმის გლობალი-ზაციას. აღნიშნული კი მიზნად ისახავს უნიპოლარული მსოფლიოს შექმნას და ატ-ლანტიკის სახელმწიფოთა, კერძოდ კი, აშშ-ის ერთპიროვნულ ჰეგემონიას. ნეოევრაზია-ნიზმის მიხედვით, ევრაზია თავისი არსით მოიცავს სახმელეთო სახელმწიფოებისთვის დამახასიათებელ კონტინენტალიზმის კონ-სერვატიულ ფილოსოფიას, რომლის ძირი-თად ფასეულობებში ტრადიციონალიზმი და რელიგია შედის.

ალ. დუგინის იდეოლოგია ძირითადად მიმართულია აშშ-ის წინააღმდეგ, თუმცა ის ასევე დიდწილად ეხება ევროკავშირს და პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებსაც. ევრაზია-ნიზმის ერთ-ერთ მიზანს სწორედ ყოფილ სოციალისტურ ბანაკში რუსეთის გავლენის სფეროების დაბრუნება წარმოადგენს. ავტო-რი ცდილობს, შთააგონოს ევროკავშირის და პოსტსაბჭოურ, კონსერვატიულად განწყო-ბილ საზოგადოებას, რომ ლიბერალიზმი თავსმოხვეული იდეოლოგიაა, რომლის და-ნიშნულებაა აშშ-ის მსოფლიო ჰეგემონად დამკვიდრება. ავტორი ცდილობს, მოახდი-ნოს დასავლური სამყაროს ფასეულობების, იდეოლოგიისა და წესრიგის სრული დისკ-რედიტაცია და გააიგივოს ის მომაკვდავ სისტემასთან, რომელიც თავის გადარჩენის

მიზნით დიქტატს, ტირანიასა და ყოველი კოლექტიური იდენტობის განადგურებას მიმართავს [10].

ფაქტიურად რუსული „რბილი ძალა“ მიმზიდველობის მაგივრად პროპაგანდის და დეზინფორმაციის გავრცელებით, ასევე ანტიდასავლურად განწყობილი საზოგადოების მხარდაჭერით ხასიათდება.

ტერმინი „რბილი ძალა“ რუსეთის ოფიციალურ წყაროებში პირველად გამოჩნდა 2007 წლის საგარეო პოლიტიკის მიმოხილვის დოკუმენტში. თავდაპირველად იგი განისაზღვრა, როგორც პოლიტიკის ინსტრუმენტი ახლო სამეზობლოში მცხოვრები თანამემამულეების მიმართ. კრემლის მიერ თანამემამულეები განიხილებიან, როგორც რუსეთის ინტერესების გამტარებლები სხვადასხვა სახელმწიფოებში და მათთან თანამშრომლობა რბილი ძალის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. 2008 წლის ოქტომბერში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ს. ლავროვმა განაცხადა, რომ მზარდ როლს თამაშობს ეგრეთ წოდებული „რბილი ძალა“, როგორც უნარი, მოახდინო გარემოზე ზემოქმედება ცივილიზებული, ჰუმანიტარული, კულტურული, საგარეო პოლიტიკისა და მიმზიდველობის სხვა ფორმებით. მან ასევე განაცხადა, რომ საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან კავშირების გაღრმავება სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს. რუსეთის 2013 წლის საგარეო პოლიტიკის კონცეფციაში კი რბილი ძალა განსაზღვრა, როგორც კლასიკური დიპლომატიის ალტერნატივა და თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის შეუცვლელი კომპონენტი, რომელიც წარმოადგენს ინსტრუმენტების კომპლექტს დასახული ამოცანების გადასაჭრელად. მას მხარს უჭერს სამოქალაქო საზოგადოება, ინფორმაცია და კომუნიკაცია, ტექნოლოგიები, ჰუმანიტარული და სხვა მეთოდები. აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად, რბილი ძალის მნიშვნელოვან პრიორიტეტად განისაზღვრა რუსეთის პოზიტიური იმიჯის დამკვიდრება საზღვარგარეთ. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებლობას წარმოადგენდა შემუშავებულიყო საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების ეფექტიანი საინფორმაციო საშუალებები. აგრეთვე ქვეყნის გარეთ მცხოვრებ თანამემამულეების დახმარებით, რუსული კულტურის და ენის პოპულარიზაცია ახლო სამეზობლოში და ევროპაში. 2005 წელს დაარსდა ტელეარხი „რაშა თუდეი“, რომელიც მაუწყებლობდა საზღვარგარეთ, ინგლისურ ენაზე. 2007-2014 წლებში შეიქმნა რბილი ძალის ინსტიტუტები, როგორიცაა: „რუსკი მირი“, „დემოკრატიის და თანამშრომლობის ინსტიტუტი“, „როსსოტრუდნიჩესტვო“, „გორჩაკოვის ფონდი“ და „რუსეთის საერთაშორისო ურთიერთობების საბჭო“ და სხვ. [2. 352; 355].

ზემოხსენებული ინსტიტუტები წარმოადგენენ ე.წ. მთავრობით მართულ არასამთავრობო ორგანიზაციებს და სამეცნიერო კვლევით ცენტრებს, რომელთა დანიშნულებას რუსული პროპაგანდის გავრცელება წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ისინი არ შემოიფარგლებიან მხოლოდ ეთნიკურად რუს მოსახლეობასთან ურთიერთობით, მათი საქმიანობის სფერო ვრცელდება ყველა იმ ადამიანზე, რომელსაც გააჩნია სიმპატია რუსეთის და მისი კულტურის მიმართ. ფაქტიურად მიზანს წარმოადგენს რუსეთის ეროვნული ღირებულებების გავრცელება და პოპულარიზაცია, რომლებიც ეწინააღმდეგებიან დასავლური ლიბერალური დემოკრატიის პრინციპებს [11].

ისტორიის დოქტორი გვანცა აბდალაძე იზიარებს დამოუკიდებელი ორგანიზაციის, „ეროვნული განვიტარების ფონდი“-ს ექსპერტის ჯესიკა ლუდვიგის და ამავე ფონდის ვიცე-პრეზიდენტ ქრისტოფერ უოლკერის მოსაზრებას, რომ რუსული რბილი ძალის სპეციფიკური მექანიზმებისა და მძიმე შედეგების გამო საჭიროა მისი ცალკე სეგმენტად გამოყოფა და სახელად ბასრი ძალა

ეწოდოს. მისი თქმით ამ ძალის ელემენტებია საბჭოთა პროპაგანდა, დეზინფორმაციის ციფრული შესაძლებლობები და საინფორმაციო ოპერაციები. მისი აზრით ის წარმოადგენს ხისტი და რბილი ძალის ერთგვარ ნაზავს რომელიც მოიცავს: ა) მოხიბლვაზე დაფუძნებულ რბილ ძალას, ბ) დეზინფორმაციაზე დაფუძნებულ ცივი ომისდროინდელ პროპაგანდას, გ) პროფესიონალიზმზე დაფუძნებულ სამხედრო ფსიქოლოგიურ ოპერაციების ტექნიკას და დ) დემოკრატიზაციის პროცესის გამოყენებას ავტორიტარიზმის გასავრცელებლად. ავტორი თვლის, რომ რუსეთის ბასრი ძალის ტექნიკაში არაფერია ახალი. ის ცივი ომის დროინდელი პროპაგანდის ერთგვარ რეინკარნაციას წარმოადგენს, რომელშიც კომუნისტური იდეოლოგია ჩანაცვლებულ იქნა კონსერვატიზმით, რელიგიით და ისტორიული სამართლიანობის მანიპულაციით [12. 90;104].

რუსეთის ექსპერტთა წრეებში არსებობს განსხვავებული მიდგომები რბილ ძალასთან დაკავშირებით, რომელთა საფუძველზე, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი ალექსანდრე სერგუნინი აკეთებს საკუთარ დასკვნას. მისი განმარტებით, რუსული რბილი ძალა ერთის მხრივ გამოიყენება, როგორც მდიდარი ისტორიული წარსულის მქონე, დიადი რუსეთის სტატუსის შესანარჩუნებელი ინსტრუმენტი, რომელიც განსაზღვრავს მსოფლიო წესრიგს და აიძულებს დასავლეთს დაემორჩილოს მის წესებს. მეორე მხრივ კი, რბილი ძალა გამოიყენება რუსეთის ეროვნული ინტერესების გავრცელებისთვის სხვა სახელმწიფოებში, რაც გამოიხატება დასავლეთის საპირწონე სხვადასხვა კოალიციების შექმნაში. ასევე აღსანიშნავია, რომ კრემლს გააჩნია განსხვავებული მიდგომები იმისდა მიხედვით, თუ ვისი მისამართით იყენებს ის რბილ ძალას. „ახლო სამეზობლოს“ მასშტაბით მისი გამოყენების შემთხვევაში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ისეთ ინსტრუმენტებზე, როგორიცაა ეკონომიკური მიმზიდველობა და იქ მცხოვრები თანამემამულეები. დასავლეთის ქვეყნებში კი რბილი ძალის გამოყენება ძირითადად ორიენტირებულია ენერგორესურსებით მანიპულაციაზე და კულტურის ინსტრუმენტებზე [2].

შესაძლებელია ითქვას, რომ ზემოხსენებულ ექსპერტთა მოსაზრებები გადმოსცემენ რუსული რბილი ძალის ძირითად არსს. ერთის მხრივ მას მომხიბვლელობა გააჩნია, თუმცა ის მხოლოდ ზედაპირული ხასიათისაა. აღნიშნულს განაპირობებს, როგორც მოჩვენებითი დემოკრატიზაციის პროცესები, ასევე პროპაგანდისა და დეზინფორმაციის წარმოება. მეორე მხრივ, რუსული რბილი ძალა მიჩნეულია ინსტრუმენტად, რომელიც ახდენს რუსეთის განდიდებას მისი „ჰეროიკული წარსულის“ და ევროპის ერთადერთ დამცველად წარმოჩენის გზით. ის უპირისპირდება დასავლურ რბილ ძალას მის ახლო სამეზობლოში და ახდენს ლიბერალური დემოკრატიის პრინციპების დემონიზაციას. აგრეთვე, პოლიტიკური ზეგავლენის ბერკეტების მოპოვების მიზნით კრემლი ცდილობს, რაც შეიძლება მეტად ეკონომიკურად დამოკიდებული გახადოს პოსტსაბჭოთა ქვეყნები რუსეთის ბაზარზე, ხოლო ევროპული სახელმწიფოები მის მიერ მოწოდებულ ენერგორესურსებზე. საბოლოოდ კი, დასავლური რბილი ძალის მოდელისგან განსხვავებით, კრემლი, აღნიშნულ ინსტრუმენტს მოწინააღმდეგე სახელმწიფოს შესუსტების და მისი მოსახლეობის მანიპულაციისთვის იყენებს. აღნიშნულ შეხედულებებთან დამატებით უნდა ითქვას, რომ რუსეთის მიერ წარმოებული რბილი ძალა მიზნად ისახავს მტრულად განწყობილი ან მისი დაინტერესების ქვეშ მყოფი ქვეყნებისთვის ზიანის მიყენებას სამხედრო-პოლიტიკურ ან სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში, რაც მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მისი, ჯ. ნაის რბილ ძალასთან შედარების დროს. აქედან გამომდინარე უნდა

ითქვას, რომ რუსული „რბილი ძალა“ არის ბრძოლის საშუალება სამხედრო კომპონენტის გარეშე. შესაბამისად ის ჰიბრიდული ომის შემადგენელ ელემენტს უფრო წააგავს, ვიდრე დასავლური მოდელის მსგავს, მომგებიან ურთიერთანამშრომლობაზე ორიენტირებულ მექანიზმს. მის შემადგენელ კომპონენტებად შესაძლებელია მოვიაზროთ, როგორც პოლიტიკური ასევე ენერგეტიკული და საინფორმაციო ზეწოლა. შესაბამისად, დაძალების, პროპაგანდისა და დეზინფორმაციის მეშვეობით ის ახდენს მოწინააღმდეგე სახელმწიფოს საზოგადოების მანიპულაციას და მისი მმართველი ელიტის გადაწყვეტილებებზე ზემოქმედებას. პრაქტიკულად მასში გაერთიანებულია ყველა არასამხედრო საშუალება, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას კრემლის საგარეო პოლიტიკური ინტერესების სასარგებლოდ. მათი ძირითადი ძალისხმევა კი მიმართულია დასავლური სამყაროს წინააღმდეგ და პოსტსაბჭოთა სივრცეში დომინანტი სახელმწიფოს სტატუსის აღდგენისთვის. თუმცა ახლო სამეზობლოში ის ხისტი ძალის გამოყენებისთვის აუცილებელი პოლიტიკური ფონის შესაქმნელადაც გამოიყენება. ამის მაგალითად შესაძლებელია მოვიყვანოთ საქართველოს [13, 17] და უკრაინის ოკუპირებული რეგიონების მოსახლეობის პასპორტიზაცია [14].

აღნიშნული პროცესი აუცილებელი იყო, რათა საკუთარი სამხედრო აგრესიის დაწყების ერთ-ერთ მიზეზად სწორედ ოკუპირებულ რაიონებში საკუთარი თანამემამულეთა დაცვა დასახელებულიყო. რუსული რბილი ძალა შესაძლებელია იყოს მიმზიდველიც და ეკონომიკური თანამშრომლობის ფუნქციაც მოირგოს, თუმცა რეალურად მას სულ სხვა დანიშნულება ექნება. ამის თვალსაჩინო მაგალითია ევრაზიული ეკონომიკური კავშირის დაარსება, რომლის შექმნის მიზანი არათუ ეკონომიკური თანამშრომლობა, არამედ ე.წ. ევრაზიანისტული იდეის განხორციელების მცდელობა და ევროკავშირის საპირწონე ორგანიზაციის დაარსება იყო, რომელიც ევროატლანტიკური სტრუქტურების გაფართოების პრევენციასაც წარმოადგენდა.

ამგვარად, შესაძლებელია ითქვას, რომ რუსეთის მიდგომა „რბილი ძალის“ მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავდება დასავლური მოდელისგან. ის ძირითადად ორიენტირებულია, პოპულარიზაცია გაუკეთოს რუსულ კულტურას, ენას, ისტორიას, გამოკვეთოს ევრაზიული ხალხების საერთო მემკვიდრეობის მნიშვნელობა და წარმოაჩინოს რუსეთის ხელისუფლება, როგორც მართლმადიდებლური მორალის და ღირებულებების დაცვის ერთადერთი გარანტი. დასავლეთისგან განსხვავებით, რუსეთი არ სთავაზობს პარტნიორებს ორმხრივად მომგებიან პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ თანამშრომლობას. საგარეო პოლიტიკის განხორციელების პროცესში რუსული „რბილი ძალა“ ძირითადად ანტიდასავლური საინფორმაციო კამპანიის წარმოებას ეფუძნება. ფაქტიურად, ის კრემლის მიერ განხორციელებული საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ინსტრუმენტია, რომელიც რუსეთის ეროვნულ ინტერესებს ემსახურება [11].

მასალების შესწავლის საფუძველზე და ექსპერტული მოსაზრებების განხილვისა შედეგად შესაძლებელია ითქვას, რომ:

1. რუსული რბილი ძალა შემუშავებული იყო ეროვნული ინტერესების დაცვის მიზნით, რომლებიც დაკავშირებულია პოსტსაბჭოთა სფეროში გავლენის აღდგენასა და საერთაშორისო ასპარეზზე პოლიტიკური ბერკეტების მოპოვებასთან;

2. დასავლური რბილი ძალისგან განსხვავებით რუსული რბილი ძალა მიმართულია მიიღოს ცალმხრივი პოლიტიკური გამორჩენა და მიზნად ისახავს მოწინააღმდეგე ან დაინტერესების ქვეშ მყოფი სახელმწიფოსთვის ზიანის მიყენებას;

3. რბილი ძალა გამოიყენება სამხედრო ელემენტის გამოყენებისთვის შესაბამისი პირობების შესაქმნელად;

4. რბილი ძალა რუსული ჰიბრიდული ომის შემადგენელ არასამხედრო არსენალს წარმოადგენს;

5. რუსეთის საგარეო-პოლიტიკური ინტერესი, მულტიპოლარულ მსოფლიოში იყოს რეგიონალური ლიდერი, ეწინააღმდეგება დასავლური მოდელის პრინციპს ეკონომიკური გლობალიზაციის ანუ ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

**<u>GEORGE KHUBULASHVILI</u>**

## THE WEST’S AND RUSSIA'S DIFFERENT APPROACH TO "SOFT POWER"

Summary

This article discusses the different approaches of the Western world and Russia to "soft power". The famous American scientist Joseph Nye introduced the new term "soft power" to the world at the end of the 80s of the 20th century. According to his definition, it is the ability of the state to influence other international actors by creating positive moods and attitudes without using "hard power". In fact, it is a cultural force through which states fulfil their foreign policy goals. It is based on three main elements such as culture, political values and foreign policy. The most important and principled element that defines soft power as a culture-based means of influence is the voluntary nature of its use and respect of liberal principals. That is, its realization is carried out based on the common wishes of the parties, and not by violent and arbitrary methods.

While J. Nye established the term "soft power", the Soviet Union was counting the last years of its existence. The collapse of the socialist camp and the appearance of new international actors on the world stage created a favorable ground for the use of Western soft power. Through its efforts, Westernization of the main part of the European states of the former socialist camp was carried out. The mentioned circumstance was totally unacceptable for the ruling elite of Russia.

President V. Putin aimed to regain influence over the former Soviet countries, for which it was necessary to make some changes in foreign policy. In 2007, the term "soft power" appeared for the first time in official Russian documents. This mechanism was created as a tool for influencing neighboring states. Despite the establishment of a similar term, its content is significantly different from the Western "soft power".

In fact, the ruling elite of Russia have developed a mechanism against the Western model. First of all, its purpose is to demonize liberalism and create negative sentiments against Western democracy in its neighboring states. His second task is to present Russia as the only defender of traditions, national identity and Orthodoxy in the world.

A. Dugin's ideological model of neo-Eurasianism played a big role in its development. It is based on conservative values and opposes the Anglo-Saxon civilization, namely the Europe-US-Canada alliance. A. Dugin states that the mentioned countries are maritime states whose main values are freedom, individualism and market economy, and from an ideological point of view they support the globalization of ultra-liberalism.

According to neo-Eurasianism, Eurasia in its essence includes the conservative philosophy of continentalism - typical for terrestrial states, whose main values include traditionalism and religion.

Thus, Russia and the Western world have different approaches to soft power. The Western model aims to pursue mutually beneficial policies based on attractiveness in accordance with one's own interests. In the case of Russia, it is possible to include all instruments that do not fit into the definition of hard power in the definition of soft power. At the same time, it aims only to pursue its own political interests, for which it convinces the targeted state with the support of propaganda, disinformation or anti-systemic forces. Accordingly, the mentioned approach has nothing to do with the basic understanding of soft power.

***Key words:*** *Soft Power, Hard Power, Liberalism, neo-Eurasianism, Individualism, Continentalism.*

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. J. S. Nye, Jr., Soft Power: The Means to Success in World Politics (New York: Public Affairs, 2004).
2. Alexander Sergunin, Leonid Karabeshkin, Understanding Russia's "Soft Power" Strategy , Political Studies Association, London, 2015
3. ფანჩულიძე ე., „რბილი ძალა რუსულად: პროპაგანდის დაბალანსების პოლიტიკა", გამოწვევები და საფრთხეები , ივნისი 2017/გამოცემა N5
4. დანელია ლ., „რუსეთის რბილი ძალა საქართველოს წინააღმდეგ", „ნატო, ევროპა უსაფრთხოება" - ელექტრონული ჟურნალი, 2021. http://articles.yata.ge/?p=440
5. საქართველოს მთავრობის დადგენილება №202, თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2017-2020 წწ.-ის დამტკიცების შესახებ, 2017
6. საქართველოს მთავრობის განკარგულება №765, ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრების კომუნიკაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგიის 2017-2020 წლებისთვის დამტკიცების თაობაზე, 2017
7. Бурдин Г. Н., „Политический имидж России и «мягкая сила»".2017;
8. Nye Jr. Joseph, „Think Again: Soft Power", Foreign Affairs, February 23, 2006;
9. Andrey Makarychev, Russia in a multipolar world: Role identities and "cognitive maps", Revista CIDOB d'afers internacionals, n.º 96, 2011
10. Alexander Dugin, EURASIAN MISSON AN INTRODUCTION TO NEO-EURASIANISM, Arktos media lmt, 2014
11. Vladislava Vojtíšková, Vít Novotný, Hubertus Schmid-Schmidsfelden, Kristina Potapova, The Bear in Sheep's Clothing, Russia's Government-Funded Organisations in the EU, Martens Centre, 2016
12. აბდალაძე გ., „რბილი ძალა საერთაშორისო ურთიერთობებში", WESA, თბ., 2020
13. საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია, ტომი II, 2009
14. Указ Президента Российскои Федерации № 183, Об определении в гуманитарных целях категории лиц, имеющих право обратиться с заявлениями о приеме в гражданство Российскои Федерации в упрощенном порядке, 2019

✍ ნინო კობახიძე
*წარმოადგინა პროფ. **იგორ კვესელავამ***

# ტრანსნაციონალური საფრთხის არსი და მისი თეორიულ-კონცეპტუალური აღქმა

თანამედროვე მსოფლიოში არსებული გეოპოლიტიკური ვითარება მწვავე ისტორიული, ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური წინააღმდეგობებით გამოწვეული ძლიერი დაძაბულობით ხასიათდება.

არსებული რთული პოლიტიკური ვითარება ძლიერ გავლენას ახდენს ქვეყნების საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე. თითოეული სახელმწიფო ცდილობს დაიცვას თავისი ინტერესები და მოსახლეობის უსაფრთხოება და დამოუკიდებლობა. ამ მიზნების შესასრულებლად მთავრობები აყალიბებენ ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიას სახელმწიფოს უსაფრთხოების მიზნით.

თუმცა, ერთი სახელმწიფოს მიერ მიღებულმა ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიამ შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტი მეორე სახელმწიფოსთან. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ამ ქვეყნების სტრატეგიებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ინტერესებზე, ან ეწინააღმდეგებოდეს. ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია ამ მდგომარეობაში აღმოჩნდეს.

აქედან გამომდინარე, საერთაშორისო საფრთხეებთან ბრძოლისათვის ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც, თავის მხრივ, არეგულირებენ საკუთარ უსაფრთხოებაზე ზრუნვისას სხვა ქვეყნის უსაფრთხოებაზე ზემოქმედების დონეებს.

წინამდებარე სტატიის საკვლევ თემას წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე მდგარი ტრანსნაციონალური საფრთხეების არსის გააზრება და მასთან ბრძოლის თანამედროვე მექანიზმების გაანალიზება.

***საკვანძო სიტყვები:*** *ტრანსნაციონალური საფრთხეები, უსაფრთხოება, მშვიდობა, თანამედროვე პოლიტიკური მოვლენები, საერთაშორისო ორგანიზაციები.*

მართალია, „ცივი ომის“ დასრულებამ მსოფლიო საზოგადოებას ხანგრძლივი მშვიდობისა და სტაბილურობის შესახებ დიდი იმედები და პოზიტიური მოლოდინები გაუჩინა, მაგრამ XX ს-ის დასასრული და XXI საუკუნის დასაწყისი პოლიტიკური მოვლენების მაღალი დინამიკით, სხვადასხვა რეგიონში დაძაბულობის ახალი კერების გაჩენითა და მსოფლიოში მიმდინარე პროცესების განვითარების ცუდი პროგნოზირებადობით დახასიათდა. გეოპოლიტიკური დაპირისპირების, პოლიტიკური, ეკონომიკური, ეთნიკური წინააღმდეგობებისა და ტერიტორიული პრეტენზიების გამწვავების ყველაზე მნიშვნელოვან მიზეზებად იქცა: ნედლეულთა რესურსების შეზღუდულობა, ეკონომიკური სივრცის შევიწროება, ინდუსტრიალიზაცია, ურბანიზაცია, დემო-

გრაფიულ და ეთნოპოლიტიკურ სფეროებში გაზრდილი დაძაბულობა და ა.შ.

პოსტკონფრონტაციის პერიოდის ფუნდამენტური განმასხვავებელი არის ის ფაქტორი, რომ მსოფლიოსა და ზესახელმწიფოების ინტერესებისადმი დომინანტური გლობალური საფრთხე დიდი რაოდენობით მცირე, მაგრამ, ამავე დროს, მსოფლიოს ბევრი სახელმწიფოს ინტერესებზე სერიოზული გავლენის მქონე საფრთხეებით შეიცვალა;

ასევე, საგრძნობლად გაიზარდა ეკოლოგიური კატასტროფებისა და განადგურების საფრთხის ალბათობა;

არ არის გამორიცხული ე.წ. ტოტალიტარული რეჟიმებისაგან მომდინარე საფრთხეები, რომელთა ქცევის ლოგიკა მათი ლიდერების რეგიონული ან მსოფლიო ბატონობის პირადი პრეტენზიებით განისაზღვრება, მათ შორის ბირთვული და სხვა სახის მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენების შესაძლებლობითაც კი.

ასევე, სრულად არ არის გამორიცხული სახელმწიფოებს შორის სამხედრო კონფლიქტებისა და საომარი მოქმედებების დაწყება რესურსების ან/და ტერიტორიებისთვის ბრძოლაში ეროვნული ეკონომიკების განადგურება და სახელმწიფოების ნგრევა; ახალგაზრდა დემოკრატიული რეჟიმების დამარცხება; სეპარატისტული კონფლიქტების გაჩენა; შიდა კონფლიქტები რელიგიურ, ეთნიკურ ან ეროვნულ ნიადაგზე; ეთნიკური წმენდა; გენოციდი და ა.შ. [1. 7].

უკანასკნელ პერიოდამდე უსაფრთხოების ყველა პრობლემა ძირითადად სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფამდე იყო დაყვანილი, განსაკუთრებით ბირთვული ომის გაჩაღების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. დღეს წინა პლანზე დგება უსაფრთხოების გამოწვევები, რაც მანამდე ან მეორეხარისხოვან ადგილს იკავებდა და ბირთვული ომის გლობალური საფრთხის ჩრდილში იყო მოქცეული, ან საერთოდ არ იყო აქტუალური. მიუხედავად იმისა, რომ საფრთხეების ამგვარი ტრანსფორმაციის დამაჩქარებელი მიზეზი ცივი ომის დასასრული იყო, ვფიქრობთ, მიზეზები გაცილებით ღრმად უნდა ვეძიოთ.

საფრთხეების ანალიზი შესაძლებელს ხდის გამოვიტანოთ დასკვნა წარმოშობის წყაროებსა და იმ გზებს შორის, რომლითაც ვლინდება გარე და შიდა საფრთხეების უმეტესობა.

ზოგიერთი მეცნიერი საფრთხეების დააახლოების ძირითად მიზეზად მიიჩნევს გლობალიზაციის მზარდ პროცესებს, რომელთა დამახასიათებელი ნიშნებია:

- კონკრეტული მოქალაქეების ინტერესების რეალიზაციის დამოკიდებულება საკუთარი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, სხვა მთავრობების ან საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებულ ქმედებებსა და გადაწყვეტილებებზე;
- წინააღმდეგობების გამწვავება სახელმწიფოს მიერ საკუთარი სუვერენიტეტის უზრუნველყოფის ტრადიციულ ფუნქციას, ინფორმაციის თავისუფალი ნაკადის იმპერატივებსა და ეროვნული ხელისუფლების დამოკიდებულებას შორის გლობალურ პოლიტიკურ სისტემაში, მსოფლიო ეკონომიკასა და მსოფლიო საზოგადოებაში პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას;
- მსოფლიო პოლიტიკურ პროცესში ეროვნულ სახელმწიფოებთან ერთად ახალი აქტორების - ტრანსნაციონალური ორგანიზაციებისა და სახელმწიფოებისგან დამოუკიდებლად მოქმედი ძალების გაჩენა;
- სატელეკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების წყალობით, ახალი გლობალური, სრულიად პლანეტარული სივრცე-დროის შექმნა - ერთი პლანეტა-

რული ცივილიზაციის სივრცით-დროითი ინფრასტრუქტურა; [2. 167];

- დასავლური საერთაშორისო კულტურის გაჩენა, რომელიც საფრთხეს უქმნის „არადასავლური“ სახელმწიფოების ეროვნულ საფუძვლებსა და ტრადიციულ ღირებულებებს;
- ტრანსნაციონალური პრობლემებისა და საფრთხეების მასშტაბის ზრდა [3. 2-3].

განსხვავებული კონცეფციები ინდივიდის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს უსაფრთხოების შესახებ, ასევე ცალკეულ სოციალურ ჯგუფებში და თავად ჯგუფებს შორის ურთიერთგამომრიცხავი ინტერესების არსებობა, უსაფრთხოების უზრუნველყოფის ამოცანას მრავალკრიტერიუმიანად აქცევს. ასეთი პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზაა მისი დაყვანა ერთ კრიტერიუმამდე მნიშვნელოვანი ინდიკატორის ხაზგასმისა და დარჩენილი პარამეტრების გარკვეულ საზღვრებში შენარჩუნების გზით.

მნიშვნელოვანი ინდიკატორის განსაზღვრა სხვა არაფერია, თუ არა ტრიადიდან - პიროვნება, საზოგადოება, სახელმწიფო - დაცვის ობიექტის შერჩევა. ცალკეული პირების, ეროვნების, ეთნიკური ჯგუფებისა და ერების დაღუპვის მიზეზები, როგორც წესი, ერთდროულად მრავალი გამოწვევა და საფრთხეა.

ამავდროულად, გარკვეულ პერიოდებში, შესაძლოა ზოგიერთი მათგანი დანარჩენებისგან განსხვავებით შესამჩნევად დაწინაურდეს და შექმნას ერის დაღუპვის წინაპირობები, მაგალითად, სუვერენიტეტის დაკარგვა, საზოგადოების მორალური საფუძვლების განადგურება, ეკონომიკის დაძირვა, შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობის სწრაფი შემცირება და ა.შ. ბუნებრივია, ასეთი სიტუაციები შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მხრიდან დიდ ყურადღებას მოითხოვს.

აქედან გამომდინარე, ჩნდება იმის საჭიროება, რომ საფრთხეები განვასხვავოთ ერის არსებობასა და სიცოცხლისუნარიანობაზე მათი გავლენის ხარისხის მიხედვით.

მიზანმიმართული ორიენტაციის ბუნებითა და სუბიექტური ფაქტორის როლით, არახელსაყრელი პირობების წარმოქმნაში შეიძლება განვასხვავოთ შემდეგი პარადიგმა:

- **გამოწვევა** - გარემოებათა ერთობლიობა, რომელიც არ არის აუცილებლად საფრთხის შემცველი, მაგრამ, რა თქმა უნდა, მოითხოვს მათზე რეაგირებას;
- **რისკი** - თავად სუბიექტის საქმიანობის არასასურველი და არაკეთილისმყოფელი შედეგების მიღების შესაძლებლობა;
- **საფრთხე** - საკმაოდ შეგნებული, მაგრამ არაფატალური და ვინმესთვის ზიანის მიყენების ალბათობა, რაც განისაზღვრება ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების არსებობით, რომლებსაც აქვთ დამაზიანებელი თვისებები [4].

საფრთხის ხარისხი, როგორც წესი, განისაზღვრება მისი წარმოშობის ალბათობით. მაგალითად, შეერთებული შტატების „ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში“ დასაბუთებულია ფუნდამენტურად ახალი დებულება „გაურკვევლობაზე“ ფოკუსირების საჭიროებაზე [5. 127].

ტრადიციულად, საფრთხეები იყოფა პოტენციურ და რეალურ (ამჟამინდელ) საფრთხეებად. მათი ასეთი დაყოფა საფრთხის ფორმირების ადრეულ ეტაპზე ზიანის მიყენების შესაძლებლობის პროგნოზირებისა და პრევენციის შესაძლებლობებს იძლევა.

**პოტენციური საფრთხე** უშუალოდ საფრთხისაგან წარმოიქმნება, ზიანის მიყენების წინაპირობებისა და შესაძლებლობების ფორმირების შედეგად და ასეთი ტიპის საფრთხეები არ საჭიროებს მთავრობის დაუყოვნებლივ მოქმედებას.

**რეალური საფრთხე** არის საბოლოოდ ფორმირებული მოვლენა, როდესაც ზიანის

მიღებამდე დარჩენილია ერთი ან რამდენიმე ფაქტორის წარმოშობა ან პირობის შექმნა. იგი მიმდინარე მომენტში ეროვნულ ინტერესებზე პირდაპირი ზემოქმედებით ხასიათდება.

რეალური საფრთხის გაჩენისთანავე, უსაფრთხოების სისტემის წინაშე დგება მისი სიმძიმის შესამცირებლად ანდა მისი რეალური საფრთხის კატეგორიიდან პოტენციური საფრთხის კატეგორიაში გადატანის ამოცანა, რაც ეროვნული ინტერესების დაცვის ეფექტური მექანიზმის შექმნით არის შესაძლებელი.

საფრთხის რეალურობის ხარისხს და მისგან დაცვის ზომებს განსაზღვრავენ უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ჩართული ხელისუფლების შესაბამისი თანამდებობის პირები.

ბოლო წლებში ტრანსნაციონალური უშიშროების საფრთხეები მზარდ შეშფოთებას იწვევს. ამავდროულად, ჯერ არ არის შემუშავებული ტრანსნაციონალური საფრთხეების რეალობის ხარისხის შეფასების მკაფიო მიდგომები, როგორიცაა: ტერორიზმი, ნარკოტრაფიკი, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება, იარაღით უკანონო ვაჭრობა, ტრეფიკინგი, ეკოლოგიური კატასტროფები და ა.შ.

ამ საფრთხეების უმეტესობის რეალურობის ხარისხის მკაფიო კრიტერიუმების არარსებობა იწვევს იმას, რომ ხელისუფლების საქმიანობა უჩვეულო სახეს იღებს.

ტრანსნაციონალური საფრთხისგან დაცვის მიზნით მიღებული გადაწყვეტილებები საგანგებო მდგომარეობის დროს ქმედებების მსგავსია, ოღონდ ისინი უკავშირდება არა ტერიტორიებს, არამედ ერის ცხოვრების გარკვეულ ასპექტებს, რომლებიც უკიდურესად სახიფათო გავლენაში ვლინდება.

გარე თავდასხმებისაგან, შპიონაჟისაგან, სახელმწიფო და სოციალურ წყობაზე თავდასხმის მცდელობებისაგან თავდაცვა თანამედროვე პირობებში სრულად აღარ უზრუნველყოფს ეროვნულ უსაფრთხოებას.

გარკვეული საფრთხისგან თავის დასაცავად, თანამედროვე კაცობრიობამ გამოიგონა ახალი, აქამდე არარსებული: მასობრივი ავარიები და კატასტროფები ტრანსპორტში, აფეთქებები ატომურ და ქიმიურ ქარხნებში, მასობრივი განადგურების იარაღის წარმოება, დედამიწის ოზონის ფენის განადგურება და ა.შ. სწორედ ადამიანის საქმიანობა ხდება საფრთხის მთავარი წყარო და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს კაცობრიობის ცივილიზაციის გადარჩენას.

ეკონომიკური დამოკიდებულების, გაკოტრების, ბუნებრივი და ტექნოგენური საფრთხეების თავიდან აცილების აუცილებლობა მოითხოვს დემოგრაფიული, ტექნოგენური, გარემოსდაცვითი და სხვა ფაქტორების გათვალისწინებას. ჩნდება „უსაფრთხოებათა“ სექტორული დაყოფისა და ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფუნქციის სახელმწიფო და საჯარო დაწესებულებებში განაწილების მისწრაფება.

შედეგად, უსაფრთხოების კონცეფცია მოიცავს თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებისა და საქმიანობის თითქმის ყველა პრობლემას. ფართოდ გამოყენება იდეები ისეთი სახის საფრთხეების შესახებ, როგორიცაა: პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, თავდაცვის, ბირთვული, გარემოს დაცვის, სულიერი, დემოგრაფიული, ენერგეტიკული, საკვები, გენეტიკური, ინტელექტუალური, ინფორმაციული, ისტორიული, კონსტიტუციური, კრიმინალური, სასაზღვრო, სამართალდამცავი, ფსიქო-ფიზიოლოგიური, ფინანსური და ა.შ..

საფრთხეების მნიშვნელოვანი რაოდენობა ზოგიერთ მკვლევარსა და პოლიტიკოსს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის სფეროს გაფართოებისაკენ უბიძგებს, ამასთან ზოგიერთი ახალი საფრთხე, სკურპულოზური ანალიზის შედეგად უმაღლესი დონის საფრთხის ცალკეული შემადგენელი

აღმოჩნდება ხოლმე ანდა ახალი, უკვე ცნობილი საფრთხის ასაღწერად ახალი (როგორც წესი, უცხოური წარმოშობის) ტერმინოლოგიაა გამოყენებული.

მეცნიერთა აზრით, საფრთხეების მთელი სპექტრის ადეკვატურად აღწერისთვის აუცილებელია იერარქიულად სტრუქტურირებული კლასიფიკაციის გამოყენება. ყველაზე გავრცელებული მახასიათებელი, რომელიც ყველა საფრთხის ნაკრების ორ კლასად დაყოფის საშუალებას იძლევა, არის ადამიანების ჩართულობა მათ წარმოქმნაში (ე.წ. ადამიანური ფაქტორი).

აქედან გამომდინარე, ყველა საფრთხე შეიძლება დაიყოს **ობიექტურ** - რომელიც ჩამოყალიბებულია ადამიანების მიზანმიმართული საქმიანობიდან დამოუკიდებლად (ამ საფრთხეების გაჩენა ობიექტურად არ არის დამოკიდებული ადამიანის აქტივობაზე) და **სუბიექტურ** - შეგნებულად შექმნილ, ანუ საფრთხეებზე, რომლებიც წარმოიქმნება ადამიანის მოქმედების შედეგად, მაგალითად, ბუნებაზე გაუმართლებელი ზემოქმედება, სადაზვერვო, დივერსიული და ა.შ. საქმიანობები.

**ობიექტურ საფრთხეებს** ჩვეულებრივ მიაკუთვნებენ, როგორც ბუნებრივ პროცესებს ან მოვლენებს, რომლებიც ხდება ბიოსფეროში და პოტენციურად დესტრუქციულ მოვლენას წარმოადგენს. ობიექტური (ბუნებრივი) საფრთხეები, მათი წარმოშობის მიხედვით, თავის მხრივ, შეიძლება დაიყოს სხვადასხვა ტიპებად, კერძოდ: გეოლოგიური, ჰიდრომეტეოროლოგიური ან ბიოლოგიური.

ბუნებრივი მოვლენები, როგორიცაა წყალდიდობები, მიწისძვრები და ვულკანური ამოფრქვევები, შესაძლოა არც კი იქცეს რეალურ საფრთხედ, მაგალითად, თუ ვულკანი ამოიფრქვევა ისეთ რაიონში, სადაც არავინ ცხოვრობს, ეს ამოფრქვევა პოტენციურ ბუნებრივ საფრთხედ რჩება, მაგრამ თუ საფრთხე ემუქრება ვულკანის მახლობლად მცხოვრებ ადამიანებს, მაშინ ვულკანის ამოფრქვევა სტიქიური უბედურების რეალურ საფრთხედ გვევლინება.

**სუბიექტური საფრთხეები,** სისტემური მიდგომის თვალსაზრისით, უნდა განიხილებოდეს როგორც თვისებრივი მახასიათებელი, რთული სოციალურ-ეკონომიკური სისტემების განუყოფელი თვისება, რაც საშუალებას გვაძლევს უფრო ზუსტად დავახასიათოთ მათი არსი და კავშირი სისტემის ტრადიციულ მახასიათებლებთან.

სუბიექტური საფრთხეები შეიძლება მივაკუთვნოთ საფრთხეებს, რომლებიც წარმოიქმნება გარკვეული სოციალური ჯგუფების მოქმედებით ან უმოქმედობით და საფრთხეს უქმნის დაცვის ობიექტებს, როგორიცაა, მაგალითად, პიროვნება - მისი უფლებები და თავისუფლება; საზოგადოება - მისი მატერიალური და სულიერი ფასეულობები; სახელმწიფო - მისი კონსტიტუციური წყობა, სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ჩვენს მიერ ზემოთ განხილული საფრთხეების ასეთი კლასიფიკაცია სრულად არ შეესაბამება დღევანდელ რეალობას და ამის მიზეზია:

***პირველ რიგში,*** საფრთხის წარმოშობის ტერიტორიასა და მათ გამოვლინებებს შორის მკაფიო საზღვრის არარსებობის გამო. საერთაშორისო დანაშაული იოლად ლახავს ნებისმიერ საზღვრებს, ხოლო მისი საქმიანობა წმინდა კრიმინალური ხასიათისაა, რომელიც მიმართულია ინდივიდის წინააღმდეგ და ქმნის საფრთხეს შიდა უსაფრთხოებისთვის;

***მეორე*** - გარე და შიდა საფრთხეების შემქმნელ ობიექტებს შორის ურთიერთკავშირის არსებობა. სხვა სახელმწიფოების სპეცსამსახურების და საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების დივერსიული საქმიანობა, როგორც წესი, ხორციელდება საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და ორგანიზაციების საქმიანობის სახით,

რომლებიც ხელს უწყობენ ნაციონალიზმის, პოლიტიკური და რელიგიური ექსტრემიზმის, ეთნოსეპარატიზმის გაძლიერებას, რაც ქმნის პირობებს შიდა კონფლიქტების წარმოშობისთვის;

*მესამე,* სოციალურ-ეკონომიკური დაძაბულობის ზრდისა და ქვეყნის შიგნით არსებულ მედიაში უცხოური ცხოვრების წესის აქტიური პოპულარიზაციის გამო, რამაც თავად დაცვის ობიექტებს შორის სასიცოცხლო ინტერესების გაგებაში სრული კონსენსუსის არარსებობა განაპირობა.

საზოგადოების პოლარიზაცია, საზოგადოებასთან ურთიერთობის კრიმინალიზაცია დეზორიენტაციას ახდენს მოსახლეობის ნაწილზე, რაც იწვევს ტერორიზმის მასშტაბების ზრდას და ეთნიკური კონფლიქტების გამწვავებას.

ბევრი პოლიტოლოგი და ანალიტიკოსი მიდრეკილია საფრთხის ბუნების ცვლილება დაუკავშიროს გლობალური მსოფლიო განვითარების კურსს, რომელიც ხასიათდება მიმდინარე სამეცნიერო და ტექნოლოგიური რევოლუციით, რომელიც აღწევს ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროში; გლობალური საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბებასთან და მსოფლიო ეკონომიკის ტრანსნაციონალური ბუნებასთან და, როგორც წესი, ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულებასთან.

გლობალიზაციის უარყოფითი შედეგს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ტრანსნაციონალური საფრთხეები, რომელთა შორის პოლიტოლოგები შემდეგ საფრთხეებს ასახელებენ:

**ეკონომიკური** - მზარდი უთანასწორობა სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის, ფინანსების ვირტუალიზაცია, სპეკულაციური კაპიტალის წილის ზრდა გლობალურ ფინანსურ ნაკადებში;

**ეკოლოგიური** - ბუნებრივი რესურსების ამოწურვა, გარემოს დაბინძურება, სათბურის ეფექტი და გლობალური დათბობა, ტყეების განადგურება, ტერიტორიების გაუდაბნოება დაწყება და ზღვის დონის აწევა;

**დემოგრაფიული** - მოსახლეობის უკონტროლო ზრდა, არალეგალური მიგრაცია, გადაჭარბებული დემოგრაფიული ზეწოლა ბუნებრივ გარემოზე;

**ინფორმაციული** - ინფორმაციის ნაკადებზე ეფექტური კონტროლის არარსებობა, გლობალური მასშტაბით საზოგადოებრივი ცნობიერების მასობრივი მანიპულირების შესაძლებლობა, გეოპოლიტიკური სივრცის ვირტუალიზაცია, საინფორმაციო ქსელების და კონტროლის სისტემების დაუცველობა არაავტორიზებული წვდომისგან;

**ანთროპოლოგიური** - ეპიდემიების მასიური გავრცელება, კაცობრიობის გენეტიკური კოდის ცვლილებები;

**ბუნებრივი და ტექნოგენური** - სტიქიური და ტექნოგენური კატასტროფების რაოდენობის ზრდა დიდი რაოდენობით მსხვერპლით და ნგრევით;

**კრიმინალური** - ორგანიზებული საერთაშორისო კრიმინალური ჯგუფების, ნარკოტრაფიკისა და კონტრაბანდის გავლენის ფორმირება და ზრდა;

**საერთაშორისო პოლიტიკური** - სახელმწიფოს როლის შესუსტება საერთაშორისო ურთიერთობებში, საერთაშორისო სამართლის სისტემის ეროზია, საერთაშორისო ორგანიზაციების (გაერო, ეუთო და სხვ.) გავლენის შემცირება მსოფლიო პროცესებზე, საერთაშორისო ტერორიზმის გეოპოლიტიკური დაპირისპირების დამოუკიდებელ სუბიექტად ტრანსფორმირება და სხვ. [6. 67-68].

ღია წყაროებში „ტრანსნაციონალური საფრთხის“ ცნებას არ აქვს მკაფიო განმარტება. თავად ტერმინს „ტრანსნაციონალური“ არ მიუღია სათანადო ინტერპრეტაცია სამეცნიერო ლიტერატურაში. ეტიმოლოგიურად, ამ სიტყვას აქვს ლათინური ფესვები: ტრანს - „გადაღმა, მიღმა“, ერი - „ტომი,

ეროვნება, ხალხი“. ამრიგად, ტერმინი შეიძლება ითარგმნოს, როგორც „საერთაშორისო“. თუმცა, ეს ვარიანტი არ ასახავს სიტყვის მნიშვნელობის სრულ სიღრმეს. ასე რომ, ფილოსოფიურ ლექსიკონში ტერმინი ასე განიმარტება: ტრანსნაციონალური - ეროვნულ საზღვრებს გაცდენილი, ეჭვქვეშ აყენებს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის პრინციპს [7].

იურიდიულ ლექსიკონში კი ტრანსნაციონალურ კორპორაციები განსაზღვრულია შემდეგნაირად: კერძო, საჯარო ან შერეული საწარმოები, რომლებიც დამოუკიდებელნი არიან წარმოშობის ქვეყნისაგან და აქვთ სტრუქტურები ორ ან მეტ ქვეყანაში, რომლებიც ფუნქციონირებენ გადაწყვეტილების მიღების სისტემის შესაბამისად, რაც მათ თანმიმდევრული პოლიტიკისა და საერთო სტრატეგიის გატარების საშუალებას აძლევს.

აქ ყველაზე მთავარი ის არის, რომ ტრანსნაციონალურობა საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ ამ ფენომენის დამოუკიდებლობაზე წარმოშობის ქვეყნისაგან და მის უნარზე ერთდროულად მოახდინოს გავლენა რამდენიმე სახელმწიფოზე.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია შემოგთავაზოთ ტრანსნაციონალური საფრთხეების შემდეგი განმარტება: ეს არის ობიექტური და სუბიექტური ხასიათის პირობებისა და ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც ქმნის საფრთხის ყველაზე სპეციფიკურ და უშუალო ფორმას ინდივიდის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებისთვის, რომელიც არ შეიცავს ლეგიტიმური გეოპოლიტიკური სუბიექტების მხრიდან მტრულ ზრახვებს კონკრეტული ობიექტის, არამედ მიმართულია მთელი კაცობრიობის წინააღმდეგ.

შემოთავაზებული განმარტებიდან გამომდინარე, აუცილებელია აღინიშნოს ტრანსნაციონალური საფრთხეებისთვის დამახასიათებელი სამი ასპექტის არსებობა:

***პირველი*** - ტრანსნაციონალური საფრთხეები შეიძლება იყოს როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური;

***მეორე*** - ტრანსნაციონალური საფრთხეები არის ფაქტორები, რომლებიც პოტენციურად სახიფათოა საერთაშორისო ურთიერთობების აქტორების ეროვნული უსაფრთხოებისთვის და რომლებიც დამოუკიდებელნი არიან წარმოშობის ქვეყნისაგან და ერთდროულად რამდენიმე სახელმწიფოზე გავლენის მოხდენის უნარი გააჩნიათ;

***მესამე*** - სუბიექტური ხასიათის ტრანსნაციონალური საფრთხეები არ მომდინარეობს რომელიმე კონკრეტული სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის ოფიციალური პოზიციიდან, ამასთან, თავად საფრთხის წყარო შეიძლება მდებარეობდეს ტერიტორიაზე და სარგებლობდეს ამ სახელმწიფოების მთავრობების ფარული მფარველობით ან იყოს უკანონო პოზიციაზე.

საფრთხის წარმოშობის ბუნებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია განასხვავოთ შემდეგი ორი სახის წყარო: სუბიექტური და ობიექტური.

***პირველ ტიპს*** მიეკუთვნება: ტრანსნაციონალური კორპორაციები, რომლებიც აგროვებენ რამდენიმე ქვეყნის საწარმოო და ფინანსური სექტორის რესურსებს, რომლებსაც შეუძლიათ საფრთხე შეუქმნან ეკონომიკურ, ტექნოგენურ და გარემოსდაცვით უსაფრთხოებას; ასევე საერთაშორისო და ეროვნული კრიმინალური საზოგადოებები, საიდუმლო საზოგადოებები, რელიგიური ფანატიკოსთა ასოციაციები, რომელთა საქმიანობა გაეროს მიერ არის კლასიფიცირებული, როგორც ტრანსნაციონალური დანაშაული.

***მეორე ტიპის*** წყაროები მოიცავს ბუნებრივ მოვლენებს და ადამიანის მიერ წარმოქმნილ ფაქტორებს, რომლებიც გამოწვეულია ბუნებრივ გარემოზე ადამიანის არაპროპორციული ზემოქმედებით.

საერთაშორისო გარემოსდაცვითი ორგანიზაციების მასალების ანალიზი, ისევე როგორც სამოქალაქო თავდაცვის, საგანგებო სიტუაციების და კატასტროფების მართვის სამინისტროს დასკვნები და რეკომენდაციები, საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ბუნებრივი საფრთხეების უმეტესობა ტრანსნაციონალური ხასიათისაა, ანუ ტრანსნაციონალური საფრთხეების არსებობა ან არარსებობა ობიექტურ კლასს მიეკუთვნება და განისაზღვრება იმ რეგიონების ფიზიკური და გეოგრაფიული პირობებით, რომლებშიც განლაგებულია ეროვნული სახელმწიფო-ტერიტორიული წარმონაქმნები.

საფრთხეების გამომწვევი მიზეზების შესწავლა და მათი რეალური საფრთხის კლასიფიკაციაში გადასვლის ალბათობის დადგენა ცოდნის შესაბამისი დარგის სპეციალისტების კვლევის შინაარსს წარმოადგენს.

ამრიგად, საფრთხეების მთელი სპექტრის ადეკვატური აღწერისთვის შემოთავაზებულია იერარქიულად სტრუქტურირებული კლასიფიკაციის გამოყენება, ხოლო საფრთხეების კლასიფიკაციის ყველაზე გავრცელებული მახასიათებელია ადამიანის ფაქტორი.

საფრთხეების ასეთი კლასიფიკაცია საშუალებას გვაძლევს საფრთხეები დავყოთ კლასებად: ობიექტური - ბუნებრივი და სუბიექტური, რომლებიც წარმოიქმნება ადამიანის საქმიანობის შედეგად. კლასების შემდგომი დიფერენცირება ქვეკლასებად, რომელიც დაფუძნებულია განზოგადებული მახასიათებლების მქონე საფრთხეების ნაკრების არჩევაზე, საშუალებას გვაძლევს შევქმნათ იერარქიული სტრუქტურა, რომელშიც შეგვიძლიათ ვიპოვოთ ადგილი ყველა უკვე ცნობილი და ახალი საფრთხისთვის.

მშვიდობისა და უსაფრთხოების ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული საფრთხეა ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულები, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ ჩადენილია ეროვნულ ტერიტორიაზე, სცილდება ეროვნულ საზღვრებს და გავლენას ახდენს არაერთ რეგიონზე და, საბოლოოდ, მთელ საერთაშორისო საზოგადოებაზე. ეს არის მზარდი პრობლემა კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში, რაც მშვიდობასა და უსაფრთხოებასთან მათ მჭიდრო კავშირზე მეტყველებს.

მაშასადამე, ტრანსნაციონალური საფრთხის კონცეფცია შემდეგნაირად გამოიყურება:

- ფუნდამენტური ცვლილებები საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში;
- საერთაშორისო უსაფრთხოება აღარ განიხილება მხოლოდ სამხედრო-პოლიტიკურ კატეგორიებში;
- დღის წესრიგის ფორმირება ამ სფეროში ასოცირდება ტრანსნაციონალური უსაფრთხოების ახალი საფრთხის გაჩენასთან როგორც საერთაშორისო, ისე რეგიონულ დონეზე;
- ტრანსნაციონალური საფრთხე არის ობიექტური და სუბიექტური ხასიათის პირობებისა და ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც ქმნის საფრთხის ყველაზე კონკრეტულ და უშუალო ფორმას ინდივიდის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებისთვის, რომლებსაც არ გააჩნიათ მტრული ზრახვები ლეგიტიმური გეოპოლიტიკური სუბიექტების მხრიდან და მიმართულია არა კონკრეტული ობიექტის, არამედ მთელი კაცობრიობის წინააღმდეგ.

NINO KOBAKHIDZE

## THE ESSENCE OF TRANSNATIONAL THREAT AND ITS THEORETICAL-CONCEPTUAL PERCEPTION

Summary

The geopolitical situation in the modern world is characterized by strong tension caused by acute historical, economic, political and social contradictions. The current difficult political situation has a strong influence on the foreign and domestic policies of the countries. Each state tries to protect its interests and the safety and independence of its population. To achieve these goals, governments formulate a national security strategy for the security of the state. However, the national security strategy adopted by one state may lead to a conflict with another state's strategy. The reason for this may be that the strategies of these countries may affect or conflict with the interests of the other party. Any country can find itself in this situation. Therefore, international organizations are an effective mechanism for fighting international threats, which, in turn, regulate the levels of impact on the security of other countries while taking care of their own security.

The research topic of the present article is the understanding of the essence of the transnational threats facing international organizations and the analysis of the modern mechanisms of combating them.

***Keywords:*** *transnational threats, security, peace, contemporary political events, international organizations.*

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Воркунова О. Угрозы и вызовы миропорядку на пороге третьего тысячелетия. М.: МГУ, 2005. გვ, 7.
2. *Волков Я.В.* Геополитика и безопасность в современном мире. М.: Воен. ун-т, 2000. გვ. 167.
3. Globalization in Asia: Getting the Breeze Without the Bugs: report from the Conference. Honolulu; Hawaii, 1999. გვ. 2-3.
4. *Бельков О.А.* Понятийно-категориальный аппарат концепции национальной безопасности // Безопасность. 1994. № 3.
5. The National Security of the United States of America. Washington, 2006. 127 p.
6. *Волков Я.В.* Субъективизация международного терроризма в системе современного геополитического противоборства. // Современный терроризм: теория и практика: сб. статей. М.: Воен. ун-т, 2002. გვ. 67-68.
7. Современный философский словарь. СПб.: Академический проект, 2004.

ანა ბუკია
*წარმოადგინა პროფ.* ***ნატო სონღულაშვილმა***

# საერთაშორისო თანამეგობრობის პოლიტიკა ტერიტორიული სუვერენიტეტის საკითხებზე კოსოვოს მაგალითზე

ტერიტორიული სუვერენიტეტი წარმოადგენს თანამედროვე საერთაშორისო სამართლებრივი წესრიგის ქვაკუთხედს, როგორც ამას განმარტავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მუხლი 2(1). სახელმწიფოებს, არაერთი საერთაშორისო შეთანხმების ძალით, აღებული აქვთ პასუხისმგებლობა, არ დაარღვიონ სუვერენული ქვეყნის საზღვრები, თუკი არაა სახეზე გამონაკლისი შემთხვევა. მკვლევარ-თეორეტიკოსთა მიხედვით, ერთ-ერთი ასეთი გამონაკლისია - თავდაცვითი სეცესია, რომელსაც არ აქვს მბოჭველი ძალა საერთაშორისო სამართალში, მეტიც, საკითხავია, განიმარტება თუ არა თვითგამორკვევის უფლება იმდენად ფართოდ, რომ მან მოიცვას ცალმხრივი სეცესიის შინაარსი. გარე თვითგამორკვევის საკითხზე საერთაშორისო ურთიერთობების დარგში პირველი ასოციაცია იქმნება კოსოვოზე, რომლის მიმართაც დეკადების განმავლობაში თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკური ინტერესები იზრდებოდა. „კოსოვოს პრეცედენტი... ერთგვარ უნიკალურ მოდელად იქცა ამა თუ იმ ტერიტორიაზე... მარიონეტული რეჟიმების „ლეგიტიმური“ არსებობის გასამართლებლად”. დასავლეთის მხარდაჭერით, სტატუსი გადაწყდა კოსოვოს სასარგებლოდ, მიუხედავად იმისა, რომ კოსოვო დღემდე არ არის გაეროს წევრი სახელმწიფო. აღნიშნული მიუთითებს კოსოვოს დამოუკიდებლობის არასრულფასოვნებაზე, სამართლებრივი ჩარჩოს არამდგრადობაზე. სტატია წარმოაჩენს კონკრეტული პროცედურის შემოღების აუცილებლობას, რომლის მიხედვითაც სეცესიონისტურ კონფლიქტების განხილვა დაევალება კონკრეტულ ორგანოს, რომელიც შეაფასებდა დამოუკიდებლობის მოსურნე ერის დამოუკიდებლად არსებობის რესურსს და ობიექტურად გადაწყვეტდა საკითხს მათი იდენტობის სასარგებლოდ ან შიდა-თვითგამორკვევის შეთავაზებით.

***საკვანძო სიტყვები:*** ერი-სახელმწიფოს თვითგამორკვევის უფლება, სეცესიის კონსტიტუციური და დეკლარაციული თეორიები, სამართლიანი ომის თეორია, დიდ ძალათა პოლიტიკა, საერთაშორისო თანამეგობრობის როლი კოსოვოს კონფლიქტში, სახელმწიფოს აღიარება

თანამედროვე პერიოდში, როდესაც 1 წელიწადზე მეტია მიმდინარეობს რუსეთის ომი ევროპის ცენტრში, საერთაშორისო საზოგადოება კიდევ ერთხელ დაიყო ორ ბანაკად, ერთნი - კვლავ აქტიურად უჭერენ მხარს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს და გმობენ ყოველგვარ სამხედრო ინტერვენციას, და ტერიტორიული საზღვრების დარღვევას. ამ ლიბერალურ პოზიციას უპირისპირდება თანამედროვე რუსული

პოლიტიკა, და საომარი მოქმედებების დაწყება იმ ლოზუნგით, რომ უკრაინა რუსეთის ისტორიული ნაწილია, და არა დამოუკიდებელი სახელმწიფო [1]; [2].

კრემლის მხრიდან ასეთი მიდგომა საბუთდება დასავლეთს მიერ დანერეგილი „პრეცედენტით“, რომლის შედეგადაც განხორციელდა სამხედრო ინტერვენცია სერბეთის ტერიტორიაზე კოსოვოელი ალბანელების დასაცავად.

სარწმუნოა ის მოსაზრება, რომ რუსეთის საგარეო და თავდაცვის პოლიტიკამ სწორედ დასავლეთის მიერ კოსოვოს სახელმწიფოდ აღიარების (2008 წლის 17 თებერვლის შემდგომი პერიოდი) შემდეგ შეითავსა აქტიური ოფენსიური სტრატეგია და მოიცვა რუსულენოვანი მოსახლეობის დაცვის პასუხიმგებლობა რუსეთის საზღვრებს გარეთ (უკრაინა, ყირიმის ანექსია).

თუმცა, პერსონალური სუვერენიტეტის მიღმაც, რუსეთმა ასევე წარმატებით შეძლო ხალხის გათავისუფლების არგუმენტით შეიარაღებული ძალების გამოყენება სხვა სახელმწიფოს საზღვრებზე (საქართველო, აგვისტოს ომი, 2008 წ.).

წინამდებარე ნაშრომის მთავარი მიზანია ტერიტორიული სუვერენიტეტის საკითხებზე საერთაშორისო თანამეგობრობის პოლიტიკის ანალიზი კოსოვოს მაგალითზე, რამაც „უბიძგა“ საერთაშორისო სამართლის საწინააღმდეგო ხასიათის პოლიტიკურ-სამხედრო მოვლენების მოჭარბებას განსაკუთრებით ევროპის რეგიონში.

ნაშრომის ფარგლებში შეფასდება, თუ რა ადგილი უჭირავს საერთაშორისო ურთიერთობების პრაქტიკაში თავდაცვითი სეცესიის, სამართლიანი ომის და სახელმწიფოდ აღიარების თეორიულ ჩარჩოს, ასევე არსებობს თუ არა შეთანხმებული პროცედურა, რომელიც ბოჭავს ყველა სახელმწიფოს და ამით საერთაშორისო სამართალს ქმედით ინსტრუმენტად აქცევს.

სტატიაში იქნება მსჯელობა მსოფლიო ძალთა პოლიტიკის თეორიაზე, რომლის მიხედვითაც მსოფლიოს წესრიგს განსაზღვრავს რამდენიმე სუპერძალა. საერთაშორისო სამართალი კი - მათ ეროვნულ ინტერესებს კი „უნდა მოერგოს“.

## სახელმწიფო სუვერენიტეტი საერთაშორისო სამართლის მიხედვით

ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი საერთაშორისო სამართალში უფლებას აძლევს სუვერენულ სახელმწიფოებს, დაიცვან საკუთარი ტერიტორიული საზღვრები.

აღნიშნული უფლება, რომელიც, ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლიდან მომდინარეობს, ასახულია გაეროს წესდების მე-2 მუხლის მე-4 ქვეთავში.

ამასთან, წესდება საზღვრების ძალის გამოყენებით შეცვლის ყოველგვარ მცდელობას აგრესიის აქტად მოიხსენიებს [3].

საერთაშორისო სამართალში სუვერენიტეტი ტერიტორიის მიმართ უნდა გავიგოთ ორი შინაარსით [4]:

პირველ შემთხვევაში ტერიტორიაზე სუვერენიტეტი გულისხმობს ამ ტერიტორიის მართვასა და ორგანიზებაზე კომპეტენციას (dominium), რითაც თეორია გარკვეულწილად აღიარებს Eigentumstheorie (ტერიტორია, როგორც საკუთრების ობიექტი) მთავარ არგუმენტს.

მეორე მხრივ, ტერიტორია უნდა გავიგოთ როგორც მოქმედების არეალი, ანუ ის სივრცე, რომელშიც სახელმწიფოს იურისდიქცია ვრცელდება (imperium).

ვესტფალიის 1648 წლის ზავის დადებით, პრაქტიკულად საბოლოოდ დაინერგა მანამდე საუკუნეებით ადრე დაწყებული

პროცესი, რომელიც აღიარებდა სახელმწიფო-ცენტრულ საერთაშორისო წესრიგს, და სუვერენულ უფლებებს ანიჭებდა სახელმწიფოს [5].

საერთაშორისო სისტემის ტერიტორიულ მოწყობამდე დაყვანა განამტკიცა შემდგომმა შეთანხმებებმა (მიუნსტერის და ოსნაბრუკის შეთანხმებები), რამაც, ზოგის მტკიცებით, საერთაშორისო წესრიგი ტერიტორიული წესრიგის სინონიმად აქცია.

საზღვრების საკითხის მოწესრიგება საერთაშორისო თანამეგობრობის დღის წესრიგში არაერთხელ დამდგარა.

1919-1920 წლებში მოწვეული პარიზის სამშვიდობო კონფერენციის მიზანი იყო პირველი მსოფლიო ომის დიპლომატიურად გადაწყვეტა. დიდი იმპერიების დაშლის შედეგად, უნდა გადასინჯულიყო ევროპული საზღვრები. პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე, სახელმწიფოებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი იმ იდეაფიქსს, რომლის მიხედვითაც ერთხელ დადგენილი საზღვრები აღარ უნდა გადასინჯულიყო [6].

თვითგამორკვევის უფლება მაქსიმალურად უნდა დავიწროებულიყო კოლონიურ მნიშვნელობამდე, ან საგამონაკლისო შემთხვევებზე, როდესაც ერი დისკრიმინირებულია მშობელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე და ეზღუდება შიდა-თვითგამორკვევის უფლების რეალიზაცია, რა დროსაც ეს ერი, რიგი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას[5], უფლებამოსილია გამოეყოს მშობელ სახელმწიფოს, თავის გადარჩენის მიზნით.

საზღვრების ურღვევობის პრინციპი [7], როგორც საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპი გვხვდება ეუთოს 1975 წ. 1 აგვისტოს ჰელსინკის დასკვნით აქტში.

აღნიშნულის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას არ დაარღვიონ ევროპული სახელმწიფოების საზღვრები და თავი შეიკავონ ძალის გამოყენებისა ან მუქარისგან. ცივი ომის დასასრულს მიღებული 1990 წლის პარიზის ქარტიის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ ევროპაში კონფლიქტების რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა, სახეზეა ახალი ტიპის უთანხმოებები, რაც სამოქალაქო საზოგადოების სტაბილურ ცხოვრებას უქმნის საფრთხეს.

„ჩვენ მზად ვართ მხარი დავუჭიროთ იმ დემოკრატიულ ინსტიტუტებს, რომელთა მუშაობაც მიმართულია სუვერენული თანასწორობის, მონაწილე სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისკენ... ჩვენ ვმუშაობთ კონფლიქტის გადაჭრის მშვიდობიანი მეთოდების შემოღებისკენ, განსაკუთრებით მესამე პირის სავალდებულო ჩარევის/ინტერვენციის კუთხით... ჩვენ კიდევ ერთხელ ვგმობთ მუქარის ან ძალის გამოყენებას მესამე სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ან/და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ვაღიარებთ მხარდაჭერას გაეროს წესდებით და ჰელსინკის საბოლოო აქტით განსაზღვრული ტერიტორიული საზღვრების ურღვევობის პრინციპისადმი და ვცნობთ, რომ აღნიშნულის საწინააღმდეგო ქმედება უტოლდება საერთაშორისო სამართლის დარღვევას". ამით ევროპამ კიდევ ერთხელ გაამყარა საკუთარი პოზიცია საზღვრების ურღვევობის პრინციპის მიმართ. ქარტიის მონაწილე სახელმწიფოებს შორის იყვნენ აშშ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები, იუგოსლავია, და ყველა სხვა ევროპული სახელმწიფო.

---

[5] მონტევიდეოს კონვენციაში კოდიფიცირებულია სახელმწიფოებრიობის დეკლარაციული თეორია, როგორც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნაწილი. აღნიშნული თეორიის მიხედვით, სუბიექტის სახელმწიფოებრიობა დამოუკიდებელია სხვა სახელმწიფოების მიერ მისი აღიარებისგან

## თვითგამორკვევის უფლება

ერთა თვითგამორკვევის ცნებამ მსოფლიო ცნობადობა მოიპოვა პირველი ომის შემდგომ პერიოდში, დიდ სახელმწიფოებს შორის მოლაპარაკებების პერიოდში. ვუდრო ვილსონის მიერ ერთა თვითგამორკვევა იქცა სახელმძღვანელო პრინციპად, თუმცა პრობლემა მდგომარეობდა იმაში, რომ ცნების მნიშვნელობა დაზუსტებით განსაზღვრული ჯერ კიდევ არ იყო.

შედეგად, უილსონის სახელმწიფო მდივნის, რობერტ ლანზინგის მეთაურობით, კრიტიკოსთა ჯგუფმა მოითხოვა პასუხი კთხვებზე, როგორიცაა - რომელ პოლიტიკურ ერთეულს აქვს თვითგამორკვევის უფლება, რომელი ერთეული არ სარგებლობს ასეთი უფლებით? უფლების რეალიზებისას, რა ზომის მიღება შეუძლია უფლებამოსილ ერთეულს? სეცესია? ომის დაწყება? ვილსონის 14 პუნქტში ასახული პოლიტიკური რიტორიკა, მართლაც, საჭიროებდა მეტ კონკრეტიკას - სწორედ ამ მიზნით დაიწყო ცნების ტრანსფორმაცია გაეროს წესდებაში, წესდებაში ერთა თვითგამორკვევის უფლება პირველივე მუხლში აისახა, რამაც ამ უფლებასა და ორგანიზაციის ძირითად მიზანს შორის კავშირი ცხადყო. საკითხავია, თუ რამდენად განსაზღვრა წესდებამ თვითგამორკვევის უფლება ხელშესახებ მოთხოვნად. ამბიციური იდეიდან საყოველთაოდ ცნობილ უფლებად თვითგამორკვევის ცნება იქცა ეკონომიკურ, სოციალურ, და კულტურულ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტის მიღებით, რომლის პირველი მუხლი ცნობს ყველა ხალხის თვითგამორკვევის უფლებას, რომლის რეალიზებითაც მათ შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ საკუთარი პოლიტიკური სტატუსი და აირჩიონ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების მათთვის სასურველი გზა.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციათა დიპლომატების მიხედვით, თვითგამორკვევის უფლება არ გულისხმობს სეცესიის უფლების მინიჭებას ყველა შემთხვევაში. სეცესიის საყოველთაოდ დაშვება წინააღმდეგობაში მოვიდოდა სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპთან, რომელიც გაეროს ჩარჩოს ქვაკუთხედია წესდების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით.

მიუხედავად ამისა, უსწორო იქნებოდა იმ დასკვნის გამოტანა, რომ საერთაშორისო სამართალი სეცესიას არალეგალურად ცნობს.

მეტიც, სეცესიის მარეგულირებელი რეგულაციები საერთაშორისო სამართალში ფაქტობრივად არ გვხვდება[6], სეცესიის მცდელობები კი, უპირველეს ყოვლისა, ფასდება ადგილობრივ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში. კონსენსუსი თვითგამორკვევის უფლებასთან მიმართებით, შემდეგნაირად შეიძლება შეჯამდეს - იმ ერთეულებისთვის, რომლებიც არ არიან კოლონიები და იმყოფებიან არსებული სახელმწიფოების საზღვრებში, თვითგამორკვევის უფლება გულისხმობს შიდა თვითგამორკვევას, უმცირესობათა უფლებების დაცვას არსებული სახელმწიფოს შიგნით.

რაც შეეხება გარე თვითგამორკვევის უფლებას, ცალმხრივი სეცესიის საკითხი შეიძლება დღის წესრიგში დადგეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, და მაშინაც, ზედმიწევნით დადგენილი გარემოებების მიხედვით. სეცესიურ კონფლიქტებზე დაკვირვებით, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მხოლოდ 3 შემთხვევა (ბანგლადეში, ერიტრეა, ახლა უკვე კოსოვო) შეიძლება იქნეს

[6] საერთაშორისო სამართლის „დუმილის“ შესახებ იხ., მაგალითად, პატრიკ დაილიე, ალენ პელე და ნგუენ კუოკ დინი, § 344-1 at 526 (LGDJ 7th ed 2002)

მიჩნეული სეცესიის წარმატებულ შემთხვევებად, რომელთა ცნობაც მოხდა საერთაშორისო თანამეგობრობის სახელმწიფოთა მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ. ამავე პერიოდში სახეზე იყო სეცესიის მიახლოებით 20 წარუმატებელი მცდელობა. საინტერესოა თამაშობს თუ არა როლს სამართლებრივი არგუმენტი სეცესიურ დავებში მონაწილე დიდ სახელმწიფოთა სტრატეგიის განსაზღვრაში.

## უფლებამოსილება სეცესიაზე

განსხვავებით კონსენსუალური სეცესიისგან, როდესაც სეცესია სახელმწიფოს და სეპარატისტულ ჯგუფს შორის მიღწეული მოლაპარაკების შედეგია[7], ცალმხრივი სეცესიის შემთხვევაში აუცილებელია გაიმიჯნოს როდის წარმოეშობა ჯგუფს „მორალური უფლება“ წამოიწყოს სეცესია. ასეთი უფლება წარმოშობს ასპირანტი სახელმწიფოს სეცესიის სრულფასოვან უფლებამოსილებას (claim right), რა შემთხვევაშიც, სახელმწიფო შეზღუდულია, ხელი შეუშალოს სეცესიის პროცესს.

არსებობს სეცესიის ორი ძირითადი თეორია - პირველი, რომელიც სეცესიას მხოლოდ თავდაცვითი უფლებად აღიარებს (სეცესია, თავდაცვითი უფლების თეორია) და მეორე, რომელიც მას პირველად, ანუ პირდაპირ რეალიზებად უფლებად ცნობს, რომლის გამოსაყენებლად საჭირო არაა ჯგუფის უსამართლოდ მოპყრობას ჰქონდეს ადგილი. თეორეტიკოსთა პირველი ჯგუფი სეცესიის უფლებას შინაარსობრივად უთანაბრებს რევოლუციის უფლებას, და განმარტავს, რომ ამ უფლების რეალიზების შემთხვევაში კონკრეტული სუბიექტი აუცილებლად ხელყოფს მშობელი სახელმწიფოს უფლებებს.

ამგვარი განმარტების თანახმად, სეცესიას ჯგუფმა მხოლოდ ხანგრძლივად მიმდინარე უსამართლო ქმედებების გამო შეიძლება მიმართოს. აღნიშნული თეორია სეცესიას მიიჩნევს არა პირველად, არამედ მეორად, ნაწარმოებ უფლებად, რომელიც მხოლოდ სხვა უფრო ძირითადი უფლების დარღვევის შემთხვევაში წარმოიშვება.

რაც შეეხება უსამართლობათა ჩამონათვალს, რომლებიც სეცესიის წინაპირობად შეიძლება მივიჩნიოთ, ასეთებია, ადამიანის ძირითადი უფლებების მასშტაბური და მუდმივი დარღვევა, ტერიტორიის უსამართლოდ მითვისება (მაშინ, როცა სეცესია მხოლოდ ტერიტორიის უკან დაბრუნებას გულისხმობს, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ბალტიისპირეთის სახელმწიფოების შემთხვევაში, რომლებიც გამოეყვნენ საბჭოთა კავშირს 1991 წელს), უმცირესობათა ჯგუფის წარუმატებელი ინტეგრაცია სახელმწიფოში, მათ შორის ავტონომიური რეჟიმის თაობაზე მოლაპარაკებების წარმოებაზე უარი, ასევე სახელმწიფოს მხრიდან ავტონომიის შიდასახელმწიფოებრივი შეთანხმებების მნიშვნელოვანი დარღვევა ან ცალმხრივად გაუქმება (როგორც ამას ჰქონდა ადგილი მილოსევიჩის რეჟიმის მიერ კოსოვოს ავტონომიური რესპუბლიკის მიმართ 1989 წელს) [8].

სეცესიას პირველად უფლებად მიიჩნევს თეორეტიკოსთა მეორე ჯგუფი (სეცესია, პირველადი უფლების თეორია), რომელთა მტკიცებით, ერს შეუძლია თვითგა-

[7] მაგ. კონსენსუალურ სეცესიას ადგილი ჰქონდა ნორვეგიის შვედეთისგან გამოყოფის შემთხვევაში 1905 წელს. კონსტიტუციურად სანქცირებული სეცესია მიიღწევა ან გამოყოფის პირდაპირ კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლების გამოყენებით, ან საკონსტიტუციო ცვლილების მეშვეობით.

მორკვევის უფლების ამ გზას მიმართოს მაშინაც, როცა მის მიმართ არ ჩატარებულა არანაირი უსამართლობა.

აღნიშნული თეორიის მიმდევართა აზრიც ორად იყოფა კითხვაზე, თუ რომელ სუბიექტს გააჩნია სეცესიის თანდაყოლილი უფლება.

ასკრიპტივისტთა მოსაზრებით, თუკი სეცესიის მსურველი ჯგუფი აკმაყოფილებს ერის ცნებას, და ისინი განსხვავდებიან მშობელ სახელმწიფოში მცხოვრები დანარჩენი მოსახლეობისგან, მათ შეუძლიათ ცალკე სახელმწიფოს ჩამოყალიბება. პლებისციტური თეორიის მხარდამჭერთა აზრით, სეცესია შეუძლია ხალხთა ყველა იმ დაჯგუფებას, რომელსაც ეს სურს, და არაა აუცილებელი მათი ერთგვაროვანი ნიშნით იდენტიფიცირება - მთავარია მათ უმრავლესობას ჰქონდეს მიზანი, და საკმარისი რესურსი იმისთვის, რომ იფუნქციონირონ როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ.

ზემოხსენებულ თეორიებს შორის კონკურენციასთან ერთად, მეტად სავალალოდ შეიძლება მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ სეცესიის არც ერთ თეორეტიკოსს არ უცდია სეცესიის ესა თუ ის თეორია სამართლიანი ომის თეორიასთან კავშირში განეხილა.

როგორც წესი, როდესაც ერთი ჯგუფი მიმართავს თვითგამორკვევის უფლებას სეცესიის გზით, ხოლო მშობელი სახელმწიფო ამაზე უარს აცხადებს, ერთი ან ორივე მხარე მიმართავს ძალისმიერ მეთოდს.

ლოგიკურიცაა, რომ მხოლოდ იმის დადგენა, რომ ჯგუფს აქვს სეცესიის უფლება, არ გულისხმობს, რომ გამართლებულია ძალის გამოყენება დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის მიზნისათვის (ანუ, X-ზე უფლების ქონა არ ნიშნავს X-ის მოსაპოვებლად ძალის გამოყენების გამართლებას).

გაბატონებული მოსაზრებით, ძალის გამოყენება დასაშვებია, თუ მისი მიზანია აღკვეთოს სერიოზული ხასიათის უსამართლობები, და, რა თქმა უნდა, იგი უნდა აკმაყოფილებდეს პროპორციულობის პრინციპს.

მაშასადამე, გაბატონებული მოსაზრების თანახმად სეცესიის მსურველ ჯგუფს მაშინ შეუძლია მიმართოს ძალას, თუკი აქვს ამის გამართლებული მიზეზი (Just Cause theory). ეს მოსაზრება, როგორც ჩანს, ასეთ მიზეზად არ მიიჩნევს ჯგუფის უმრავლესობის სურვილს, შექმნან დამოუკიდებელი სახელმწიფო (როგორც ამას განმარტავს მაგ. პლებისციტური თეორია).

## ახალი სახელმწიფოს აღიარება - განვითარებული პრაქტიკა

კოსოვოს შემთხვევა საინტერესოა იმ მხრივ, რომ პირველად დაიშვა ახალი სახელმწიფოს წარმოქმნა პოლიტიკურ რუკაზე კოლონიური კონტექსტის მიღმა, მშობელი სახელმწიფოს თანხმობის გარეშე, გაეროს უშიშროების საბჭოს მონაწილეობის გარეშე [9].

აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, 2008 წლის 17 თებერვლამდე, საერთაშორისო საზოგადოებამ მრავალი მცდელობის მიუხედავად, ვერ მიაღწია კონსენსუსს კოსოვოს მომავალი სტატუსის განსაზღვრის თაობაზე. თუმცა, კოსოვოს ხელისუფლებამ, ყოველგვარი დიდი სირთულის გარეშე, დასავლური სახელმწიფოების მხარდაჭერით, გამონახა ალტერნატიული გზა დამოუკიდებლობის ლეგიტიმაციის მოსაპოვებლად - სეცესიის აქტის ცალმხრივად გამოცხადება.

საინტერესოა კონსტიტუციურ თეორიასა და დეკლარაციულ თეორიას შორის კონკურენცია სეცესიის ზემოაღნიშნული აქტის შემდგომ. დეკლარაციულ თეორიას საკუთარი პოლიტიკური ამბიციების ლეგიტიმა-

ციის მიზნით ძირითადად მიმართავენ სუბიექტები, რომლებიც აკონტროლებენ განსაზღვრულ ტერიტორიას, თუმცა მათი სახელმწიფოებრიობა აღიარებულია მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფოს მიერ.

დეკლარაციული თეორია უპირატესობას ანიჭებს ახალი პოლიტიკური სუბიექტის ფაქტობრივ მდგომარეობას სხვა სახელმწიფოების სუბიექტურ შეხედულებებთან შედარებით, რაც ახალი პოლიტიკური ერთეულის ბედს მთლიანად სხვა სახელმწიფოებზე დამოკიდებულს გახდიდა.

მიუხედავად ამისა, გვხვდება მაგალითები ამ თეორიის მიღმაც - როდესაც სახელმწიფოთა მხრიდან ახალი ერთეულის აუღიარებლობას მოჰყვა სახელმწიფო სტატუსის დაკარგვა. სწორედ ასეთი შემთხვევაა როდეზიის აპარტეიდული სახელმწიფო, რომელმაც დამოუკიდებლობა ცალმხრივად 1965 წელს გამოაცხადა. საპასუხოდ, გაეროს უშიშროების საბჭომ წევრ სახელმწიფოებს 216-ე რეზოლუციით მოუწოდა არ ეღიარებინათ „უმცირესობათა არალეგალური რასისტული რეჟიმი“. საბჭოს ამ პოზიციას საერთაშორისო თანამეგობრობის ყველა წევრმა დაუჭირა მხარი, რის შედეგადაც როდეზიის სახელმწიფომ დაკარგა შესაძლებლობა ეარსება როგორც სახელმწიფოს (მიუხედავად იმისა, რომ როდეზია აკმაყოფილებდა სახელმწიფოებრიობის ყველა დანარჩენ წინაპირობას).

ამის საპირისპიროდ, კონსტიტუციური თეორიის თანახმად, თუ საერთაშორისო სამართლის რეჟიმში სახელმწიფოები საკუთარი თანხმობის შედეგად ექცევიან, მათი თანხმობაა საჭირო იმისთვისაც, რომ ახალი სახელმწიფო დაექვემდებაროს და გახდეს საერთაშორისო სამართლის სუბიექტი.

თუმცა აქ თავს იყრის სხვა პრობლემატური საკითხები, მაგ. თუ აღიარებაა საჭირო, რამდენმა სახელმწიფომ უნდა აღიაროს ერთეული, რომ მას მიენიჭოს სახელმწიფოს სტატუსი? როგორ ავირიდოთ თავიდან ისეთი შემთხვევები, როცა სახელმწიფო აკმაყოფილებს ყველა წინაპირობას, სხვა სახელმწიფოები კი იქცევიან საკუთარი პოლიტიკური ინტერესების შესაბამისად და არ აღიარებენ მას? [10] ნაშრომის მიზნებისთვის ამ სამართლებრივი დებატების შემდგომი განხილვა არ იქნება მიზანშეწონილი, იქიდან გამომდინარე, რომ არსებობს შემდეგნაირი რეალობა: კოსოვო აღიარებულია 111 წევრი სახელმწიფოს მიერ, იგი არის საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის წევრი. ამ მხრივ, კოსოვო შეიძლება ითქვას, რომ აკმაყოფილებს მონტევიდეოს კონვენციის პირველი მუხლით განსაზღვრულ მე-4 წინაპირობას - სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს უნარი დაამყაროს ურთიერთობა სხვა სახელმწიფოებთან (და გამოვიდეს საერთაშორისო ასპარეზზე).

გარდა ამისა, საერთაშორისო სამართალი მიჯნავს ორ პოზიციას ახალი სახელმწიფოს ცნობასთან დაკავშირებით - სეცესიის ლეგალურობის აღიარება (რაზეც, როგორც ვახსენეთ, საერთაშორისო სამართალში რეგულაციები თითქმის არ გვხვდება, მხოლოდ არსებობს დათქმა, რომ სეცესია არ არის უფლება), და სეცესიის, როგორც განხორციელებული აქტის ცნობის კანონიერება. ზოგადი მიდგომით, სეცესიის დეკლარაციული თეორიიდან გამომდინარე, აღიარება არ წარმოადგენს სახელმწიფოებრიობის მოპოვების „აუცილებელ წინაპირობას“ [11].

ამავდროულად, არც ერთ სახელმწიფოს არ გააჩნია ვალდებულება, ცნოს სახელმწიფოებრიობის მაძიებელი ერთეული სახელმწიფოდ. სახელმწიფოებს შეუძლიათ ახალი სახელმწიფოს არ ცნობის არგუმენტად დაასახელონ საერთაშორისო სამართლის დარღვევა. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სახელმწიფოები სარგებლობენ ფართო ავტონომიით, აღიარონ თუ არა ასპირანტი ერთეული სახელმწიფოდ.

საინტერესოა, რომ აშშ და ევროკავშირის მხრიდან სამართლებრივ ჭრილში პო-

ზიციების დაფიქსირებას ადგილი არ ჰქონია.

მართალია, აშშ-ს აღნიშნა, რომ კოსოვოში მიმდინარე ეთნიკური წმენდა, ერთერთი სწორედ ის მოვლენაა, რაც კოსოვოს შემთხვევას უნიკალურად აქცევს, თუმცა აშშ-ს მხრიდან არ ჰქონია ადგილი მტკიცებას იმაზე, რომ სეცესია კანონიერია, თუკი მას წინ უძღვის ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევები. საინტერესოა, თუ რატომ არ ჩაერთო სამართლებრივ დისკუსიაში დასავლური სახელმწიფოები? ერთერთი სავარაუდო ახსნა შეიძლება იყოს ბუშის ადმინისტრაციის ზოგადი გულგრილი დამოკიდებულება საერთაშორისო სამართლისადმი, და არ სურდა მისთვის მნიშვნელოვანი დატვირთვა მიეცა ამერიკის საგარეო ურთიერთობების პოლიტიკაში.

თუმცა გაუგებარია ევროკავშირის მხრიდანაც აღნიშნულთან მიმართებით თავის შეკავება. ერთერთი ფაქტორი როგორც აშშ-ს, ისე ევროკავშირისთვის შესაძლობა ყოფილიყო სეპარატისტული ძალების წახალისებისგან თავის შეკავება ისეთ ქვეყნებში როგორიცაა აზერბაიჯანი, საქართველო, რუმინეთი, ესპანეთი, სადაც ასევე აქტუალური იყო ეთნიკურ-სეპარატისტული კონფლიქტების ფარგლებში დაყენებული პოლიტიკური ამბიციები. აშშ-სა და ევროკავშირის მიერ სეცესიის სამართლებრივ დასაბუთებაზე მსჯელობაც კი, ამ ჯგუფების მიერ, შეიძლება მიჩნეულიყო სეცესიონისტური კონფლიქტების მხარდაჭერად, რაც კატალიზატორის ფუნქციას შეასრულებდა [12].

## მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნა და „კოსოვოს ეფექტი“

რაც შეეხება, „დამოუკიდებლად“ გამოცხადებული კოსოვოს სახელმწიფო სტატუსის შემდგომ ანალიზს, აღსანიშნავია სერბეთის მცდელობა მართლმსაჯულების საერთო სასამართლოსადმი რეფერირებით შეფასებულიყო საკითხი საკუთარი ტერიტორიული მთლიანობის დარღვევად, და კოსოვოს ცალმხრივად აღიარებული სახელმწიფოებრიობის საწინააღმდეგოდ. სერბეთის მოთხოვნა მართლმსაჯულების საერთო სასამართლოს მიმართ, შეეფასებინა კოსოვოს მიერ დამოუკიდებლობის ცალმხრივად გამოცხადების შესაბამისობა საერთაშორისო სამართალთან, იმაზე უფრო ვიწროდ განიმარტა, ვიდრე ამას საერთაშორისო თანამეგობრობა ელოდა [13].

2010 წლის 22 ივლისის საკონსულტაციო დასკვნის საფუძველზე, სასამართლომ განმარტა, რომ ზოგადი საერთაშორისო სამართალი არ შეიცავს დამოუკიდებლობის გამოცხადების რაიმე სახის აკრძალვას, და აქედან გამომდინარე 2008 წლის 17 თებერვლის ღონისძიებები წინააღმდეგობაში არ მოდის ზოგად საერთაშორისო სამართალთან. ამით სასამართლომ დამოუკიდებლობის ცალმხრივად გამოცხადება კოსოვოს მიერ არ ცნო არასამართლებრივად, თუმცა დასკვნა არც სამართლებრივი ლეგიტიმაციის მინიჭების სასარგებლოდ არ უნდა განვმარტოთ - სასამართლომ მხოლოდ იმაზე მიუთითა, რომ ამ საკითხს საერთაშორისო სამართალი არ აწესრიგებს[8].

მეტიც, მართლმსაჯულების სასამართლო აღნიშნავს, რომ გენერალური ასამბლეა არ ითხოვს იმის შეფასებას, მოიპოვა თუ არა

[8] ხალხის თვითგამორკვევის პრინციპისა და სახელმწიფოებრიობის კონცეფციის ურთიერთდამოკიდებულების საკითხებისათვის

კოსოვომ სახელმწიფო სტატუსი. შეკითხვა არ ითხოვდა სასამართლოს მხრიდან არც სხვა სახელმწიფოების მხრიდან კოსოვოს დამოუკიდებლად ცნობის სამართლებრივი მნიშვნელობის შეფასებას [14].

შესაბამისად სასამართლო შემოიფარგლა შეკითხვის ვიწრო განმარტებით. მიუხედავად აღნიშნული საკითხის სამართლებრივი ბუნდოვანებისა, კოსოვოს დამოუკიდებლად გამოცხადებამ და სახელმწიფოდ ცნობამ დიდი გავლენა იქონია პოლიტიკურ ვითარებაზე ქვეყნებში სადაც მიმდინარეობს სეცესიონისტური კონფლიქტები. კოსოვოს შემთხვევა, შესაბამისად, იქცა საერთაშორისო დიპლომატიაში ფართოდ გამოყენებულ არგუმენტად [15].

აღსანიშნავია, რომ რუსული პოლიტიკური ელიტისთვის მოულოდნელი იყო კოსოვოს მიმართ მხარდაჭერის ასეთი მაღალი ხარისხით გამოხატვა დასავლური ქვეყნების მხრიდან. რუსეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ევგენი პრიმაკოვის განცხადებით, ცალმხრივი გადაწყვეტილება შეიარაღებული პრევენციის სასარგებლოდ მიუთითებდა გაეროს, როგორც კონფლიქტის მართვის აპარატის, ჩანაცვლების ტენდენციაზე. პრიმაკოვის მტკიცებით, ძალის გამოყენება მისაღებია მხოლოდ გაეროს წევრი სახელმწიფოსკენ მიმართული მიზანმიმართული აგრესიის შემთხვევაში (კოსოვო არ იყო გაეროს წევრი ქვეყანა).

შესაბამისად, ნატომ არა მხოლოდ შეგნებულად დაარღვია გაეროს მიერ მიღებული პროცედურები და თანამედროვე საერთაშორისო კანონმდებლობა (განსაკუთრებით ჰელსინკის 1975 წლის დასკვნითი აქტი) არამედ, შექმნა იმის შთაბეჭდილება, რომ კოსოვო მართლაც სუვერენული სახელმწიფო იყო [16].

კოსოვოს დამოუკიდებლობის ცალმხრივად გამოცხადებას გაეროს მხრიდან არც სანქცირება არ მოჰყოლია.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მიერ მართლმსაჯულების საერთო სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნა საკუთარი სახელმწიფოებრიობის სასარგებლოდ იქნა განმარტებული, რაც თანამედროვე თვითნებურად მიმდინარე მოვლენების ფონზე, ბევრს არაფერს ცვლის. ერი სახელმწიფოები მოქცეულნი არიან „ომში ყველას წინააღმდეგ“ (თომას ჰობსი), რომელშიც მოვლენები ვითარდება დიდ სახელმწიფოთა ინტერესების შესაბამისად. საკითხის ამგვარ შეფასებას იზიარებენ თანამედროვე მკვლევარებიც, ასე მაგალითად ჰალბახის[9] მოსაზრებით, „საერთაშორისო სამართალი საკითხისადმი ინდიფერენტულია. საერთაშორისო სამართალი არ უჭერს მხარს სეცესიას, თუმცა არც მისი წინააღმდეგია. საბოლოოდ, ყველაფერს პოლიტიკა წყვეტს“.

მართლაც, რუსეთის მიერ კოსოვოს შემთხვევა დანერგილ იქნა პრეცედენტად, რომელიც რამდენიმე თვეშივე „მოარგო“ საქართველოს ორ რეგიონს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს. რუსეთი აიგივებს რუსეთის ინტერვენციას კავკასიაში, დასავლეთის მხრიდან ბალკანეთში ინტერვენციასთან. ამ ორ შემთხვევას შორის პოლიტიკურ-ისტორიულ განსხვავებებთან ერთად, რიგ მკვლევართა აზრით, არსებობს ჩარევის მოტივაციას შორის მცირე სხვაობები, კერძოდ, დასავლეთის ძირითად ინტერესს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე წარმოადგენს რეგიონის სტაბილიზაცია, რომ მათ, რაც შეიძლება სწრაფად, თავი დააღწიონ რეგიონს. რუსეთს ჩართულობას კი სხვაგვარი დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს - რუსეთის მიზანია რეგიონში „სტაბილური არეულობის“ (stable instability) შენარჩუნება, რათა უფრო მარტივი იყოს საქართველოზე ზეწოლის განხორ-

---

[9] უვე ჰალბახი -კავკასიის ექსპერტი, გერმანული ინსტიტუტი საერთაშორისო და უსაფრთხოების საკითხებზე

ციელება, იქიდან გამოდინარე, რომ საქართველო მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტრანს-ევრაზიულ ვაჭრობაში. ამასთან, გარდა რეგიონის „მშვიდობისმყოფელის" სტატუსისა, რუსეთს მართლა გააჩნია უსაფრთხოების ინტერესები კავკასიაში. კერძოდ, რუსეთის 7 მხარე მდებარეობს სწორედ კავკასიაში, შესაბამისად სამხრეთ კავკასიაში არეულობას პირდაპირი გავლენა ექნებოდა რუსეთის სახელმწიფო უსაფრთხოებაზე [17].

## დიდი ძალების პოლიტიკა (Politics of Great Powers)

თუ რატომ შეიძლება მესამე სახელმწიფომ აღიაროს ახალი სახელმწიფოს სუვერენიტეტი, ეფუძნება რამდენიმე სისტემურ ფაქტორს, განსაკუთრებით კი, ნორმატიულ ინსტიტუციებს და დიდი ძალების ინტერესებს[10] (Coggins 2014)

აღიარების სამართლებრივი და ნორმატიული თეორიები იძლევა მნიშვნელოვან კრიტერიუმებს თუ რა შემთხვევაში უნდა მოყვეს სახელმწიფოს მხრიდან ახალი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღიარებას. თუმცა, ისინი ვერ ხსნიან მიკროდინამიკასა და აღიარების რეალურ პროცესებს იმის თაობაზე, თუ როგორ და რატომ აღიარებენ სახელმწიფოები სხვა (ახალ თუ ახალბედა) სახელმწიფოებს. დებატების უმეტესობა შორდება აღიარების თეორიებს და ყურადღებას ამახვილებს სისტემურ ფაქტორებზე, რომლებიც აღმოცენდა თანამედროვე გლობალური წესრიგის პირობებში, და წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო სამართალთან, ნორმებსა და ინსტიტუტებთან. ასე მაგალითად კოგინსი იძლევა რეალისტურ პასუხს კითხვაზე, თუ რატომ აღიარებენ სახელმწიფოები ახალბედა სახელმწიფოს დამოუკიდებლობას რიგ შემთხვევაში, და რატომ იკავებენ თავს სხვა შემთხვევებში. სტატისტიკური ანალიზის გამოყენებით, კოგინსი აღმოაჩენს, რომ გარე ფაქტორებს, კერძოდ დიდი ძალების პოლიტიკას (Politics of Great Powers [18]) შეუძლია უკეთ ახსნას აღნიშნული, ვიდრე ნებისმიერ თეორიულ მიდგომას [19].

საერთაშორისო თანამეგობრობა კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მეორე დღიდან მხარს უჭერს მის სუვერენიტეტს, აღიარებს რა იმ „ფაქტორთა არასტანდარტულ კომბინაციას, რასაც ადგილი ჰქონდა კოსოვოს შემთხვევაში, მათ შრის იუგოსლავიის დაშლის კონტექსტი, ეთნიკური წმენდის ისტორია, მშვიდობიან მოქალაქეთა წინააღმდეგ დანაშაულები, ხანგრძლივი დროის განმავლობაში გაეროს ადმინისტრირების ქვეშ არსებობა[11]".

კოსოვოს დამოუკიდებლობა შედეგია კოსოვოს შემთხვევის ინდივიდუალურობის, რაც გამორიცხავს მის პრეცედენტულ მოქმედებას სხვა შემთხვევებზე, და მას sui generis შემთხვევად აქცევს [15].

კოსოვოს შემთხვევის განსაკუთრებელი მახასიათებელია ის, რომ მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე წარმოიქმნა ახალი სახელმწიფო გაეროს მიერ ამ საკითხზე მსჯელობის მიღმა. მნიშვნელოვანია, პასუხი გაეცეს კითხვას, იღებს თუ არა საერთაშორისო საზოგადოება პასუხისმგებლობას იმასთან დაკავშირებით, რომ პოლიტიკური რუკა არ უნდა

[10] დიდ ძალებში (Great Powers) მოიაზრებიან მსოფლიოს ისეთი სახელმწიფოები, რომლთა გადაწყვეტილებებსაც გავლენა აქვს გლობალურ პოლიტიკაზე. ეს ცნება უმეტესწილად გვხვდება რეალიზმის თეორეტიკოსებთან. რეალიზმისა და ძალაუფლების პოლიტიკის ზოგადი განხილვისთვის იხ. ჯონ ჯ. მირშაიმერი, „დიდი ძალების პოლიტიკის ტრაგედია", კენეტ ნ. უოლცი, „საერთაშორისო პოლიტიკის თეორია"

[11] აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი, 2008.

შეიცვალოს, თუკი ამაზე არ არსებობს უშიშროების საბჭოს ყველა წევრის თანხმობა, როგორც ამას ითვალისწინებს გაეროს რეზოლუცია. ამავდროულად, უნდა შეფასდეს უშიშროების საბჭოს ქმედითობა მას შემდეგ, რაც კონსენსუსის ვერ მიღწევის გამო, საბჭო ფაქტობრივად „თამაშს გარეთ დარჩა“ და მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენა მისი მონაწილეობის გარეშე დადგა. მნიშვნელოვანია ასევე პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვას - რატომ კოსოვო, და უარი ბალკანეთის რეგიონში სეცესიის მსურველ სხვა ერებს? რა მოტივაციით იქნა მიღებული განსხვავებული გადაწყვეტილება რესპუბლიკა სერბს კას, ვოივოდინას შემთხვევებში?

აღსანიშნავია, რომ დასავლურმა სახელმწიფოებმა აჰტისაარის გეგმით გაამართლეს სტატუს კვოს შენარჩუნების შეუძლებლობა კოსოვოსა და სერბეთს შორის. სტატუს კვო - ეს ის სტატუსია, რაც საერთაშორისო ურთიერთობებში ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს, ვინაიდან პოლიტიკური ამბიციის მქონე ერთეული ფაქტობრივად აგრძელებს არსებობას მისთვის სასურველი რეჟიმის ქვეშ, ძირითადი სახელმწიფო კი თავს არიდებს შეიარაღებულ კონფლიქტს, შიდა არეულობებს და საერთაშორისო ყურადღების ეპიცენტრში აღმოჩენას. იქიდან გამომდინარე, რომ კოსოვოს არეულობა საერთაშორისო საზოგადოებისთვის 1998 წლისთვის დასავლური მედიის მეოხებით საყოველთაოდ ცნობილ მოვლენად იქცა, კოსოვოს ტერიტორიაზე განვითარებულმა მოვლენებმა, მათ შორის ადამიანი უფლებების მასობრივმა დარღვევამ შეიძინა საერთაშორისო ხასიათი, და გასცდა სერბეთის შიდა რეგულირების სფეროს, საერთაშორისო საზოგადოების დაცვის პასუხისმგებლობიდან გამომდინარე - ამ ცნების ქვეშ მოიაზრება საერთაშორისო თანამეგობრობის წევრთა ვალდებულება, თავიდან აიცილონ ადამიანის წინააღმდეგ მიმართული ისეთი დანაშაულები, როგორიცაა ეთნიკური წმენდა, გენოციდი, და ა.შ. სიტუაცია იმგვარად დაიძაბა, რომ დასავლეთის თქმით „შეუძლებელია რაიმე კომპრომისის მიღწევა სერბეთსა და კოსოვოს შორის“, ერთადერთ გამოსავლად აშშ-მ და ევროკავშირმა დატოვა კოსოვოს სერბეთისგან ჩამოცილება და შემდგომ, ირიბად, კოსოვოსთვის დამოუკიდებლობის გამოცხადებისკენ მოწოდება.

აშკარაა, რომ რა შედეგიც დადგა კოსოვოს შემთხვევაში, არ დამდგარა სხვა მსგავსი ეთნიკურ-სეპარატისტული კონფლიქტების შემთხვევაში, რასაც თავისი ახსნა აქვს - კოსოვო მსოფლიო ძალათა პოლიტიკის ინტერესის სფეროდ იქცა, და მისი დამოუკიდებლობის აღიარებით, დასავლეთმა „გახსნა“ საერთაშორისო ურთიერთობების ახალი ეტაპი, რომელშიც საჭირო არ არის კონსენსუსი, „უძლურ“ ორგანოდ იქცა უშიშროების საბჭო, მედიაციისა და კონფლიქტის გადაწყვეტის ფუნქციას ვერ ასრულებს მართლმსაჯულების საერთო სასამართლო, - სწორედ ამ პირობების კუმულატიურად დადგომამ ჩამოაყალიბა ერთგვარი „დაუსჯელობის განცდა“ რუსეთში, რამაც განაპირობა დღევანდელი რეალობა - გაყინული კონფლიქტი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ყირიმის ანექსია, და უკრაინაში მიმდინარე ომი).

დღევანდელი მდგომარეობით, საერთაშორისო სამართალი ვიწროდ განმარტავს იმ გარემოებებს, რა შემთხვევაშიც ჯგუფს შეუძლია ისარგებლოს გარე თვითგამორკვევის საერთაშორისო სამართლებრივი უფლებით, კერძოდ, როდესაც ჯგუფი ექვემდებარება კოლონიალისტურ წყობას, ან არის უცხოური სუბიექტის მიერ უკანონო ოკუპაციის მსხვერპლი, ან ექვემდებარება აპარტეიდის მსგავს რეჟიმს.

კოსოვოს შემთხვევამ აშკარად გახადა იმ თეორიული ჩარჩოს არაეფექტურობა, რომლის ფარგლებშიც სასურველია წინასწარპროგნოზირებადი იყოს სახელმწიფოს თუ თვითგამორკვევის მსურველ სახელმწი-

ფოს შემდგომი ნაბიჯები საკუთარი პოლიტიკური ინტერესების განსახორციელებლად. ცალსახად უარყოფითად შეიძლება შეფასდეს ის ფაქტი, რომ სეცესიის თეორიები არ განასხვავებენ სეცესიის უფლების ქონას და უფლების განსახორციელებლად ძალის გამოყენების უფლებას. დისკუსიის მიღმაა დარჩენილი ასევე ის, თუ როდის შეუძლია მშობელ სახელმწიფოს გამოიყენოს ძალა სეცესიისთვის წინააღმდეგობის გასაწევად, თუ სეპარატისტებს არ აქვთ გამოყოფის მორალური უფლება.

სასურველია, საერთაშორისო სამართალმა აღიაროს და პროცედურა შეიმუშავოს ერისთვის/ჯგუფისთვის გარკვეულ პირობებში სახელმწიფო წარმოქმნის უფლების მინიჭების საკითხზე. მეორე მხრივ, საერთაშორისო სამართალმა უნდა გამიჯნოს 1) ის წინაპირობები, რა შემთხვევაშიც ჯგუფს მიენიჭება უფლება წინ აღუდგეს მშობელი სახელმწიფოს იურისდიქციას ტერიტორიის განსაზღვრულ ნაწილზე, და თავად დაამყაროს კონტროლი, 2) ყველა წინაპირობა რა შემთხვევაშიც საერთაშორისო სამართალი ცნობს გამოყოფილ ერთეულს როგორც ლეგიტიმურ სახელმწიფოს, თავისი უფლებებით, პრივილეგიებითა და ვალდებულებებით [20].

მაგალითად: იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფის წინააღმდეგ ადგილი ჰქონდა ადამიანის ძირითადი უფლებების მასშტაბურ და განგრძობად დარღვევას, და ვაღიარებთ, რომ აქედან გამომდინარე ჯგუფს აქვს უფლება დააარსოს საკუთარი სახელმწიფო (თავდაცვითი სეცესია), იმისათვის, რომ სახელმწიფო იყოს ლეგიტიმური, აუცილებელია მან უზრუნველყოს ყველა ზომა იმისათვის, რომ დაიცვას უმცირესობათა უფლებები ამ ტერიტორიაზე. ამ მხრივ, გავმიჯნავთ კიდევ ორ ცნებას - *ჯგუფის უფლება სეცესიაზე*, და *ჯგუფის უფლება, ლეგიტიმურ სახელმწიფოდ ცნობაზე.*

15 წლის შემდეგ კოსოვოს დამოუკიდებლობიდან, ვრწმუნდებით, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებას უკვალოდ არ ჩაუვლია. მკვლევართა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ რუსეთის საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა სწორედ კოსოვოს სახელმწიფოდ წარმოქმნის (2008 წლის 17 თებერვალი) შემდეგ განმტკიცდა და მოიცვა ხალხის გათავისუფლების იდეის ქვეშ შეიარაღებული ძალების გამოყენება სხვა სახელმწიფოს საზღვრებზე (საქართველო, აგვისტოს ომი), ამასთან შეითავსა რუსულენოვანი მოსახლეობის დაცვის პასუხიმგებლობა რუსეთის საზღვრებს გარეთ (უკრაინა, ყირიმის ანექსია).

დღესდღეობით მიმდინარე უკრაინის ომი ასევე მიმდინარეობს იმ დასაბუთებით კრემლის მხრიდან, რომ უკრაინის აგრესორული რეჟიმის მიმართ, რომელსაც აიარაღებს დასავლეთი, დახმარებას საჭიროებენ ლუგანსკისა და დონეცკის სეპარატისტული რეგიონები. ფაქტობრივად ყოველდღიურად ირღვევა 1994 წლის ბუდაპეშტის მემორანდუმი, რომლის თანახმადაც უკრაინის სუვერენიტეტის გარანტები[12], უნდა ყოფილიყვნენ ბირთვული სახელმწიფოები აშშ, გაერთიანებული სამეფო და რუსეთი. მრავალი სხვა ეთნიკური ჯგუფი მიუთითებს კოსოვოს შემთხვევაზე, როგორც პრეცედენტზე, რაც მათ შემთხვევაზეც უნდა გავრცელდეს. მკველვართა დიდი ნაწილი დასავლეთს ადანაშაულებს კოსოვოს საკითხის ამგვარი გადაწყვეტის ეფექტის განუსაზღვრელობაში, და მიიჩნევს, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობა არა მარტო პრეცედენტული იქნება იდენტურ შემთხვევებში, არამედ პოლიტიკურ იარაღად იქცეოდა რუსეთისთვის - რაც, როგორ საერთაშორისო მოვლენები ამას ცხადყოფენ - ასეც მოხდა.

[12] 1994 წლის 5 დეკემბერს ეუთოს კონფერენციაზე გაფორმებული მემორანდუმი, რომლის მიხედვით უკრაინამ უარი თქვა ბირთვულ იარაღის ფლობაზე.

**ANI BUKIA**

## THE INTERNATIONAL COMMUNITY'S POLICY ON TERRITORIAL SOVEREIGNTY ISSUES ON THE EXAMPLE OF KOSOVO

Summary

Territorial sovereignty is a cornerstone of the modern international legal order, as defined by Article 2(1) of the United Nations Charter. States, by virtue of a number of international agreements, have taken responsibility not to violate the borders of a sovereign country, unless there is an exceptional case. According to researchers-theoreticians, one such exception is defensive secession, which has no binding force in international law, moreover, the question is whether the right to self-determination is interpreted so broadly that it includes the content of unilateral secession. On the issue of external self-determination, the first association in the field of international relations is established in Kosovo, which has been growing modern world political interests for decades. "The precedent of Kosovo ... has become a kind of unique model in this or that territory ... to justify the "legitimate" existence of proxy regimes". With the support of the West, the status was decided in favor of Kosovo, even though Kosovo is still not a member state of the United Nations. This indicates the inferiority of Kosovo's independence, the instability of the legal framework. The article presents the need to introduce a specific procedure, according to which the discussion of secessionist conflicts will be assigned to a specific body, which would assess the resources of a nation seeking independence and objectively resolve the issue in favor of their identity or by offering internal self-determination.

***Key words:*** the right to self-determination of the nation-state, constitutional and declaratory theories of secession, just war theory, great power politics, the role of the international community in the Kosovo conflict, state recognition

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Alexander Düben Björn, „There is no Ukraine" Fact-checking the Kremlin's Version of Ukrainian History", *London School of Economics and Political Science*, 1 ივლისი, 2020 https://blogs.lse.ac.uk/lseih/2020/07/01/there-is-no-ukraine-fact-checking-the-kremlins-version-of-ukrainian-history/
2. Marco Longobardo, *The Rhetoric of 'Denazification' of Ukraine from the Perspective of the Law of Occupation* (EJIL:Talk!, 2022)., ხელმისაწვდ. SSRN: https://ssrn.com/abstract=4094117
3. ბირკაძე ხ., *ძალის გამოყენების სამართლებრივი ასპექტები საერთაშორისო სამართალში.* 2011
4. Korowicz, Marek St.. *The Dominant Theory of Sovereignty*. In: Introduction to International Law. Springer, Dordrecht. 1959
5. Keating Michael, Mcgarry John. *Minority Nationalism and the Changing International Order*, Oxford University Press, 2001

6. პარიზის ქარტია ახალი ევროპისთვის (Charter of Paris for a New Europe), 1990. https://commission.europa.eu/aid-development-cooperation-fundamental-rights/your-rights-eu/eu-charter-fundamental-rights_en
7. ჰელსინკის დასკვნითი აქტი, ეუთო, 1975. https://www.osce.org/files/f/documents/5/c/39501.pdf
8. Buchanan, Alan. *Secession*, Stanford Encyclopedia of Philosophy. The Metaphysics Research Lab, Stanford University, 2003. https://plato.stanford.edu/entries/secession/
9. სამხარაძე ნ., „Recognition of States in International Law and Practice", *ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი. №3*, ივლისი, 2016
10. Milanovic, Marko, Wood, Michael. *The Law and Politics of the Kosovo Advisory Opinion* , Oxford: Oxford University Press, 2015
11. მონტევიდეოს კონვენცია სახელმწიფოებრიობის მოპოვების წინაპირობად ადგენს ასპირანტი სახელმწიფოს უნარს, დაამყაროს ურთიერთობა საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტებთან, იხ. https://www.ilsa.org/Jessup/Jessup15/Montevideo%20Convention.pdf
12. Borgen, Christopher J. "The Language of Law and the Practice of Politics: Great Powers and the Rhetoric of Self-Determination in the Cases of Kosovo and South Ossetia". *Chicago Journal of International Law: Vol. 10:* No. 1, Article 3, 2009.
13. Spencer Kimball, "Great powers playing politics with Kosovo, Georgia", *Deutsche Welle,* 9 ოქტომბერი, 2010, https://www.dw.com/en/great-powers-playing-politics-with-kosovo-and-georgia/a-5956279 [30.03.2023]
14. Bancroft, Ian. *The International Position of Kosovo After the Advisory Opinion of the International Court of Justice.* 2011
15. Borgen, Christopher J. *Is Kosovo a Precedent? Secession, Self-Determination and Conflict Resolution*, 2008
16. Benedek, Wolfgang. "Implications of the Independence of Kosovo for International Law". *BRILL,* (2008): 391-412
17. Kimball, Spencer. "Great powers playing politics with Kosovo, Georgia", *Deutsche Welle,* 9 ოქტომბერი, 2010, https://www.dw.com/en/great-powers-playing-politics-with-kosovo-and-georgia/a-5956279
18. Abebe, Daniel. "Great Power Politics and the Structure of Foreign Relations Law". *Chicago Journal of International Law,* 2009
19. Newman, Edward, Visoka, Gezim. *The Foreign Policy of State Recognition: Kosovo's Diplomatic Strategy to Join International Society*. Foreign Policy Analysis, 14 (3), 2018 გვერდები 367-387
20. Wellman, Christopher Heath. *A Theory of Secession: The Case for Political Self-Determination*, Cambridge: Cambridge University Press, 2005

✍ კობა გრიგოლია
*წარმოადგინა პროფ. ედიშერ გვენეტაძემ*

# გარე აქტორების როლი სირიის კონფლიქტში

სირიის კონფლიქტი ან „სირიის ომი" ჩვენ წინაშე წარმოჩინდება როგორც ყველა სახის კონფლიქტის მთელი ნაკრები: სოციალური, რელიგიური, საერთაშორისო, საშინაო პოლიტიკური და საგარეო პოლიტიკა. კონფლიქტურ სიტუაციას ემატება ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, მოსახლეობის დიფერენციაციის მაღალი დონე და, რა თქმა უნდა, არაბული გაზაფხულის წარსული გამოცდილება.

სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტი სირიაში არის თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რადგან არა მხოლოდ სირია, არამედ მრავალი სხვა სახელმწიფოც განიცდის სირთულეებს სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ა.შ. საკითხებში. ამ სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტის მიზეზებს მრავალფეროვანი საფუძველი აქვს, დაწყებული ქვეყნის ხალხის კულტურული წინააღმდეგობებით და დამთავრებული მისი ძალაუფლების უარყოფით. სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტის მხარეები და მონაწილეები წარმოდგენილია ქვეყნების მთელი ჯგუფებით, რომელთაგან ზოგი სამხედრო ინტერვენციისა და კონფლიქტის სამხედრო დარეგულირების მომხრეა, ზოგი კი უფრო ჰუმანური, დიპლომატიური მისწრაფებების.

ამავდროულად, შეერთებული შტატები და რუსეთი რჩებიან კონფლიქტის ყველაზე მნიშვნელოვან გარე აქტორებად, რომლებსაც აქვთ მნიშვნელოვანი შესაძლებლობები, მხარი დაუჭირონ სირიას სამხედრო საქმეებსა და ჰუმანიტარული მხარდაჭერის საკითხებში. ექსპერტების, ანალიტიკოსების, პოლიტიკოსების და სხვა საზოგადო მოღვაწეების ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებები და პოზიციები მოწმობს სირიაში სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტის არსის მრავალფეროვნებაზე.

***საკვანძო სიტყვები:*** *სირიის კონფლიქტი, გარე აქტორები, სირია, რუსეთი, აშშ.*

„სირიის კონფლიქტის" კონცეფციის იდენტიფიცირებისთვის და მისი მიზეზებისა და წინაპირობების უფრო დეტალურად გასათვალისწინებლად აუცილებელია ისეთი ფენომენის განხილვა, როგორიცაა „არაბული გაზაფხული". არაბული გაზაფხული არის დემონსტრაციებისა და გადატრიალების ტალღა, რომელიც დაიწყო არაბულ სამყაროში 2010 წლის 18 დეკემბერს. მოხდა გადატრიალება ტუნისში, ეგვიპტეში და იემენში, სამოქალაქო ომები ლიბიაში (გამოიყვანა რეჟიმის დაცემა) და სირიაში (მიმდინარეობს); სამოქალაქო აჯანყება ბაჰრეინში; მასობრივი საპროტესტო აქციები ალჟირში, ერაყში, იორდანიაში, მაროკოში და ომანში; და მცირე საპროტესტო აქციები ქუვეითში, ლიბანში, მავრიტანიაში, საუდის არაბეთში, სუდანში, ჯიბუტიში და დასავლეთ საჰარაში. 2011 წლის მაისის ისრაელის სასაზღვრო შეტაკებები ასევე შთაგონებული იყო ადგილობრივი არაბული გაზაფხულით.

შეიძლება ითქვას, რომ არაბული გაზაფხულის ბუნება უკვე ცნობილია და სირია არის არაბული გაზაფხულის ნაწილი, რომე-

ლიც, მრავალი ექსპერტის აზრით, გარედან მომზადდა.

აქ მნიშვნელოვანია გამოვყოთ ორი ფაქტი. პირველ რიგში, არაბული გაზაფხულის მომზადება - გამოყენებული იქნა მოქალაქეთა წვრილმანი უკმაყოფილებები, რომელთა გაძლიერებაც მოხდა პროპაგანდისტული მედიის დახმარებით. ყველა ამ ქვეყანაში ვითარება ადრე სტაბილური იყო. სინამდვილეში კი, რაც ხდებოდა არ იყო ბუნებრივი პროცესი, არ იყო რევოლუციური იდეები მოქალაქეებში; მეორეც - მთავარ მიზანს წარმოადგენდა ძალაუფლების შელახვა და მისი შეცვლა.

აღნიშნული გეგმის პირველი მსხვერპლი იყო ერაყი და სადამ ჰუსეინის სასამართლო პროცესი. რეგიონის ნგრევა 2003 წელს ერაყზე აშშ-ისა და მოკავშირეების თავდასხმით დაიწყო. პრეზიდენტი ბენ ალი ტუნისში იყო არაბული გაზაფხულის შემდეგი მსხვერპლი. მას მოჰყვა ჰ. მუბარაქი ეგვიპტეში, სალეჰი იემენში. მ. კადაფის ხოცვა-ჟლეტამ შოკში ჩააგდო მისი პოლიტიკური ოპონენტებიც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ, მილიონობით ადამიანზე მთელს მსოფლიოში, რომლებმაც ჯამაჰირიას ლიდერის მკვლელობა იხილეს ინტერნეტით და ტელევიზიით პირდაპირ ეთერში.

მოვლენების მიზეზები შეიძლება ორი მხრივ განვიხილოთ - შიდა და გარე. შიდა მხარეები მოიცავს დემოკრატიის განვითარების სუსტ დონეს, ეკონომიკურ პრობლემებს (უმუშევრობის მაღალი დონე, ქვეყანაში მოზიდული ინვესტიციების სიმცირე და სხვ.) და პოლიტიკური სისტემის „სტაგნაცია“, ვინაიდან მმართველობის სათავეში მუდმივად (40 წელზე მეტი ხანი) ასადის დინასტია და პარტია „ბაასია“.

ასევე მნიშვნელოვანია სირიელების რელიგიური შეხედულებების განსხვავება. მოსახლეობის უმეტესობა სუნიტები არიან, ხოლო ქვეყნის ლიდერების მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის მისი ლიდერი, შიიტები-ალავიტები არიან.

გარე ფაქტორებს მიეკუთვნება სირიის არაბული რესპუბლიკის რთული ურთიერთობა დასავლეთის ქვეყნებთან, ისრაელთან და სპარსეთის ყურის მონარქიებთან. ამ უკანასკნელთ, როგორც სუნიტურ სახელმწიფოებს, გარდა იდეოლოგიურისა, აქვთ ეკონომიკური მოტივებიც, ვინაიდან სირიის ხელმძღვანელობის პოზიცია ართულებს რიგი პროექტების განხორციელებას, რომლებსაც ისინი ახორციელებენ შეერთებული შტატების მხარდაჭერით.

კონფლიქტის წყაროების და მისი განვითარების თავისებურებების ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია დავასახელოთ სირიაში საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის დროს ადამიანის უფლებების დაცვის ძირითადი პრობლემები:

- შეუსაბამობა უცხო სახელმწიფოების სამხედრო სახმელეთო და საჰაერო ოპერაციების წარმოებისას სირიის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობასთან;
- სამხედრო ტყვეების სიკვდილით დასჯა;
- სახელმწიფოს სუვერენიტეტის დარღვევა;
- ტერორიზმი.

ასევე, შეიძლება გამოვყოთ სირიის კონფლიქტის განვითარების მკაფიო რეტროსპექტივა. თუმცა, სირიის არაბთა რესპუბლიკაში კონფლიქტის წარმოშობის გასაგებად, აუცილებელია გავიხსენოთ ის მოვლენები, რომლებიც წინ უძღოდა ახლო აღმოსავლეთში:

- 2010 წლის ზამთარში არაბულ სამყაროში საპროტესტო ტალღამ მოიცვა, რომელთაგან ზოგიერთმა სახელმწიფო გადატრიალება გამოიწვია. მთავრობები იძულებით გადააყენეს: ლიბიაში, იემენში, ტუნისში და რეგიონის სხვა ქვეყნებში;

- 2011 წლის აპრილში სირიის ქალაქ დამასკოსა და ალეპოში დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის შეტაკებები დაიწყო, რომლის დროსაც ხალხი დაიღუპა;
- უკვე ზაფხულში, ჯარიდან დეზერტირებულმა სუნიტებმა შექმნეს თავისუფალი სირიის არმია (FSA), რომელმაც მთავრობის გადადგომა და SAR-ის პრეზიდენტის ბაშარ ალ-ასადის წასვლა მოითხოვა.

ასე დაიწყო ხანგრძლივი სისხლიანი კონფლიქტი, რომელმაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტის მოვლენების შემდგომი მიმდინარეობა შეიძლება დაიყოს ხუთ ძირითად ქრონოლოგიურ ეტაპად:

**პირველი ეტაპი** - დასავლეთმა თითქმის მაშინვე დაუჭირა მხარი სირიის ოპოზიციას და დააწესა მთელი რიგი სანქციები ქვეყნის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. 2011 წლის შემოდგომაზე თურქეთში პოლიტიკური დევნილებისაგან შეიქმნა სირიის ეროვნული საბჭო. 2012 წლის ზამთარში შეერთებულმა შტატებმა ნაციონალური ოპოზიციური კოალიცია სირიის მოსახლეობის ლეგიტიმურ წარმომადგენლად აღიარა. ამასობაში ბრძოლა სულ უფრო და უფრო მატულობდა.

**მეორე ეტაპი** - 2013 წელს სირიაში გამოიყენეს ქიმიური იარაღი, დაიღუპა დაახლოებით 1,2 ათასი ადამიანი. გაეროს მისიის მიერ ჩატარებულმა გამოძიებამ მხოლოდ ქიმიური თავდასხმის ფაქტის დადასტურება შეძლო, მაგრამ დღემდე არ არსებობს სანდო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ კონფლიქტის რომელმა მხარემ გამოიყენა ნერვული აგენტი სარინი.

**მესამე ეტაპი** - ისლამური სახელმწიფოს რადიკალური ჯგუფის ბოევიკები, რომლებიც ჩამოყალიბდა ალ-ქაიდას ერაყული და სირიული ფრთებისგან, კონფლიქტში შევიდნენ ანტისამთავრობო ძალების მხარეს 2013 წელს. მომდევნო წელს, ბოევიკების მიერ კონტროლირებად სირიის ტერიტორიებთან ერთად, ISIS-მა გააფართოვა თავისი გავლენა რეგიონზე, რომელიც ფართობით დიდ ბრიტანეთს აღემატება.

**მეოთხე ეტაპი** - 2014 წლის შემოდგომაზე შეერთებულმა შტატებმა გამოაცხადა საერთაშორისო ანტიტერორისტული კოალიციის შექმნა, რომელიც იწყებს დარტყმას ბოევიკების პოზიციებზე. თუმცა, ექსპერტების აზრით, ვაშინგტონის მეთაურობით ძალების ქმედებებს რაიმე მნიშვნელოვანი წარმატება არ მოჰყოლია. მეტიც, კოალიციას არაერთხელ დასდეს ბრალი საჰაერო თავდასხმების შედეგად მშვიდობიანი მოსახლეობის და არა ტერორისტების მკვლელობაში.

**მეხუთე ეტაპი** - ამჟამად რუსეთიც და დასავლეთიც შეთანხმდნენ, რომ შეუძლებელია სირიის კონფლიქტის მოგვარება ისლამური სახელმწიფოს დამარცხების გარეშე. ამასთან დაკავშირებით, 2015 წლის სექტემბერში მოსკოვმა გამოაცხადა რუსეთის ფედერაციის საჰაერო კოსმოსური ძალების მიერ ისლამისტების წინააღმდეგ ოპერაციის დაწყების შესახებ.

ამრიგად, დღემდე, სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტი სირიაში მხოლოდ იმპულსს იძენს და არ შეიძლება ჩაითვალოს კონსტრუქციულად, რადგან მიაღწიეს სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციის არსს და კონფლიქტის მოგვარების შესაძლო გზებს. ეს წარმოიშვა მოქალაქეებისა და მესამე მხარის მიერ სირიაში ახალი ძალაუფლების მიუღებლობის გამო, რამაც საბოლოოდ გამოიწვია სამხედრო, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული დაპირისპირება, მაგრამ ამ კონფლიქტის მიზეზები და შედეგები ბევრად უფრო ფართოა, ვიდრე ეს შეიძლება ერთი შეხედვით ჩანდეს. ამისათვის საჭიროა გავიაზროთ და გავითვალისწინოთ ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური

და პოლიტიკური ვითარება სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტის დაწყებამდე.

სირიის სამხედრო-პოლიტიკურ კონფლიქტზე საერთაშორისო რეაგირების საკითხის გაანალიზების საფუძველზე, შეიძლება აღინიშნოს, რომ საერთაშორისო პოზიცია ორ ბანაკად იყოფა. ზოგიერთი, კერძოდ კი, შეერთებული შტატები, ამბობს, რომ ბაშარ ალ-ასადი უნდა წავიდეს, რომ მასთან მოლაპარაკებები არ გაიმართება და საჭიროა გარე სამხედრო ჩარევა. სხვები, განსაკუთრებით კი, რუსეთი და ჩინეთი, ამტკიცებენ, რომ ძალადობა უნდა შეწყდეს პოლიტიკური დიალოგის გზით ორ მეომარ მხარეს შორის გარე ჩარევის გარეშე. ამავდროულად, რუსეთი სირიას რეგულარულად ყიდის იარაღს. ნატოს წევრი ქვეყნები და არაბული ქვეყნების ლიგის წევრები ან ოპოზიციის სასარგებლოდ აცხადებენ სამხედრო ტექნიკის/მშვიდობიანი შინაარსის რესურსების/იარაღის უსასყიდლოდ მიწოდებას, ან აცხადებენ ამის შეწყვეტას. ამ მიზეზით, სირიის კონფლიქტის წლებში საერთაშორისო ასპარეზზე ჩამოყალიბდა „ორი ფრონტი“, რომელთაგან პირველი (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ისრაელი, საუდის არაბეთი, კატარი, თურქეთი) სამხედროების მომხრეა. ინტერვენცია, მეორე - (ჩინეთი, რუსეთი, ეგვიპტე, ირანი, ლიბანი, იორდანია, ერაყი) სამხედრო ინტერვენციის წინააღმდეგ.

მაგრამ არიან „საერთაშორისო რეაქციის“ სხვა სუბიექტებიც, მაგალითად, საერთაშორისო ორგანიზაციები. სირიის მთავრობაზე ზეწოლის მიზნით, ზოგიერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ შეაჩერა სირიის მონაწილეობა მათ სტრუქტურებში. ასე რომ, 2011 წლის 12 ნოემბერს არაბული სახელმწიფოების ლიგამ დროებით გააძევა სირია ორგანიზაციიდან, მიუღებლად მიიჩნია ქვეყნის მთავრობის მიერ დემონსტრანტების მიმართ ძალადობის გამოყენება.

უფრო მოქნილ, მაგრამ არანაკლებ უარყოფით პოზიციას გამოხატავენ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა გაერო. 2012 წლის 17 თებერვალს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც გმობს ბაშარ ალ-ასადის რეჟიმი და სრული მხარდაჭერა არაბული ლიგის მოთხოვნების მიმართ. რეზოლუციას მხარი დაუჭირა 137-მა ქვეყანამ, თავი შეიკავა 17-მა, წინააღმდეგ - 12 სახელმწიფომ (რუსეთი, ჩინეთი, ირანი, ვენესუელა, ჩრდილოეთ კორეა, ბოლივია, ბელორუსია, ზიმბაბვე, კუბა, ნიკარაგუა, ეკვადორი, სირია).

სირიასთან დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვიტეს ისეთმა სახელმწიფოებმა, როგორებიცაა: აშშ, თურქეთი, იაპონია, ეგვიპტე, მაროკო და ევროპის მრავალი ქვეყანა.

ძალიან მნიშვნელოვანი საერთაშორისო რეაქცია იყო სირიის წინააღმდეგ სანქციების დაწესება, რამაც მრავალი ანალიტიკოსთა აზრით, მხოლოდ გააუარესა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა სამხედრო ვითარებით დამაბულ, ისედაც რთულ პერიოდში.

თუმცა, მსოფლიოში, ალბათ, ყველაზე მეტად საყურადღებოა რუსეთის ფედერაციისა და შეერთებული შტატების რეაქცია სირიაში სამხედრო-პოლიტიკურ კონფლიქტზე და მათ მცდელობებზე, დაეხმარონ კონფლიქტის მოგვარებას.

ანტისამთავრობო საპროტესტო გამოსვლების თავიდანვე რუსეთი მხარს უჭერდა სირიის არაბული რესპუბლიკის ერთიანობისა და მთლიანობის შენარჩუნებას და დიალოგს ლეგიტიმურ ხელისუფლებასთან, ე.ი. ოფიციალურ დამასკოსთან. მაგრამ სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტის ბ. ასადის მხარდაჭერის მიუხედავად, რუსეთის ფედერაცია მთელი კონფლიქტის განმავლობაში იცავდა პრინციპს „სირიის ხალხმა უნდა გადაწყვიტოს სირიის ბედი, მათ შორის მომავალი პოლიტიკური სისტემის საკითხი“.

გარდა ამისა, რუსეთი ყოველთვის მხარს უჭერდა ინკლუზიურ (ანუ, ყველა

დაინტერესებული მხარის ჩათვლით) პოლიტიკურ მოწესრიგებას, ერთ-ერთი მხარის ექსკლუზიური მხარდაჭერისა და მეორის კრიტიკისგან განსხვავებით.

რუსული დიპლომატია მიზნად ისახავდა თავიდან აეცილებინა „ლიბიური სცენარის“ განმეორება (როდესაც 2011 წელს აშშ-ისა და მოკავშირეების სამხედრო ინტერვენციის შედეგად მ. კადაფის რეჟიმი დაემხო და ქვეყანა ქაოსში ჩავარდა). ამ სტრატეგიამ წინასწარ განსაზღვრა რუსული დიპლომატიის მთელი შემდგომი კურსი სირიაში კონფლიქტის მოგვარების საქმეში.

SAR-ში საგარეო ინტერვენციის თავიდან ასაცილებლად, რუსეთმა (როგორც გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივმა წევრმა) არაერთხელ დაადო ვეტო სირიის პრობლემის შესახებ რეზოლუციის პროექტებს. ამავდროულად, ყოველ ჯერზე პეკინი მხარს უჭერდა მოსკოვს ამ გადაწყვეტილებაში.

რუსეთის დიპლომატია ყველა შემთხვევაში ემყარებოდა რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისა და ზოგადად სირიის სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების მოსაზრებებს. ამიტომ, მან დაბლოკა რეზოლუციების მიღება, რომლებიც ასახავდა სირიაში სამხედრო შეჭრის საფრთხეს არსებული რეჟიმის შემდგომი ძალადობრივი დამხობის მიზნით [1. 166].

ზოგადად, სირიის კონფლიქტის დიპლომატიურ მოგვარებაში რუსეთის ფედერაციის როლის შეფასებისას, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთი (თუნდაც თავისი ინტერესებიდან გამომდინარე) შეეცადა ყოველგვარი ძალისხმევა ეხმარა სირიაში ძალადობისა და სისხლისღვრის შესაჩერებლად.

ამავდროულად, რუსული დიპლომატია იცავს ყველაზე დაბალანსებულ მიდგომას ინკლუზიური მოგვარების პრინციპების შესაბამისად: მთელი დროის განმავლობაში, სირიის არაბთა რესპუბლიკის ლეგიტიმური ხელისუფლების მხარდაჭერით და სამხედრო ინტერვენციის აღკვეთის მცდელობით, იზიდავდა დიალოგისაკენ როგორც გარე, ასევე შიდა ოპოზიციურ ძალებს.

ასევე აღვნიშნოთ სიდიდით მეორე საერთაშორისო მონაწილის, უფრო სწორად, შესწავლილი კონფლიქტის მხარის - შეერთებული შტატების როლი. მას შემდეგ, რაც სსრკ-მა დატოვა „გლობალური სცენა“, რომელმაც, მრავალი ექსპერტის აზრით, „შელახა მისი რეპუტაცია“ ავღანეთში მუსლიმთა ომის ფონზე და გაავრცელა ათეიზმი, გაჩნდა მუსლიმური საზოგადოების ცხოვრების პრობლემური ასპექტები ფართო გაგებით. მიეწერება გლობალიზაციას, რომელიც, უფრო მეტიც, ამერიკის შეერთებული შტატების გავლენის განუყოფელი იარაღია (მათ ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ქვეყნები აღიქვამენ, როგორც „ბოროტების განსახიერება“ ამ სამყაროში).

ეგრეთ წოდებულმა „ანტიამერიკანიზმმა“ თავისი კვალი დატოვა ახლო აღმოსავლეთში პარტიებისა და მოძრაობების სოციალურ-პოლიტიკური საქმიანობის სპეციფიკაზე, მათ შორის ისლამურ რეგიონთან დაკავშირებულმა. შედეგად, ანტიამერიკანიზმი შეიძლება მივიჩნიოთ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის ძირითად პრინციპად, რაც ასევე აქტუალურია სირიის სახელმწიფოსთვის, რომელშიც ვითარდება შესასწავლი სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტი [2].

სირიაში სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტის მხარეების (სირიის მთავრობა და ოპოზიცია) წინააღმდეგობის დროს მათი ქმედებების აგრესია მხოლოდ გაძლიერდა. საყოველთაოდ ცნობილი გახდა, რომ აშშ-ის მთავრობა დახმარებას უწევს იმ ძალებს, რომლებიც სირიის მთავრობას ეწინააღმდეგებიან. ასე რომ, 2012 წლიდან დაწყებული, როდესაც სირიაში სამოქალაქო ომი ჯერ კიდევ „სრული ძალით“ მიმდინარეობდა, აშშ-ის მთავრობა ღიად აწვდიდა ამბოხებულებს იარაღს, მათ შორის: საბრძოლო მასალას, ტანკსაწინააღმდეგო იარაღს, მცირე იარაღს

და, ასევე, ჰუმანიტარულ დახმარებას (საკვები, პირველადი მოხმარების ნივთები, მედიკამენტები). მედიაში არაერთხელ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შეერთებული შტატები ეხმარება ზომიერ ოპოზიციას, რომელიც ებრძვის ისლამურ სახელმწიფოს და სხვა რადიკალ ისლამისტურ ჯგუფებს, სამთავრობო ძალებს.

აშშ-ის მთავრობა ცდილობდა ბაშარ ალ-ასადის ჩამოგდებას და მისთვის საპრეზიდენტო უფლებამოსილების ჩამორთმევას, რადგან იგი მიიჩნევდა, რომ სწორედ მისმა პიროვნებამ და ქმედებებმა გამოიწვია სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტის დაწყება სირიაში (იმ გაგებით, ბაშარ ალ-ასადი იყო ის, ვინც ძალა გამოიყენა სირიის მოქალაქეების მშვიდობიანი გამოვლინებების წინააღმდეგ). გარდა ამისა, საყოველთაოდ ცნობილია ის ფაქტი, რომ აშშ-ის ძალები ატარებენ სპეციალურ წვრთნებს სირიელი მეამბოხეებისთვის.

მკვლევარების აზრით, მთავარი მიზეზი იმისა, რომ ისეთმა გავლენიანმა და ძლიერმა ქვეყნებმა, როგორიცაა: დიდი ბრიტანეთი, აშშ, გერმანია, საფრანგეთი და სხვები, ჯერ კიდევ ვერ შეძლეს ისლამური სახელმწიფოს დამარცხება, არის კოალიციის მიერ სირიაში საჰაერო ჯარების გაგზავნის სურვილის უქონლობა, რასაც იმით ხსნიან, რომ ავიაციას შეუძლია მხოლოდ დიდი სამიზნეების დარტყმების მიყენება და მაშინ, როდესაც ISIS-ის ბევრი ტერორისტი იმალება დიდ ქალაქებში მშვიდობიან მოსახლეობაში და შეუძლებელია საჰაერო დარტყმების განხორციელება ასეთ ადგილებზე (დასახლებებზე).

ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2014 წლიდან სირიის კონფლიქტში სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ისლამური რადიკალიზმის ფაქტორი. რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში მისი ლიდერების წარუმატებლობის გამო იმედგაცრუებული „ზომიერი ოპოზიციის" მხარდამჭერთა მნიშვნელოვანი ნაწილი ცნობილი თავისუფალი სირიის არმიიდან სალაფიტური ტერორისტული ორგანიზაციების (ISIS, ჯაბჰათ ალ-ნუსრა და ა.შ.) მხარეს გადადის. ამ პირობებში დასტურდება სირიის ხელისუფლების მხარდაჭერისკენ მიმართული მოსკოვის პოზიციის სისწორე და შორსმჭვრეტელობა. რუსულმა მხარემ არაერთხელ მოუწოდა შეერთებულ შტატებს, ევროპასა და არაბულ ქვეყნებს, შეწყვიტონ ოპოზიციისთვის იარაღის მიწოდება, რომელიც საბოლოოდ ტერორისტების ხელში აღმოჩნდა.

ამავდროულად, რუსეთი და შეერთებული შტატები, რომლებიც მოქმედებენ როგორც სირიაში სამოქალაქო ომის ანტიპოდები, ძალიან აქტიურად იყენებენ მედიას სამოქალაქო მოსახლეობაზე ზემოქმედების მიზნით, რითაც უზრუნველყოფენ ინფორმაციული უპირატესობისა და საკუთარი სამხედრო, პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ინტერესების თვალსჩინოებას. ეს ნიშნავს, რომ განსახილველი სირიის კონფლიქტი ხასიათდება „ინფორმაციული ომის" კომპონენტის არსებობითაც.

დასასრულს, გვინდა ვთქვათ, რომ სირიის კონფლიქტის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ეს არის სრულიად განსხვავებული ინტერესების აურზაური. ასეთ პირობებში შეთანხმების მიღწევა უკიდურესად რთულია. მიუხედავად ამისა, უთანხმოების დაძლევის მცდელობები ისევ და ისევ მეორდება. 2017 წლის იანვარში მოლაპარაკებები გაიმართა ყაზახეთში (ასტანაში), სადაც რუსეთი, თურქეთი და ირანი შეთანხმდნენ ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის დაცვის მექანიზმის შექმნის შესახებ. წინა მრავალრიცხოვანი ზავი, როგორც წესი, ფაქტობრივად არ იყო დაცული. ასტანას მოლაპარაკებებთან დაკავშირებული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე არის ის, რომ რუსეთის დელეგაციამ სირიის ოპოზიციის წარმომადგენლებს ქვეყნის ახალი კონსტიტუციის პროექტი შესთავაზა (გადასცა). ითვლება,

რომ სირიის ახალი მთავარი კანონი ხელს შეუწყობს ახლო აღმოსავლეთის შეიარაღებული კონფლიქტის მოგვარებას.

**KOBA GRIGOLIA**

**THE ROLE OF EXTERNAL ACTORS IN THE SYRIAN CONFLICT**

Summary

The Syrian conflict or "Syrian war" appears before us as a whole set of all kinds of conflicts: social, religious, international, domestic political and foreign policy. The difficult economic situation in the country, the high level of differentiation of the population and, of course, the past experience of the Arab Spring are added to the conflict situation.

The military-political conflict in Syria is one of the important problems of modern society, because not only Syria, but also many other states are experiencing socio-economic, political, etc. difficulties. in saki-goats. The reasons for this military-political conflict have diverse foundations, starting with the cultural contradictions of the country's people and ending with the denial of its power. The parties and participants of the military-political conflict are represented by whole groups of countries, some of which are in favor of military intervention and military settlement of the conflict, while others have more humanitarian, diplomatic aspirations.

At the same time, the United States and Russia are considered to be the most important external actors of the conflict, who have significant opportunities to support Syria in military affairs and humanitarian support issues. The mutually exclusive opinions and positions of experts, analysts, politicians and other public figures testify to the diversity of the essence of the military-political conflict in Syria.

***Key words:*** *Syrian conflict, external actors, Syria, Russia, USA.*

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Набиева Р.А. Роль России в дипломатическом урегулировании Сирийского конфликта // Россия в глобальном мире: новые вызовы и возможности. Сборник работ IV Всероссийской студенческой научной конференции. Редакторы Г. А. Довгиленко, Е. М. Скворцова, Я. Н. Шевченко. 2016.
2. Fuller G.E. The Future of Political Islam. New York ; Houndmills, 2004. P. 4-46.
3. Муха А.В., Кихтан В.В. Освещение геополитических конфликтов СМИ на примере Сирийской Арабской Республики. Сборник научных статей. Министерство образования и науки РФ; Российский университет дружбы народов. Москва, 2015.

✍ გიორგი ლომია
*წარმოადგინა პროფ.* ***ჯემალ გახოკიძემ***

# დაბალანსების პოლიტკის აუცილებლობა, ბუფერული სახელმწიფოს შემთხვევაში

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პოსტსაბჭოთა ქვეყნებმა, რომლებიც ადრე გაერთიანებულნი იყვნენ რუსეთის ირგვლივ, პოლიტიკური დამოუკიდებლობის ისტორიული შანსი მიიღეს. მათმა ხელმძღვანელობამ მოიპოვა სრული ძალაუფლება საკუთარი სახელმწიფო მშენებლობისთვის, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის სუვერენული განვითარებისთვის. ამ ქვეყნების ერთ-ერთი მთავარი შიდა ამოცანა (დღესაც აქტუალურია) იყო ეროვნული იდენტობის ძიება, რომელიც მოსახლეობა დამოუკიდებლობის იდეის გარშემო უნდა გაეერთიანებინა. კიდევ ერთი გამოწვევა სტაბილური სუვერენული სახელმწიფოს შესაქმნელად, როდესაც ამ ქვეყნებმა გეზი ღია საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიისაკენ აიღეს, ეფექტური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გზების ძიება იყო.

საგარეო პოლიტიკაში თვითიდენტიფიკაციის აუცილებლობამ წამოჭრა რეგიონული პოზიციონირების საკითხი – და, ისევე როგორც სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნები, საქართველოც დადგა რუსეთის (საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე) ეკონომიკურად ძლიერ და მზარდ პოლიტიკურ გავლენასა და სხვა რეგიონალურ ცენტრებს შორის (აშშ, ევროკავშირი, თურქეთი, ჩინეთი...), რომლებიც ასევე ცდილობდნენ ფეხის მოკიდებას რეგიონში და საკუთარი ადგილის დამკვიდრებას. ასეთ ვითარებაში პოსტსაბჭოთა ქვეყნების რეგიონალურ პოლიტიკაში სულ უფრო მეტად იჩინა თავი არასტაბილურობის, ოპორტუნიზმის და სტრატეგიული დაგეგმვის არარსებობის ელემენტებმა. აქედან გამომდინარე, ამ ქვეყნებს დღემდე უწევთ დაბალანსებისა და მიტმასნების პოლიტიკებს შორის არჩევანის გაკეთება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ დაბალანსება და მიტმასნება პირობითია და კონკრეტული სიტუაციებიდან გამომდინარე ენაცვლებიან ერთმანეთს. ჩვენი ქვეყნის საგარეო ურთიერთობებში გამოყენებულ უნდა იქნას დაბალანსების პოლიტიკა ძალთა ცენტრებს შორის. საქართველოს არ გამოადგება მიტმასნება არც რუსეთთან, არც თურქეთთან და არც დასავლეთთან. სახელმწიფო, რომელიც მონაწილეობს რომელიმე ძალთა ცენტრის მხარეს უფრო ადვილად იქნება ჩათრეული კონფლიქტში, იმ სახელმწიფოსგან განსხვავებით, რომელიც იყენებს საგარეო დაბალანსების პოლიტიკას ძალთა ცენტრებს (ორი ან მეტი) შორის. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის ფაქტიურად დაბალანსების პოლიტიკა ნეიტრალიტეტის დაკავებას უთანაბრდება, რაც საქართველოსთვის დღესდღეობით ყველაზე მისაღები უნდა იყოს ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე.

სამწუხაროდ, დღეს საქართველო პრორუსულ და პროდასავლურ ბანაკად არის გაყოფილი. საზოგადოების ასეთი დამოკიდებულება დამატებით საფრთხეს უქმნის ქვეყნის სუვერენიტეტს, ვინაიდან რომელიმე სამხედრო ან პოლიტიკურ-ეკონომიკურ კავშირში გაერთიანება ნიშნავს იმ კავშირის წესების შესრულებას, რაც შეიძლება ქვეყნის ინტერესებში არ შედიოდეს, და გამოდის რომ ქვეყნის დამოუკიდებლობა ნაწილობრივ კავშირის მოთხოვნებზე ხდება დამოკიდებული. ამ საფრთხეების გათვალისწინებით, საქართველო უნდა იყენებდეს

დაბალანსების პოლიტიკას და გახდეს ნეიტრალური და სამხედრო თვალსაზრისით მიუმხრობელი სახელმწიფო, რაც, ჩვენი აზრით, დღევანდელ რეალობაში ყველაზე ოპტიმალური გამოსავალია.

***საკვანძო სიტყვები:*** *დაბალანსების პოლიტიკა, საგარეო ურთიერთობები, ბუფერული სახელმწიფო, გეოპოლიტიკა, ნეიტრალიტეტი, სამხედრო მიუმხრობლობა.*

დაბალანსების სიტყვის ფუძე „ბალანსი" – ფრანგული სიტყვაა Balance – შემოსავალ-გასავლის შეფარდებით ჯამს ნიშნავს ანუ ფინანსური ტერმინია, ხოლო სიტყვა „ბალანსირება" – წონასწორობის დაცვას ნიშნავს [1. 69].

საინტერესოა აგრეთვე, ბალანსთან დაკავშირებული სიტყვა „ბალანსირის" (Balancier – ფრანგ.) სამნაირი განმარტება: 1. გრძელი ჭოკი, რომლითაც თოკზე მოსიარულე ჯამბაზი იცავს წონასწორობას; 2. ჯიბის საათის მექანიზმის მთავარი რეგულატორი (ქანქარას შემცვლელი); 3. ერთგვარი ბერკეტი სხვადასხვა მანქანაში (ტექნიკური ტერმინი).

თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკასა და საგარეო ურთიერთობებში სიტყვა „დაბალანსება" ძალზე ხშირად იხმარება. ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი, პროფესორი სტივენ მარტინ უოლტი (1955 წ.), საერთაშორისო ურთიერთობების რეალისტური სკოლის წარმომადგენელი, თავდაცვითი ნეორეალიზმის თეორიის ერთ-ერთი ავტორი, საფრთხის ბალანსის თეორიის ავტორი თვლის, რომ სერიოზული საგარეო საფრთხის წინაშე მდგომი სახელმწიფოები მიმართავენ დაბალანსების ან მიტმასნების პოლიტიკას [2. 131].

ახალი ტერმინი „მიტმასნება" ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ასეა წარმოდგენილი: მიტმასნა - სახელი მიეტმასნება ზმნის მოქმედებისა; მიტმასნილი-მიკრული, აკრული, მიკედლებული [3. 442], ხოლო თვითონ სიტყვა „მიკედლება" შემდეგნაირად არის განმარტებული: თავშესაფრის მიცემა, შეფარება, ასევე მიმხრობასაც ნიშნავს [3. 368].

მაშასადამე, ქართული ენა სრულად და ზედმიწევნით გასაგებად გადმოსცემს სახელმწიფოთა საგარეო ურთიერთობების და პოლიტიკურ ქმედებათა ნიუანსებს. დაბალანსებისას სახელმწიფო, შექმნილი ან მოსალოდნელი საფრთხიდან გამომდინარე, სხვა სახელმწიფოებთან კავშირს ქმნის (ამყარებს), ხოლო სტივენ უოლტის განმარტების თანახმად მიტმასნება საფრთხის წყაროსთან კავშირის შექმნას გულისხმობს [2. 131], რაც, ჩვენს შემთხვევაში, საქართველოს რუსეთთან მიტმასნებას ანუ მიკედლებას გულისხმობს და, თავისთავად, მრავალ კითხვის ნიშანს აჩენს...

სტივენ უოლტის თეორიის მიხედვით, საჭიროა, ქვეყნისთვის მთავარი გარე საფრთხის იდენტიფიკაცია, რომლის შედეგადაც სახელმწიფო ირჩევს თავდაცვის სტრატეგიას. ამ დროს შესაძლებელია და აუცილებელიც დაისვას ორი განსხვავებული ჰიპოთეზა: ვთქვათ H1 და H2.

H1 ჰიპოთეზის მიღების შემთხვევაში სახელმწიფო გარე საფრთხის წინააღმდეგ (თუნდაც პრევენციისთვის) კავშირს ამყარებს სხვა სახელმწიფოებთან და დაბალანსების შემთხვევასთან გვაქვს საქმე, ხოლო H2 ჰიპოთეზის შემთხვევაში ქვეყანა საფრთხის წყაროსთან ქმნის კავშირს და მიტმასნების შემთხვევასთან გვაქვს საქმე. ჰიპოთეზათა ეს წყვილი მსოფლიოს სამყაროს ერთმანეთისგან ძალზე განსხვავებულ ორ სურათს ხატავს. უნდა აღინიშნოს, რომ დაბა-

ლანსების შესახებ ჰიპოთეზები მიტმასნების შესახებ ჰიპოთეზების საპირისპიროა.

ამასთან, ხაზგასასმელია, რომ ქვეყნების საგარეო ურთიერთობათა პრაქტიკაში დაბალანსება უფრო ხშირია, ვიდრე მიტმასნება. სტივენ უოლტის შეხედულებით თუ მიტმასნებაზე უფრო ხშირად ხდება დაბალანსება, მაშინ ქვეყნები უფრო უსაფრთხოდ და მშვიდად გრძნობენ თავს, რადგან გარე აგრესორი დაბალანსებით შეკავშირებულ სახელმწიფოთა ერთობლივ წინააღმდეგობას შეეჯახება. თუკი მიღებული და უპირატესია მიტმასნება, მაშინ ითვლება, რომ საქმე გვაქვს უსაფრთხოების დეფიციტთან, რადგან აგრესორი სახელმწიფო მიტმასნილი ქვეყნებით, როგორც მიზიდული მეკავშირეებით უფრო გაძლიერდება და კიდევ უფრო საშიში გახდება.

ბალანსის პოლიტიკის ტრადიციული თეორია ემყარება, იმ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, ქვეყნები კავშირებს ქმნიან იმ მიზნით, რომ არ დაუშვან მათზე უფრო ძლიერი სახელმწიფოს ბატონობა. აქედან გამომდინარე, სტივენ უოლტის თვალსაზრისით, სახელმწიფოები ალიანსებს უერთდებიან იმ მიზნით, რომ თავი დაიცვან ისეთი სახელმწიფოების თუ კოალიციებისაგან, რომლებიც მეტ რესურსს (სამხედრო, ეკონომიკური, გეოსტრატეგიული და სხვ.) ფლობენ და დიდია ალბათობა იმისა, რომ მათ საფრთხე შეუქმნან.

სტივენ უოლტი სახელმწიფოებს დაბალანსების ორი უმთავრესი მიზეზის გამო განარჩევს: პირველი, საფრთხე დაემუქრება მათ არსებობას თუკი ისინი პოტენციური ჰეგემონისთვის ვერ მოახერხებენ ლაგამის ამოდებას ანუ გაბატონებულ და ძლიერ სახელმწიფოსთან კავშირში შესვლაც სარისკოა და გულისხმობს რწმენას, რომ ამ მძლავრი სახელმწიფოს ზრახვები მომავალშიც კეთილი და მშვიდობიანი იქნება და არ იქცევა ახალ ბატონად. მაშასადამე, დაბალანსების უფრო უსაფრთხო სტრატეგიაა იმ სახელმწიფოებთან ალიანსის შექმნა, რომლებსაც თავის ახალ მოკავშირეებზე ადვილად გაბატონება არ შეუძლიათ. მეორე ტიპის სახელმწიფოა, როცა უფრო სუსტ მხარესთან ძლიერის გაერთიანება ამ ალიანსის გავლენას ზრდის, რადგანაც უფრო სუსტი მოკავშირე ქვეყანა საჭიროებს უფრო მეტ ქმედით დახმარებას. ძლიერ მხარესთან ალიანსის შექმნის შემთხვევაში კი, ახალი მოკავშირის გავლენა მცირეა, სტივენ უოლტი ასკვნის, რომ უფრო სუსტ მხარესთან (სახელმწიფოსთან) კავშირი უნდა იყოს უფრო სასურველი [2. 132].

როგორც საგარეო ურთიერთობათა პრაქტიკა გვიჩვენებს, ქვეყნები ერთიანდებიან იმ სახელმწიფოს თუ კოალიციის წინააღმდეგ, რომლიდანაც საშიშროება ემუქრებათ. მაგრამ როგორც გასული საუკუნის ცნობილი ექსპერტი სკოტ ტომპსონი ბრძანებდა „საერთაშორისო პოლიტიკაში არაფერია ისეთი წარმატებული, როგორც თვით წარმატება. გამარჯვებული ძალის წინსვლას ინერცია აჩქარებს. მისი წარმატებების შეუქცევადობის განცდა ერთ მხარეს კიდევ უფრო ასუსტებს, ხოლო მეორეს უფრო დიდ სტიმულს აძლევს. პერიფერიული მოთამაშეები გამარჯვებულის მხარეს იჭერენ [4].

უნდა ითქვას, რომ მიტმასნების ჰიპოთეზა, სტივენ უოლტის შეხედულებით, იმ სახელმწიფო მოხელეთა მხარდაჭერას პოულობს, რომლებიც საზღვარგარეთ მიმდინარე კონფლიქტებში ჩაბმის ანდა სამხედრო ბიუჯეტის გაზრდას უჭერენ მხარს. ამასთან მიტმასნების თემა მუდმივად განიხილებოდა აშშ-სსრკ დაძაბული ურთიერთობის, ე.წ. „ცივი ომის“ პერიოდში. მიტმასნების იდეები ამერიკელ ლიდერებში საკმაო პოპულარობით სარგებლობდა დაწყებული გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან.

სტივენ უოლტი დაბალანსებას და მიტმასნებას ჩვეულებრივ მხოლოდ შესაძლებლობების კუთხით განიხილავს. ამასთან, დაბალანსება უფრო სუსტ მხარესთან კავ-

შირია, ხოლო მიტმასნება კი უფრო ძლიერთან. თუმცა აღნიშნული კონცეფცია საჭიროებს გადახედვას, ასკვნის სტივენ უოლტი. ამ თეორიის თანახმად, აპრიორულად შეუძლებელია იმის დადგენა თუ მუქარა-საშიშროების რომელი წყარო იქნება ყველაზე მნიშვნელოვანი მოცემულ კონკრეტულ ვითარებაში. დაბალანსებისა და მიტმასნების ჰიპოთეზებს, როგორც ამ თეორიიდან ჩანს, ფაქტიურად, არ გააჩნიათ თანმკვეთი სიმრავლეები და, როგორც აღვნიშნეთ, საერთაშორისო პოლიტიკის ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებულ სურათს წარმოგვიჩენენ. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია იმის დადგენა თუ რომელი ჰიპოთეზაა უფრო სწორი, რაც მათი აზრობრივი სიშორის გამო საკმაოდ ძნელია (რთულია). მაშასადამე, ამ სირთულის დასაძლევად საჭიროა შესაბამისი კრიტერიუმის მოძებნა, რომელიც საშუალებას მოგვცემს ნაკლები რისკით მივიღოთ თუ ავირჩიოთ ჩვენთვის სასურველი ჰიპოთეზა. მსგავსი სიტუაციების დროს მათემატიკურ მოდელირებაში იყენებენ ბაიესის, მინი-მაქსის ნეიმან-პირსონის და სხვა კრიტერიუმებს და ე.წ. „ნდობის ინტერვალებს“, ასევე, თამაშთა თეორიას [5. 11-38]; [6. 383-415].

სტივენ უოლტის მსჯელობით თუ დაბალანსების სტრატეგიას და, შესაბამისად, H1 ჰიპოთეზას ავირჩევთ მართებულად, მაშინ საფრთხის შემქმნელი სახელმწიფოები სხვა ქვეყნებს მათ წინააღმდეგ ალიანსის ფორმირებისაკენ აძლევენ ბიძგს. ამასთან, დაბალანსების შემთხვევაში, ქვეყნებს შორის ნდობა ნაკლებად მნიშვნელოვანია, რადგანაც ალიანსის წევრი სახელმწიფოები აგრესიულ სახელმწიფოებს საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე უწევენ წინააღმდეგობას.

აღსანიშნავია თუ დაბალანსება ნორმაა, მაშინ ალიანსში შემავალ სახელმწიფოთა განდგომის შიშის ალბათობა ამ დროს ნაკლებია. საუკეთესო და მისაღები პოლიტიკა დაბალანსების სამყაროში არის ის პოლიტიკური გეზი, რომელიც ქვეყნებს შორის თავშეკავებასა და კეთილგანწყობას გამოხატავს ანუ ამ შემთხვევაში ყველაზე რაციონალურად ითვლება ისეთი საგარეო პოლიტიკა, რომელიც სხვებს მინიმალურ საფრთხეს შეუქმნის.

H2 ჰიპოთეზის მართებულად მიღების შემთხვევაში, მიტმასნების სამყარო, სტივენ უოლტის აზრით, ბევრად უფრო კონკურენტულია. ამ დროს დიდი სახელმწიფოები სარგებელს მიიღებენ თუ სხვა (პატარა, სუსტი) სახელმწიფოები ალიანსის შექმნას ცდილობენ ყველაზე საშიშ და სახიფათო ძალასთან. ს. უოლტი აღნიშნავს, რომ ამ დროს უფრო ინტენსიურ ხასიათს იღებს საერთაშორისო მეტოქეობა, რამეთუ ერთი მარცხიც კი საბედისწერო შეიძლება აღმოჩნდეს ერთი მხარის დაკნინებისათვის და მეორე მხარის - მისი მეტოქის, აღზევებისთვის [2.134].

ხაზგასასმელია, რომ ავტორი აღნიშნავს: მიტმასნების შემთხვევაში დიდია ძალისმიერი მეთოდების გამოყენების ალბათობა. თავის დროზე მიტმასნების პოლიტიკა, რომ საკმაოდ პოპულარული იყო აშშ-ის ლიდერებს შორის, ამის დასტურად გამოდგება ამერიკის პრეზიდენტის რონალდ რეიგანის პათოსით ნათქვამი შემდეგი ფრაზები: „...თუ ცენტრალური ამერიკა დაეცემა, რა შედეგი მოჰყვება ამას ჩვენი პოზიციისთვის აზიასა და ევროპაში და ისეთი ალიანსებისათვის, როგორიცაა ნატო... რომელი მოკავშირე, რომელი მეგობარი გვენდობა ჩვენ ამის შემდეგ?“ [7. 12].

ნიშანდობლივია, რომ ძალისმიერი მეთოდების გამოყენება, როგორც აგრესიული, ისე სტატუს-კვოს მქონე სახელმწიფოებისთვისაც, ხშირ შემთხვევაში, მისაღებია საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე.

სტივენ უოლტის შეჯამებით (რომელიც ეხება დაბალანსებისა და მიტმასნების პოლიტიკის შერჩევის შესახებ ჰიპოთეზათა არჩევას) დაბალანსების ან მიტმასნებისკენ

მიდრეკილებისკენ მიმართული მცდარი (არასწორი) დასკვნები, შესაძლებელია, ძალზე სახიფათო იყოს, რადგან საგარეო პოლიტიკამ, რომელიც ერთი სიტუაციისათვის გამოსადეგია, მეორე ტიპის ვითარებაში შეიძლება ფატალური შედეგი გამოიღოს [2. 134].

აქვე აღსანიშნავია, რომ ასეთი ვითარება ანალოგიურია საერთაშორისო პოლიტიკის ცნობილი ექსპერტის რობერტ ჯერვისის მიერ შემოთავაზებულ ე.წ. შეკავების მოდელსა და სპირალურ მოდელს შორის გაკეთებული განსხვავებისა. ამასთან, შეკავების მოდელი შესაძლო აგრესორისთვის წინააღმდეგობის გაწევას მოგვიწოდებს, მეორე მოდელი კი დაშოშმინებას ქადაგებს. ხაზგასასმელია, რომ დაბალანსება და მიტმასნება შეკავებისა და დაშოშმინების ალიანსური ექვივალენტებია [8. 3].

სტივენ უოლტი თავის თეორიაში აანალიზებს იმ მომენტებს თუ სახელმწიფოები როდის ირჩევენ დაბალანსების პოლიტიკას და როდის მიტმასნების პოლიტიკას, თუ როგორ იცვლება არჩევის ალბათობა სახელმწიფოებზე საფრთხეთა წყაროების სიდიდის მიხედვით. ს. უოლტის შეხედულებით, დაბალანსების შემთხვევები ზოგადად უფრო ხშირი უნდა იყოს საგარეო ურთიერთობებისას, ვიდრე მიტმასნება. ამასთან, მიტმასნება ხდება უფრო კონკრეტულ გარემოებებში, რომელთა იდენტიფიკაცია შესაძლებელია.

ავტორს მოჰყავს მაგალითები საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიიდან თუ როგორ იცვლება სახელმწიფოთა დაბალანსების პოლიტიკა მიტმასნების პოლიტიკით და როგორ გადადის ერთმანეთში ზოგჯერ მათი მახასიათებლები. სტივენ უოლტის მსჯელობით, დაბალანსება უფრო მოსალოდნელია, თუმცა ვერ გამოვრიცხავთ მიტმასნების შესაძლებლობას, იმისდა მიხედვით თუ სახელმწიფოებზე რა საგარეო ფაქტორები ახდენენ ზეგავლენას.

როგორც წესი, სუსტი სახელმწიფოები მიმართავენ დიდი ალბათობით მიტმასნების პოლიტიკას და არა დაბალანსებას. ზოგადად სუსტი სახელმწიფოები ძალზე მგრძნობიარენი არიან ახლომდებარე ძალის მიმართ [2. 135], რამეთუ დიდ სახელმწიფოებს გააჩნიათ დიდი ინტერესები და მოქმედების გლობალური მასშტაბები, სუსტი სახელმწიფოები დაბალანსების პოლიტიკას იმ შემთხვევაში მიმართავენ, როცა აგრესიული სახელმწიფოს ძალა დაახლოებით მათი ტოლფარდია.

როცა მოკავშირე სახელმწიფო უბრალოდ არ არსებობს, მაშინ მიტმასნების პოლიტიკის არჩევა ქვეყნისთვის უფრო მიმზიდველი ჩანს. ამასთან, სახელმწიფოებს შეუძლიათ საკუთარ რესურსებზე დაყრდნობის გზით დაბალანსების გზა აირჩიონ, ნაცვლად მოკავშირეთა მხარდაჭერაზე დაყრდნობისა. ს. უოლტი ხაზს უსვამს, რომ მხარეთა შორის დიპლომატიური კომუნიკაციის ეფექტიანი სისტემის არსებობა დაბალანსების პოლიტიკის წარმატების წინაპირობაა, თუმცა ამ დროს პატარა და სუსტი სახელმწიფოები გარეშე ძალებისაგან რეალური დახმარების მიღების შესაძლებლობას ვერ ხედავენ და ამ დროს ისინი რეალური საფრთხისაგან გამომდინარე მოქმედებენ, აქვე საყურადღებოა, რომ სუსტი სახელმწიფოების რწმენა, რომ დიდი მოკავშირე სახელმწიფო მას მუდმივად დაეხმარება, პატარა სახელმწიფოებს ე.წ. „პარაზიტობისკენ" უბიძგებს [2. 136].

ზემოთ მოყვანილი ფაქტორებიდან გამომდინარე, პატარა და სუსტი სახელმწიფოები უფრო ძლიერ მეზობელთან მიტმასნების პოლიტიკას ირჩევენ.

სტივენ უოლტი საბოლოოდ ასკვნის, რომ ქვეყნების დაბალანსების თუ მიტმასნების პოლიტიკის არჩევის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე ის კონკრეტული სიტუაცია ახდენს გავლენას, რომელშიც აღნიშნული არჩევანი კეთდება, ზოგადად და-

ბალანსების ჰიპოთეზის მიღების ალბათობა უფრო დიდია მშვიდობიან დროს ან ომის დაწყების წინა ეტაპზე. თუმცა, ასევე, კონკრეტული პერიპეტიებიდან გამომდინარე, სახელმწიფოები ადვილად ტოვებენ ყოფილ მოკავშირეებს და მოწინააღმდეგის მხარეს გადადიან (მიეტმასნებიან) თუ ომის ბედის ჩარხი მათ საპირისპიროდ შეიცვალა. ამის უამრავი მაგალითი არსებობს ომებისა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიიდან. ასევე, ნიშანდობლივია, რომ დაბალანსების სტიმულიც აღდგება ხოლმე სწორედ მშვიდობის დამყარების შემდეგ. ამგვარად, საერთაშორისო პოლიტიკაში დაბალანსება გაბატონებული ტენდენციაა, ხოლო მიტმასნება - ოპორტუნისტული გამონაკლისი - ასკვნის ს. უოლტი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ დაბალანსება და მიტმასნება პირობითია და კონკრეტული სიტუაციებიდან გამომდინარე ენაცვლებიან ერთმანეთს. ჩვენი ქვეყნის საგარეო ურთიერთობებში გამოყენებულ უნდა იქნას დაბალანსების პოლიტიკა ძალთა ცენტრებს შორის. საქართველოს არ გამოადგება მიტმასნება არც რუსეთთან, არც თურქეთთან და არც დასავლეთთან. სახელმწიფო, რომელიც მონაწილეობს რომელიმე ძალთა ცენტრის მხარეს უფრო ადვილად იქნება ჩათრეული კონფლიქტში, იმ სახელმწიფოსგან განსხვავებით, რომელიც იყენებს საგარეო დაბალანსების პოლიტიკას ძალთა ცენტრებს (ორი ან მეტი) შორის. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის ფაქტიურად დაბალანსების პოლიტიკა ნეიტრალიტეტის დაკავებას უთანაბრდება, რაც საქართველოსთვის დღეს-დღეისობით ყველაზე მისაღები უნდა იყოს ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე.

საქართველოს სახელმწიფოს გეოპოლიტიკური მომავალი დიდად არის დამოკიდებული მის საგარეო ურთიერთობების ვექტორთა გეზზე. ქვეყნის საშინაო პოლიტიკისაგან განსხვავებით, საგარეო პოლიტიკა ისეთ საასპარეზო არეალში მიმდინარეობს, სადაც ცალსახად მთავარი მმართველი ორგანო არ არსებობს. სახელმწიფოს უსაფრთხოება და მშვიდობა კი სწორედ საგარეო პოლიტიკის სწორად წარმართვის აქსიომატური შედეგია.

სამხრეთ კავკასიის რეგიონი თავისი გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული მდებარეობიდან და დანიშნულებიდან გამომდინარე მსოფლიოს ქვეყნების საგარეო ურთიერთობების ერთ-ერთ ყველაზე „ცხელ წერტილად" ითვლება, ასე იყო ისტორიულადაც...

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო ისტორიულადაც, როგორც ამჟამად, ხშირად ასრულებდა ბუფერული სახელმწიფოს როლს. ცნობილი ამერიკელი მეცნიერი პიტმან პოტერი სოციალურ მეცნიერებათა ენციკლოპედიაში ბუფერულ სახელმწიფოს არსს ასე განმარტავს: „ტერმინი - „ბუფერული სახელმწიფო" ხშირად იხმარება სუსტი, ზომით პატარა, დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის არმქონე სახელმწიფოს დასახასიათებლად, რომელიც ორ ან მეტ ძლიერ სახელმწიფოს შორის მდებარეობს და, ამრიგად, საერთაშორისო აგრესიას აბრკოლებს" [9. 45].

სამხრეთ კავკასიის რეგიონზე კი, როგორც ე.წ. ბუფერულ ზონაზე ყველაზე უპრიანია საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებლის მარტინ უაიტის განსაზღვრება, რომლის თანახმადაც „ბუფერული ზონა ორ ან მეტ ძლიერ ძალას (სახელმწიფოს) შორის მდებარე რეგიონია, რომელიც ერთ ან მეტ უფრო სუსტ ძალას (სახელმწიფოს) უკავია. მას ზოგჯერ „ძალის ვაკუუმსაც" უწოდებენ" [10. 160].

ცნობილი ნორვეგიელი საგარეო ურთიერთობათა ექსპერტის ტრიგვე მატისენის თანახმად, „ბუფერული სახელმწიფო განიმარტება, როგორც პატარა, დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელიც ორ უფრო დიდ, ძირითადად მეტოქე სახელმწიფოებს შორის მდებარეობს. ის ბუნებრივად შეიძლება წარ-

მოვიდგინოთ პოლიტიკურ დამცავ საშუალებად, რომელიც ძლიერი მეზობლების ურთიერთშეტაკების საფრთხეს ამცირებს“ [11. 107].

მისივე აზრით, ბუფერული სახელმწიფო შეიძლება მდებარეობდეს მეტოქე ბლოკებს ან კოალიციებს შორის. ასევე ნორვეგიელი, გამოჩენილი მეცნიერის ოლავ კნუდსენის შეფასებით „ტერიტორია შეიძლება ჩაითვალოს პოტენციურ ბუფერულ არეალად თუ მას აკონტროლებს ერთი ან მეტი პატარა სახელმწიფო, რომელიც ორ მოწინააღმდეგე - გაცილებით დიდ ძალას შორის მდებარეობს“ [12. 90] და სხვ.

ბუფერულ სახელმწიფოთა არსზე უცხოელ ექსპერტთა განმარტებებზე დაყრდნობით საუბრობენ და იკვლევენ ქართველი მეცნიერები და საგარეო ურთიერთობათა ექსპერტები ა. რონდელი [13], ასევე თ. თურმანიძე თავის სადოქტორო ნაშრომში „ბუფერული სახელმწიფოები“ და თ. ნოზაძე თავის სამაგისტრო ნაშრომში „სამხრეთ კავკასიის ქვეყნები, როგორც ბუფერული სახელმწიფოები და მათი საგარეო პოლიტიკის თავისებურებები“ და სხვ. [13. 164]; [14. 170]; [15].

ბუფერულ სახელმწიფოთა შესახებ არსებობს სხვა განსაზღვრებებიც, თუმცა აღნიშნული განმარტებები ერთმანეთისაგან მთავარი არსით არ განსხვავდება. ამ განმარტებებიდან და ბუფერული სახელმწიფოს ცნებიდან გამომდინარე, საქართველო შეიძლება ჩაითვალოს ბუფერულ სახელმწიფოდ რუსეთსა და თურქეთს შორის საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 1991 წლიდან. თვითონ რუსი საგარეო ურთიერთობის მკვლევარებიც და ექსპერტებიც  მიიჩნევენ, რომ თურქეთის განსაკუთრებული ინტერესი საქართველოსადმი გამოწვეულია იმით, რომ ანკარაში ქართული სახელმწიფოს ტერიტორიას განიხილავენ, როგორც ბეფერულ ზონას თურქეთსა და რუსეთს შორის  [16. 56].

ჩვენი აზრით, ისეთი ბუფერული ტიპის სახელმწიფოსათვის, როგორიც საქართველოა ყველაზე მისაღები არის ნეიტრალიტეტი და სწორი დაბალანსების პოლიტიკა, როგორც საქართველოს სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების მნიშვნელოვანი ფაქტორი. ამ მხრივ საყურადღებოა ცნობილი ქართველი საგარეო ურთიერთობათა ექსპერტის ალექსანდრე რონდელის მოსაზრება, რომ „ბუფერული სახელმწიფო, საბოლოო ჯამში, ორი ან მეტი ძლიერი სახელმწიფოს სურვილით მათ შორის შექმნილ სტაბილურ ნეიტრალურ ზონას წარმოადგენს..., რომლის უპირველესი ფუნქციაა დაპირისპირებულთა გამიჯვნა და კონფლიქტის შესაძლებლობის მინიმუმამდე დაყვანა“ [13. 169-170].

საერთაშორისო ურთიერთობების ცნობილი პროფესორი, იელის უნივერსიტეტის დირექტორი ნიკოლას ჯონ სპაიკმენი ბუფერულ სახელმწიფოთა აუცილებელ მახასიათებლად სწორედ ნეიტრალურობას მიიჩნევს [17. 440].

ამავე აზრს იზიარებს ჯონ ჩეიც (კორეის მაგალითზე), რომლის თქმითაც, დიდ ურთიერთმოწინააღმდეგე სახელმწიფოთა შორის პატარა სახელმწიფომ ნამდვილი ბუფერის როლი რომ ითამაშოს, ის უნდა იყოს ნეიტრალური და დამოუკიდებელი [18. 194].

საგარეო ურთიერთობათა ასევე ცნობილი ექსპერტი მარტინ უაიტი ბუფერულ სახელმწიფოთა შემდეგ დიფერენციაციას გვთავაზობს: კერძოდ, მისი მოსაზრებით, „ბუფერები პირობითად შეიძლება დავყოთ: ტრიმერებად, ნეიტრალებად და სატელიტებად. ტრიმერები არიან სახელმწიფოები, რომელთა პოლიტიკის მთავარი მიზანია ძლიერი მეზობლების ურთიერთდაპირისპირებიდან სარგებლის მიღება (ქანქარის პრინციპი - ხან ერთი სახელმწიფოს, ხან მეორის მხარეზე ყოფნით). ნეიტრალები არიან სახელმწიფოები, რომლებსაც აქტიური საგარეო პო-

ლიტიკა არ გააჩნიათ. ისინი არჩევენ ჩუმად ყოფნას და ამ გზით იმედოვნებენ შეუმჩნევლად დარჩენას. სატილიტები კი ის სახელმწიფოები არიან, რომელთა საგარეო პოლიტიკას აკონტროლებს სხვა სახელმწიფო [10. 160].

საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა ცხადყოფს, რომ ქვეყანა ბუფერის როლს ასრულებს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. ბუფერული სახელმწიფო არის პატარა, სუსტი, ნეიტრალური ქვეყანა, რომელიც მასზე უფრო დიდ და ძლიერ, ერთმანეთის მოწინააღმდეგე სახელმწიფოებს ან სამხედრო ალიანსებს შორის მდებარეობს და მათ შორის ომის გაჩაღებას უშლის ხელს, ხოლო ბუფერული ზონა არის ტერიტორია ერთი ან რამდენიმე ბუფერული სახელმწიფოსგან შემდგარი არეალი, რომელიც, ანალოგიურად, ორ ან მეტ მეტოქე ძალას ერთმანეთისგან მიჯნავს და მათ შორის კონფლიქტის შეკავებას ემსახურება [19. 483].

ხშირად ბუფერს მოწინააღმდეგე დიდ/ძლიერ სახელმწიფოებს შორის განლაგებულ ისეთ პატარა/სუსტ სახელმწიფოსაც უწოდებენ ხოლმე, რომელიც ერთ-ერთ ძლიერ მეზობელთან ალიანსში, ანუ სამხედრო კავშირშია შესული, მაგრამ ამგვარი მიდგომა არასწორია, რადგან ძლიერი სახელმწიფოთა დაპირისპირებაში ნეიტრალური პოზიციის დაკავება ბუფერული პოლიტიკური ერთეულის აუცილებელი თვისებაა. ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფოს მოკავშირე ან სატელიტი (გავლენის ქვეშ მყოფი) სუსტი ქვეყანა კი ბუფერისთვის აუცილებელ ამ კრიტერიუმს ვერ აკმაყოფილებს. ამიტომ ასეთ სახელმწიფოს პირობითად კვაზიბუფერი, ანუ ნახევრად ბუფერი შეიძლება ვუწოდოთ. საქართველოს გეოგრაფიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, მის ტერიტორიაზე რომელიმე ქვეყნის სამხედრო ბაზის განლაგება საფრთხეს უქმნის მეზობელი ქვეყნის უსაფრთხოებას. დღევანდელი ომი უკრაინაში სხვა რიგ ფაქტორებთან ერთად განაპირობა ნატოს ალიანსის გავლენის გაძლიერებამ. 2008 წელს დასავლეთზე ორიენტირებული საქართველოს მიმართ რუსეთის მხრიდან განხორციელებული სამხედრო აგრესიის მიზეზი გახლდათ ძალის დემონსტრირება და დასავლეთის გავლენების დასუსტება რეგიონში. როგორც რუსეთი არ დაუშვებს რომ საქართველო და უკრაინა გახდეს ნატოს ალიანსის წევრი, ვინაიდან ეს მისი სამხედრო დოქტრინიდან გამომდინარე საფრთხეს უქმნის რუსეთის თავდაცვით პოტენციალს. ასევე კოლექტიური დასავლეთი არ დაუშვებს, რომ საქართველო და უკრაინა გახდეს ОДКБ-ს წევრი. ამ ეტაპზე რომელიმე სამხედრო ალიანსში საქართველოს გაწევრიანება გამოიწვევს საპირისპირო ბანაკიდან სამხედრო ჩარევას, რაც იმპერიებს შორის საქართველოს ტერიტორიაზე ფართომასშტაბიან ომს გააჩაღებს.

უკრაინის შემხედვარე მხოლოდ მტერს შეიძლება უნდოდეს აქციოს საქართველო საბრძოლო პოლიგონად. ქვეყნის მმართველი ძალების ამოცანა არის შეინარჩუნოს სამხედრო მიუმხრობლობა და პოლიტიკურად დიპლომატიური გზებით იბრძოლოს ქვეყნის ნეიტრალიტეტის მოპოვებისთვის.

სამწუხაროდ, დღეს საქართველო პრორუსულ და პროდასავლურ ბანაკად არის გაყოფილი. საზოგადოების ასეთი დამოკიდებულება დამატებით საფრთხეს უქმნის ქვეყნის სუვერენიტეტს, ვინაიდან რომელიმე სამხედრო ან პოლიტიკურ-ეკონომიკურ კავშირში გაერთიანება ნიშნავს იმ კავშირის წესების შესრულებას, რაც შეიძლება ქვეყნის ინტერესებში არ შედიოდეს, და გამოდის რომ ქვეყნის დამოუკიდებლობა ნაწილობრივ კავშირის მოთხოვნებზე ხდება დამოკიდებული. ამ საფრთხეების გათვალისწინებით, საქართველო უნდა იყენებდეს დაბალანსების პოლიტიკას და გახდეს ნეიტრალური და სამხედრო თვალსაზრისით მიუმხრობელი სახელმწიფო, რაც, ჩვენი აზ-

რით, დღევანდელ რეალობაში ყველაზე ოპტიმალური გამოსავალია.

ამდენად, სამხრეთ კავკასიის რეგიონისათვის და, კონკრეტულად, საქართველოსთვის ყველაზე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ნეიტრელიტეტი ანუ ნეიტრალური სახელმწიფოს სტატუსის მოპოვება, ასევე სამხედრო მიუმხრობლობა, ბუნებრივია, გულისხმობს დაბალანსების პოლიტიკის სწორად წარმართვის აუცილებლობას საგარეო ურთიერთობებში.

**GIORGI LOMIA**

**NECESSITY OF BALANCING POLICY IN THE CASE OF BEING A BUFFER STATE**

Summary

After the collapse of the Soviet Union, the post-Soviet countries, which were previously united around Russia, got a historic chance for political independence. Their leadership gained full power for the construction of their own state, for the sovereign development of both domestic and foreign policy. One of the main internal tasks of these countries (still relevant today) was the search for national identity, which should have united the population around the idea of independence. When these countries took the road to open market economy and democracy, another challenge to create a stable sovereign state was the search for ways of efficient socio-economic development.

The need for self-identification in foreign policy raised the issue of regional positioning - and, like other post-Soviet countries, Georgia stood between the economically strong and growing political influence of Russia (the legal successor of the Soviet Union) and other regional centers (the USA, the European Union, Turkey, China...), which also tried to gain a foothold and establish their own place in the region. In such a situation, the elements of instability, opportunism and lack of strategic planning appeared more and more in the regional politics of the post-Soviet countries. Therefore, these countries still have to make a choice between the policies of balancing and accession.

We believe that balancing and accession are conditional and replace each other depending on the specific situation. In the foreign relations of our country, there should be used the policy of balancing between the power centers. It will not benefit Georgia to side with Russia, Turkey or the West. A state that participates on the side of one or another power center will be drawn into a conflict more easily, unlike a state that uses a foreign policy of balancing between the power centers (two or more). Hence, for us, the policy of balancing is actually equal to maintaining neutrality, which, based on our historical experience, should be the most acceptable for Georgia today.

Unfortunately, today Georgia is divided into pro-Russian and pro-Western camps. Such an attitude of society poses an additional threat to the sovereignty of the country, since joining any military or political-economic union means following the rules of that union, which may not correspondent to the interests of the country, and it turns out that the country's independence becomes partially dependent on the demands of that union. Considering these threats, Georgia should use the balancing policy and become a neutral and militarily non-aligned state, which, in our opinion, is the most optimal solution in today's reality.

***Key words:*** *balancing policy, foreign relations, buffer state, geopolitics, neutrality, military neutrality.*

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“, შემდგ. მ. ჭაბაშვილი, თბ., 1989.
2. უოლტი ს., „ალიანსები: დაბალანსება და მიტმასნება“, კრებ.: „საერთაშორისო პოლიტიკა (მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები“, თბ., 2011.
3. „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონი,“ ტ. V. თბ.1958წ. გვ.442. არნ. ჩიქობავას რედ.
4. Scott Thompson W., „The Communist International Sistem“, Orbis 20, no.4, 1977.
5. Леман Э., „Проверка статистических гипотез“, М., 1964.
6. ზელთაძე გ., „თამაშთა თეორია. ურთიერთობათა და წონასწორობის თამაშთა თეორია“, თბ., 2016.
7. New York Times, April 28,1983,გვ.A 12
8. Jervis R., „Perception and Misperception in International Politics“, (Princeton, N.J.), 1976.
9. Pitman Potter,”Buffer State,” Encyclopedia of Social Sciences,No.3-4,1930
10. Wight M., „Power Politics“ (ed. Hedley Bull and Carsten Holbraad), Leicester University Press, Royal Institute of International Affairs, London, 1995.
11. Mathisen T., „The Functions of Small States in the Strategies of the Great Powers“, Universitets-vorlaget, Oslo, 1971.
12. Knudsen O., „Eastern Europe: The Buffer Effect of a Cordon Sanitaire“, in Buffer States in World Politics, ed.John Chay and Thomas Ross,Westview Press, Boulder, 1986.
13. რონდელი ა., „პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში,“თბ., 2009.
14. თურმანიძე თ., „ბუფერული სახელმწიფოები“, თბ., 2010.
15. ნოზაძე თ., „სამხრეთ კავკასიის ქვეყნები,როგორც ბუფერული სახელმწიფოები და მათი საგარეო პოლიტიკის თავისებურებები“, (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ხელ. პროფ. თამარ კიკნაძე), თბ., 2018.
16. Алексанян Л.М., „Грузия во внешней политике Турции на современном этапе“. დისერტაცია პოლიტიკურ მეცნიერებათა კანდიდატის მოსაპოვებლად, მოსკოვი, 2019.
17. Spykman N., „Frontiers, Security and International Organization“, Geographical Review,Vol 32, No. 3, 1942.
18. Chay J., „Korea, a Buffer State“, in Buffer State in World Politics, ed.John Chay and Thomas Ross Westview Press, Boulder, 1986.
19. მოხელის სამაგიდო ლექსიკონი, თბ., 2004.

✍ რაულ ქირია
*წარმოადგინა პროფ. **ჯემალ გახოკიძემ***

# საქართველოსა და უკრაინის ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივები

სტატიაში საუბარია საქართველოსა და უკრაინის ურთიერთობებში ეტაპობრივად წარმოქმნილი კრიზისების შესახებ. გამოკვეთილია კონკრეტული მიზეზები, რომელიც კვლევის შედეგების ანალიზმა აჩვენა.

საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე საქართველოსა და უკრაინას შორის ურთიერთობაში პოზიტივი იმთავითვე გამოიკვეთა მიუხედავად იმისა, რომ ორ ქვეყანას არც საერთო სახმელეთო საზღვარი აქვს და იმ დროისათვის, მათი გამაერთიანებელი მხოლოდ საბჭოთა კავშირი იყო. პოზიტიური ურთიერთობის მიზიდულობის უმთავრესი მიზეზი რუსეთისგან დამოუკიდებლად ყოფნა, დისტანციის სურვილი იყო. ამასთანავე, ღიად გაცხადებული დასავლური კურსი და მოგვიანებით ევროსტრუქტურებისკენ და განსაკუთრებით ნატოსკენ სწრაფვა, რომელიც შემდეგ მეგობრობიდან სტრატეგიულ პარტნიორობაში გადაიზარდა.

საქართველოში „ვარდებისა“ და უკრაინაში „ნარინჯისფერი“ რევოლუციები შინაარსით და სულის კვეთებით იდენტური იყო, თუმცა უკრაინაში „ნარინჯისფერი“ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, საქართველოსა და უკრაინას შორის ურთიერთობებმა ცვლილება დაიწყო. ორი ქვეყნის მეგობრობა, მიუხედავად იმისა, რომ ლიდერები ამას ღიად არ აცხადებდნენ, საფრთხის ქვეშ დადგა, უფრო სწორად, თბილი ურთიერთობა გაცივებისკენ წავიდა.

კვლევამ ცხადყო, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობის „გაცივების“ უმთავრესი მიზეზი იყო რუსეთი და საქართველოს მმართველი ელიტის პროდასავლური ორიენტაცია.

სტატიაში ასევე საუბარია უკრაინისა და საქართველოს სამხედრო თანამშრომლობაზე, უკრაინის მოხალისეთა მონაწილეობაზე აფხაზეთის ომში და პირიქით - ქართველ მოხალისეთა სამხედრო ჩართულობა უკრაინის „ანტიტერორისტულ ოპერაციებში“.

ასევე, საუბარია ორ ქვეყანას შორის წარმოქმნილ კიდევ ერთ კრიზისსა და მიზეზებზე, რომელიც უკრაინის ავტოკეფალიის საკითხს ეხება. კვლევამ გამოკვეთა, რომ ამჯერადაც, ურთიერთობის დაძაბვის მიზეზი, რუსეთის ფაქტორი გახდა. საქართველოს ხელისუფლება რუსეთთან ისედაც დაძაბული ურთიერთობის კიდევ უფრო გართულებას მოერიდა და გადატვირთულმა დიპლომატიურმა განცხადებებმა დღემდე თავისი კვალი დატოვა უკრაინასთან თანამშრომლობის ხარისხზე.

***საკვანძო სიტყვები:*** *საქართველო, უკრაინა, რუსეთი, ხელისუფლება, ურთიერთობები.*

საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ ორი სუვერენული სახელმწიფოს ურთიერთობა დინამიკურად განვითარდა. 1991 წლიდან საქართველოსა და უკრაინას შორის კავშირი აღმავალი ტენდენციით ხასიათდება და უფრო და უფრო ძლიერდება. 1992 წელს იწყება დიპლომატიური ურთიერთობა და 1993 წელს კიევში საქართველოს

პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში ხელს აწერს უკრაინა-საქართველოს ჩარჩო-ხელშეკრულებას მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების თაობაზე. შემდგომში კი ურთიერთობები კიდევ უფრო ღრმავდება და დასტურდება ორ ქვეყანას შორის საკმაოდ მჭიდრო პარტნიორობით. არსებული სახელშეკრულებო-სამართლებრივი ბაზა მოიცავს 105 ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებას და არეგულირებს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობათა პრაქტიკულად ყველა სფეროს. უკრაინა საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი და მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია. საქართველოსა და უკრაინას შორის მოქმედებს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, რომელიც სამართლებრივად დარეგულირებულია როგორც ორმხრივ, ასევე მრავალმხრივ ფორმატში (ევროპასთან ასოცირებული ხელშეკრულება, სუამი).

ჩვენი მიზანია, პასუხი გავცეთ ორ შეკითხვას, რა არის ორ ქვეყანას შორის მჭიდრო ურთიერთობისა და სტრატეგიული პარტიორობის მიზეზი და რამ გამოიწვია ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის დაძაბვა და კრიზისი?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად სტატიის პირველ ნაწილში მოკლედ მიმოვიხილავთ საქართველოსა და უკრაინის ისტორიულ კონტურებს, შემდეგ ნაწილში კი - ურთიერთობების სხვადასხვა ეტაპებს. დასკვნით ნაწილში კი შევაჯამებთ ორი ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის პერსპექტივებსა და პრობლემებს.

## პირველი ცნობები ქართულ-უკრაინული ურთიერთობის შესახებ და საქართველოს პირველი ელჩი უკრაინაში

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს და უკრაინას შორის დიპლომატიური ურთიერთობა 1992 წელს დაიწყო, უნდა შევნიშნოთ, რომ უმჯობესი იქნებოდა „განახლებისთვის“ ახალი ფორმატი დაგვერქმია, რადგან ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა საუკუნეებს ითვლის.

ამ ორ ქვეყანას ბევრი ისტორიული საერთო აქვს. შუა საუკუნეებში უკრაინა წარმოადგენდა აღმოსავლეთ სლავიანური კულტურის ცენტრს და მას კიევის რუსეთი ეწოდებოდა. თუმცა უკვე მე-13 საუკუნიდან საქართველოს მსგავსად ის ხელიდან ხელში გადადიოდა. ქვეყანა ჯერ მონგოლების ურდოებმა დაარბიეს, შემდეგ კი ლიტვა, პოლონეთი, ოსმალეთი, ავსტრია-უნგრეთი და რუსეთი იყოფდნენ. მე-17 საუკუნეში აქ კაზაკთა რესპუბლიკა ჩამოყალიბდა და მე-20 საუკუნეში კვლავ რუსეთმა შეიერთა უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახით. საქართველოს ისტორიის პარალელურ მომენტებზე აქ არ შევჩერდებით, თუმცა ზემოთ აღნიშნულიდან უკვე ნათელია ამ ორი ხალხის მისწრაფება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ რატომ არის ასეთი ძლიერი.

ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის პირველი ცნობები მე-18 საუკუნიდან, ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის ცხოვრებიდან გვაქვს, რომელიც 1760 წელს გადასახლდა უკრაინაში, კერძოდ მირგოროდში, სადაც სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა. სწორედ უკრაინაში იქმნება დავით გურამიშვილის „დავითიანი“ [1].

მე-20 საუკუნის დასაწყისში კი, 1913 წელს ცნობილი უკრაინელი პოეტი ლესია უკრაინკა მეუღლესთან ერთად საქართველოში ჩამოდის საცხოვრებლად, თუმცა ის

ავადმყოფობის გამო მალევე გარდაიცვალა. წყარო: ოფიციალური დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ, შემდეგი დოკუმენტები კი ორივე ქვეყნის არქივებშია, რომელთა შორისაა უკრაინის ცენტრალური რადას მიერ 1917 წლის 7 ნოემბერს გამოცხადებული დამოუკიდებლობის დეკრეტი; საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებული დამოუკიდებლობის აქტი და სხვ. სწორედ 1918 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, ამავე წლის აგვისტოში, უკრაინის რესპუბლიკაში გაიგზავნა ვიქტორ თევზაია და ერთი თვის შემდეგ ის პირველ ელჩად დანიშნეს კიევში.

თუ ორი ქვეყნის ურთიერთობის საწყისებს რომანტიკულ პერიოდად დავახასიათებთ, წითელი არმიის საქართველოში შემოჭრისა და შემდეგ საბჭოთა კავშირის პერიოდში ორი ქვეყნის ურთიერთობა საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაა. 1942 წელს სტეპან ბანდერამ მოუწოდა ქართველ ხალხს, შეუერთდნენ ბრძოლას საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ და ეროვნული განთავისუფლებისკენ. ბევრი ქართველი, რომელმაც 1921 წელს წითელი არმიის საქართველოში შემოჭრის დროს დატოვა თავისი ქვეყანა, პოლონეთში დასახლდა. ბევრმა მათგანმა მიიღო სამხედრო განათლება, გადავიდა უკრაინის ტერიტორიაზე და შეუერთდა უკრაინის აჯანყებულ არმიას საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ.

1989 წელს საბჭოთა კავშირის პირველმა და უკანასკნელმა პრეზიდენტმა მიხეილ გორბაჩოვმა ჩაატარა რეფერენდუმი საბჭოთა კავშირის სხვა ფორმით შენარჩუნების შესახებ, რომელშიც უკრაინამ მონაწილეობა მიიღო, საქართველომ კი - არა. საქართველომ დამოუკიდებლობა 1991 წლის 9 აპრილს გამოაცხადა, უკრაინამ კი იმავე წლის 24 აგვისტოს. რამდენიმე თვეში, 1991 წლის 25 დეკემბერს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ორივე ქვეყნის დამოუკიდებლობა აღიარა. სწორედ ამის შემდეგ, 1992 წელს იწყება ორ ქვეყანას შორის ახალი დიპლომატიური ურთიერთობა.

**პოსტსაბჭოთა ერა ორი ქვეყნის ურთიერთობაში**

როგორც უკვე აღვნიშნე, საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ორივე ქვეყანას ერთმანეთი სტრატეგიულ პარტნიორად მიაჩნდა და მჭიდრო პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობები დაამყარდა.

ამ ორ ქვეყანას პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის ერთი დიდი საერთო რამ გააჩნიათ. ეს არის მათი სტრატეგიული განვითარების ევროპული ვექტორი. ეს გზა მიუხედავად სირთულეებისა ძალას იკრებს და პროგრესირებს. უკრაინა ისევე როგორც საქართველო ევროკავშირის მიერ განიხილება მნიშვნელოვან, მაგრამ რთულ პოლიტიკურ პარტნიორად. ევროკავშირს, საქართველოსა და უკრაინას შორის პოლიტიკური დიალოგი დაიწყო 1994 წელს, როდესაც ხელი მოეწერა პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებას (PCA). ეს დოკუმენტი ორიენტირებული იყო ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებზე რეფორმების გატარების აუცილებლობაზე. პოლიტიკური დისკუსიებისთვის ჩარჩო მოკრძალებული იყო.

1994 წლის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება ძალაში შევიდა 1998 წელს. როგორც უკრაინასთან, ისევე საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე მოლაპარაკება დაიწყო 2008 წელს. საქართველოსა და ევროპას შორის ასოცირებული ხელშეკრულების რატიფიცირება მოხდა 2014 წელს [2]. ხოლო უკრაინაში ამ ხელშეკრულების გაფორმების მცდელობა იგივე 2014 წელს დაიწყო, მაგრამ იანუკოვიჩმა ბოლო წუთს

თქვა უარი ხელშეკრულებაზე ხელის მოწერაზე [2].

2014 წლის 27 ივნისს უკრაინის ახალმა პრეზიდენტმა პეტრე პოროშენკომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ეკონომიკურ ნაწილს და აღწერა ეს როგორც უკრაინის „პირველი, მაგრამ გადამწყვეტი ნაბიჯი ევროკავშირის წევრობისკენ“ [3], [4].

ამრიგად, მიუხედავად ყველაფრისა ასოცირებული ხელშეკრულება უკრაინასა და ევროკავშირს შორის მაინც შედგა 2017 წლის 1 სექტემბერს [5]. ამ შეთანხმების თანახმად, როგორც საქართველო, ასევე უკრაინა ევროკავშირთან მიმართებაში ვალდებულები არიან ითანამშრომლონ და გააერთიანონ ეკონომიკური პოლიტიკა და მოახდინონ კანონმდებლობის ჰარმონიზება. შეთანხმება, ასევე, აყალიბებს ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეს მხარეებს შორის.

უკრაინა პირნათლად ასრულებს საქართველოსთან გაფორმებული ჩარჩო-ხელშეკრულების ყველა პუნქტს. 1990-იან წლებში უკრაინამ საქართველოს უმნიშვნელოვანესი სამხედრო დახმარება გაუწია, ბევრი ქართველმა ოფიცერმა (მათ შორის საქართველოს მომავალი გენერალური შტაბის უფროსი ვახტანგ კაპანაძე) ისწავლა უკრაინის თავდაცვის სამინისტროსა და სასაზღვრო ჯარების აკადემიებში. 1997 წელს უკრაინამ საქართველოს უსასყიდლოდ გადასცა პირველი სამხედრო ხომალდი - „გრიფი“, სრული შეიარაღებით. მხოლოდ ამ ნაბიჯის შემდეგ საქართველომ მიიღო ანალოგიური დახმარება სხვა მეგობარი ქვეყნებიდან - გერმანიიდან, თურქეთიდან, აშშ-დან, მაგრამ უკრაინა იყო პირველი. გასაგებია, რომ ეს რუსეთის ფაქტორის გათვალისწინებით არ იყო მარტივი ნაბიჯი უკრაინის მხრიდან [5]. უკრაინამ 1993 წელს, საქართველოს შეღავათიანი კრედიტის საფუძველზე, 1 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ხორბალი მიაწოდა.

მიუხედავად იმისა, რომ უკრაინული კანონები კრძალავდა ქვეყნის გარეთ მიმდინარე კონფლიქტებში მონაწილეობას, 1992-93 წლებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის აფხაზეთის ბრძოლებში 300-მდე უკრაინელი მოხალისე მონაწილეობდა. მათი ჩამოყვანის ორგანიზებას უკრაინული ნაციონალური ასამბლეისა და უკრაინის ნაციონალური თავდაცვის - იმავე „უნა-უნსოს“ ორგანიზაცია უწევდა.

საინტერესოა „უნა-უნსოს“ უფროსი მეთაურის იური შუხევიჩის მოსაზრება: „ჩვენი მთავარი მიზანი იყო, დაგვემტკიცებინა საქართველოში, ისევე, როგორც შემდეგ ჩეჩნეთში, რომ ჩვენ დავიცავთ ყველა იმ ხალხის თავისუფლებას, რომელიც რუსეთის უღლიდან გათავისუფლებას ცდილობს. და მეორე: გვეჩვენებინა რუსეთისთვის, რომ თუკი ის ცხვირს შემოყოფდა უკრაინაში, იქ მოიძებნებოდნენ ძალები, კოლაბორანტების და მათი აგენტურის გარდა, რომლებიც მას წინააღმდეგობას, სასტიკ წინააღმდეგობას გაუწევდნენ“.

ურთიერთობები კიდევ უფრო გამყარდა საქართველოში ვარდების რევოლუციისა და უკრაინის ნარინჯისფერი რევოლუციის შემდეგ. ორივე ქვეყანას აქვს პროდასავლური პოლიტიკური ორიენტაცია და დიდი სურვილი გაწევრიანდნენ ნატოსა და ევროკავშირში. პრეზიდენტებს - მიხეილ სააკაშვილსა და ვიქტორ იუშჩენკოს შორის მჭიდრო მეგობრობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ორი ქვეყნის პოლიტიკურ და კულტურულ ერთიანობაში. 2007 წელს ქართველებმა ტარას შევჩენკოს ძეგლი გახსნეს თბილისში, უკრაინელებმა კი - კიევში ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის ძეგლი. მიუხედავად იმისა, რომ მათმა გაწევრიანების მცდელობამ 2008 წელს უარი მიიღო, ნატომ ბუქარესტის სამიტის დეკლარაციაში პირობა დადო, რომ ეს ორი პოსტსაბჭოთა აპლი-

კანტი ალიანსის წევრები აუცილებლად გახდებიან, თუმცა არ უთქვამს ეს როდის და როგორ მოხდება.

2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომის დროს უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ თბილისში ვიზიტით კიდევ ერთხელ დაადასტურა ქართველი ხალხის მიმართ მხარდაჭერა. აგვისტოს ომის შემდეგ კიევმა და თბილისმა ვაშინგტონთან ერთად სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიას მოაწერეს ხელი [6].

2009 წელს უკრაინა და საქართველო აზერბაიჯანთან, სომხეთთან, მოლდოვასა და ბელარუსთან ერთად ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამაში ჩაერთვნენ. 2014 წლის ზაფხულში კი საქართველომ, უკრაინამ და მოლდოვამ ხელი მოაწერეს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას [7].

**2014 წლის გაზაფხულიდან რუსეთთან კონფრონტაციის დაძლევის მიზნით ქართველებმა მრავალმხრივი დახმარება გაუწიეს უკრაინელებს.** ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ქართველი პოლიტიკოსები უკრაინის სახელმწიფო სამსახურებში მაღალი რანგის თანამდებობებზე დასაქმდნენ; გაძლიერდა ხალხთაშორისი კონტაქტებიც, 2019 წლის პირველი მარტიდან უკრაინისა და საქართველოს მოქალაქეებს ორივე ქვეყანაში მგზავრობა მხოლოდ პირადობის მოწმობების საფუძველზე შეუძლიათ.

მანამდე კი 2015 წელს უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დანიშნა უკრაინის უდიდეს რეგიონში, ოდესის ოლქის გუბერნატორად [8].

## დაძაბულობის ესკალაცია

2017 წლის მარტში უკრაინამ, რომელიც იმ დროს გაეროს უსაფრთხოების საბჭოს დროებითი წევრი იყო, შეიტანა რეზოლუცია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდასაჭერად. საქართველო და უკრაინა ასევე ინარჩუნებენ სამხედრო კავშირებს. 2018 წელს საქართველომ და უკრაინამ მონაწილეობა მიიღეს ოპერაციაში Noble Partner 18, ხოლო ქართველმა ჯარისკაცებმა და უკრაინელმა საზღვაო ქვეითებმა ერთად ჩაატარეს სწავლება [9].

ორ ქვეყანას შორის გარეგნულად მშვიდი, მაგრამ მაინც დისტანციური ურთიერთობა კვლავ დაიძაბა უკრაინის ავტოკეფალიის საკითხთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, უკრაინამ საქართველოს პოლიტიკური მხარდაჭერა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. საქმე ეხება საქართველოს მთავრობისა და ქართული მართმადიდებელი ეკლესიის თავშეკავებას მიელოცა უკრაინისთვის ახლადმიღებული ავტოკეფალია. საქართველოს მთავრობამ საკითხზე კომენტარებისგანაც კი თავი შეიკავა. ქართული ეკლესია ყოველთვის ცდილობდა პოზიციები განესაზღვრა არა პოლიტიკური ნიშნით, არამედ საეკლესიო კანონიკაზე დაყრდნობით.

უკრაინის ეკლესიასთან მიმართებით საქართველოს საპატრიარქოს პოზიცია ზოგიერთის მხრიდან შეფასდა რუსეთის გავლენად. თუმცა აქაც ორად გაიყო აზრი: ერთნი (მუდმივად აგრესიულად ანუ რადიკალურად განწობილნი) მიიჩნევდნენ, რომ ეს იყო რუსეთის ეკლესიის მოთხოვნის შედეგი და საქართველოს ეკლესიის რუსული ორიენტაციის გამოვლინება, მეორენი კი უკრაინის ახალი ეკლესიის აღიარებაში ხედავდნენ რუსეთის მიერ აფახაზეთის ეკლესიის დამოუკიდებლობის აღიარების საფრთხეს და, აქედან გამომდინარე, საქართველოს ეკლესიას მოუწოდებდნენ თავის შეკავებისკენ.

საქართველოს ეკლესიამ განაცხადა, რომ იგი მართალია მხარს უჭერს უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობას, მაგრამ ეს უნდა იყოს ხალხის საერთო ნება და ეკლესიათა შეთანხმების შედეგი. ეკლესიის დამოუკიდებლობამ ერთობა და მშვიდობა უნდა მოუტანოს ქვეყანას და ის არ უნდა იქცეს დაპირისპირების მიზეზად როგორც უკრაინაში, ისე მთელს მართლმადიდებელ სამყაროში.

უკრაინის ახალმა პრეზიდენტმა ვლ. ზელენსკიმ საქართველოს მესამე პრეზიდენტი და ოდესის ყოფილი გუბერნატორი რეფორმების საკითხში თავის მრჩევლად დანიშნა. ორივე ქვეყნის მთავრობამ დაასკვნა, რომ უკრაინასა და საქართველოს უბრალოდ არ აქვთ საშუალება არ ითანამშრომლონ. რა თქმა უნდა, საქართველოსა და უკრაინას თანამშრომლობის უზარმაზარი პოტენციალი აქვთ, პირველ რიგში, საერთო პრობლემების გამო. ორივე ქვეყანას ემუქრება ეგზისტენციალური საფრთხე მათი ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის გამო.

ორ ქვეყანას შორის ისტორიის სხვადასხვა პერიოდის მიმოხილვამ აჩვენა, რომ კრიზისი ნებისმიერი საკითხი უკავშირდება მესამე ქვეყანას - რუსეთს. ცხადია, რომ გარდა ორივე ქვეყნის მიერ გაცხადებული საგარეო პოლიტიკური პოროდასავრული კურსისა, დასავლეთის მიერ პოსტ-საბჭოთა ქვეყნების დემოკრატიზაციის მხარდაჭერა და მათი შესაძლო გაწევრიანება ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში რუსეთის მიერ აღიქმება მთავარ ეროვნულ საფრთხედ. შესაბამისად, ამის საპასუხოდ რუსეთმა მიმართა თვითდამკვიდრების საგარეო პოლიტიკას, რათა უზრუნველყოს საკუთარი ეროვნული ინტერესები და 2008 წელს საქართველოში, 2014 წელს კი უკრაინაში ინტერვენცია.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოსა და უკრაინას თანამშრომლობის უზარმაზარი პოტენციალი აქვთ, პირველ რიგში, საერთო პრობლემების გამო, რომ აღარაფერი ვთქვათ, ეკონომიკურ და კულტურულ ასპექტებზე.

ახლა, როცა ორივე ქვეყნის დედაქალაქებში უნდა ისარგებლონ ამ პოტენციალით, დაეყრდნონ წარსულის მიღწევებს და გადადგან ნაბიჯები ურთიერთობების გაღრმავებისთვის. საერთაშორისო ორგანიზაცია „ფრიდომჰაუსი“ ერთ-ერთ ანგარიშში მიუთითებს და (ვფიქრობ, შეჯამებაში მისი მოყვანა მნიშვნელოვანია), რომ „საქართველოსა და უკრაინას ძალზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული პოზიციები უკავიათ შავი ზღვის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ სანაპიროებზე - ეს არის რუსეთის დასავლეთ და სამხრეთ ფლანგებზე. მათი სტრატეგიული პარტნიორობა შეიძლება იყოს ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა ძალის ალტერნატიული პოლიტიკური სიმძიმის ცენტრი, რომლებიც ეწინააღმდეგებიან პუტინის ავტორიტარულ, რევანშისტულ რეჟიმს. სინამდვილეში, მათი ალიანსი, შესაძლოა, დემოკრატიული ცვლილებების აგენტი გახდეს მთელი ყოფილი საბჭოთა სივრცისთვის (ბალტიის ქვეყნების გამოკლებით), სადაც კანონის უზენაესობა დღის წესრიგია“.

**<u>RAUL KIRIA</u>**

**GEORGIA'S AND UKRAINE'S EUROPEAN PERSPECTIVE**

Summary

In the Article, there is a discussion regarding the crisis formed gradually in between the relations of Georgia and Ukraine. Particular reasons have been emphasized as an outcome of the research analysis.

Regardless the fact, that the two countries share no common border, and the Soviet Union was the only factor of their consolidation, positive relations between Georgia and Ukraine was visible from the start, after the break of the Soviet Union. The essential reason for the attraction of Positive relations, was the desire to be distant and independent from Russia, as well as the openly announced Western policy and strive towards NATO, which developed the friendship of the countries into a strategic partnership later.

The "Rose Revolution" in Georgia and the "Orange Revolution" in Ukraine, was identical with its concept and drive. The change of the Government in Ukraine after the "Orange" Revolution, though, started the changes in the relation between Georgia and Ukraine. The friendship of two countries, even though, the leaders did not announce it openly, became under the threat, more precisely, the warm relations started to get colder. The research made it clear, that the main reason of "colder" relations of these countries, was still Russia, and the pro-Western orientation of Georgia's Governing elite, which was different from Ukraine's new Leaders.

In the Article, there is also, a discussion on the military cooperation of Georgia and Ukraine; the participation of Ukrainian volunteers at the war in Abkhazia and vice versa – military engagement of Georgian volunteers at the Ukrainian "Anti-terroristic Operations" (Lugansk, Donetsk).

Also, there is a discussion regarding one of the developed crises between the two counties, concerning the issue of Autocephalous of Ukraine. The research emphasized in this case as well, that the reason of tension in the relation was the factor of Russia again. The Government of Georgia didn't exacerbate the already tough relations with Russia and with its over diplomatic announcements, left the particular trace on the quality of cooperation with Ukraine, lasting till today.

***Key Words:*** *Georgia, Ukraine, Russia, Government, EU, Revolution.*

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. დავით გურამიშვილი (ბიოგრაფია). საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00000818/ (20.07.2021)
2. საქართველო და ევროკავშირი https://old.infocenter.gov.ge/euinfo-the-association-agreement/
3. "Ukraine crisis: EU signs association deal". BBC News. 21 March 2014. Seen 21 March 2014.
4. EU signs pacts with Ukraine, Georgia and Moldova, BBC News (27 June 2014)
5. Ukraine ratifies EU association agreement. Deutsche Welle. Published 16.09.2014.
6. "Agreement details". Council of the European Union Retrieved 4 July 2014.Legislation of the CIS countries. "Treaty of friendship, cooperation and mutual assistance between Ukraine and the Republic of Georgia", url: http://base.spinform.ru/show_doc.fwx?rgn=9687) (31.10.2020)
7. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. ინფორმაცია საქართველოსა და აშშ-ს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ხელმოწერის შესახებ 2009 წლის 9 იანვარი https://mfa.gov.ge/News/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B% (31.10.2020)
8. Association Agreement between the European Union and Ukraine www.kmu.gov.ua/en/yevropejska-integraciya/ugoda-pro-asociacyu

9. ლიკლიკაძე კ., „რატომ იბრძოდა უკრაინული ორგანიზაცია „უნა-უნსო“ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის“ (Koba Liklikade, „Why did Ukrainian Organization „Una-Unso“ fought for Georgian territorial integrity) http://georoyal.ge/?MTID=4&TID=3&id=2437&fb_comment_id=1415953928648171_111566 (30.10.2020)
10. Noble Partner 2018 Launches. mod.gov.ge/en/news/read/6748/noble-partner-2018-launches
11. Ministry of Foreign Affairs of Georgia. “Relations between Georgia and Ukraine“. https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/BilateralRelations/%E1%83%A3%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90.aspx (31.10.2020)
12. Valeri Chechelashvili, “Does the strategical partnership work in relations between Ukraine and Georgia? https://www.gfsis.org/ge/blog/view/921 (29.10.2020)
13. Tamar Chapidze, Andreas Umland: „Challenges of the alliance of Tbilisi and Kiev – Georgian Orthodox church and autocephaly of Ukraine“. http://gip.ge/ge/ ( 28.10.2020)
14. Davit Zalkaliani, Minister of Foreign Affairs of Georgia. http://www.mfa.gov.ge/News/chven-mivesalmebit-da-gvakharebs-nebismieri-nabiji.aspx?CatID=5&lang=ka-GE (30.10.2020)
15. Andreas Umland, „Alternatives for the safety of the key state of Europe”. https://ge.boell.org/ka/2019/01/11/ekvsi-ukrainuli-scenari (30.10.2020)
16. Irakli Margvelashvili, “Georgia and Ukraine in world geopolitical rotation“. http://www.tabula.ge/ge/story/82250-saqartvelo-da-ukraina-msoflio-geopolitikur-brunvashi (27.10.2020)
17. Vasili Rukhadze, „Georgia and Ukraine Welcome New Thaw in Bilateral Relations“. https://jamestown.org/program/georgia-ukraine-welcome-new-thaw-bilateral-relations/ (30.10.2020)
18. Eurasia Daily Monitor Volume, Georgian-Russian Rapprochement Is Not Yielding Any Results for Georgia. https://jamestown.org/program/georgian-russian-rapprochement-is-not-yielding-any-results-for-georgia/ (30.10.2020)

გიორგი კლიმიაშვილი
*წარმოადგინა პროფ. **ზურაბ კვეტენაძემ***

# დიპლომატიური მოლაპარაკება, როგორც საერთაშორისო დავების გადაწყვეტის გზა

წინამდებარე ნაშრომი დავების გადაწყვეტის გზაზე დიპლომატიის მნიშვნელობას და მის როლს შეეხება. დედამიწაზე დიპლომატიის წარმოშობა ადამიანის გაჩენას, გვაროვნული საზოგადოების, ტომების ჩამოყალიბებას უკავშირდება. უძველეს დროში ადამიანთა ჯგუფები პრობლემურ საკითხებს ძალის გამოყენებით აგვარებდნენ, მაგრამ გარკვეული პერიოდის შედმეგ მივიდნენ დასკვნამდე, რომ ჩხუბის და ომის ნაცვლად მოლაპარაკებით შეიძლება ურთიერთობების მოწესრიგება. ტომებს შორის პროდუქტების პირველი გაცვლიდან დაწყებული, მიწის დამუშავების, თევზჭერის, სანადირო ტერიტორიების განსაზღვრით დამთავრებული. საკამათო საკითხების მოგვარება პრიმიტიული დიპლომატიის დახმარებით ხდებოდა. კამათის მოწესრიგების მიზნით ჩაისახა ხელშეკრულების დადების მექანიზმიც. დიპლომატიამ შედარებით უფრო დახვეწილი სახე საწარმო ძალთა განვითარების შემდეგ მიიღო. გაჩნდა პირველი შეთანხმებები და ხელშეკრულებები [1. 36].

მოლაპარაკებებს ხშირად დიპლომატიასთან აიგივებენ. ეს უკანასკნელი კი განისაზღვრება, როგორც მოლაპარაკების წარმართვის ხელოვნება. მაგალითისთვის ფრანგული დიპლომატიური ლექსიკონის განსაზღვრება მოვიყვანოთ, სადაც  მოლაპარაკებები წარმოდგენილია არა მხოლოდ დიპლომატიური აგენტის, როგორც მისიის მეთაურის არსებობის მნიშვნელობით, არამედ მთლიანად დიპლომატიის სახით. დიპლომატის ოფიციალური მოღვაწეობის ყველა სხვა დანარჩენი ფორმა და სახე წარმოებს მოლაპარაკებებთან დაქვემდებარებულ მდგომარეობაში. თუ საერთაშორისო დავის წარმოშობის შემთხვევაში, ქვეყნები ვალდებულნი არიან თავი შეიკავონ ძალის გამოყენებისგან, მათ ერთადერთი გზა რჩებათ - მიმართონ დავის მოგვარების არაძალადობრივ საშუალებებს. ასეთ შემთხვევაში ყოველი სახელმწიფო საერთაშორისო ხასიათის დავას მეორე სახელმწიფოსთან წყვეტს მშვიდობიანი საშუალებებით, ისე რომ საფრთხე არ შეექმნას მშვიდობას, უშიშროებას და სამართლიანობას [2. 54].

უნდა ითქვას, რომ როგორც რეგიონულ, ისე საერთაშორისო დონეზე კონფლიქტურ ვითარებაში ნებისმიერი დიპლომატიური ჩარევა, ხელს შეუწყობს ეროვნული და რეგიონალური შესაძლებლობების გამოჩენას, როგორც სეპარატისტებთან, ასევე იმპერიულ მეზობელთან ურთიერთობაში. მშვიდობის კვლევის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა იოჰან გალტუნგის მოსაზრებით, ქვეყანაში მშვიდობის მშენებლობას, ხშირ შემთხვევაში კონფლიქტის მოგვარების და მისი ტრანსფორმაციის გაგრძელების გზად მიიჩნევენ. [3. 97].

***საკვანძო სიტყვები:*** *დიპლომატია, მოლაპარაკებები, დავების გადაწყვეტა, საერთაშორისო დავები, საერთაშორისო რეგულაციები.*

დიპლომატიის, როგორც ურთიერთობის განმსაზღვრელი პოლიტიკური სახე ძველ აღმოსავლეთში წარმოიშვა, ვინაიდან მსოფლიოს სწორედ ამ რეგიონში ჩამოყალიბდა პირველი სახელმწიფოები. ძველი აღმოსავლური დიპლომატიის ძირითად მიზანს წარმოადგენდა მოსალოდნელი ომის თავიდან აცილება, ხოლო თუ ომი გარდაუვალი იყო - ამ პრინციპით მოქმედებდნენ: ნებისმიერ ფასად მოეპოვებინათ გამარჯვება, ან ნებისმიერი საშუალებით თავიდან აეცილებინათ დამარცხება. სწორედ ამ მიზნით ძველი აღმოსავლური სახელმწიფოები იყენებდნენ სხვადასხვა დიპლომატიურ საშუალებებს [4. 2].

მოლაპარაკების საყოველთაობა ძალაუნებურად იწვევს მოლაპარაკების ხელოვნების ფლობის აუცილებლობას. მოლაპარაკების დიდოსტატებად იშვიათად იბადებიან, თუმცა ამის მიღწევა შესაძლებელია. იგი არ წარმოადგენს თანდაყოლილ უნარ-ჩვევებს, არც ზეპირად დასასწავლ მეცნიერებას - ეს გახლავთ მეთოდთა მთელი ანსამბლი, რომლებსაც შუქს ჰფენს მრავალი აკადემიური დისციპლინა (სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ისტორია, პოლიტიკა, ფილოსოფია და ა.შ.).

ზოგადად, მოლაპარაკების შესწავლა ხდება ორი წყაროს მეშვეობით: პრაქტიკული გამოცდილების, რადგან ეს ის სამჭედლოა სადაც მჭედლად ყალიბდებიან და მოლაპარაკებაში ნაცადი მეთოდებით, რომელთა გაცნობა ნაშრომებისა და სემინარების ფორმატშია შესაძლებელი [5. 7].

საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწე არმან ჟან დიუ რიშელიე მიიჩნევდა, რომ მოლაპარაკების დასაწყისშივე ორივე მხარე დარწმუნებული უნდა იყოს მეორე მხარის სუვერენულ ძალაუფლებაში და თუ რომელიმე მათგანი არ არის დაჯერებული, რომ ხელმოწერილი შეთანხმება რატიფიცირებული და ცხოვრებაში განხორციელებული იქნება, მაშინ დიპლომატიური მოლაპარაკების დროს აზრი ეკარგება დათმობაზე წასვლას, ხოლო საერთაშორისო შეხვედრები გართობის საშუალება გახდებაო.

რიშელიე, ასევე თვლიდა, რომ ელჩების საქმიანობის ხელმძღვანელობა ერთ უწყებაში უნდა ყოფილიყო თავმოყრილი. ამიტომ სხვადასხვა ქვეყნებთან მოლაპარაკებების წარმოება და დიპლომატიური ურთიერთობის წარმართვა საგარეო საქმეთა სამინისტროს დააკისრა [5].

21-ე საუკუნეში, კიდევ უფრო გაიზარდა დიპლომატიის როლი და მნიშვნელობა. განსაკუთრებით ისეთი პატარა სახელმწიფოსთვის, როგორიც საქართველოა. სწორედ პატარა სახელმწიფოს ერთ-ერთ უპირველეს მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო ასპარეზზე თავის წარმოჩენა, საკუთარი რაობის საერთაშორისო საზოგადოებისთვის გაცნობა. ასეთ პოზიციაში ყოფნა ძირითადად უწევთ ახალგაზრდა სუვერენულ სახელმწიფოებს, რომლებიც საერთაშორისო სისტემის წამყვან სახელმწიფოებში ნაკლებად ცნობადები არიან [6. 128].

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე მსოფლიოში საერთაშორისო, დიპლომატიური საინფორმაციო და საგარეოპოლიტიკური მიზნების მისაღწევად, დემოკრატიული ქვეყნები სულ უფრო ხშირად მიმართავენ რბილი ძალის რესურსებზე დაფუძნებული სახალხო დიპლომატიის ელემენტებს. აღნიშნული გზა, კეთილგანწყობის მოპოვებასა და პოზიტიური იმიჯის დამკვიდრებაში დიდ როლს თამაშობს [3. 128-129].

ზოგადად, სახალხო დიპლომატია გამოხატავს ცენტრალური ხელისუფლების ძალისხმევას, სხვადასხვა მეთოდითა და აქტივობებით, პირდაპირი კავშირი დაამყაროს საზოგადოებასთან. თუკი მთავრობისთვის მშვიდობა მიღწევად მიზანს წარმოადგენს, ჩვენს შემთხვევაში ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება სწორედ სახალხო დიპლომატიაა.

საქართველოს შემთხვევაში, რუსეთის მზარდი აგრესიის ფონზე, როგორც საგარეო,

ასევე ეთნოპოლიტიკურ სტრატეგიაში სახალხო დიპლომატიის - რბილი ძალის გამოყენება დიდ მნიშვნელობას იძენს. აღნიშნული გზით, შესაძლებელი ხდება საგარეო პოლიტიკის სფეროში არსებულ სხვადასხვა გამოწვევებს გავუმკლავდეთ [3. 128-129].

მიუხედავად იმისა რომ საერთაშორისო ასპარეზზე ოპერირება გვიწევს როგორც პატარა და შედარებით სუსტ სახელმწიფოს, აღსანიშნავია ის გარემოება რომ აღნიშნულ პირობებშიც კი საკმაოდ აქტიური ადგილი გვიკავია. 1919-1920 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში არაერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა.

პირველი მსოფლიო ომის შემდგომ, შეცვლილმა საერთაშორისო ვითარებამ ქართული დიპლომატიის გააქტიურება გამოიწვია.

1921 წლის 25 თებერვლიდან საქართველოში მძიმე პერიოდი დადგა, რომელიც საბჭოთა ოკუპაციის სახით მოგვევლინა. 1991 წლის დამოუკიდებლობის აქტის შემდეგ თანამედროვე დიპლომატიის განვითარების კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა.

გაეროს წესდების თანახმად გაეროს უშიშროების საბჭოს და გენერალურ მდივანს, კონფლიქტების არაძალადობრივი გზით მოგვარების, მისი თავიდან აცილების და მშვიდობის დაცვის კუთხით არაერთი საშუალება გააჩნიათ.

საერთაშორისო დავების გადაწყვეტის მიზნით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს შეუძლია გამოიყენოს „პრევენტიული დიპლომატია", ისევე როგორც „კეთილი სამსახური". მაგალითისთვის მოვიყვანოთ 1998 წელს გენერალური მდივნის კოფი ანანის ნაბიჯი, კერძოდ, აღნიშნული წლის თებერვალში კოფი ანანმა უშიშროების საბჭოს წევრებთან კონსულტაციის შემდეგ ბაღდადში (ერაყი) გაემგზავრა და შემდგომი გართულებების თავიდან არიდების მიზნით შეძლო ერაყთან იარაღის ინსპექციის თაობაზე დავის გადაჭრა.

აღნიშნული საკითხი ქმნიდა ამ სახელმწიფოსთან საომარი მოქმედებების განახლების საფრთხეს. გაეროს გენერალური მდივნის დიპლომატიურმა ნაბიჯმა, ასევე, ხელი შეუწყო ირან-ერაყის ომის დასრულებას, რომელიც 1980 წლიდან მომდინარეობს. 2000 წელს კოფი ანანმა დიდი როლი ითამაშა ისრაელსა და პალესტინას შორის დაწყებული სისხლიანი დაპირისპირების შეწყვეტაში [2. 352-353].

სახელმწიფოთა შორის დავების მოსპობა შეუძლებელია, თუმცა შესაძლებელია ვისწავლოთ მათი მართვა, საჭიროების შემთხვევაში ვიცოდეთ, როგორ ავიცილოთ კონფლიქტები თავიდან.

ეს მოვლენა დამახასიათებელია როგორც ადამიანური, ასევე სახელმწიფოთაშორის ურთიერთობების ყველა დონისთვის, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ხასიათის დავების მოგვარება უნდა წარიმართოს სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის საფუძველზე და დავების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის პრინციპების შესაბამისად.

დიპლომატიური მოლაპარაკება სახელმწიფოთა შორის არსებული დავების მოგვარების უნივერსალურ გზას წარმოადგენს. იგი დავების მშვიდობიანად გადაწყვეტის მარტივი და პრაქტიკული გზაა, რომელიც უზრუნველყოფს მოდავე მხარეებს შორის უშუალო კონტაქტს, პრეტენზიების გაცნობას და დავების მოგვარებისთვის სასურველი გადაწყვეტილების გამოძებნას.

GIORGI KLIMIASHVILI

DIPLOMATIC NEGOTIATION AS A WAY TO RESOLVE INTERNATIONAL DISPUTES
Summary

Resolve disputes between states – is impossible, but you can learn how to resolve them, in order to avoid conflict. This phenomenon is typical for both human and international relations. It should be emphasized that international disputes should be resolved on the basis of the sovereign equality of states and in accordance with the principles of the peaceful settlement of disputes. Diplomatic negotiations are a universal way of resolving disputes between states. This is a simple and practical way to resolve disputes amicably, allowing direct contact between the parties to the dispute, getting acquainted with the claims and finding the desired solution to resolve the dispute.

***Key words:*** *diplomacy, negotiations, dispute resolution, international disputes, international regulations.*

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ჭიპაშვილი პ., „დიპლომატია“, თბ., 2007.
2. ალექსიძე ლ., „თანამედროვე საერთაშორისო სამართალი“, თბ., 2010.
3. ფარჯიანი ა., „საქართველოში არსებული კონფლიქტები და საერთაშორისო ურთიერთობები“. თბ., 2019.
4. მენთეშაშვილი ა., „საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის ისტორია“, თბ.,, 2003.
5. მიქელაძე ქრ., „მოლაპარაკებების ხელოვნება“. თბ., 2019.
6. რონდელი ა., „პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში“. თბ., 2006.

✍ გიორგი ხიდირბეგიშვილი
*წარმოადგინა პროფ. მაია გურამიშვილმა*

# ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების შესწავლის თეორიული მიდგომები და კლასიფიკაცია

მიუხედავად იმისა, რომ კაცობრიობის ისტორიაში ეთნიკურ და ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტებს დიდი ისტორია აქვს, მკვლევარებმა მათი შესწავლა შედარებით გვიან დაიწყეს. ნათან გლეზერისა და დანიელ მოინიჰენის მტკიცებით, ეთნიკურობა არის „სტრატიფიკაციის უფრო ფუნდამენტური წყარო“, ვიდრე საზოგადოების კლასობრივი ბუნება და, შესაბამისად, ეთნიკურობა და ეთნიკური კონფლიქტი აქტუალური მომავალშიც.

ეთნიკური კონფლიქტია, როდესაც არსებობს ეროვნული მოძრაობის ორგანიზაციული ფორმირება ან არსებობს სოციალურ-პოლიტიკური ძალა, რომელიც მიზნად ისახავს უზრუნველყოს კონკრეტული ხალხის ან ეთნიკური ჯგუფის ეთნო-ეროვნული ინტერესები და ამ მიზნის მისაღწევად ცდილობს შეცვალოს არსებული ვითარება ცხოვრების კულტურულ, ენობრივ, სოციალურ-ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ სფეროში. ამასთან, ეთნიკური კონფლიქტი ყოველთვის პოლიტიკური ფენომენია, რადგან კულტურულ-ენობრივი თუ სოციალურ-ეკონომიკური სფეროს პრობლემების გადასაჭრელად და სხვა ეროვნული მიზნების მისაღწევად, როგორც წესი, საჭიროა პოლიტიკური გზებისა და მეთოდების გამოყენება.

ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების მოგვარება ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური პრობლემაა. არ არის საჭირო იმის მტკიცება, რომ ამ კონფლიქტების შედეგები უკიდურესად უარყოფით გავლენას ახდენს არამხოლოდ განვითარებაზე, არამედ იმ სახელმწიფოების იმიჯზეც, რომლებსაც არ შეუძლიათ მათი თავიდან აცილება. მაგრამ კონფლიქტების ესკალაციის ყველაზე სერიოზული შედეგი არის სიცოცხლის უზარმაზარი დაკარგვა.

***საკვანძო სიტყვები:*** *ერი, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტი, სახელმწიფო, ეროვნული ინტერესები.*

ეთნიკური კონფლიქტების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია ითქვას, რომ მათი ესკალაცია განმეორებადი თავისებურებებითა და ეტაპებით ხასიათდება, რაც მსგავსი ტიპის კონფლიქტების განვითარების კანონზომიერებების განსაზღვრის შესაძლებლობებს იძლევა. ეთნიკური კონფლიქტების წარმოშობისა და ესკალაციის ახსნა-განმარტებით მოდელებში ნათლად ჩანს ეთნიკურობის ძირითადი თეორიების - პირველყოფილობის, ინსტრუმენტალიზმისა და კონსტრუქტივიზმის გავლენა [1. 310].

***პრიმორდიალისტური მიდგომის*** ფარგლებში ეთნიკური კონფლიქტი, როგორც წესი, განიხილება, როგორც „უძველესი მტრობის“ - პირველყოფილი ჯგუფთაშორისი წინააღმდეგობების გამოვლინება, რომლის ჩახშობა მხოლოდ ავტორიტარული რეჟიმების ძალით არის შესაძლებელი. როგორც კი რეჟიმები სუსტდება, უძველესი მტრობა განახლებული ენერგიით იჩენს თავს. ამ ლოგიკით, სერბებსა და ხორვატებს შორის კონფლიქტი აიხსნება მათი წარმომადგენლების ერთმანეთის მიმართ სიძულვილით, ხოლო ყარაბაღის კონფლიქტი - სომხების

და აზერბაიჯანელების ერთმანეთის მიმართ სიძულვილით. ამ მიდგომის მომხრეების აზრით, ეს კონფლიქტები უბრალოდ გარდაუვალი იყო. ტიტოს რეჟიმს იუგოსლავიაში და საბჭოთა რეჟიმს სსრკ-ში გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეეძლო ხალხებს შორის მტრობის ჩახშობა, მაგრამ მისი ღრმა საფუძვლების აღმოფხვრა არ შეეძლო [2].

***ინსტრუმენტალისტური მიდგომის*** მომხრეებს ეთნიკურობა ესმით არა როგორც ორიგინალური (ბუნებრივი) არსი, არამედ როგორც ინსტრუმენტი და რესურსი, რომელიც გამოიყენება ჯგუფებს შორის შეჯიბრების პროცესში. თავად ეთნიკურობა, მათი აზრით, არ არის კონფლიქტების მიზეზი. ეთნიკური კონფლიქტი განიხილება არა როგორც შეუთავსებელი ჯგუფური იდენტობების შედეგი, არამედ როგორც ეკონომიკური ან ბუნებრივი რესურსების ფლობისთვის ჯგუფთაშორისი კონკურენციის შედეგი, განსაკუთრებით ისეთ სიტუაციებში, როდესაც ჯგუფებს აქვთ არათანაბარი წვდომა ძალაუფლებაზე, სიმდიდრესა და სოციალურ სტატუსზე. ამ თვალსაზრისით, კონფლიქტი სერბებსა და ხორვატებს შორის აიხსნება არა როგორც უძველესი მტრობის გამოვლინება, არამედ როგორც შეტაკება ორ სოციალურ ჯგუფს შორის, რომელთა ეთნიკურობა (ანუ სერბულ ან ხორვატულ ეთნიკურ თემებთან მიკუთვნებულობა) გამოყენებულ იქნა პოლიტიკური მობილიზაციის იარაღად პოლიტიკური ლიდერების მიერ [3].

ეთნიკური კონფლიქტის ***კონსტრუქტივისტული გაგება*** ინსტრუმენტალისტურის მსგავსია და ეფუძნება იმ ფაქტს, რომ თავად ეთნიკურობა არ იწვევს კონფლიქტს. კონფლიქტების წარმოქმნას და ესკალაციას გადამწყვეტად განსაზღვრავს ელიტების ქმედებები, რომლებიც ახდენენ ეთნიკურობის მობილიზებას და მას საკუთარი მიზნების მისაღწევად იყენებენ.

რთული ხასიათის ეთნიკური კონფლიქტების ყველაზე ცნობილ თეორიებს შორის უნდა გამოვყოთ ჯოზეფ როტშილდის, დონალდ ჰოროვიცის, ტედ გურისა და გიუნტერ შლის თეორიები [4].

***ეთნიკური სტრატიფიკაციის თეორიაში*** ჯოზეფ როტშილდმა პირველმა შემოგვთავაზა ეთნიკური ჯგუფების და სახელმწიფოს ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის სუბიექტებად განხილვა, თანაც სერიოზული ყურადღება დაუთმო როგორც მხარეთა რესურსული პოტენციალის, ასევე ჯგუფის პოლიტიკური მობილიზაციის შესაძლებლობის ანალიზს. მეცნიერის თქმით, ეთნოპოლიტიკური მოძრაობების წარმატება და აქტიურობა დამოკიდებულია ეკონომიკურ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ რესურსებზე, რომლითაც ჯგუფს შეუძლია ოპერირება. გარდა ამისა, აუცილებელია ჯგუფის შემადგენლობის, მისი სოციალური და კულტურული მახასიათებლების გათვალისწინება.

დონალდ ჰოროვიცის ***ეთნიკური კონფლიქტის სოციალურ-ფსიქოლოგიური თეორია*** ფოკუსირებულია სოციალურ-ფსიქოლოგიურ დინამიკაზე. მისი ავტორის გაგებით, ეთნიკურობას აქვს განსაკუთრებული, უნიკალური დინამიკა იმის გამო, რომ იგი კოლექტიურ ემოციებთან ასოცირდება. ეს გარემოება იწვევს იმ ფაქტს, რომ ჯგუფის რაციონალური პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები შეიძლება უკან დაიხიოს და ემოციური ფაქტორები იწყებენ გადამწყვეტ როლს კონფლიქტის პროვოცირებასა და ესკალაციაში [4].

ეთნიკური კონფლიქტის დინამიკაში ნათლად ჩანს ქცევის ორი მექანიზმის მოქმედება: სოციალურ-ფსიქოლოგიური და ინსტიტუციური.

ეთნიკური კონფლიქტი წარმოიქმნება ჯგუფური ემოციური რეაქციის გამო, რომელიც ეფუძნება ჯგუფურ სოლიდარობას, როდესაც ჯგუფის წევრები ცდილობენ და-

იცვან გარკვეული საერთო ღირებულებები და ზოგჯერ სიმბოლური ხასიათისაა. შემდეგ ემოციური რეაქცია და ჯგუფური სოლიდარობა გარდაიქმნება საზოგადოებრივ აქტივობად, მკაფიოდ განსაზღვრულ პოზიციებად და პრეტენზიებად, რომელთა განსახორციელებლად იქმნება შესაბამისი სტრუქტურები.

ეთნიკური კონფლიქტის ანალიზის ყველაზე ამბიციური მცდელობა განხორციელდა ტედ გურის მიერ, რომლის ნაშრომი „უმცირესობები, როგორც რისკის ჯგუფი" ეფუძნება 233 ეთნიკური ჯგუფის პოლიტიკური ქცევის შესწავლას 1945 წლიდან 1989 წლამდე პერიოდში. გურის კონცეფციის ძირითადი პრინციპის მიხედვით, ეთნოპოლიტიკური ქმედება მოტივირებულია ხალხის ღრმად ფესვგადგმული უკმაყოფილებით მათი კოლექტიური სტატუსის გამო, რაც ხაზგასმული და სტიმულირებულია ჯგუფის ლიდერებისა და ეთნიკური მეწარმეების მიერ [5. 165].

ეთნიკური კონფლიქტები სოციალური კონფლიქტის განსაკუთრებული ფორმაა. მათ აქვთ უნარი თავიანთ ორბიტაში ჩაითრიონ სხვა ტიპის კონფლიქტების ობიექტები და საგანი და სუფთა სახით იშვიათად გვხვდება. იმავდროულად, მსოფლიო ისტორიის გამოცდილება აჩვენებს, რომ ამ კონფლიქტებმა შეიძლება მნიშვნელოვანი მასშტაბები შეიძინოს და რომ ნებისმიერი ეთნიკური კონფლიქტი ამავდროულად ეთნოპოლიტიკურია. ამასთან დაკავშირებით, საკმაოდ სამართლიანია დავსვათ კითხვა, თუ რა არის რეალურად ეთნიკური ეთნიკურ (ეთნოპოლიტიკურ) კონფლიქტებში, რომელიც დასვა გერმანელმა სოციალურმა ანთროპოლოგმა გიუნტერ შლეემ. მისი აზრით, ეთნიკური წარმომავლობის, როგორც „სქიზმისა და დაშლის" მიზეზად განსაზღვრებასთან დაკავშირებული შეხედულებებისა და პოზიციების მთელი ნაკრები შეიძლება დაყვანილ იქნას ექვს ძირითად დებულებამდე:

1) ეთნიკური განსხვავებები ეთნიკური კონფლიქტების ძირითადი მიზეზია;

2) სხვადასხვა ხალხის წეს-ჩვეულებებს შორის არსებული წინააღმდეგობები ასახავს უძველეს, მემკვიდრეობით და ღრმად ფესვგადგმულ ანტაგონიზმს;

3) ეთნიკურობა უნივერსალურია, ე.ი. ნებისმიერი ადამიანი რომელიმე ერს ეკუთვნის;

4) ეთნიკური კუთვნილება არის ასკრიპტიული, ანუ, როგორც წესი, ადამიანს არ შეუძლია ეთნიკური წარმომავლობის შეცვლა;

5) ერი წარმოადგენს საზოგადოებას წარმოშობის მიხედვით;

6) ეთნიკური ჯგუფები არიან ტერიტორიულნი, ისინი დაკავშირებულნი არიან გარკვეულ ტერიტორიასთან და ისწრაფვიან ეროვნული სუვერენიტეტისკენ [4].

თუმცა, თითქმის ნებისმიერ ზემოაღნიშნულ დებულებაზე შეიძლება კამათი. ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების წარმოქმნასა და ესკალაციაში ეთნიკური განსხვავებების მნიშვნელობის შესახებ განცხადებების თაობაზე პოლემიკისას, მათი წარმოშობის ღრმა ისტორიული განპირობებით ახსნის მცდელობებით, შლი იუგოსლავიის მაგალითს მოიხსენიებს.

ითვლება, რომ იუგოსლავიის კრიზისი არის ჩვენი დროის კლასიკური ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის მაგალითი. ამ მხრივ, ყველაზე თვალსაჩინო სიტუაციაა ბოსნიაში, რომელსაც გიუნტერ შლეე უწოდებს „იუგოსლავიას მინიატურაში" [4].

ომამდელმა კვლევებმა აჩვენა, რომ ადგილი ჰქონდა იუგოსლავიის ეთნოსთა თანდათანობით გაქრობას და ერთიანი იუგოსლავიელი ხალხის ჩამოყალიბების პროცესის მიმდინარეობას. ეს პროცესი სხვადასხვა ინტენსივობით მიმდინარეობდა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, მაგრამ აშკარა იყო. ბოსნიაში მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა 1990-იან წლებამდე სათანადო მნიშ-

ვნელობას არ ანიჭებდა ეთნიკურ ფაქტორს. არსებითად, ეთნიკურობა ადგილობრივ სერბებს, ხორვატებს და მუსლიმებს პოლიტიკოსებმა დააკისრეს და აღქმული კულტურული განსხვავებები გახდა რეალური საფუძველი არა მხოლოდ თემების დაყოფისთვის, არამედ სამოქალაქო ომის დროს მათი სასტიკი დაპირისპირებისთვის.

თანამედროვე ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების ფუნდამენტური მიზეზებია განსხვავებები თანამედროვე ერების ბუნების გაგებაში. ერი-ეთნიკური ჯგუფის ცნება საფუძვლად დაედო ერეცის ისრაელის იდეას და დიდი სერბეთის კონცეფციას, ბუმიპუტრას (დედამიწის შვილები) ეთნიკურ ნაციონალიზმს მალაიზიაში, ამჰარას ეთიოპიაში, რამაც სერიოზულ წინააღმდეგობებსა და კონფლიქტებს მისცა დასაბამი.

ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების ყველაზე გავრცელებული მიზეზებია ეთნიკური სეპარატიზმი, ბრძოლა ჯგუფის ლეგალური სტატუსისათვის, ჯგუფური ავტონომიის მოპოვების სურვილი, ბრძოლა ინტერესების გაერთიანებისათვის ან სექტანტური რელიგიური მოძრაობები (როგორც წესი, მუსულმანური).

თუმცა, გარდა კულტურული განსხვავებების თანამედროვე მანიპულაციებისა და ეთნიკურობის პოლიტიკური მობილიზაციისა, არ შეიძლება სათანადო ყურადღება არ მივაქციოთ რეალურ ეთნიკურ დაპირისპირებას, რომელსაც, შესაძლოა, ხანგრძლივი ისტორია ჰქონდეს და რომლის მეხსიერების განახლებაც მოხდა განზრახ და უკიდურესად დრამატული ფორმით, სიძულვილისა და კონფლიქტში მონაწილეობის სურვილი აღსაძვრელად.

თანამედროვე ეპოქის მრავალი ეთნოპოლიტიკური კონფლიქტი ძირს უთხრის როგორც ეკონომიკურად სუსტი ქვეყნების, ასევე განვითარებული ეკონომიკისა და ცხოვრების მაღალი სტანდარტების, ანდა როგორც ავტორიტარული, ისე განუვითარებელი დემოკრატიული სახელმწიფოებისა და კლასიკური დემოკრატიების სტაბილურობას.

ზოგიერთი თანამედროვე კონფლიქტისა და ეთნოპოლიტიკური მოძრაობის ისტორიული ფესვები მდგომარეობს სოციალური სტრუქტურის ეთნიკურ და პოლიტიკურ პრინციპებს შორის წინააღმდეგობაში, რაც არსებითად არის წინააღმდეგობა ეთნოსს ან ეთნიკურ ჯგუფსა და ევროპული სტილის ერებს შორის. შემთხვევითი არ არის, რომ ეთნიკური ნაციონალიზმი, როგორც ფუნდამენტური იდეოლოგიური პრინციპი, აიგივებს „ეთნიკურობის“ და „ერის“ ცნებებს. ეს წინააღმდეგობა ბევრ ქვეყანაშია, მიუხედავად მათი ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების დონისა. ეს განსაკუთრებით მწვავედ იჩენს თავს იმ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა რთულია და „ერის აშენების“ (ერის ჩამოყალიბების) პროცესები არ დასრულებულა, ე.ი. ქვეყნის მცხოვრებლებს არ გააჩნიათ ეროვნული (სახელმწიფოებრივი გაგებით) იდენტობის სათანადო ხარისხი. იმ ქვეყნებში, სადაც არის დიდი ეთნიკური ანკლავები განვითარების მაღალი დონით და დაუკმაყოფილებელი პოლიტიკური მისწრაფებებით, არსებობს არა მხოლოდ ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის პოტენციური საფრთხე, არამედ სახელმწიფოს მთლიანობის საფრთხეც.

მაგალითად, 1995 წელს, ერთი შეხედვით აყვავებული ქვეყანა, როგორიცაა კანადა, დაშლის პირას იყო. კვებეკის ფრანკოფონების მოთხოვნით ამ პროვინციაში ჩატარდა რეფერენდუმი მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შესახებ. დამოუკიდებლობის მომხრეები უმცირესობაში იყვნენ, მაგრამ სახელმწიფოს მთლიანობის დამცველებმა 1995 წლის 30 ოქტომბრის რეფერენდუმზე ოპონენტებზე მხოლოდ ერთი პროცენტით მეტი ხმა მიიღეს.

ეთნიკური კონფლიქტი არის სამოქალაქო დაპირისპირების ფორმა შიდასახელმწიფოებრივ ან ტრანსსახელმწიფოებრივ დონეზე, რომელშიც ერთ-ერთი მხარე მაინც არის ორგანიზებული და მოქმედებს ეთნიკური ხაზით ან ეთნიკური თემის სახელით.

ეთნოპოლიტიკური კონფლიქტი არის სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ბრძოლა, რომლებიც ორგანიზებულნი არიან ეთნიკური ხაზით და ეს პრინციპი ხდება მათი იდეოლოგიური და პოლიტიკური დაპირისპირების საფუძველი.

ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ ეთნიკურ კონფლიქტზე, როგორც ასეთზე, როდესაც არსებობს ეროვნული მოძრაობის ორგანიზაციული ფორმირება ან არსებობს სოციალურ-პოლიტიკური ძალა, რომელიც მიზნად ისახავს უზრუნველყოს კონკრეტული ხალხის ან ეთნიკური ჯგუფის ეთნო-ეროვნული ინტერესები და ამ მიზნის მისაღწევად ცდილობს შეცვალოს არსებული ვითარება ცხოვრების კულტურულ, ენობრივ, სოციალურ-ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ სფეროში. ამასთან, ეთნიკური კონფლიქტი ყოველთვის პოლიტიკური ფენომენია, რადგან კულტურულ-ენობრივი თუ სოციალურ-ეკონომიკური სფეროს პრობლემების გადასაჭრელად და სხვა ეროვნული მიზნების მისაღწევად, როგორც წესი, საჭიროა პოლიტიკური გზებისა და მეთოდების გამოყენება.

თითოეულ კონფლიქტს აქვს თავისი მახასიათებლები, მაგრამ არსებობს საფუძველი, რომელიც გვაძლევს განზოგადების და არსებული სახეების ტიპოლოგიზაციის საშუალებას.

ეთნიკური კონფლიქტების მკვლევარები განასხვავებენ მათი კლასიფიკაციის სამ ტიპს:

1. **კლასიფიკაცია საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროების მიხედვით** - კლასიფიკაციის ამ მეთოდის მიხედვით გამოიყოფა პოლიტიკური, ეთნიკური, ეკონომიკური, კულტურული და სხვა კონფლიქტები. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი კონფლიქტი არ შეიძლება ცალსახად მიეკუთვნებოდეს სოციალური ცხოვრების ამა თუ იმ სფეროს, რადგან ხშირად ერთდროულად ეხება რამდენიმე სფეროს (ეკონომიკას, პოლიტიკას, კულტურის სფეროს) ეხება;
2. **კლასიფიკაცია საგნების ან ობიექტების მიხედვით** - ის შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც „სფეროების“ მიხედვით კლასიფიკაციის დანამატი და როგორც კლასიფიკაციის დამოუკიდებელი მეთოდი, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც კონფლიქტებს მკაფიოდ განსაზღვრული „ინტერსფერული“ ხასიათი აქვთ;
3. **კლასიფიკაცია გადამზიდავი მატარებელი სუბიექტების მიხედვით** - ამ ტიპის კლასიფიკაციით იდენტიფიცირებულია კონფლიქტი ერთი და იმავე რიგის სუბიექტებსა და სხვადასხვა რიგის სუბიექტებს შორის. პირველი მოიცავს, მაგალითად, ოს-ინგუშურ კონფლიქტს ჩრდილოეთ კავკასიაში, კონფლიქტს ყირიმის პრორუს და პროუკრაინელ მოქალაქეებს შორის და რიგ საერთაშორისო კონფლიქტებს. ეს, ჩვეულებრივ, არის ჯგუფური კონფლიქტი ჯგუფის წინააღმდეგ (group versus group)! ეს უკანასკნელი მოიცავს კონფლიქტებს, სადაც მოქმედებენ სხვადასხვა რიგის სუბიექტები, რომლებიც, მაგალითად, მოიცავს ეთნიკურ უმცირესობას ან არატიტულოვან ეთნიკურ ჯგუფს და, როგორც მოწინააღმდეგე, ტიტულოვან ადამიანებს ან მათ სახელმწიფო ინსტიტუტებს. ეს ტიპი შეიძლება აღინიშნოს როგორც „ჯგუფი სახელმწიფოს წინააღმდეგ“.

ასეთი კონფლიქტის ტიპიური მაგალითია ჩეჩნური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტები, კონფლიქტი სინჰალებსა და თამილებს შორის შრი-ლანკაში.

გარდა ამისა, ეთნიკური კონფლიქტების ტიპოლოგიზაცია შესაძლებელია ისეთი საფუძვლებით, როგორიცაა: დინამიკა, ლოკალიზაციის ხარისხი და ა.შ.

ეთნოპოლიტიკოსთა მსჯელობაში ჩვეულებრივად იქცა განცხადება იმის შესახებ, რომ 1980-იანი წლების შუა ხანებში. მოხდა ეთნიკურობის „აფეთქება". ეს აფეთქება იყო ეთნიკური ჯგუფების პასუხი მათ არათანაბარ ხელმისაწვდომობაზე სოციალურ სარგებელზე და ძალაუფლებაზე. ეთნოპოლიტიკური პრობლემები განსაკუთრებით ფართო მასშტაბით იჩენდა თავს ყოფილ სსრკ-ში, თუმცა ამ გაუარესდა ბევრ სხვა ქვეყანაშიც. სსრკ-ს გამოცდილებამ აჩვენა, რომ გარდამტეხ, კრიზისულ ეპოქაში, წინა ეთნიკური იერარქია იშლება და დომინანტური ჯგუფების პოზიციების შესუსტება უმცირესობებს (განსაკუთრებით ეთნიკურს) საშუალებას აძლევს მიაღწიონ თავიანთი სტატუსის შეცვლას, მიიღონ სხვადასხვა პრეფერენციები კულტურის სფეროში, რესურსებზე ხელმისაწვდომობა და ძალაუფლება. იმის გაცნობიერებით, რომ დროის ფაქტორი გადამწყვეტ როლს თამაშობს, ეთნიკური ელიტები ხშირად ცდილობენ ამ პროცესების დაჩქარებას „სამართლიანობის აღდგენის" ლოზუნგით. ყოველივე ეს იწვევს ეთნიკურობის პოლიტიზებას, პოლიტიკური ეთნონაციონალიზმის ზრდას და ეთნიკური ურთიერთობების სფეროში კონფლიქტის გაძლიერებას.

ეთნიკური წარმომავლობის აქტუალიზაცია საბჭოთა ისტორიის ბოლო პერიოდში და ახალი რუსული სახელმწიფოებრიობის პირველ წლებში გამოიხატა არა მხოლოდ მნიშვნელოვნად გაზრდილი ინტერესით მშობლიური ენის, ეთნიკური კულტურის, ისტორიის მიმართ, არამედ ძირითადად სახელმწიფო გარანტიების შექმნის მოთხოვნით, ეთნიკური ჯგუფების კულტურული თავისებურებების შენარჩუნებისა და განვითარების მიზნით. ეროვნული ჰუმანიტარული ინტელიგენცია გახდა ამ მოთხოვნების სპიკერი. იგი არა მხოლოდ ამტკიცებდა ეთნიკურ პრეტენზიებს და აფორმებდა მათ პროგრამების, დეკლარაციების, მიმართვების და ა.შ., არამედ იყო ეთნოპოლიტიკური მოძრაობების მთავარი ორგანიზატორი, რომლებიც დაგეგმილი პროგრამების პრაქტიკაში განხორციელებას ცდილობდნენ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ იშვიათი გამონაკლისის გარდა, ყოფილ სსრკ-სა და რუსეთში ეროვნული მოძრაობები და ორგანიზაციები წარმოიშვა 1988-1991 წლებში, ე.ი. წინა სოციალური სისტემის ყველაზე ღრმა პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის პერიოდში. სოციალურ განვითარებასა და ეთნიკურობის აქტუალიზაციას შორის კავშირს ძალიან ზუსტად ახასიათებდა რუსი მკვლევარი ზ. სიკევიჩი: „კონფლიქტი და ინტეგრაცია არის შედეგიანი ცვლადი ეთნიკურ და პოლიტიკურ სივრცეებს შორის ურთიერთობაში და ერთ-ერთი მათგანის გამოხატვის ხარისხი პირდაპირ განისაზღვრება. მოცემული სისტემის მდგრადობის ხარისხით" [4].

ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე ეთნოპოლიტიკური მობილიზაცია მოიცავდა ვრცელ რეგიონებს და, ამა თუ იმ ხარისხით, შეეხო ყველა ეთნიკურ ჯგუფს. ეთნიკური წარმომავლობის პოლიტიზაციამ, რასაც თან ახლდა ეთნიკური თემების პოლიტიკური ორგანიზაციის დონის აწევა და მათი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ინტერესების გაცნობიერების ხელშეწყობა, გამოიწვია სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ინტერესთა მრავალრიცხოვანი შეჯახება და ეთნოპოლიტიკური კონფლიქტურობის ზრდა. ინტერესთა შეჯახება დიდწი-

ლად განსაზღვრა საბჭოთა სახელმწიფოს წინა ეთნონაციონალურმა პოლიტიკამ.

გარდა ამისა, ეთნიკური თემების განვითარების პრობლემების გადაჭრის ეთნოტერიტორიულმა პრინციპმა არამხოლოდ ხელი შეუწყო ცალკეული ხალხის კულტურის მოდერნიზაციას და შენარჩუნებას, არამედ ერების ერთმანეთთან დაპირისპირებით, მოსახლეობის სამოქალაქო ინტეგრაციისთვის ხელის შეშლით, ეთნოცენტრიზმისა და ეთნიკური ელიტის პოლიტიკური ამბიციების წახალისებით შექმნა პირობები მომავალი კონფლიქტებისთვის. ეთნიკურმა იერარქიამ და ცენტრალურ ხელისუფლებასთან მზარდმა წინააღმდეგობებმა დასაბამი მისცა ეთნიკურ ნაციონალიზმს და სეპარატისტულ მისწრაფებებს.

როგორც კი საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ტოტალიტარული კონტროლი შესუსტდა და რეპრესიულმა აპარატმა შეწყვიტა განსხვავებული აზრის გამოვლინებების, მათ შორის ნაციონალიზმის ჩახშობა, ქვეყანაში მაშინვე დაიწყო ეთნიკური დაძაბულობის კერები. 1986 წელს ყაზახეთის დედაქალაქ ალმა-ატაში ანტირუსული საპროტესტო აქციები გაიმართა. ამას მოჰყვა სომეხთა „პოგრომები" სუმგაიტში და შეტაკებები სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის მთიან ყარაბაღში, თურქ-მესხების მკვლელობები უზბეკეთის ფერგანას ველზე, არეულობა იაკუტსკსა და ტუვაში, ურალსკსა და ნაბერეჟნიე ჩელნიში. ვრცელი ლიტერატურა ეძღვნება ამ მოვლენების ანალიზს, მაგრამ მობილიზებული ეთნიკურობის ეს და სხვა მტკიცებულებები ყველაზე სრულად არის გაშუქებული სერიის „ნაციონალური მოძრაობები სსრკ-ში და პოსტსაბჭოთა სივრცეში" ტომებში (რედ.: მ. ნ. გუბოგლო).

აღსანიშნავია, რომ ადამიანთა უმრავლესობას „ერი" ესმის, როგორც ეთნოკულტურული ან ეთნო-ტომობრივი თემი, სახელმწიფო კი გვესახება როგორც „გარკვეული ეთნო-ეროვნული ჯგუფის სახელმწიფო". ამიტომ, იმისთვის, რომ სახელმწიფო ამ იდეალს შეესაბამებოდეს, ის უნდა იყოს „ნაციონალიზებული", ე.ი. გახდეს ეთნოერის „საკუთრება", ეს კი უნდა ხდებოდეს ეთნოკულტურული ერის (რომელიც ნომინალურად ამ სახელმწიფოს შემქმნელია) ენის, კულტურის, დემოგრაფიული დომინირების, ეკონომიკური აღმავლობისა თუ პოლიტიკური ჰეგემონიის ხელშეწყობით. შეუძლებელია ქვეყნის მთელი მოსახლეობა და თუნდაც მოქალაქეები წარმოადგენდნენ ერთ ერად ჩაითვალოს და აბსოლუტურად თანაბარი უფლებები გააჩნდეთ.

არსებობს კონფლიქტების დარეგულირების თეორიები, როხლებშიც ავტორები საუბრობენ იმ ბერკეტებსა და ფაქტორებზე, რომლებმაც შეიძლება განაპირობონ კონფლიქტებისა და სხვადასხვა სახის დაპირისპირებების მოგვარება. ამ თეორიათა შორის საინტერესოა იოჰან გალტუნგის „პოზიტიური და ნეგატიური მშვიდობის თეორია", რომელიც პირველად 1964 წელს გააჟღერა ავტორმა იმის მტკიცებით, რომ არსებობს „ნეგატიური მშვიდობა", რომელიც არის „ძალადობის არარსებობა, ომის არარსებობა", ხოლო „პოზიტიური მშვიდობა" კი „ჰუმანური საზოგადოების" ინტეგრაციაა. ამ თეორიის მიხედვით, ნეგატიური მშვიდობის მაგალითებია: მულტილატერალიზმი, იარაღის კონტროლი, საერთაშორისო კონვენციები, ძალთა ბალანსის სტრატეგიები და ა.შ., ხოლო პოზიტიური მშვიდობის მაგალითებს წარმოადგენს: კომუნიკაციის გზით ადამიანებს შორის ურთიერთობების გაუმჯობესება, განათლება მშვიდობის შესახებ, თანამშრომლობა, არბიტრაჟი, კონფლიქტების მართვა და ა.შ. [5].

ცხადია, კონფლიქტის თეორიების არსებობა გადამწყვეტი არ არის მის მოსაწესრიგებლად, თუმცა, აუცილებელია მათი გამოყენება, პრაქტიკული რეალიზაციის გზაზე.

GIORGI KHIDIRBEGISHVILI

## THEORETICAL APPROACHES AND CLASSIFICATION OF THE STUDY OF ETHNOPOLITICAL CONFLICTS

Summary

Although ethnic and ethnopolitical conflicts have a long history in human history, researchers began to study them relatively late. According to Nathan Glaser and Daniel Moynihan, ethnicity is "a more fundamental source of stratification" than the class nature of society, and thus ethnicity and ethnic conflict will continue to be relevant in the future.

Ethnic conflict is when there is an organizational formation of a national movement or there is a socio-political force that aims to ensure the ethno-national interests of a specific people or ethnic group and, in order to achieve this goal, tries to change the current situation in the cultural, linguistic, socio-economic or political spheres of life. At the same time, ethnic conflict is always a political phenomenon, because it is usually necessary to use political ways and methods to solve cultural-linguistic or socio-economic problems and to achieve other national goals.

Resolving ethnopolitical conflicts is the most important political problem. It goes without saying that the consequences of these conflicts have an extremely negative impact not only on development, but also on the image of those states that cannot prevent them. But the most serious consequence of the escalation of conflicts is the enormous loss of life.

***Key words:*** *nation, ethnopolitical conflict, state, national interests.*

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Ачкасов В.А. Этнополитология: учебник для бакалавров. 2-е изд., перераб. и доп. М.: Издательство Юрайт, 2014. С.308-347.
2. Адиев А., Примордиалистский подход лучше объясняет этнические конфликты. https://dzen.ru/a/XyfRlhfSeXX-S8Zq
3. Барбашин М. Ю. Современные социологические подходы в изучении этничности. — Социально-гуманитарные знания, 2005. — № 4. — С. 167-181.
4. Этнические и межнациональные конфликты. https://nicbar.ru/politology/study/57-kurs-mezhdunarodnye-konflikty-v-xxi-veke/592-tema-5-etnicheskie-i-mezhnatsionalnye-konflikty
5. Gurr T. Why do Minorities Rebel? Federalism Against Ethnicity? P. 165.
6. ბალჯიტ სინგ გრევოლი „იოჰან გალტუნგი: პოზიტიური და ნეგატიური მშვიდობა“, 2017.
7. Chitadze N., Regional and Local Conflicts in the Modern World Political Map, Journal os Social Sciences. ISSN: 2233-3878; Volume 4, Issue 1, 2015.

# ნაშრომის გაფორმებისა და წარდგენის წესი

სტატიის მოცულობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 14 გვერდისა, სტატიას თან უნდა დაერთოს: გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა, რეზიუმეები ქართულ და ინგლისურ ან რუსულ ენებზე (არანაკლებ 100-150 სიტყვა) და საკვანძო სიტყვები.

**ტექნიკური პარამეტრები:**

1. **გვერდის ფორმატი:** – A4
2. **გვერდის ველი :** – 2 სმ
3. **შრიფტი:** ქართული – sylfean, ზომა – 12,
   რუსული – *Times New Roman,* ზომა 12
   ინგლისური – *Times New Roman,* ზომა 12
4. **ინტერვალი** – 1 (Single)
5. **აბზაცი** – 1 სმ

**ტექსტის სტრუქტურა:**

- ავტორის სახელი, გვარი
- რეცენზენტის სახელი, გვარი (დოქტორანტის შემთხვევაში)
- ნაშრომის სათაური
- რეზიუმე ქართულ და ინგლისურ (ან რუსულ) ენებზე
- საკვანძო სიტყვები ქართულ და ინგლისურ (ან რუსულ) ენებზე
- გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.